

1522  
2009

საქართველოს  
განმანათლებლო  
სისტემის

# რეტენატუნა და სეროენება

N11  
11/2009

*ტაგისა*

ჯემალ ჩახავა

*მანუალისა*

საით მიჰქრის  
თეთრი რაში

*ქალაქისა*

ერთხელ ამერიკაში

*თაყა*

ვიგა ლორთქიფანიძე

*მუსიკა*



ვინისტთა  
საერთაშორისო  
კონკურსი

*მსგავრობა*

ქეპი  
კუსალაშვილი



მამა გენარაშვილი



# ლიტერატურა და ხელოვნება



N11(47)

11/2009

ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project:  
**vaja otarashvili**  
Literature And Art

ISSN 1512-3189

დამფუძნებელი, პროექტის  
ავტორი და გამომცემელი:

**ვაჟა ოთარაშვილი**

მთ. რედაქტორი

ტარიელ ხარხელაური

პასუხისმგებელი  
მდივანი

დავით კახაბერი

რედაქტორი

ვერიკო ზამთარაძე

გარეკანის მხატვრობა

გიორგი და ლაშა  
კუხალაშვილები

რედაქციის მისამართი:

ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი  
მხატვრის ქ. №4

ტელ.: (+995 32) 32 73 62;  
(+995 32) 31 70 47;  
(+995 99) 25 60 14.

E-mail: litandart@yahoo.com

vaja.otarashvili@yahoo.com

Web: www.litandart.com.ge

ჟურნალი „ლიტერატურა და  
ხელოვნება“ გთავაზობთ რეკ-  
ლამის განთავსებას ჟურნა-  
ლის ფურცლებზე.

დანვრილებითი ინფორმაცი-  
ისათვის მოგვმართეთ:

ტელ: 31-70-47;

მობ: 899 25 60 14;

893 58 95 44;

## ს ა რ რ ე ვ ი

### ქრონოსი, ქოფისი

- |                         |   |                                  |
|-------------------------|---|----------------------------------|
| 3. ჯემალ ჩახავა         | - | ლექსები                          |
| 5. ზაზა ქინქაძე         | - | ვენგახა (იმბანი)                 |
| 19. ზინა სოლომნიშვილი   | - | ლექსები                          |
| 22. ქეთევან ჯახნიაშვილი | - | ახალგაზრდა -<br>დაჯახველი ქახილი |
| 32. ნაილი ნუჯიშვილი     | - | ლექსები                          |
| 34. ევა ცაგახელი        | - | მოთხრობები                       |

### დრამატურგია

- |                      |   |                                  |
|----------------------|---|----------------------------------|
| 40. იხაელი სამსონაძე | - | მეხუთე პეხსონაფი<br>(გაბიძელება) |
|----------------------|---|----------------------------------|

### ოპერები

- |                           |   |                         |
|---------------------------|---|-------------------------|
| 46. უცხოელ პოეტთა ლექსები | - | (თახტ. ივეზი ათიდაყვამ) |
|---------------------------|---|-------------------------|

### წერილები

- |                   |   |                    |
|-------------------|---|--------------------|
| 48. ელენე ებანიძე | - | ნეტავ თუ გაიგეს... |
|-------------------|---|--------------------|

### პროზა

- |                      |   |         |
|----------------------|---|---------|
| 52. ვახტანგ ცუცუვაძე | - | ლექსები |
|----------------------|---|---------|

### წიგნი

- |                    |   |                                |
|--------------------|---|--------------------------------|
| 55. მანანა დუმბაძე | - | ინო რემი ცადმხივი<br>სიყვარული |
|--------------------|---|--------------------------------|

### ქორეოგრაფია

- |                     |   |                  |
|---------------------|---|------------------|
| 58. თენგიზ უთმელიძე | - | ეხთხელ ამეჩიკაში |
|---------------------|---|------------------|

### პოეზია

- |                   |   |   |
|-------------------|---|---|
| 66. გულბათ ცოხაძე | - | პიანისტუხი ხელოვნების<br>ზემი და შუქ-ჩიდილები |
|-------------------|---|---|

### ოპერები

- |                     |   |                      |
|---------------------|---|----------------------|
| 72. კოტე ნინიაშვილი | - | გიგა დოხოქიფანიძე-80 |
|---------------------|---|----------------------|

### სკანდინავია

- |                     |   |                       |
|---------------------|---|-----------------------|
| 78. ნანა მიხუცელავა | - | მონუმენტუხი ქანდაკება |
|---------------------|---|-----------------------|

### მხატვრობა

- |                       |   |                   |
|-----------------------|---|-------------------|
| 80. ჯემალ ჯახნიაშვილი | - | ძმები ეხადმუილები |
|-----------------------|---|-------------------|

# „როგორც უფალი, სამშობლო, ერთია ქვეყანაზედა“

რადიო ეროსიავა

საქონლუფასით სწავთ:  
ქაზუს ამირაზი, ზახანა ზრუვაძე,  
მოსაზ ზრდენიშვილი, მაყადას ვანაშვილი,  
ნათელა ურუშაძე, ზოსაზ ქაფიანიძე, ქანულა ხარკიანი,  
ილია ქაფიანი, თამაზ ხიზაძე, ვაჟა ერეკლე.

გამომცემლობა „ეროვნული მწერლობა“ იღებს შეკვეთებს  
პოლიგრაფიული პროდუქციის ბეჭდვაზე (წიგნები მაგარი  
და რბილი ყდით — ფერადი და შავ-თეთრი; ჟურნალები;  
სარეკლამო ბუკლეტები და სხვა), დაზიანებული  
წიგნების აღდგენაზე  
მისამართი: მხატვრის ქ. 4  
ტელეფონები: 32-73-62; 31-70-47  
**E.male.** [litandart@yahoo.com](mailto:litandart@yahoo.com)  
[vaja.otarashvili@yahoo.com](mailto:vaja.otarashvili@yahoo.com)

ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ არც ერთ  
პოლიტიკურ მიმდინარეობას მხარს არ უჭერს და მხოლოდ  
ქართული სულიერების, კულტურის, მწერლობისა და  
ხელოვნების აღორძინების საქმეს ემსახურება



ქვემო ხაზი

57992

**ბედის ავკლიტუდა, ანუ  
ღიალოგი საკუთარ თავთან**

დღეიდან ვინყებ განმარტოებას,  
სხვა არაფერი ახლა არ მინდა  
და ვინყებ ამ ჩემს მცირე პოემას  
ჩემი პატარა თავშესაფრიდან.  
მამულზე ფიქრი ვერ მოვიცილე,  
რა ვქნა, ასეა, უკვე ვბერდები,  
უნდა ვებრძოლო ქარის ნისქვილებს  
ჩემი პატარა შემოქმედებით.  
მე დავრჩი მარტო — ასე დაღლილი,  
წავიდა ბევრი, მიყვარდა ვინაც,  
ბედის წინაშე ვარ თავდახრილი  
და მოგონებებს ღრმა ძილით ძინავთ.  
ვარ ყველასაგან მიუსაფარი  
და ავსებული ცრემლით, დარდებად.  
ცხოვრება ჩემი არის ზღაპარი,  
ნეტავი იგი რით დამთავრდება?!  
დანყვეტილია ჩანგის სიმები,  
ო, ეს ცხოვრება რარიც ცივია  
და მქონდა ქვეყნად ვისი იმედიც,  
განზე გამდგარან და დამცინიან.  
პოეტებს ეხლა ქვებსაც უშენენ  
და მეც აქ, აბა, როგორ მეხარა?!  
ღმერთო, მაღალო, უნდა უშველო  
მუხლზე დაცემულ ლამაზ ქვეყანას.  
ძნელია სულში დარდის ტარება,  
კალამი ჩემი, თუმცა, მენდობა,

სტრიქონში ხშირად გამეპარება  
იმედიცა და უიმედობაც.  
ვბერდები, უკვე გადავციდი სამოცს  
და კარგად ვიცი თვითონაც, რაც მსურს,  
ველარ ჩავიცვამ მასხარის სამოსს,  
ბევრი კარგი დღე ჩაბარდა წარსულს.  
ეს ჩემი ჩანგიც ტკივილით კვენესის  
და ველარ ვიმკი, რაც მითესია,  
კარგი, თუ ძმა ხარ, ვის უნდა ლექსი,  
სასაცილოა დღეს პოეზია...  
ჩემი ცხოვრება გამაქვს კბილებით,  
ჩემი ბედია, რა ვუყოთ, ესეც,  
მრცხვენია ჩემი შვილიშვილების  
და ტკივილები გამომაქვს მზეზე.  
დღეები რბიან ისეე უცვლელად,  
მაგრამ კი შემრჩა მაინც ზრდილობა,  
ბევრი მავანი და ღორმუცელა  
დამცინის, ალბათ, სასაცილო ვარ.  
ვხედავ, იმარჯვებს არარაობა,  
სხვანაირია რიგიც და წესიც...  
რაში ჭირდებათ ჩემი თაობა,  
როდესაც ჩვენი არავის ესმის.  
უნიჭობის გაჩაღდა დოლი,  
დავინყებულა ბევრი სიკეთე,  
სწავლული კაცი ბარით და თოხით,  
ო, რა ლამაზად გამოიკვეთა.  
გაყიდა დედის ნაქონი ჯვარი,  
მამის ხანჯალი და დის საყურე,  
აბა, ვსვათ, ძმებო, ღვინის წილ ძმარი,  
მივიღეთ, რაიც დავიმსახურეთ.  
ციურ მანანას არ მოგვცემს ღმერთი,  
უნამუსობა ქარივით დაჰქრის,  
გაგვიწყრა ქვეყნად ეს ერთადერთიც,  
სიტყვით რომა გვენამს და არა საქმით.  
მამ რა ვქნათ, აბა?! შენ მეტყვი ამას  
და მეც პასუხი არა მაქვს სრული,  
რალა ფასი აქვს ჩემს სიტყვებს ლამაზს,  
მეც ხომ შენსავით ვარ დაზაფრული.  
მეც ხომ შენსავით დავდივარ უქმად,  
მეც ხომ შენსავით მტკივა, მწყურია,  
მას გაშლილი აქვს ლამაზი სუფრა  
და მაინც ბედის უმაღური.  
გზაჯვარედინზე დგას მათხოვარი,  
დედით და მამით, იგი ქართველი  
და ფიქრობს მისთვის, უკვე დრო არის,  
რომ მოეფინოს ბნელსა ნათელი.  
ოცნება რჩება მაინც ოცნებად,  
დღეს ქვის ნაყვანა ფასი ოცნების,  
გროშიც არა ღირს პატიოსნება,  
ჩვენ ყველანი ვართ ამის მომსწრენი.  
როგორ ითმენდი ამდენ გასაჭირს,  
ჩემო ქართველო გმირო, საბრალოვ,  
ჩვენი ბრალია, ეხლა რაცა გვჭირს,  
ან იქნებ ვინმეს სხვას დავაბრალოთ.  
„თქვენი ბრალია“ — მესმის ზეციდან  
ხმა უცნაური და საოცარი,  
ცოდვათა გამო უნდა გვეზიდა  
ეგ ტვირთი მძიმე ყოვლად მონყალის.  
ჩვენივე ხელით მოვკალით ვისაც  
ერის ტკივილი აჩნდა ტკივილად,

საქართველოს  
პარლამენტი  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

არ მივიჩინებ მეფობის ღირსად,  
თუნდაც მამალმა სამჯერ იყივლა...  
ძალიან მაგრად ნუ გაახურებთ,  
ხედავთ, ქართველნი როგორ გმონებენ,  
ამქვეყნად რასაც დაიმსახურებთ,  
იმქვეყნად იმას გაგაყოლებენ.  
და მერე ნახეთ კრეჭა კბილების,  
ვერას გაანყობთ ცრემლით, ვედრებით,  
ამ ცოდვიანი მიწის შვილები  
ღმერთის სასწორზე როცა შედგებით.  
მაგრამ დღეს ჩემი არავის ესმის  
და მეც სიმძიმეს ხელი შევეუშვი,  
ჩაბუდებულია ზიზღი და გესლი  
ამ ჩვენი ქვეყნის ლამაზ სხეულში.  
ბევრი გაუხდა მონად დროებას,  
ძნელია ახლა მათი მორევა,  
თბილისი იქცა კაზინოებად,  
კაფე-ბარებად და რესტორნებად.  
მრავალ მათხოვარს შეხვდები გზაში,  
მათი დანახვა არის იოლი,  
„ქალაქში, მტკვერში ნაიქცა ბავშვი“,  
როგორც ამბობდა გალაკტიონი.  
შეჩერდა ჩვენი ბედის ნამშობი,  
არაფრისაგან ველით არაფერს...  
წინათ ქართველნი ძვირად ვფასობდით,  
დღეს ველარ ვუძლებთ ამდენ ბარაბებს.  
იქნებ დროებით ღმერთმა ჰქნას ასე,  
მიიზღაზნება დღეები ძნელად,  
მე ყოველ დღით ვკითხულობ გაზეთს  
და არსაიდან არ არის შველა.  
ყურში ჩამესმის მწარე ფრაზები,  
ველარ ვიოკებ სიბრაზეს ახლაც,  
„დუმა“ სავსეა მატრახაზებით  
და ვილაც კახპაც საქვეყნოდ გვლანძღავს.  
ჩვენი ბედია, ქართველნი, ესეც,  
მაგრამ სხვა არის საქმეც და სიტყვაც,  
მე ვეფერები პუშკინის ლექსებს  
და კარგი რუსი ძალიან მიყვარს.  
არაფერი სჯობს ცოდვას გამხელილს  
და მტკივა რაღაც მე ისევ გულში,  
შორს გავარდნილი დიდი სახელით,  
ქართველი იყო, პირველი რუსი...  
მე რასაც ვამბობ, შენ იცი, მენდე,  
სალათას ძილი არ მოგერიოს,  
დასაწყისიდან, დღევანდელ დღემდე  
ვჩუქნიდით რუსეთს ერთ-ორ გენიოსს.  
და როს მოვიდა დროი რევანშის,  
უმაღურობამ როცა იხარა,  
„მოსკვა რეკა“-ში, მერე ნევაში,  
ნაღვანი მათი გადაიყარა.  
ვეება ტვირთი, ზურგზე რომ მანევს,  
შენ უნდა მითხრა, ნულარ ითმენო,  
რომ სიყვარულზე არაფერს არ ვწერ,  
გთხოვთ, მაპატიოთ, ჩემო მკითხველო.  
ვწერ ამ პოემას, განა უგულოდ?!  
ღამეს ვათენებ, ძალიან მიჭირს,  
ეჰ, სად ვიპოვო, ნაზო ბუღბუღო,  
ბარათაშვილის ვება ნიჭი.  
არ შეიცვლება ჩემი ბუნება,  
სიმართლის თქმა ჩემი ნუგეში

ნეტავი, რალა მებუღბუღება  
ამ უსირცხვილო საუკუნეში.  
ველარ ვიკავებ ცრემლებს მოდენილს,  
ფიქრიც შეეწყვიტე ჩემი, დროებით,  
დახლებზე გაჩნდა ჰარი პოტერი —  
ეს სატანური ნანარმოები.  
დედის რძესავით რაიც ტკბილია,  
იკითხე იგი, ნულარ მოსცდებით,  
ვაჟა, აკაკი, ბრძენი ილია  
და ყველა ჩვენი დიდი მგოსნები.  
ტყეში ბლავილი ისმის ირმების,  
ფრთები გაშალა არარაობამ...  
სექსუალური დიდი ფილმებით  
ვართობთ და ვლუპავთ ლამაზ თაობას.  
უნდა გვიშველოს ალლომ და ნიჭმა,  
ამას მიხვედრა არ უნდა დიდი,  
რაა მთანმინდა, არ იცის ბიჭმა  
და იმ გოგონამ, გზაზე რომ მიდის.  
ცუდი და კარგი უნდა ავწონოთ,  
არას გვიშველის მწუხარე მოთქმა,  
ქართველები ვართ, ჩემო ბატონო,  
დავითისა და რუსთველის მოდგმა.  
ჩვენ ქართველობას რახან არ ვიშლით,  
ვებრძვით ზღაპარში, რადგან ტიტანებს,  
მე ამ პოემის ბოლო ნაწილში  
ცოტა ღირიზმი შემოვიტანე.  
ახალგაზრდებო, უნდა იცოდეთ,  
თქვენ გელოდებთ ზღვა სიხარული,  
უსიყვარულოდ არ ღირს სიცოცხლე,  
უსიყვარულოდ რაა მამული?!  
არ დაგინახოთ მე თავდახრილი,  
თქვენ-თქვენი საქმით უნდა ფასობდეთ,  
წინაპართაგან სისხლი დაღვრილი,  
კუბოს კარამდე უნდა გახსოვდეთ.  
ძნელია ჩვენი გზები სავალი,  
ამას არ უნდა ბევრი ძიება,  
რადგან მტერი გვყავს ასე მრავალი,  
უნდა ვიცოდეთ შურისძიებაც.  
გათენებისას ჭახჭახებს შაშვი —  
ქართული ბალის ხშირი სტუმარი,  
სადღაც ატირდა პატარა ბავშვი,  
იღვიძებს ისევ აზრი მდუმარი.  
ნიჭო ქართულო, სისხლო ხნიერო,  
აღმაშენებლის ძარღვი ნამყოფო,  
კვლავაც იქნება, მჯერა ძლიერი  
უსაყვარლესი ჩვენი სამშობლო.  
უნდა ვიფიქროთ ჩვენ ისევ დიდხანს,  
დანყნარებულად წესით და რიგით,  
რა არის, ნეტავ, ყველაფრის მიღმა,  
რა არის, ნეტავ, ყველაფრის იქით?!  
ქეიბურივით ლექსი იწვილებს,  
ლექსი, ეს ჩემი ღია ბარათი...  
ერთად ვებრძოლოთ ქარის წისქვილებს  
და ამ ბრძოლაში გავჭალარავდეთ.  
მოვა დრო იგი, მე ვფიქრობ ასე,  
არ გვიძებნია რადგან დიდება,  
ერთ მშვენიერ დღეს სამშობლოს ცაზე  
ჩვენი ვარსკვლავიც გამობრწყინდება.

ითავი



ზამა ქინკლასძე

3 ე ნ ბ ა ხ ა

წინასიტყვაობა

ყველა ზღაპარი სინამდვილის დასაჯერებლადაა მოგონილი. არასდროს ვიცოდი და არც ახლა ვუწყვი, რეალობა უფრო სიზმარულია თუ სიზმარი უფრო რეალურია, მით უმეტეს, როცა საქმე ეხება სულებს, სხვა სამყაროებსა და განზომილებებს. ამ დროს არანაკლებად ზღაპრული და ფანტასტიკურია ჩვეულებრივი, ადამიანური ყოფა თავისი ინსტიტუტებით, სურვილებით, მასას ხან ძრბოდ, ხან ხალხად, ხანაც ცხოველად ან ღვთის შვილად რომ გადააქცევს ხოლმე. რატომ მეორდება ასე ჯიუტად ათასწლეულების განმავლობაში ადამიანთა ყოფა-ცხოვრების ერთნაირი პატალიები?

ისევ და ისევ უმწვავესია წყურვილი, უგრძესია ლოდინი, უძვირესია სურვილი, უმძვინვარესია ადამიანი, უბრძენესია მომთმენი, უმჩატესია სიხარული, უმძიმესია უიმედობა და უმგზნებარესია სიყვარული. ისევ და ისევ კარგი საქმე ათასჯერ სჯობს კარგ სიტყვას, კარგი სიტყვა — კარგ ფიქრს, რადგან ეს უკანასკნელი კვამლს ჰგავს, — ალარც ცეცხლია, ალარც ნახშირი და არც წყალი. ისევ და ისევ ამაოდ გვეჩვენება, რომ არსებობს ნამყო-ანმყო-მომავლად დაყოფილი დრო. არა, ეს ყოველივე ერთია და მარადმდინი, — მესამე, მეოთხე მსოფლიო ომიც მომხდარია, მარსზეც ახალშენები გვაქვს, მაგრამ ჯერჯერობით გონების კომპიუტერში დეხურულია ეს გვერდი.

არც ის ვიცი, ეს თხზულება უფრო ზღაპარია, რომანია თუ ქრონიკაა, — იქნებ ყველა ერთადაა? მკითხველმა განსაჯოს.

ნატრულეთი ერთმანეთზე გადაბმულ, მწვანე ქედებში ჩალურულიყო. ბალ-ვენახებით და ყანებით მოჩითულს მუხოვან ხეობაში დიდი, ლურჯი მდინარე ჩაუდიოდა, ტყის უღრან კორომებში ბევრი იყო ნადირ-ფრინველი. სოფელს ქვეყანასთან უფსკრულზე გადაებული, ასანევი ხიდი აკავშირებდა, რომელიც იშვიათად, მხოლოდ მაშინ ეშვებოდა, როცა ვინმე დევნილი ითხოვდა თავშესაფარს. მოსახლეობა ცოტა იყო, უმეტესობა — ხიზანი. ხევისბერი ახალმოსულს მეტად ძნელ გამოცდას უწყობდა, რის გამოც ბევრი ყურჩამოყრილი ბრუნდებოდა უკან. ერთეულები კი სოფლის შუაგულში სამ ვეებერთელა მუხას შორის ჩამდგარ, პატარა, ქვის საყდარში დებდნენ ნატრულეთისადმი ერთგულების ფიცს. ტაძარს გუმბათი გადახსნილი ჰქონდა და მის ზემოთ მუხის რტოებიც შეესხიპათ. ზვარაკის სუნი პირდაპირ ზეცას ეფინებოდა. მაღლიდან ოქროს ნიაღვარივით ეშვებოდა ნათელი და თვალებდაბინდულ, გაბრუებულ მოტარიგვს ღვთის დიადი რიდი, მონინება მარად თან მიჰყვებოდა.

ვერც ერთმა მეფემ და მთავარმა ვერ შეაყრია ნატრულეთი, რადგან მიუდგომელი ცხესოფელი შიგნიდან არ ტყდებოდა, — ადამიანებს არ შურდათ ერთმანეთის თავისუფლება.

თავდაცვის უმთავრესი, მრისხანე იარაღი ქვალოდების და მორების სატყორცნი ღარდები იყო. ჩაუქ ტყის მჭრელებს სოფლის მისადგომელ ბილიკებამდე მთიდან ხეები ჩაეკაფათ, ფართო თხრილები ჩამოეყვანათ, სასრიალო ფიცარნაგები ლურსმნებით, თოკებითა და შქერის მოქნილი ლარტყებით შეეკრათ. ქვა-მორი საშინელი ძალით ცურდებოდა ზედ, ერთი დარტყმით თუგინდ მთელ რაზმს ათქვევდა. ეს კარგად ახსოვდა იმ ქვეყნის ყველა ბატონს და დაშინებულებმა ერთადერთ ამ სოფელს დაუთმეს თავისუფლება. სახლიკაცები თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ ნატრულეთის უშიშროებას და სიფხიზლეს არასოდეს ადუნებდნენ.

სოფელში ერთ-ერთ ბორცვზეც გაეკეთებინათ სავარჯიშო მორსატყორცნი, რომელიც მდინარეზე ეშვებოდა. თვალწარმტაცი იყო, როცა დამეხილი გველემშაპებით ჩაემხოოდნენ უზარმაზარი ხეები წყალში, აბუყბუყდებოდნენ და ტალღებს ააფრქვევდნენ. ზოგი ხელგანაფული განსაკუთებული ოსტატობით აცურებდა მორს, დანიშნულ ადგილზე ბრტყლად ეცემოდა, საშინლად იზავებოდა და ფსკერის მიწასაც კი ამოისროდა.

ბორცვზე ახლა ყმანვილები შეგროვილიყვნენ და დიდი ფიჭვის ტანს ჩასჭიდებოდნენ. როგორც მგლის ჯოგში გაგიადილობათ მეთაურის გამოცნობა წინამდგომლობა და სიძლიერით, ასევე აქაც ბიჭების წინამძღოლი, ეტყობოდა, ერთი ახოვანი, ბეჭებგაშლილი, მხრებზე თმებგადაფაფრული ჭაბუკი იყო, რომელიც მორს თავში ჩაფრენოდა და საცურებელ ხეზე ასწორებდა. ის სხვებზე უფროსიც ჩანდა და კეთილ, ცისფერ თვალებს ხშირად მიაპყრობდა ამხანაგებს, რამე არ დაუშავდეთო.

— ირაკლი, დაეხმარე ბოცვერას, უჭირს! —

უთხრა მეთაურმა გვერდით მყოფ შავგვერემან, ჩაფსკვნილ თანატოლს.

კარგა ხნის წვალების შემდეგ მორი ღარდის თავში შეაყენეს, თოკი დაჭიმეს და ხეს გამოაბეს.

— ვენგარა, ახლაც ჩაჰყვები? — იკითხა ერთმა.

ჭაბუკმა საცურებელს ჩახედა. სახიფათო იყო მორთან ერთად ფრენა, მაგრამ ეს ხომ ფრენა იყო?!

როცა მცირე მანძილი რჩებოდა წყლის ზედაპირამდე, ხისთვის მძლავრად უნდა გეკრა ფეხი, რაც შეიძლება შორს გასცდენოდი, რომ შეცრად ამოფრქვეულ მორვეს არ ჩაყოლოდი. ყოველ წამს, ყოველ ადლს უზუსტესი გათვლა სჭირდებოდა და ეს მხოლოდ ვენგარას შეეძლო. ის ერთხელ შემთხვევით დაცურდა მორთან ერთად, რადგან საზიდი თოკი განყდა შეცრად. პირველად ბიჭმა, მართალია, დიდი შიში ჭამა, მაგრამ შემდეგ უკვე თავად ისურვა მისი გადალახვა და ამაყ, უდრეკ გულს იზიდავდა ხიფათთან თამაში. სიმამაცე ხომ დაძლეული შიშია?

— ჩავყვები! — თქვა ჭაბუკმა და თვალით გაზომა მორის დახრილობა.

ბიჭები კრძალვით და შიშითაც მისჩერებოდნენ, ბევრს ადგა ენაზე, არ გინდა, ხიფათში ნუ ვარდებიო, მაგრამ იმდენად დიდი იყო ამ ქაჯური ნახტომის ხილვის სურვილი, ყველა დუმდა.

— ვენგარა, მოდი, მე ჩავყვები. უკვე რამდენჯერმე გიყურე და მგონი, შევძლებ! — თქვა ირაკლიმ.

ჭაბუკს უნდოდა ეუარა, მაგრამ იფიქრა, ეწყინება, მშიშარად ჩამთვალესო. მართალია, იცოდა, ამით მის პირველობას მოზიარე გაუჩნდებოდა, მაგრამ გულუშურველ ბიჭს ნაშითაც არ უფიქრია, დავაფრთხობ ირაკლის, განზრახვაზე ხელს ავადებინებო. პირიქით:

— როცა შუა ღარს მიაღწევდა ა, იმ ლატანს გასცდები, თუ მორი აჯაყჯაყდა, ფესვებს ჩაეჭიდე, არაფრით ჩაჰყვე, — იცოდე. ამოტრი-ალდები. თუ კარგად ჩაცურდი, წყლიდან ორი-ოდე საჟენზე ხეს ფეხი ჰკარი და წინ გადახტი, უსათუოდ გადახტი!

ირაკლი ყურადღებით უსმენდა, ხეზე ჩაჩოქილიყო, ხელები შემოეხვია და ოდნავ თმამოლილ საუღვამეს ქვედა ტუჩით აწვებოდა, რაც მის დაძაბულობას ააშკარავებდა. ასეთ დროს მაყურებელს გული ეწურება, იმდენად დიდია ბრძოლა ორი გრძნობისა: შიშისა და ცნობისმოყვარეობისა. ბიჭები მდუმარედ იდგნენ.

აი, ვენგარამ თოკი გადაჭრა. ხემ ნელ-ნელა უმატა სიჩქარეს, ღარდის შუა ნელზე ჩასრი-ალდა და ქარაფზე აინია. ფოცხვერევით ნელ-გადრეკილი ირაკლი მაგრად ჩაფრენოდა მორს, რომელიც ბრტყლად და თანაბრად ეშვებოდა დაბლა.

— დროა! გადახტი! — იყვირა ვენგარამ.

ოდნავ დააგვიანა ბიჭმა. მორმა, ის იყო თავი დახარა და წყალს შეეხო. ორივე აღუღებულ ტალღებში ჩაიმალა.

ყველაზე ადრე ვენგარა გამოერკვა, სწრაფად ჩაჰყვა თხრილს და მდინარეში გადაეშვა თვალ-გამბზარავი სიმალლიდან: მოქნილი სხეულით სოლივით გაჭრა წყალი, ამოყვინთა და მორისკენ

გაცურდა. ირაკლი არ ჩანდა. უცებ ოდნავ მიწყნარებულ ტალღებში გამოილანდა მისი სხეული.

— აქეთ, ვენგარა, აქეთ! — იყვირეს მაღლიდან ბიჭებმა.

ჭაბუკმა დაინახა ამხანაგი, ხელის რამდენიმე გასმით მასთან გაჩნდა, ილიაში მკლავი გამოს-ლო და ნაპირისკენ გამოაცურა გონდაკარგული.

რიყეზე მწოლიარეს დიდ ხანს დასტრიალებდნენ თავს შემოფოთებული მეგობრები, ხან ასი-ლაქებდნენ, ხან საფეთქელს უზელდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, თვალები გაახილა.

— როგორ ხარ? გტკივა რამე? — ჩაეკითხა ვენგარა.

შავთმიანმა, ბუთხუზა ბიჭმა გაიღიმა და ყვე-ლა დამშვიდდა.

— გავბრუვდი...

ვენგარასაც გაეღიმა, იცოდა, რას ნიშნავდა ეს გაბრუება. ნამოდგა, ნაბლისფერი თმა მუჭში განურა და უკან გადაიყარა. მერე გვაბანაკი და პერანგი გაიძრო, მზეს მიაფიცხა.

მნათობმა ცა გაინახევრა და ცალი თვალით მთებს გადაღმა გადაიჭყიტა. ბიჭები სახლისკენ წავიდნენ. ვენგარა და ირაკლი მეზობლები იყვნენ, ერთად გაუყვნენ შარას.

— სალამოს ფოცხვერს ჩავუსაფრდეთ? — ჰკითხა ირაკლიმ.

— თუ ბოძალის მოპარვა მოვახერხე.

— ეცადე.

ვენგარამ შეხვედრის ადგილი დაუთქვა ამხანაგს და ეზოში შევიდა. მამამისი ურემზე ხელნას ამავრებდა. შვილს სალამზე უპასუხა და მდიმარე, სიყვარულით გამთბარი თვალები გააყოლა. ოჯახში მათ გარდა არავინ იყო. ცოლი ყაჩაღებმა გაიტაცეს ზღვისპირეთში და გემზე გაუყიდათ. ბაბუა და ძმა შეტაკებაში დაღუპულან. თავად შემის საჭრელად იყო ტყეში. ბევრი ეძება მეუღლე, — ამოდ. გულგატეხილი აიყარა დედულეთიდან და აქ ჩამოსახლდა.

ერთადერთი მისი გამხარებელი ვენგარა იყო, ახლა, რატომღაც, ზედმეტი სიდინჯით რომ გაი-არა ეზო და მიეფარა ფანჩატურს. მამამისს ჭინ-კის გაფაჩუნებაც არ გამოეპარებოდა, ეუცხოვა ჭაბუკის ქცევა. ჩუმად შემოუარა სახლს და უკვე ღობეზე გადამსვლელს შეასწრო თვალი.

დიდი მშვილდი და ორი ბოძალი მიჰქონდა ბიჭს. ერთი კი დააპირა დაძახება მშობელმა, მაგრამ ვაჟის ამოღტილმა ტანმა და ბრტყელმა ბეჭებმა გადააფიქრებინეს. კვლავ ხელნას მიუ-ბრუნდა. ის იყო, ასწია ნაჯახი, ჩხვლეტა იგრძნო მკერდში, სადაც ორი თვეა ნაისრალი სტკიოდა.

ვენგარა მდინარეზე გადავიდა და კლდოვან, ჩაბნელებულ ხეობას აუყვა. მზე ჩადიოდა. ქვე-ბზე აცოცებული ხავსი, გველებივით გამოშვერ-ილი ფესვები, გაფხორილი სვავის მსგავსი გვი-მრები და სხვა მცენარეები უცნაურ ფორმებს ლებულობდნენ ბინდში. ჭაბუკს შეეძლო ბილიკს აყოლოდა, მაგრამ ეს უმოკლესი გზა იყო ბებერ რცხილამდე, რომლის ძირში ფოცხვერის ბუნაგი ეგულებოდა და ირაკლიც იქ უნდა დალოდებო-და. სიჩუმეს ქვებში მჟონავი წყაროს რაკრაკი არღვევდა.

— ვენგარა! — ტყვიასავით გაკვეთა ჰაერი ცივმა, მჭახე ხმამ.

ჭაბუკმა იგუმანა და ხმა არ გასცა.

— ვენგარა!.. ვენგარა! — ჯიუტად იმეორებდა ვილაც.

ბიჭს მოთმინების ფილა ავესო, ხანჯალი ამოიწვავდა და შესძახა:

— აბა, მოდი, თუ შეგიძლია, შე ეშმას ნახს-  
 ლეტო! ბავშვი ან დედაკაცი ხომ არ გგონივარ?  
 შუაზე გაგწყვეტ!

ჭინკა ფესვს ჩაეჭიდა ციციქნა ხელებით და ჩამოსძახა:

— ხანჯალი არ გკონდეს, მე ვიციცი!..

ჭაბუკმა, ის იყო, მახვილით ჯვარი შემოსწერა და შელოცვა დააპირა, ბანჯგვლიანი კაცუნა თვალს მიეფარა.

ირაკლი ხევის თავში ელოდებოდა.

— უნმინდური იყო? — იკითხა მან.

— ჰო.

— ფუი ეშმაკს! — პირჯვარი გადაიწერა ჭაბუკმა.

ვენგარამ მშვილდი დაჭიმა და თქვა:

— შენ იმ კუნძთან ჩაჯექი, პირი ტილოთი აი-  
 კარი და ჩქამი არ გაიღო.

დიდ ხანს მოუწიათ ლოდინი. მთვარემ უღ-  
 რანში ალაგ-ალაგ ვერცხლის კიბეები ჩამოუშვა და სინათლის ქონდრისკაცები ჩამოგზავნა. ვენ-  
 გარას გვერდით რალაცამ გაიციალა. ჭაბუკმა ერთი ხის ძირას გველების გუნდი დაინახა, მანა-  
 თობელ ქვას ათამაშებდნენ. ძველებისგან გაე-  
 გონა, თუ იმ ქვას მოიტაცებ და უხსენებლებსაც გაექცევი, ბედნიერი იქნები, თუ დაგიჭერენ, დაგმხამავენ: თუ ქვას დააგდებ და თავს დაიხ-  
 სნი, ბედნიერება შუა გზაზე მიგატოვებსო.

ვერ გადაეწყვიტა, რა ექნა. უცებ რცხილას-  
 თან ოდნავი ჩქამი გაისმა და ცხოველის ლანდი ბუნაგის შესასვლელთან აიმართა. ორმა ბოძალ-  
 მა ერთდროულად გაიშხულია და ფოცხვერის ღრიალმა ხეებს ფოთლები აუტოკა. ცოტა ხანს იკლაკნებოდა ხახანათებული ნადირი, მერე გაი-  
 წიმა და გაშემდა.

ვენგარა ხანჯლით გატყავებას შეუდგა. მეგობ-  
 ბარი იქვე ჩამოჯდა კუნძზე.

— ირაკლი, იქ გველები ბედის ქვას ათამაშე-  
 ბენ.

— ვხედავ, ვენგარა.

— უნდა მოვიტაცო.

— იქნებ, ჯერ ადრეა?

— მალე თხუთმეტის ვხდები.

ირაკლი წამოდგა.

— მაშინ, სანამ არ ვიციტ რა გველის, შევფი-  
 ცოთ ერთმანეთს ძმობა, ვენგარა.

ჭაბუკებმა მუხლი მოიყარეს ერთმანეთის წინ, ხანჯლით ცერები გაისერეს და შეაერთეს.

— ერთად ვიცხოვროთ და ერთად მოკვდეთ!  
 ერთმანეთს სამჯერ აკოცეს და წამოდგნენ.

ვენგარა ფოცხვერს მიუბრუნდა, მალე გაატყა-  
 ვა, სველი ტყავი მეგობარს გადასცა და ფეხაკრე-  
 ფით ნავიდა გველებისკენ.

ირაკლი ხეის ჩაჰყვა და ქალაში დაელოდა ძმო-  
 ბილს.

ჭაბუკი ფრთხილად მიუახლოვდა და აეფარა ხეს. მანათობელი ქვა აქეთ-იქით გორავდა. ხან ერთი მცურავი დააფლებდა პირს და გატყორც-  
 ნიდა, ხან — მეორე. უცებ მისკენ გადმოგორდა ნატვრისთვალი. ჭაბუკმა ხელი დასტაცა და თავგანწირვით ეძგერა უღრანს. რტოები, ბუჩ-

ქები, ძეძვები ტანზე ებლაუჭებოდნენ, სახეში სცემდნენ, ასისხლიანებდნენ, მაგრამ ვენგარა სწრაფად მიქროდა დაღმართში და ჩამოიტოვა კიდეც გველები. საშინელი სისინით მოსდევდნენ გაავებული მცურავები მოყმეს.

— ვენგარა! ვენგარა!.. — კვლავ მოისმა ჭინ-  
 კის ხმა.

ჭაბუკს ჯიუტად მოეკუმა ტუჩები, გარბოდა და იმაზე ფიქრობდა, რაც შეიძლება, ჩქარა მის-  
 ულყო მდინარესთან, რადგან იცოდა, წყალში უფრო სწრაფები იყვნენ მდევრები. ტყე ჩამ-  
 იტოვა და ქალაში გავარდა. გაღმა ბორცვზე შემდგარი ირაკლი დალანდა.

— ჩქარა, ვენგარა! ჩქარა! — ყვიროდა ძმო-  
 ბილი.

ჭაბუკი ტალღებში გადაეშვა. მალე გველებიც მოადგნენ ნაპირს და ისარივით გასრიალდნენ წყალზე. სწრაფად მცირდებოდა მანძილი მათ შორის.

შუა გზაზე ცხადი გახდა ბიჭისთვის, ველარ გაასწრებდა.

— გადაუგდე! ახლავე გადაუგდე! — აღრიალ-  
 და ირაკლი.

ჭაბუკმა ერთი კიდახედა ქვას და უკან მოისრო-  
 ლა. გველები დაესიგნენ მანათობელ წერტილს და ადგილზე გაშემდნენ.

ვენგარამ წელა გამოცურა ნაპირისკენ.

შემფოთებული ირაკლი მივარდა და ჩაეხვია.

— იქნებ, ცდებიან სოფელში, როცა ჰგონიათ, რომ ეს რალაც ნაკვერჩხალი ბედის ქვაა?

— არა... ასეთი იყოს ღვთის ნება.

— მაშ ბედნიერება შუა გზაზე მიგატოვებს?

— ხშირად გამიგია სახლიკაცებისგან, ბედ-  
 ნიერება ერთი დღითაც კმარაო.

დუმილით განაგრძეს გზა. როცა შარაზე გამ-  
 ივიდნენ, ვენგარა შედგა და მიაჩერდა რალაცას. ირაკლიმ შეამჩნია, მეგობრის ეზოში ჩირაღდნე-  
 ბი ენთო, ხალხი ფუსფუსებდა.

ვენგარა დაობლებულიყო.

## II თავი

მშობლის დასაფლავების შემდეგ ერთი წელი კიდეც დარჩა სოფელში ვენგარა. მუდამ გულ-  
 ჩათხრობილი დადიოდა, აღარ თევზაობდა, აღარ ცნადირობდა. ერთადერთი ირაკლი უფონებდა გულს, ყველგან თან ახლდა და გამხიარულებას ცდილობდა. ბოლოს ეს უთხრა ძმობილს ვენგა-  
 რამ:

— უნდა ნავიდე, ირაკლი.

— რატომ, ვენგარა?

— ვნახავ ერთი, როგორია ბედნიერება.

— ბაბუა ამბობს, ბედნიერება თავისუფლე-  
 ბააო. გამოდის, რომ ნატრულეთელობა ბედ-  
 ნიერებაა.

— უბედურებაც მინდა გავიგო.

— უბედურება ადამიანთა შორის თავისუ-  
 ფლების შურიანო.

— რომელიაო უფრო ძლიერი?

— ეს მხოლოდ ღმერთმა უწყისო.

— ღმერთის ნება იყო ნატვრისთვლის დაკარგ-  
 ვა, მისი ნება იქნება ესეც.

თავი ჩაქინდრა ირაკლიმ.

— ჯერ ვერ მივატოვებ მოხუც მშობლებს... ნატრულეთი საქვეყნოდაა ცნობილი, ხმა ხშირად მომანვდინე, ვენგარა.

ისინი სოფლის კარიბჭისკენ გაემართნენ.

ნესისამებრ ალაყაფზე მობმულ ზარს ჩამოკრეს. ხალხი მოგროვდა და მსცოვან ხევისბერს ამოუდგა უკან. ვენგარამ ზანზალაკებიან დროშას დაუჩოქა, ეამბორა, ხევისბერის დალოცვა მიიღო, ხალხს გამოეთხოვა და ხიდზე გადავიდა. ერთი კი მოიხედა უკან და ჩაყვა შარას.

მამისეული, დარახტული თათრონი, გველისპირული, ვერცხლის გრძელი სატევარი, თეთრი ჩოხა და ნაბადი გაიყოლა თან. ბევრი იარა ჭაბუკმა, ხან სად დაულამდა, ხან სად. ერთ დღეს, შორს თეთრი ველი დალანდა, რომლისკენ მიმავალ ბილიკს ცალ მხარეს ეკლები ერგო, მეორე მხარეს კი — ყვავილები. ვენგარა იქით გაემართა.

— ჭაბუკო! — მოესმა შუა გზაზე. შორიასლოს ლოდზე გაბანჯგვლული, რქებდაგრეხილი ეშმაკი იჯდა, ფეხი ფეხზე გადაედო და ჩლიქებს აკაკუნებდა.

— ჭაბუკო, ვინც თავისუფლებას ნებით თმობს, ან გიჟია ან ჭეშმარიტების მაძიებელი. იცოდე, ჩემთან გექნება საქმე.

— დაქანებულ მორს ვერ შეაჩერებ, ან მივა ბოლომდე ან გზაზე დაიღვინება. — თქვა ვენგარამ.

— მოყმე! — ბიჭმა გზის მეორე მხარეს თეთროფრთიანი, მწყაზარად მღიმარი ანგელოზი დაინახა, — მხოლოდ ესეც გახსოვდეს: თუ არ გინდა ნაადრევად დაიღვინო, არ დაივინყო, რომ მწვერვალთა მერე ხრამები და დაღმართებია. გზაჭემარიტი კი ყველაზე მეტადაა დახერგილი.

უცებ ანგელოზი და ეშმაკი გაქრნენ. ჭაბუკს ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს ისინი უჩუმრად თან მიყვებოდნენ.

თეთრი ველი ქვის აღმოჩნდა, რომლის შუაში, გზაჯვარედინზე ოთხი სხვადასხვა ფერის მხედარი იდგა. ჭაბუკი მიესალმა მათ.

ცისფერმა მხედარმა თქვა:

— მე სიცოცხლის მეფე ვარ. ვფლობ სამ სამთავროს: მინას, წყალს, ჰაერს. დავდოთ პირობა: მთელი სიცოცხლე იცხოვრებ ჩემს ხარჯზე და ბოლოს ერთიანად დამიბრუნებ ვალს.

— თანახმა ვარ. — უთხრა ვენგარამ.

შავმა მხედარმა თქვა:

— მე სიკვდილის მეფე ვარ. შევთანხმდეთ, ზოგჯერ ბუნებამ არ იცის ადამიანის დროულად გაჩენა, სამაგიეროდ ადამიანმა უნდა შეძლოს დროულად სიკვდილი.

— გეთანხმები.

ცრემლისფერმა მხედარმა თქვა:

— მე სიკეთე მქვია... თუ ჩემი სამსახური გინდა, როცა იპოვი ბედნიერებას, ჩქარა დაკარგე, რომ სხვამაც ნახოს.

— ყაბულს ვარ.

უჩუმრისფერმა მხედარმა თქვა:

— მე ვარ ბოროტების მეფე. შევთანხმდეთ: სანამ ადამიანს რაღაც უნდა, ის კეთილიცაა და ბოროტიც.

— ეს გასარკვევია. — თქვა ვენგარამ.

განანყენებულმა მხედარმა უთხრა:

— შენ არ დაეთანხმე ჩემს მოსაზრებას და დაყაბულდი ამათ ბრძანებებს. კარგი, ასე იყოს. ეს

კი იცოდე, ოთხივე უჩუმრად მარად თან დაგყვებით.

ისინიც უცერად გაქრნენ.

ჭაბუკი ჩაფიქრდა, მერე გზა განაგრძო.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთი გაღავინიანი ქალაქი დალანდა შორიდან. ის იყო, გეზი იქით აიღო, გვერდიდან ძლივს გასაგონი ძახილი მოესმა. მოშორებით ოდნავ გაარჩია ადამიანის ლანდი. მოყმე მისკენ გაემართა. ახლოს მისულმა თეთრწვერა, დაჩაჩანაკებული მოხუცი იხილა, რომელსაც სამარე გაეთხარა და შიგ ჩადიოდა.

გრილი ქარი ქროდა.

— რას შვრები, ბაბუ? — ჰკითხა ჭაბუკმა.

— ღმერთი გადაგიხდის სამაგიეროს, შვილო. ქმენ წყალობა, მალე იმ ქვეყნად წავალ და მინა მომაყარე. — თქვა მოხუცმა.

— კი, მაგრამ სად არიან ჭირისუფლები? ან რატომ სასაფლაოზე არ ინებებთ დაკრძალვა?

— ჩვენს სოფელში სასაფლაო აღარ არის, შვილო.

— რატომ?

— აქ დაბადებულნი ქალაქებში კვდებიან.

ჭაბუკმა გახედა სოფელს. აჭედილი დარაბები, მორღვეული ლობები, გავერანებული ბალ-გენახები, ჩამქრალი ბუხრები მოჩანდნენ ირგვლივ. მერე შორს მოგუგუნე ქალაქს მიაცქერდა. ოქროთი მოვარაყებული გუმბათები, ტაძრებისა და ეკლესიების ლამაზი სილუეტები მაცთურად იზიდავდნენ მხილველს.

— შენც იქით მიდიხარ? — იკითხა მოხუცმა.

— დიახ, ბაბუ.

— სანამ ბოლომდე არ გაღვევ, ვერ მიხვდები, რა გზას ადექი. ამიტომ არ დაგიშლი. ისე კი, რომ შემეძლოს, არ შევარჩენდი აქაურობის გაპარტახებას იმ ეშმაკეულ მხარეს, მაგრამ აწი რალა დროსია. უკურნებელი სენი მჭირს, სენი, რომელიც ყველას ემართება: მდიდარს, ღარიბს, ლამაზს, უმწოს.

— რა არის ასეთი, ბაბუ?

მოხუცმა უბიდან სურათი ამოიღო და ვენგარას გაუწოდა. ზედ ვილაც ჭაბუკი იყო გამოსახული.

— როგორი მოყმეა?

— დიდებული ვაჟკაცია. — თქვა ნატრულეთელმა.

— მე ვარ... უფრო სწორად, ვიყავი ოდესღაც.

ვენგარამ სურათი დაუბრუნა პატრონს. მოხუცი საფლავში ჩანვა, გულხელი დაიკრიფა და ლოცვა დაიწყო.

მოგვიანებით ჭაბუკმა მის საფლავზე ქვა დადო და ქალაქისკენ შებრუნდა.

ზვიადმა და ლამაზმა შენობებმა თვალი მოსჭრეს, უნდოდა, დაეთვალთვინებინა იქაურობა, მაგრამ, როგორც საერთოდ ხდება, პირველად სამიკიტნოში შევიდა, რადგან უღმერთოდ მოშიებოდა.

მომტანმა, მართალია, მიიღო შეკვეთა, მაგრამ ოთხ ლიპადმოგდებულ ახალმოსულს დასტრიალებდა თავს. ბოლოს, როგორც იქნა, ჭაბუკსაც გაუმალა სუფრა.

— მომიტევე, მეგობარო, — უთხრა ზრდილობიანმა მიკიტანმა, — ესენი ამ სამთავროს უძლიერესი ვაჟკაცები არიან, არაფერში თმობენ პირველობას. ეწყინებოდათ, რომ არ მოვმ-

სახურებოდი და მთელი ცხოვრება სანანებლად დამირჩებოდა.

— ალბათ, ურჯულოებთან ბრძოლაში გამ-ოიჩინეს თავი. — თქვა ვენგარამ.

— ო, არა. ომი დიდი ხანია არ ყოფილა ჩვენში.

— რაინდთა ასპარეზობებში გაიმარჯვებდ-ნენ.

— არც ეს ყოფილა.

— რამე გმირობას ჩაიდენდნენ.

— გმირობას კი ყოველდღე სჩადიან: თითოეუ-ლი ფუთ ღვინოს სვამს.

— ესაა გმირობა?

— ჭაბუკო, სხვა საქმე ჯერჯერობით არაფე-რია, თუ იქნება, იქაც ისევე იპირველებენ, როგორც აქ.

— ჩვენი ხვეისბერი ამბობდა: „როცა ერთ თას ღვინოს სვამ, იმის წინ ერთი წვეთი ან სისხლი უნდა გქონდეს დაქცეული, ან ოფლი“.

მიკიტანი შეპასუხებას აპირებდა, მაგრამ მოქეიფებმა დაუძახეს: — რას დასტრიალებ ძიძასავით მაგ ოყლაყს თავზე? გული ხომ არ ერევა? ხა-ხა-ხა! მოდი აქ! კიდევ ორი ჩაფი მოგვიცუცნულე!

ვენგარა აენტო, უნდოდა, იქვე სცემოდა და დაებუნა შეურაცხყოფელი, მაგრამ რაინდული ადათისამებრ ხმალი ფერხით დაუსო და საბრ-ძოლოდ გამოიწვია.

ოდნავ ფხიზლად რომ ყოფილიყვნენ, ლოთებს შეაფიქრიანებდათ ვენგარას გოლიათური სხ-ეული. ახლა კი ერთმა საყელოში ხელი ჩაავლო და მუშტი მოუღერა. ეს აღარ აცალა მოყმემ, ისე მძლავრად ატაკა მუშტი გაფიჟვინებულ სიფათში, მეზობელი მაგიდის ქვეშ შეეტენა თავხედი. მეორესაც, — ამხანაგის მიშველებას რომ აპირებდა, — ასე დამართა. დანარჩენებმა ჭაბუკის იატაკზე დასობილი ხმალი შორს მოის-როლეს, თავიანთი ფრანგულეები იშიშვლეს და ასაჩეხად შეუტიეს.

ასეთ მუხანათობას არ მოელოდა ვენგარა.

„აი, თურმე რა!“ — გაიფიქრა მან, უცვებ გააფ-თრებული მთელი ძალით დაეჭიდა გრძელ, მუხის მაგიდას, ასწია და მეტოქეების თავზე მენყერივ-ით დაუშვა. დაბეჭილ- აკვნესებულებს მოსამ-სახურე ბიჭები დაეხვივნენ.

ვენგარამ ხმალი აიღო და ქარქაშში ჩააგო. ცხენი მეფინიბეს მიაბარა და გარეთ გამოვიდა. კარგა ხანს უყურებდა სკასავით მოზუზუნე ხალხს, ჭრელჭრულ ფარდულ-ქარვასლებს, ტაძრებს, სასახლეებს და ვერ გადაენწყვიტა, სად წასულიყო.

— ჭაბუკო! — ვილაც ხელით შეეხო.

მაღალი, სუსტი, ნაადრევად ჭალარამორეული კაცი იდგა გვერდით.

— რა გნებავთ, ძია? — ჰკითხა ვენგარამ.

— სადაური შენი ძია ვარ, ორი-სამი წლით თუ ვიქნები უფროსი.

— მაპატიეთ... ძალიან მოტყიბლხართ.

ნაღვლიანად გაეღიმა უცნობს.

— წყალდიდობა გახსოვს? ერთ ნაფოტს მოაქანებდა... იმ ნაფოტზე გატანილი კაცი ვარ... გაიგე?

— კარგად ვერა.

— იცხოვრებ აქ და გაიგებ. ისე კი, ერთდღე მთავრის სპასალარებს, გალახვას არ შეგარჩე-

ნენ. სადაური ხარ?

— ნატრულეთელი.

— ასეც ვიფიქრე. ჩვენს ქვეყანაში სხვა ვე-რავინ გაბედავდა მათ წყენინებას, თუმცა უზ-ნეონი და უსინდისონი არიან.

— მერე რად არ დასჯის მთავარი?

— როდის იყო, ბენვის გამო თვალებს ითხრიდ-ნენ? ისინი მეგობრები არიან და გააქვთ ერთ-მანეთი.

— მერე ქვეყანა?

— ქვეყანას ვერც ერთი მეფე, მთავარი და თა-ვადი ვერ უშველის. ქვეყანას ისევ ხალხმა უნდა უპატრონოს დროებით, რადგან საბოლოოდ იძულებული ხდება, მეთაური აირჩიოს ოდინ-დელი ინსტინქტის გამო. ვთქვათ, ერთმა-ორმა მეთაურმა ივარგა, მესამე და მეოთხე მაინც აწე-ნავს ქვეყნის ცხოვრებას და იცი რატომ? — ესეც ინსტინქტურად სურს ხალხს ზოგჯერ. მოკლედ რომ ვთქვათ, ხალხი ყოველთვის არაა დამნა-შავე, მაგრამ დასჯილი კი მუდამაა.

— გადაირჩიონ მთავარი.

— დღეს თუ ხვალ ასეც მოხდება, მაგრამ რა? ხალხის გულს მაინც ვერავინ მოიგებს. ასე რომ მოხდეს, ამორჩეული უთვალავთავიანი არსება უნდა იყოს. ის მხოლოდ ერთ ნაწილს გაუმართ-ლებს და სხვას გაანაწყენებს. გავა დრო, მას გა-დაირჩევენ. იმ სხვასაც ამასვე დამართებენ და ასე გაგრძელდება უსასრულოდ, რადგან ადამი-ანებს ყველაზე მეტად იმედის სჯერათ. იმედი კი უდიდესი მატყუარაა დედამინის ზურგზე. როცა ხალხი ამას აღიარებს, მაშინ სამყაროც დაილუ-პება. იქამდე კი ყოველი მეფე ეცდება, რაც შეი-ძლება მეტი მოიხვეჭოს ქონება ან სახელი ხალხ-ის სისხლ-ოფლის ხარჯზე.

— ღმერთო ჩემო, განა შეუძლებელია ხალხს ეკუთვნოდეს თავისი გარჯით მოწეული? ხომ არ ცდები, მწუხარე ბედის კაცო?

— ღმერთმა ქნას, ჭაბუკო. მე კი, დიდი ხანია, მიყვილია.

— როგორ, შენ გიქადაგია ეს?

— თავად მთავართანაც.

— მერე?

— გიმნაზიაში მეგობრები ვიყავით და ერთი ჩოხაც ჩავგიცვამს, დღეს თქვენობით მივმარ-თავთ ერთიმეორეს. ნეტაც, რატომ? უფრო ზრ-დილობიანი გავხდით?

ვენგარა დუმდა.

ცოტა ხნის მერე შაოსანმა უთხრა:

— ერთ თვეში, ჭაბუკო, ქალაქის მთავარ მოე-დანზე საყოველთაო კრება გაიმართება. ომის საკითხი განიხილება. ამბობენ, ყვითელი მეფე აპირებსო ჩვენზე გამოლაშქრებას.

— ეს რომელი მეფეა?

— ვინც შინაომებით დაუძღურებულ და შერყ-ეულ ქვეყნებს ესხმის თავს.

— უძღვევლი ყოფილა.

— ალბათ.

შაოსანი ხალხს შეერია. ჭაბუკი ქუჩებს გაჰყვა. ერთ პატარა ბაღს ჩაუარა.

სკამზე წყვილი იჯდა. ლამაზ, ფერუმარილით შეალულ ქალიშვილს ვაჟის მხარზე თავმოყრდ-ნობილს ჩასძინებოდა.

„ალბათ, ბინა არა აქვთ და მთელი ღამე სეირნობდნენ“. — გაიფიქრა ვენგარამ.

ბიჭმა დაიჭირა ნატრულეთელის მზერა, ახედდახედა, გაუღიმა და უთხრა:

— ხედავ? ისე ნაზად მოუყრდნია თავი და ისე დანდობილად ძინავს, სურვილი მივლის, პატიება ვთხოვო ყველა ქალს, ვისთვისაც ოდესმე რაიმე მინყენინებია. მაგრამ ეს ლამაზმანი სხვისი საყვარელიცაა. ასე რომ, ნუ გვიყურებ კეთილმოწყალებ, გაიარე, ძმობილო.

— მართალს გეუბნება, ლამაზო ბიჭო! — გაცხებულ ვენგარას ერთი კახა მიუახლოვდა და ნელზე შემოეხვია, — სამაგიეროდ, მე არ გილაღატიბ. ღმერთს ვფიცავ, მთელი ეს ღამე, გინდ ორი იყო, სულს არ მოგათქმევინებ! — გულიანად გადაიკისკისა მან, — რა განზე იწევ? რაო, ქვებური ხომ არ ხარ?

— კარგად იცინი, თვალეში კი იმდენი სევდა გაქვს, სასაყვედუროდ ენა არ მიბრუნდება. — უთხრა განანყენებულმა ჭაბუკმა და გაშორდა.

ქალს მშვენიერ, უტიფარ თვალეში ცრემლი აუკიაფდა და დუმილით გააყოლა თვალი ბიჭს.

მდიდრულმა ეტლმა ჩაიჭროლა ქუჩაზე. ხალხმა გზა დაუთმო და მრავალმნიშვნელოვნად შეხედეს ერთმანეთს. ვენგარამ პირველად ნახა ასეთი ლამაზი კარეტა, ადგილიდან არ განძრეულა, ათვალაირებდა. მეეტლემ ძლივს დააოკა ცხენები, კინაღამ ხელნათი გაგლიჯა ჭაბუკი. უნდოდა მათრახით აეჭრელებინა ახირებული მოყმე, მაგრამ მისმა აღნაგობამ შეაფიქრინა და ჩაიბუზღუნა:

— თავი არ გეცოდება, ოხერო?

ვენგარა გამოერკვა, გაიღიმა და გზა დათმო. უცებ ოქრომკედით ნაქარგი ხელსახოცი დაეცა მხარზე.

„ამაღამ გელოდებით. შავი სასახლე!“ — ნაქარვეად ნაენერათ ზედ.

ვერ გაიგო ვენგარამ, ვინ, სად და რატომ ელოდებოდა. ერთ გამვლელს ჰკითხა:

— სად არის შავი სასახლე?

გაკვირვებულმა მოქალაქემ ნარბები ასწია.

— ეს ხომ მთავრის სახლია. აი, ისიც! — დაანახა შუა ქალაქში მდინარეზე გადმომდგარი, კლდოვან ქარაფებს დაყრდნობილი, ზვიადი შენობა.

— მითხარი, კეთილო კაცო, მთავრის გარდა იქ ვინ ცხოვრობს?

— სამი ვაჟი, ორი ქალიშვილი და მეუღლე... სხვათა შორის, იშვიათი შემთხვევაა, ჩვენში ამდენი შვილი ჰყავდეს ვინმეს.

— მადლობელი ვარ.

ვენგარამ ხელსახოცს დახედა. ნეტავ, ვისი დანერილია?

საღამომდე ჯერ შორს იყო. ჭაბუკი ქუჩებს გაჰყვა. ქარვასლებსა და მაღაზიებთან დახლებზე უამრავი საქონელი გამოეფინათ, მაგრამ მუშტარი არ ეკარებოდა და გამყიდველებს უსაქმურობისგან ჩაძინებოდათ. საოცარი კი იყო, მოქალაქეებს დიდებულად ეცვათ. არც ნიგნების, ნახატების, ნოტების სავაჭროებში შედიოდა ხალხი, თითო-როლა გამონაკლისის გარდა. სამაგიეროდ სამიკიტნობიდან ისმოდა განუნყვეტელი ღრიანცელი. რიგი შედიოდა, რიგი გამოდიოდა და თავზე სხვადასხვა სიდიდის, ყანნის ფორმის, ნითელი ჩაჩები ეხურათ. ჭაბუკი ვერ მიხვდა მათ დანიშნულებას და იქვე

მდგომ მოქალაქეს სთხოვა ახსნა.

— ვინც ბევრს სვამს, დიდი ჩაჩიც იმას ახურავს, — უთხრა ცხვირნანვეტებულმა, ვინრო, ჭროლათვალეზიანმა კაცმა, რომელიღაც მტაცებულ ფრინველს რომ ჰგავდა. — მაგრამ არა უშავს, დიდხანს არ გაგრძელდება ასე. დაბერავს შავი ქარი და მოეშვლიპებათ ეგ ჩგრები. ო, რა სანახაობა იქნება, ღვინის ნაცვლად სისხლი აჩუხჩუხდება, სიმღერის ნაცვლად ღრიალს და ხავილს მორთავენ... დიდებული ქეიფი იქნება, დიდებული! ხა-ხა-ხა!

— რომელ შავ ქარზე ლაპარაკობთ, ბატონო? — ჰკითხა გაცხებულმა ვენგარამ.

— ომზე, ჭაბუკო, ომზე!

— ომს ხომ ხოცვა-ჟლეტა მოაქვს?

— განმენდა! განმენდა, მოყმევ! ომი უზენაესი სასწაულია ამ ქვეყანაზე, ის ალგვის მინას პირისაგან ყველა უძღურს, ავადმყოფს, ბინძურს, უკეთურს.

— კეთილს არ შეეხება განა?

— კეთილი ვინ არის?

— ვისაც სხვისთვის კარგი უნდა.

— თუ ის „სხვა“ ბოროტია?.. მაშასადამე სიკეთე-სიავე რომაა! არსებობს მხოლოდ ძლიერი და სუსტი. მამ მოისპეთ, უსუსურნო!

— კარგი, ასე იყოს! — ვენგარამ მახვილი იმიშვლა, — აი, ახლა მე თქვენ თავს ნაგაცლით. თანახმა ხართ?

ჭროლათვალეზიანი შეკრთა და ამოილულულა:

— ჯერ დავიცადოთ ომამდე, ჭაბუკო.

ნატრულეთელს გაეღიმა, ხმალი ქარქაშში ჩაავლო და გზა განაგრძო.

— თანამედროვეობის ჭკვიანო ადამიანებო!

— მოისმა უკნიდან. მოიხედა მოყმემ. ის კაცი მომალლო ადგილზე შემდგარიყო და ქადაგებდა: — თანამედროვეობის ჭკვიანო ადამიანებო, გირჩევთ, გახდეთ თანამდებობის პირები, რადგან თუ მილიონებივით უბრალო ადამიანებად დარჩებით, საზარბაზნე ხორცად იქცევით! გარნმუხნებთ, აქეთ მიდის მომავალი!

— დიდი ბოდიში, თქვენ ლამაზი ბებია გყავდათ? — ნატრულეთელს დაბალი, ჩავოდრებული, ნითელცხვირა კაცი უღიმოდა, რომლის თავპირიც ძალიან ჰგავდა კომბოსტოს.

— ვინ ხარ? — გაეღიმა ჭაბუკს, მოენონა სასაცილო იერის მოქალაქე.

— კრეჭაკოლას მეძახიან. თავად ვინ ბრძანდებით?

— ნატრულეთელი ვარ. ვენგარა მქვია.

— აჰა, გასაგებია და რახან კარგი ბიჭი ჩანხარ, მეცოდები.

— რატომ?

— ერთი თავი გაქვს და ისე ირჯები, თითქოს ასი გებას. ცოლ-შვილი გყავს?

— არა.

— ჰოო, ამიტომაც თამამობ. აი, მე კი ოთხი გოგო და ესა მყავს!.. — კრეჭაკოლამ ოთხი თითი გაშალა, მეხუთე კი სანახევროდ მოკეცა.

— ეს რაღას ნიშნავს?

— ჯერ არ გამოშუშებულა რაღა. ნაღდად ბიჭი იქნება, დედამისს მუცელში ნიხლებს ურტყამს უკვე, ხე-ხე-ხე!

— ღმერთმა გაგიზარდოს.

— ვაჰ, ეს რა ხალხია, კაცთან ლაპარაკს არ გაცილიან! — კრეჭაკოლამ მაღლა აიხედა, ხელები გაშალა და ჭინკებიანი თვალები ვენგარას მიაპყრო, — ამის შემყურეს სულ ამერია აზრები, ძმობილო.

ჭაბუკმა აივანზე გადმომდგარი ქალი შენიშნა, იელივით რომ დასცქეროდა მათ.

ხუმარამ რევერანსი გაუკეთა ლამაზმანს. იმან წარბიც არ შეარხია.

— ნუ ანუხებ. — თქვა ვენგარამ.

ნითელცხვირამ ახლა ჰაეროვანი კოცნა გაგზავნა და თვალებიც მიბნინდა. ქალმა ვითომ კოცნა დაიჭირა. კრეჭაკოლა სიხარულით შეხტა. კიდეც გაუგზავნა კოცნა. კიდეც დაიჭირა ქალმა. კიდეც, კიდეც და... ბოლოს ლამაზმანმა „ნადავლი“ ერთ ხელში მოაგროვა, მოტრიალდა, წაიხარა და უკანალზე მიირტყა.

ვენგარას და კომბოსტოსთავიანს პირი ღია დარჩათ.

— თუ ეგრე გინდოდა, გეთქვა! სხვა რამეს მოგიხერხებდი! — ასძახა ნირნამხდარმა კრეჭაკოლამ.

— ნადი, ტოლი ნახე! — ჩამოეპასუხა ქალი. — შენ კი, ჭაბუკო, შეგიძლია ხანდახან მომიკაკურო.

— ყელზე არ დაგადგეს! ქმრის ჩიჩია მოგებზრდა და ძეხვი მოგინდა? აი! — ბრანნი აჩვენა ნითელცხვირამ, — წამო, ძმაო, ეს რა შენი საქმეა. შენ თავადის ქალებიც არ გეტყვიან უარს.

— ხუმრობა იქით იყოს, — უთხრა გზაში ვენგარამ, — მთავართან უნდა მივიდე სალამოს. რა ხალხია?

— თუ მის ქალებზე მეკითხები, ერთობ კეკლუცი ვინმეები არიან. თუმცა, იცი რა?.. ქალის კეკლუცობა, მართალია, უსაქმურობის ერთ-ერთი სახესხვაობაა, მაგრამ ზოგჯერ დიდ საქმეს კი აჭაბრაკებს. შენ თუ ამ სამთავროში რამეს მიღწევა გინდა, ის გოგოები შეახუჭუჭე და ქუდიც წაღმა გეხურება.

— განა მაგისტვის წამოვედი ნატრულეთიდან?

— აბა, რა გინდა?

— ხვალისთვის წინადადით არ უნდა იყივლო. მერე გაიგებ.

— კარგი, მაგრამ ესეც გახსოვდეს: ნაჭრილ თავს ყივილი არ შეუძლია... ფრთხილად იყავი რა, ჯეელი ხარ.

— ნახვამდის!

— ნახვამდის! თუ ბოლმა აგექავოს, ჩემთან მოდი, მოგფხან. — კრეჭაკოლა ღიღინით მიეფარა შესახვევს.

მოსალამოვდა. მეეზოვეებმა ფარნები ანათეს და ქუჩებში მოცისფრო ბურუსი დადგა. ის იყო, ვენგარა ეტლის გაჩერებას აპირებდა, ჭარმაგი, ფრაკიანი კაცი მიუახლოვდა, რომელსაც მოუსვენარი თვალები და თავაზიანი ღიმილი ჰქონდა.

— მომიტევეთ, ჭაბუკო. სრულიად უცნობი ბრძანდებით, მაგრამ თქვენი კეთილშობილები-სა და კაცთმოყვარეობის იმედი მაქვს. გთხოვთ, მიხსნათ გამოუვალი მდგომარეობიდან! — სახე შემოფოთებული გაუხდა.

— რა გაგჭირვებიათ, ბატონო? — ჰკითხა ვენგარამ.

— ამას გზაში აგისხნით, დრო არ ითმენს,

წუთები წყვეტენ ყველაფერს... აი, იმ სახლში შემყვევით. იქ ჩემი მეგობარი გარდაიცვალა ამ რამდენიმე დღის წინ, უკვე დაასაფლავეს. ჭირისუფალთან მაქვს ისეთი გადაუდებელი საქმე, რომელიც მონმეს მოითხოვს.

ვენგარამ უთანაგრძნო და გაჰყვა.

კარები შოსანმა ქალმა გააღო. ოთახში ორი მგლოვიარე მამაკაციც დახვდათ.

— კიდეც ერთხელ ვიზიარებ თქვენს მწუხარებას, ბატონებო, ძვირფასი შვილის დაკარგვის გამო. — თქვა ფრაკიანმა, — ო, რა დიდებული პიროვნება იყო ლევანი. მომაგონდება და ცრემლები მდის. — ცხვირსახოცი თვალებზე აიფარა. ჭირისუფლებს, მერამდენედ, აუჩუყდათ გული.

მერე უცნობმა ვენგარა წარუდგინა მათ.

— ლევანის მეგობარი გახლავით. რა თქმა უნდა, შემეძლო მარტო მოვსულიყავი ამ საქმეზე, მაგრამ ესეც მონმე იყო და... ო, როგორ მერიდება ახლა ამის თქმა... საქმე იმაშია, ბატონებო, მე ძალიან ხელმოკლედ ვცხოვრობ და ასი ლარი, რომელიც თქვენს განსვენებულ შვილს ვასესხე, ძალიან მჭირდება... მომიტევეთ, რომ ასეთ დროს განუხებთ, მაგრამ თავადაც გამოუვალ მდგომარეობაში ვარ, მევალებმა ამიკლეს. ო, როგორ მერიდება, ღმერთო, ჩემო!...

ვენგარა გაშრა, რა ექნა, არ იცოდა. ამასობაში ჭარმაგმა კაცმა ხელმკლავი გამოსდო, ჭირისუფლებს დაემშვიდობა და კვლავ ქუჩაში აღმოჩნდნენ.

— ესეც ასე! — ჩაიქირქილა მან და ფულის დასტა ხელისგულზე დაირტყა.

— რაში დაგჭირდათ ეს? — ჰკითხა ვენგარამ.

— თქვენ სანდომიანი იერი ვაქვით. მეტი დამაჯერებლობა ექნებოდა ყოველივეს, თორემ... იმ ლევანს სრულიადაც არ ვიცნობდი.

— რაო? — ბრაზმა ააცახცახა ჭაბუკი. — ახლავე დაუბრუნეთ! ახლავე! გესმით? თორემ დამავინწყდება უფროს-უმცროსობა!

ფრაკიანი მოიღუშა და ირონიულად ჩაიცინა.

— თქვენ გიშიმშილიათ? — უცებ იკითხა.

— ეს რა შუაშია? — შეცბა ვენგარა.

— კარგად მომისმინეთ, გულუბრყვილო და კეთილშობილო ჭაბუკო. მე სამოც წელს მიღწეული, სამთავროს გვარდიის ყოფილი ოფიცერი ვარ. ჭრილობებიც და ორდენებიც ბევრი მიმიღია მისი თავისუფლებისათვის ბრძოლაში. იყო დრო, ძველი მთავრის ერთ შეძახილზე შუბს ავეგებოდით მე და ჩემისთანები. მაშინ გამარჯვების შემდეგ ყოველივე სიკეთესა და სიამტკბილობას გვპირდებოდნენ. ომი მოვიგეთ, ქვეყანა დამშვიდდა. ჩვენც ველოდით აღთქმულ სამოთხეს, მაგრამ რა? მთავარმა და ვეზირებმა დაივიწყეს პირობა, თავიანთ ნათესავენს, მეგობრებს, მოკეთებებს დაურიგეს საუკეთესო მიწები, ქალაქები, თანამდებობები და დღეს ერთმანეთს ეჯიბრებიან ქონების მოხვეჭაში. ჩვენ კი, ხალხი, კვლავ ოფლში ვიდვრებით და ხშირად ლუკმაპური გვენატრება. ექვსი შვილი და თხუთმეტი შვილიშვილი მყავს. ისინი მაშინ გავაჩინე, როცა მომავლის მნამდა. ხან ერთი ღნავის, ხან-მეორე. სად არის სამართალი? რად უნდა მჭირდეს ეს მე, — სამთავროს თავისუფლებისთვის მებრძოლ ოფიცერს? ორდენების

კავალერს? რატომ? მიპასუხეთ!.. დუმხართ?.. ეს ქვეყანა ტყუილებისა და გაიძვერობის ასპარეზი ყოფილა... ჰოდა, მეც ვცდილობ, როგორმე თავი გავიტანო, თუმცა ისიც ვიცი, დღეს თუ ხვალ ვირის აბანოში მიმბრძანებენ და არც არავინ გაიხსენებს ძველ დამსახურებებს. დალოცვილო, რაღა ჩემი გაგიკვირდა? მთავრის ძმებისა და ვეზირების უკუთურობებზე არაფერი გსმენია?.. თუმცა, როგორც გატყობ, უცხოელი ხარ. აი, იცხოვრებ აქ და მერე ნახავ! ახლა კი ნება მიბოძეთ, ეს გროშები ნავილო ჩემი ჩამოღლეტილი შვილიშვილებისთვის.

— საოცარია. — თქვა ნირნამხდარმა ვენგარამ, — დღეს მე ლოთი, ფილოსოფოსი, ხუმარა, კახა და ერთიცი ეშმაკეული კაცი გავიცანი. რომ უსმინო, თავისებურად ყველა მართალია, მაგრამ ასე ხომ არ შეიძლება? ჭემარიტება ერთია. სად არის ის?

— სიკვილთან... ბოლოს მიგხვდებით, რომ არაფერზე ფიქრი უხანგრძლივესია. ეჰ, ნუ გინდა ეს, ჭაბუკო, ჯერ ახალგაზრდა ხარ. — ბოლმინად თქვა ფრაკიანმა და ნავიდა.

ვენგარამ ბოლოსდაბოლოს დაიჭირა ეტლი და მთავრის სასახლისკენ ნავიდა. იქ ცოტა ხანს კართან შეყოვნდა, ვერ მოეფიქრებინა, როგორ ეუნყებინა ლაქიასთვის მოსვლის მიზეზი. მან ხომ არ იცოდა, ვინ მოიწვია აქ.

კარები თავად გაიღო და მოსამსახურემ თავაზიანად უთხრა:

— ბატონო, თავადის ასული ნანა სასტუმრო ოთახში გელოდებათ. გთხოვთ!

ვენგარა მარმარილოს ფართო კიბეს აჰყვა და იშვიათი სილამაზის, სვეტებიან დარბაზში შევიდა. ირგვლივ ოქრო-ვერცხლის, ბროლის და ნითელი ხის ზარაურობები ბრწყინავდა.

— აქ მოისვენეთ. — მსახურმა სავარძელზე მიუთითა, — მე მოვახსენებ.

მალე კარები გაიღო და ძვირფას ქათიმობხვეული, თეთრი აბრეშუმის ჩაქიანი ქალიშვილი შემოვიდა, შავთვალწარბა, ლამაზ გოგოს მხიარული და ანცი ღიმილი ეფინა სახეზე.

— ველოდი თქვენს გაკვირვებას, მეგობარო, ჩვენ ხომ უცნობები ვართ. ნანა! — ხელი გაუწოდა მან.

— ვენგარა! — ჭაბუკმა გულზე მარჯვენა მიიღო და თავი დახარა.

— აქაური არ უნდა იყოთ.

— დიახ, ნატრულეთელი ვარ.

— ნატრულეთელი? ღმერთო, რა კარგია! იმედია, თქვენ მაინც იქნებით ოდნავ გულწრფელი და გულადიც.

— განა თქვენს ირგვლივ ასეთების იშვიათობაა?

— ო, დიახ. ჩემს მრავალრიცხოვან თავყანისმცემლებს მხოლოდ სპასალარობა და ათასის-თავობა ელანდებათ მამაჩემის იმედით. თქვენ? თქვენ რისთვის ჩამოსულხართ ამ ქალაქში?

— მომენყინა სოფელში.

— მაშ ფათერაკთა მაძიებელი ხართ? თუ ასეა, აქ გაერთობით. აი, თუნდაც ამ სალამოს. მალე სტუმრები მოვლენ, მეჯლისი გვექნება. მხოლოდ ერთი პირობა უნდა მომცეთ: დღეს ჩემი თანხმლები იქნებით.

— თუ ღირსი ვარ, თავადის ასული.

— ო, ნულარ ვილაპარაკებთ თქვენობით, ჩვენ სხვაგვარი ხალხი ვართ. აი, მე პირდაპირ გეტყვი, დღეს ქუჩაში პირველივე ნახვით მომენონე და ამიტომაც გინვიე.

ვენგარამ თავი დახარა.

— ოჰო, შენ განითლება ცკოდნია! — გადაიკისკისა ნანამ, — ახლა კი მჯერა, მარტო გარეგნობით არ ხარ რაინდი.

სტუმრები ნელ-ნელა მოგროვდნენ. ზოგს სამხედრო ფორმა ეცვა, ზოგსაც — ფრაკი. ჩოხიანებიც მრავლად იყვნენ. მარაოიანი ბანოვანები ფარშევანგებივით დანარნარობდნენ. ვენგარა პირველად მოხვდა ასეთ საზოგადოებაში და თავს შეზღუდულად გრძნობდა.

წყვილს ლამაზი ქალიშვილი მიუახლოვდა. ის ოდნავ ჩამოგავდა ნანას, თუმცა მეტად ზვიადი და დამცინავი იერი ჰქონდა.

— ნანა, შენს მეგობარს ვერ ვცნობ.

— გაიცანი, ვენგარა, ჩემი და ქეთი.

ვენგარამ თავი დახარა და მკერდზე მიიღო ხელი.

— ზედმეტად ხაზგასმულია თქვენი მონინება ქალებისადმი, ჭაბუკო! — გამომცდელად შეხედა ქალიშვილმა. — ხშირად ჩადიხართ ამას?

— რას ამბობ, ქეთი, ეს ხომ ნატრულეთელია.

— თქვა ნანამ, ხელ-მკლავით შუაში ჩაუდგა ქალვაჟს და მოსაუბრეთა ერთ ჯგუფთან მივიდნენ.

ახოვანი, ჭაღარაშერთული, მკაცრ ნაკვთებიანი კაცი ოთხ სამხედრო მუნდირიანს ესაუბრებოდა.

— სალამო მშვიდობისა, ბატონებო! — მიესალმნენ მათ. ისინი მოტრიალდნენ. ვენგარა შეცბა, სამიკიტნოში ნაკიდებულნი იცნო. მათაც ასწიეს წარბები.

— ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ ჩვენი ახალი მეგობარი: ვენგარა. სხვათა შორის, ნატრულეთელი.

ოდნავ დახარეს თავები თავადებმა.

მთავარმა ათვალაიერა ჭაბუკი: — ნატრულეთელი? საინტერესოა, რას ფიქრობთ ჩვენი ქალაქის გამაგრებაზე. ალბათ, იცით, მალე ყვითელ მეფესთან გვექნება ომი.

— ჩემი ყურადღება იმან უფრო მიიპყრო, რაც შიგ ქალაქში ვნახე.

— მაინც, რა ნახეთ?

— მოსახლეობა დაქსაქსულია, ყველა თავის ნაჭუჭში მიძვრება. ეს კი ომის წინ კარგი არ არის.

— როგორ? — აღშფოთდა ერთ-ერთი სპასალარი, — თქვენ ამბობთ, რომ ჩვენი ხალხის საბრძოლო სულისკვეთება მოიკოჭლებს? სცდებით, ახალგაზრდავ! ეს ჯაშუმის და მტრის სიტყვებია!

— მე აქ არავის ვემტრებ. — თქვა ვენგარამ.

— ჩვენს ნეკნებს რაღას ურჩოდით ამ დილით, კინალამ რომ გავგვრისეთ მუხის მაგიდით სამიკიტნოში? — იკითხა მეორე მხედართმთავარმა.

— თქვენ ჩხუბიც მოასწარით? — გაუკვირდა მთავარს.

— იმედია, მთვრალეები თქვენ იქნებოდით! — გესლიანად მიმართა ქეთიმ სამხედრო პირებს.

სპასალარი დაიბნა, ვერაფერი უპასუხა, — მა-

გრამ ჩვენ დუელში ვინვეთ მას! — თქვა ცოცხალი ხნის შემდეგ.

— ეს ომამდე გადავდეთ! — მკაცრად გახედა მთავარმა, — რა თქმა უნდა, თუ ცოცხლები დავრჩით... თქვენ კი განაგრძეთ, მოყმევ. საინტერესოა, კიდევ რა იხილეთ ქალაქში?

— მე უკვე ვთქვი, ყველა თავის ნაჭუჭში მიძვრება-მეთქი. ეს იმას, ნიშნავს, რომ ვილაცას თუ რალაცას დაუშინებია ისინი. ხომ ვერ მეტყვიეთ, ვინ შეიძლება იყოს ეს?

— მთავრობა.  
— მერე?  
— თუ მთავრობის არ ემინიათ, მას დამხობა ელის.

— ომის დროს რალას შვრებით? როგორ უნდა იბრძოლოს იმ ხალხმა, რომელსაც უკნიდან ხელისუფლების შიში ექნება, წინიდან კი — მტრისა? ხომ უთავბოლო იქნება მათი ქმედება ორ ცეცხლს შუა?

— ვითომ? რას გვირჩევდით?  
— კი არ ემინოდეთ, უყვარდეთ, რომ საფრთხისას კბილებით დაგიცვან.

— ეს როგორღა მოეახერხოთ?  
— დრო უნდა, თორემ სათქმელად ადვილია: ნაკლებად იფიქრეთ თავზე და მეტი — მათდამი მიცემულ პირობებზე.

— არა, ეს უკვე მეტისმეტია, მთავარო! — აპილპილდა ერთ-ერთი ვეზირი, — ის დასცინის ჩვენს სახელმწიფოს.

მთავარმა ყურადღება არ მიაქცია ქვეშევრდომს და ჩაფიქრებული გავიდა დარბაზიდან.

ბრაზდაოკებული სპასალარებიც გაეცალნენ ვენგარას. გაკვირვებულმა ქეთიმ მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა ჭაბუკს და ქალებს შეუერთდა. ნანამ საცეკვაოდ იხმო კავალერი.

— მე არ შევმცდარვარ, შენ გულწრფელიც ხარ და მამაციც. საკვირველია, როგორ გისმენდა მამაჩემი. ეტყობა, დააფიქრა შენმა სიტყვებმა. ვენგარა, მართლა, რომ დაიწყოს ომი, ხომ დამიცავ?

— სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, თავადის ასულო.

— ო, რა კარგია, როცა ვილაცა შენთვის თავს განირავს! — ხელი ხელს შემოკრა ნანამ, — გულს მირევს ამ ვაჟბატონების მალაღფარდოვანი რაინდული მონოლოგები. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ალბათ, კაბის ქვეშ შემოძვრებია. რა სანახაობა იქნება! ხა-ხა-ხა! — გადაიკისკისა თავადის ასულმა და ჭაბუკი მოცეკვავეთა რიგებში შეიყვანა.

ჟღერდა მუსიკა, ცეკვავენ ნყვილები, იცლებოდა სასმისები, მაგრამ მაინც იგრძნობოდა ოდნავი უხალვათობა, — ყველას გონება მოახლოებულ ომზე ფიქრს მოეცვა.

ვენგარამ მთავრის ფაფებიც გაიცნო, მამასავით ახოვანი, ღირსეული ჭაბუკები.

გვიან ღამით, როცა სტუმრები იშლებოდნენ, ნანამ იკითხა:

- ბინა სად დაიდე, ვენგარა?
- ჯერჯერობით ფუნდუკში.
- ასეც ვიცოდი. თუ გასურს, ხვალვე გადმოდი ჩვენთან.

### III თავი

ვენგარა ფარნებით განათებულ ფილაქანს მიუყვებოდა. მშვიდად ეძინა ქალაქს. გარეთ არავინ დარჩენილიყო ღამურების გარდა. ერთი სარდაფის ფანჯარაში სინათლე შეამჩნია ჭაბუკმა, გაუკვირდა, ასე გვიან ვინ ფხიზლობსო. მიუახლოვდა და ნაზი, ნალვლიანი სიმღერა მოესმა ვილაც გოგონასი:

„მითხარ, რას ამბობს ღამე,  
მითხარ, რა ნახე გარეთ,  
ნაზო დაიკო ჩემო —  
თეთრო, პანია მთვარე.  
სანამ ველოდი მამას?  
როდის გააღებს კარებს?  
თუ დასრულდება როსმე  
ეს მარტოობა მწარე?“

ვენგარას ძალიან მოუნდა უცნობის ნუგეშის-ცემა. კარგა ხანს იდგა კარებთან, ვერ გადაეწყვიტა დაკაკუნება. უცებ ერთი დიდი ფარვანა სარკმლის მინას მიასკდა. ფხაჭუნმა, ეტყობა, შეაკრთო ოთახში მყოფი, — სიმღერა შეწყდა. მამინ კი დააკაკუნა ვენგარამ. კარები ჩქარა გაიღო და ჩამოკონკილი მზეთუნახავი ჯერ თვალეზგაბრწყინებული მიაჩერდა ვაჟს, შემდეგ ელდამ სახე გადაუქუფრა და უკან დაიხია.

— ნუ გეშინია, — უთხრა ვენგარამ, — როგორც მეგობარი ისე მიმიღე... შენს ხმაში იმდენი სევდა იყო, ვიფიქრე, იქნებ რამე უჭირს-მეთქი.

ქალიშვილი მალე დამშვიდდა და ჭაბუკმა თვალი ვერ მთავილა მას. გოგონა ძალიან ჰგავდა ნიაღვრით შემინებულ იას, — უმწეობა, უთქმელობა და კეთილმოხილება გამოსჭვივოდა მის იერში.

— მამა მეგონეთ. — თქვა მან, — მეზადურია, ზოგჯერ ღამღამობით დადის სათევზაოდ. ყოველთვის შეცივებული და მშვიერი ბრუნდება. მეც ველოდები ხოლმე და გულის გადასაყოლებლად ჩონგურზე ვუკრავ.

- ხშირად ხარ ასე მარტო?
- ქალიშვილმა თავი დაუქნია.
- რა გქვია?
- იასამა. შენ?
- ვენგარა.
- დაბრძანდი. — იასამამ ძველ, გახეხილ ხის სკამზე მიუთითა და უხერხულად შეიმშუშნა.

კარგა ხანს დუმდნენ და ამ დუმობაში ორივეს გული რალაც უცხო სინათლითა და სითბოთი ევსებოდა. ქალიშვილმა ჩონგურზე დაამღერა და თვითონაც გაუკვირდა, მეტი მხიარულება და შვება იყო მის ხმაში.

ამ დროს კი სარკმელთან კეთილად იღიმებოდა პატარა, თეთრფრთიანი, მარადიული ბიჭუნა, რომელმაც ორი უხილავი ისარი სტყორცნა ქალვას, მშვილდი მხარზე გადაიკიდა და გაფრინდა.

ფანჯარაში ნელ-ნელა ჩამოდგა ვერცხლისფერი სინათლე.

— თენდება. სადაცაა მამა მოვა. — თქვა გოგონამ.

— მე მალე დავბრუნდები! — ჭაბუკი წამოდგა და კარები გამოაღო. როცა იასამას შეხედა, მის თვალეზგაბრწყინებულ მუდარა ამოიკითხა — „მალე მოდი!“

ვენგარამ გაულიმა და გარეთ გავიდა. იმნამსვე ქარვასლისკენ გაეჩქარა და გაღებას დაელოდა. როცა მზე ამოიწვერა და ქალაქი ნელ-ნელა ახმაურდა, მან ერთი ხელი ქალის ტანსაცმელი იყიდა, სხვადასხვა საჩუქარიც მოაყოლა და იასამასთან გამოეჩქარა.

მამა დაბრუნებულიყო. სუსტი, ავადმყოფური გარეგნობის, კაფანდარა ბერიკაცი მიესალმა ჭაბუკს. ვენგარამ საჩუქარი იასამას გადასცა. ქალიშვილს სიხარულით თვალები აენთო, მეორე ოთახში გავიდა, კაბა გადაიცვა და შემობრუნდა.

დიდხანს ვერ მოწყვიტა თვალი ჭაბუკმა მას. ბერიკაცი ღიმილით შეჰყურებდა ქალ-ვაჟს.

— შეიღებო, — თქვა მან, — სიყვარული გულის დღესასწაული და გონების ბანგია. ფრთხილად იყავით, ფეხი არაფერს ნაჰკრათ. — მერე გაცივინა, — მაინც როდის მოასწარით, ჰა?

ალანძული ქალ-ვაჟი თავდახრილი იდგნენ. ბერიკაცი მოეხვია და პირფარა გადასწერა მათ.

ახალგაზრდები სასეირნოდ წავიდნენ.

ვენგარას, რა თქმა უნდა, დაავიწყდა მთავრის ასულის მიწვევა, იასამას ნუთითაც არ სცილდებოდა. ქალაქის კრებზეც ერთად წავიდნენ.

თითქმის მთელ ქალაქს მოეყარა თავი მოედანზე. მთავარი და მისი ხელქვეითები შემადღებულ ფიცარნაგზე იდგნენ. ერთ-ერთმა ვეზირმა ხალხს ხელისუფლების მიმართვა ნაუკითხა და მოუწოდა, ქუდზე კაცი გამოსულიყო სამშობლოს დასაცავად.

დუმილი ჩამოდგა.

— რას იტყვით, მოძმენო? — იკითხა მთავარმა.

ბრბოს მაღალი, შავ წვერულვაშიანი კაცი გამოეყო და ფიცარნაგზე შედგა. ვენგარამ იცნო ფილოსოფოსი.

— ისეთი ჟამი გვიახლოვდება, სიმართლისაც არ უნდა გვეშინოდეს. — თქვა მან, — მე არც არასდროს მშინებია მისი, მხოლოდ თქვენ, ხალხო, მსტოვართა შიშით დღემდე ვერ გამოგითქვამთ გულისწყრომა. აჰა, მოგეცათ შესაძლებლობა! მთავრობა ქვეყნის დაცვას გვთხოვს. კეთილი და პატიოსანი, ეს ჩვენი ვალია. მაგრამ რით? მშვიდი კუჭით? დამაშვრალი ხელებით? გადედლებული გულით? დღემდე ხომ მოტყუებთა და ძალადობით გემწყემსავდნენ, მთავრო, შენი ხელქვეითები. რა იმედია, ამის შემდეგ მოგვცემთ მიწებს, შეგვიმცირებთ ბეგარას, მოგვიმატებთ ხელფასს და წარმმართველ თანამდებობებზე დანიშნავთ ღირსეულთ, ხალხის მისწრაფებათა დამცველთ?

— ეს ღალატია! — ხმალზე ხელი გაივლო ერთ-ერთმა სპასალარმა.

— ეს სიმართლეა! — გაისმა აქა-იქ ხალხში. ხმას ხმა მიემატა და მალე ყველა აღრიალდა:

— ჩვენ დასაკარგი არაფერი გვაქვს, უკეთესი იქნება, თუ დაინგრევა ეს ნყოზილება!

— კვლავ მოგვატყუებთ, უმადურებო!

— კვლავ მოითხოვთ ხელს ჩვენი ოფლით და არც დაგვიფასებთ! უმადურობა მადიანებს უფრო გჩვევიათ!

— არა გვჯერა!

ფილოსოფოსი ხალხს შეერია. ფიცარნაგზე ჭროლათვალეებიანი ცინიკოსი ავიდა.

— როცა კუჭი ცარილია, გული აღრენილია და ტვინი ამბოხებული! — თქვა მან, — როცა მტერი ალყაში მოგვაქცევს, შიმშილი ყელში წაგვიჭერს, მაინც ვიბრძობებით. ეს კარგად უწყის მთავრობამაც. ასე რომ, ტყუილად ნუ იხლეჩთ ყელს!

— ძირს, ეშმაკეულო! — აღრიალდა ხალხი.

მთავარმა ხელი ასწია. ბრბო ნელ-ნელა მიწყნარდა.

— ჩვენ ვალიარებთ შეცდომებს! — თქვა ქვეყნის მეთაურმა, — მხოლოდ, მოძმენო, შეიგნეთ, რომ ახლა ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება. ჯერ მტერი მოვიგერიოთ და სამოქალაქო საკითხებზე მერე ვიფიქროთ. ნუთუნებას მივცემთ მომხდურთ, შებილწონ ჩვენი ოჯახები, გადანვან ბალ-ვენახები, დაანგრიონ ტაძრები? რას იტყვით? გისმენთ.

— ეს ასე მოხდება! — დაიძახა ვიღაცამ.

სიტყვა ისეთ ტყვიას ჰგავს, ათასებს ერთბაშად გაუვლის თავში. ავის მომასწავებელი დუმილი ჩამოდგა.

— რატომ? — მიუბრუნდა მთავარი ფილოსოფოსს.

— იმიტომ, რომ აქ მეფის სისულელე გლეხის სიბრძნეზე მეტად ფასდება!.. მთავრობას ებრძვიან ორი რამისთვის: სამართლიანობისა და ხელისუფლებისათვის. მთავრობაში ხელისუფლებისათვის მოსული ივინყებს სამართლიანობას, ხოლო სამართლიანი ყოველთვის უგულვებლყოფს ხელისუფლებას. იმიტომ, რომ თქვენ არ გინდათ დაიჯეროთ მართალი სიტყვა...

უცებ ერთ-ერთი ასისტავის გამოტყორცნილმა ისარმა გაიზუზუნა, ფილოსოფოსი მოედანზე დაემხო. ჟანდარმებმა ფეხებში ჩაავლეს ხელი და გაათრიეს. სისხლის კვალი მიყვებოდა ცხედარს.

გულშემრულმა ნატრულეთელმა ხმალს ხელი გაავლო და უნდოდა აეჩეხა ისრის მტყორცნილი. იასამა ჩაეკრა და შეევედრა:

— ნუ, ვენგარა!

ჭაბუკმა კბილები გაახრჭიალა და მახვილი ქარქამიდან აღარ ამოუწვია. რომ არა ეს გოგო, ვისზეც საკუთარ თავზე მეტად უნდა ეზრუნა, ვენგარა ასისტავს მალე ჩაუქრობდა მზეს.

— ვინც ომის წინ ხალხს თავგზას უბნევს, მოღალატეა და სიკვდილი ეგება! — თქვა მთავარმა, — ზეგ ნითელ ველზე გადანყდება ჩვენი ბედი! იქ გელოდებით, მოქალაქენო! ახლა დაიშალეთ!

ხალხმა დუმილით დატოვა მოედანი. ვენგარა და იასამა ფილოსოფოსის სისხლიან კვალს მისჩერებოდნენ.

მთავარმა შეამჩნია ჭაბუკი და ცხენი მისკენ მოაბრუნა.

— როგორ ფიქრობთ, ნატრულეთელო, გავიმარჯვებთ?

ვენგარა დუმიდა.

— ჯარი თითქმის თანაბარი სიძლიერის გვყავს. საჭიროა მხოლოდ კარგი მხედართმთავარი.

— თქვენ მთავარი ხართ, მამასადამე ყველაზე მაღლა მდგომი, მაგრამ, მგონია, ეგ სიმაღლე სიდაბლეთა ჯამია. ასე რომ არ იყოს, ყველაზე მართალ კაცს არ მოაკვდინებდით.

— სიმართლე და თავისუფლება ყოველთვის არ ნიშნავს სიკეთეს. ახლა ხალხის შეკავშირება მთავარი და არა გათიშვა. აი, თქვენ, ნატრუ-

ლეთელებს თავისუფლება გაქვთ, მაგრამ მართალი ხართ სახელმწიფოს წინაშე? ზეგ ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება, თქვენი ხევისბერი კი ყურსაც არ აბარტყუნებს. ამაზე რას მეტყვი?

— სამაგიეროდ ჩვენი ხევისბერისთვის კბილებით იბრძვის ყველა, რადგან სიმართლითა და სიკეთით სჯის მუდამ.

— კარგი, მოვეშვათ ამაზე ლაპარაკს. — თქვა მთავარმა, — თქვენ იბრძობებ?

— მხოლოდ ამისთვის.

მთავარმა იასამას გახედა.

— მზეთუნახავია. საინტერესოა, სად გყავდათ ჩაკეტილი, დღემდე თვალი არ მომიკრავს. თუმცა, — ნაღვლიანად გაეღიმა მას, — დროა, ძვირფასეულობანი გადავმალოთ. მშვიდობით, ჭაბუკო!

მთავარი ვეზირებისკენ გაემართა, უცებ მოტრიალდა და თქვა:

— რაც უფრო ჰგავს საკუთარ თავს, მით უფრო საინტერესოა კაცი... მაგრამ ცოდვაცაა.

ვენგარა და იასამა შინ წავიდნენ. მოხუცმა დანვრილებით გამოიკითხა კრების ამბავი, ფიქრებში წავიდა და თქვა:

— ბედნიერების სტუმრობა ყველას უნდა, მასპინძლობა კი უბედურებით სჩვევია უმრავლესობას. განა რა გვაქვს გასაყოფი? ან იმ მეფეს რა აკლია?

— მამა, — თქვა ვენგარამ, — ზეგ ომია, არავინ იცის, რა მოხდება. დღეს მე და იასამა ჯვარს დავიწვით.

ბერიკაცმა უხმოდ დააქნია თავი და ეკლესიაში წავიდნენ.

#### IV თავი

ორი დღის მერე ნითელი ველი უთვალავი ლაშქრით აივსო. მტრებს ყვითელი ჩალმები ეხურათ და ფართოპირიან, მოხრილ ხმლებს მზეზე აელვარებდნენ. მათ რიგებს ერთი გოლიათი გამოეყო და თოხარიკით ნამოიყვანა ცხენი შუა მინდვრისკენ. გაჩერდა, შუბი ტარით მიწაზე დაასო და მოწინააღმდეგის ჯარს მიაჩერდა. ეს გამონევეს ნიშნავდა, — ორთაბრძოლა უნდა გამართულიყო.

საკმაო ხანი გავიდა. მოწინააღმდეგე არ ჩანდა. ქალაქელების ნაცვლად ვენგარას შერცხვა და ცხენი გააქანა. ფსოვივით — თეთრი არწივივით მიფრინავდა ველზე თეთრჩოხიანი ჭაბუკი. წესისამებრ შუბები მოიმარჯვეს პირველად. ხშირ შემთხვევაში ჰოროლებს ფართი იგერიებენ და მერე ხმლით ბრძოლაზე გადადიან რაინდები. ასეც მოხდა, მხოლოდ ჩალმიანის მხრივ, — ვენგარას შუბმა კი უღმობლად გაიარა მტრის სხეულში.

ასე უცებ არავინ ელოდა ორთაბრძოლის დასრულებას. მთავარმა იგუმანა, მტერი შემოფოთებული იქნებოდა და ჯარი შეტევაზე გადაიყვანა. ატყდა ხოცვა-ჟლეტა. თეთრად გამოწყობილი ვენგარა მკვეთრად ჩანდა მებრძოლებს შორის და მოწინააღმდეგეთა საუკეთესო რაინდები მასთან შებმას ლამობდნენ. დიდი ჯაფა

ადგა ჭაბუკს. ერთმა ჩალმიანმა მუზარადის ქიმს წაკრა შუბი და მოხადა. ხმლები კი სეტყვასავით შიშინებდნენ ირგვლივ. გააათკეცა სიხაფე ნატრულეთელმა. სიმინდივით ცელავდა აქეთ-იქით მტერს ბასრი შუბით. ბოლოს ერთ ფარში გაეჩხირა ჰოროლი და გადაუტყდა. ხმაზე გაისვა ხელი მოყემ. ამან კი შედარებით დაახლოვა მტერი მასთან. უმუზარადოს ყოველმამს ელოდა ხიფათი. თავად მთავარმა შეამჩნია ეს და ამალით შეერია მებრძოლთ, გაიკვლია გზა ვენგარასკენ და ვიდაც დაღუპული მეომრის ჩაფხუტი გადასცა.

— სანამ ბაირალივით ელავს შენი ჩოხა, ჩვენი ჯარი მხნეობას არ დაკარგავს! — შესძახა მან და მოჰყვა ხმლის ქნევას.

ნატრულეთელს კი ცისფერი, ანკარა თვალები ედგა წინ და ვერ წარმოედგინა დამარცხებულიყო, რადგან მტერი ქალაქში შემოიჭრებოდა, იმ სარდაფშიც ჩაიხედავდა და...

ამის გაფიქრებაზე გაცოფებული იბრძოდა ჭაბუკი. პირველ შეჯახებაში ყვითლები დამარცხდნენ, უკან გაქუსლეს და ბანაკთან ინყეს შეჯგუფება. ქალაქელებმაც მთავრის ირგვლივ მოიყარეს თავი.

მწვანე მინდორი რიყიან ქალას დაემსგავსა.

— ღმერთს ვფიცავ, ჭაბუკო, შენისთანა მეომარი დედამინის ზურგზე ჯერ არ გაჩენილა! — ვენგარას მახლობლად ჩასუქებული, გრძელულვანა ათისთავი მოაჭენებდა ცხენს, — აბა, მე რა მებრძოლი ვარ? მერჩინა, შინ ვმჯდარიყავ და ქალაღი მეთამაშა.

— თუ არ ვცდები, თქვენ ჟანდარმერიის ოფიცერი უნდა იყოთ. — თქვა ჭაბუკმა.

— ასეა.

— მერე, თუ ბრძოლა არ გიყვართ, იქ რალა გინდოდათ?

— ვიფიქრე, ვინმე ხეირიან დამნაშავეს გამოვიჭერ და ხელს მოვითობ-მეთქი.

— იყო ასეთი შემთხვევა?

— ხე-ხე-ხე! თვით ვეზირთა შვილებიც დაგვიპატიმრებია ლოთობისა და გარყვნილებისთვის. მათი მამების წყალობით სასახლეც მაქვს და ჯოგებიც დამიდიან... თუ ოხრად არ მექცა ყველაფერი დღეს.

— ყოველთვის ასე გულწრფელი ხართ?

— ო, არა... მხოლოდ სიკვდილთან თამაშის დროს. — თქვა ოფიცერმა.

მთავარმა ვენგარა იხმო, გადაეხვია და მადლობა უთხრა, მერე კი მარცხენა ფლანგის მეთაურობა სთხოვა, ვინაიდან სპასალარი მოეკლათ.

ნატრულეთელი დასთანხმდა.

მალე ისევ გაჩაღდა ბრძოლა. ვენგარა ბირდაბირივით გადი-გადმოდიოდა მტრის რაზმებში, გაღწევილი პურის თავთავივით ყრიდა მომხდურებს ნაღმა-უკულმა. მისი ფლანგი თითქმის ჩალმიანთა ბანაკს მიადგა. ყვითელთავიანებს კი ამასობაში ქალაქელები შეევიწროებინათ დანარჩენ ფრთებზე და ხელჩართული ბრძოლა თვით მხედართმთავრებთან გაეჩაღებინათ. როცა მოსალამოვდა, ერთი ჯგუფი ქალაქში შეიჭრა.

ბრძოლით გახურებულმა ვენგარამ გვიამ შენიშნა ეს, გულშეძრულმა ცხენი უკან გამოაჭენა.

ქუჩებში უკვე ძარცვა-გლეჯა დანყებულებით. ვინ განწირული კიოდა, ვინ შეწყალებას ითხოვდა ან გოდებდა. ნატრულეთელი ცოლის სახლისკენ მიქროდა. შორიდანვე შეამჩნია ყვითელჩაღმიანები ქუჩაზე. ზოგმა სცადა გზის გადაღობვა, მაგრამ გულგამეხებული ჭაბუკის ხმალმა სათითურივით ნაადრო თავი. სარდაფიდან ვიღაც ამოდიოდა. ვენგარას სისხლი თავში აუვარდა, ცხენიდან ჩამოხტა და მახვილის ერთი მოქნევით წელამდე ჩათალა მომხდური. განწირულის ყვირილზე, რაც ქუჩაში ჩაღმიანები იყვინენ, ვენგარას მიესივნენ. იცნეს თეთრი მხედარი და ყველა ცდილობდა მის ტყვედ ჩაგდებას, რადგან დიდ ჯილდოს გამოელოდნენ მეფისგან. ვენგარა ხან ფარით უხეტქავდა თავებს მათ, ხან ხმლით კუნავდა. ერთმა შუბი ესროლა ლაგებში, იფიქრა, დაიჭრება და დავიმორჩილებო. ჭაბუკმა აიცილინა პოროლი, ხელი დასტაცა და რისხვით დაატრიალა... როცა ათიოდე ყვითელთავიანი მის ფერხით დაემხო, დანარჩენები შორს გადგნენ, ალყა შემოარტყეს და მშვილდები მოზიდეს. ვენგარამ სარდაფის კარს ნიხლი კრა და შიგ შევარდა. იასამა და მამამისი სისხლში ცურავდნენ.

საზარელი ღრიალი აღმოხდა ჭაბუკს, გარეთ გამოვარდა გონდაკარგული, რათა კბილებით დაეგლიჯა ჩაღმიანები. ამ დროს ერთმა, კედელს აკრულმა, დრო იხელთა და ჩუგლუგი მთელი ძალით დასცა მუხარადიან თავზე. ვენგარას გონი წაერთვა.

როცა თვალი გაახილა, მოედანზე ფიცარნაგის ძირას იწვა. ყვითელი მეფე შემალღებულზე იჯდა და ტყვეებს ათვალეირებდა. ერთმა ჩაღმიანმა წამოაყენა გაბორკილი ვენგარა და მბრძანებელს მიუყვანა.

— აი, ის თეთრი სატანა, ხელმწიფე! — მუხლებზე დაეცა მეომარი, — მე შევიპყარი!

მეფემ ქისა გადაუგდო მებრძოლს და ბრძანა, ბორკილები შეეხსნათ ნატრულეთელისთვის.

— ომში ვარგიხარ, ჭაბუკო, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს ვაჟკაცობას. დღეს გამოცდას მოგიწყობთ ქალაქის მეთაურებს და იქ გამოჩნდება თქვენი გულმაგრობა.

ჭაბუკი ბინდდანოლილი თვალებით შეჰყურებდა მეფეს, ჯერაც ელანდებოდა სარდაფში ნანახი.

— არ დავმალავ, კარგად იბრძოდი, მაგრამ გამარჯვება ძლიერს უნდა დარჩეს. ხოლო ჩვენ ძლიერი კი არა, დაუმარცხებლები ვართ. ხომ ასეა?

ვენგარა კვლავ იასამაზე ფიქრობდა.

— მე შენ გეკითხები! — ხმას აუწია მეფემ, — რატომ დუმხარ?

ვენგარამ მშვიდად უთხრა:

— იმიტომ, რომ თუ გამარჯვებულის ტრაბახია აუტანელი, დამარცხებულის ნუნუნია ხომ — მით უმეტეს.

— სიტყვაც ფხიანი გქონია. მამ კარგი, სხვაშიც მალე გამოგცდი. — ხელმწიფემ მსახურებს გასძახა: — მოიყვანეთ, აქ გაამჩკრივით!

მთავარი, მისი სამი ვაჟი და ორი სპასალარი ფიცარნაგთან გააჩერეს.

— სულ რაღაც ორი დღის წინ აქ იდექი და ხალხს საომრად მოუწოდებდი, ახლა ჩემს ფერხით გდიხარ. — თქვა ყვითელმა მეფემ — უცნაურია ცხოვრება, არა?

— ასეთი ყოფილა ღვთის ნება! — ღირსეულად თქვა მთავარმა.

— არა! ღმერთს შეეშვიო! თქვენ ხომ ის არ გნამდათ? თქვენ ხომ საკუთარ ზეკაცობას ქადაგებდით და ლოცვისთვის არ გეცალათ? რაღა გამოვიდა? — თქვენი ხელქვეითების აღვირახსნილობით, უსამართლობით ხალხს სახელმწიფო შეაძულეთ და რწმენა მოუკალით. დიახ, თქვენ წაართვით უმთავრესი და ამ დროს რაღაც სამოქალაქო თუ საბუნებისმეტყველო ქარტიებით ერთობოდით. ხომ გახსოვთ? — მე წერილი გამოგიგზავნეთ: „ნუთუ არ მოგებურდათ ნაღების გამოცვლა, როცა ბედაური დაუძღურებულა?... დამნებდით! სისხლს ამოდ ნუ დავღვრით!“. თქვენიუარეთ. აი, შედეგიც: ქვეყანა განადგურებულია. ახლა კი კეთილი ინიებთ და თქვენც აკეთ პასუხი. იმ ორ სახლს ხომ ხედავთ? ერთი მალაღია, მეორე შედარებით დაბალი. რომლიდანაც არ უნდა გადმოხტეთ, სიკვდილი გარდუვალა. ნებას გაძლევთ, აირჩიეთ!

მთავარმა შენობებს გახედა და ტუჩები ოდნავ აუცახცახდა.

— თუ გინდათ, ჯერ შვილები გაუშვიო. — „ურჩია“ ყვითელმა მეფემ.

— არა! — ამოიხავლა მთავარმა და მალალ სახლზე მიდგმულ ხის კიბეს აჰყვა. ნელა ავიდა სახურავზე, ერთი კი გადახედა კვამლში გახვეულ ქალაქს და გადმოხტა. მიწამდე არ დაჰყოლია სული. შემდეგ სპასალარების ჯერი დადგა. ისინი ფერხით დაუვარდნენ ყვითელ მეფეს, მაგრამ ჩაღმიანებმა მათრახებით დაალურჯეს და აკვნესებულები კიბისკენ წავიდნენ. ისინიც მალალი სახლიდან გადმოხტნენ. მთავრის ვაჟებიც იმავე კიბეს აჰყვნენ და მიწამდე არც მათ დაჰყოლიათ სული.

— აბა, ჭაბუკო! — მეფემ ვენგარას გახედა.

ნატრულეთელი დაბალი სახლისკენ წავიდა, როცა კიბის შუაგულს მიაღწია, მეფემ უკან იხმო.

— რატომ აირჩიე ეს სახლი?

— მიწოდდა, მალე დამთავრებულიყო თქვენი სეირი.

— ესენი, — დახოცილებისკენ გაიშვირა ხელი მეფემ, — გარეგნულად ზვიადნი და მორჭმულნი, გულდედლები იყვნენ. იცოდნენ, უცილობელი სიკვდილი ელოდათ, მაინც იხანგრძლივებდნენ ლაჩრულ, დამამცირებელ სიცოცხლეს და ზღაზვნით მიინევდნენ მალა. შენ კი ერთბაშად გადაწყვიტე წერტილის დასმა. შენისთანა შვილს ვინატრებდი! დღეიდან ოთხივე მხარეს გზა ხსნილი გაქვს.

ვენგარა ერთხანს დუმდა, მერე თქვა:

— ჩვენი ხევისბერისგან გამიგონია: „მალალ ხეს არ ეშინია, ნერგმა იზარდოს, ხოლო დაბალი განზე იბორჯლება, მზეს ფარავს და სხვასაც ხელს უშლის“... დღეს დავრწმუნდი ამ სიტყვების სიმართლეში. ჩემისთანა ტყვეს ყველა არ გაათავისუფლებდა, მაგრამ ისიც უნდა გითხრა,

რომ მაინც მძულხართ შენ და შენი მოდგმა, რად-  
გან ჩემი სიყვარული შეინირეთ. — ჭაბუკს ობო-  
ლი ცრემლი თვალშივე ჩაეყინა და გაბრუნდა.

ერთმა ჩაღმბიანმა ცხენი, ნაბადი და საჭურ-  
ველი გადასცა. ვენგარა ქალაქის კარიბჭისკენ  
წავიდა. უცებ დენდარტყმულივით შებრუნდა  
და ისამაშა სახლისკენ გაეჩქარა — იქ ვერავინ  
ნახა. მთელი დღე ამოდ ეძებდა ახლობლების  
საფლავს.

ერთ ქუჩაზე დაბალი, მოდონდლილი კაცი  
ეცნო. თავზე ნაადგა დაჩოქილს.

— კრეჭაკოლა?

ამოხედა ჩია კაცმა, მაგრამ ღიმილის ნაცვლად  
მწუხარება და სასონარკვეთა ეწერა სახეზე.

— ვენგარა, ხედავ იმ ოთხ დამწვარ მორს? მარ-  
თლა მორები არ გეგონოს... ჩემი შვილები არიან.

ჭაბუკს ეკლებმა დააყარა ტანზე.

— როგორ? — ძლივს ამოთქვა მან.

— აი, ასე: გააუპატიურეს, მერე ხანჯლებით  
გული გაუპეს, ნავთი მოასხეს და დანვეს. მე  
ხელ-ფეხშეკრულს მაყურებინეს. როცა ცეცხლი  
მოედო, დაიკლაკნენ, გეგონებოდა გაქცევა უნ-  
დათო, მერე ნელ-ნელა დაპატარავდნენ, დადნენ,  
გაშავდნენ... ოხხ! — ამოიხრიალა ხუმარამ და  
თავი მინას დაახალა.

ვენგარა დიდ ხანს დასცქეროდა უბედურ მა-  
მას, მერე მშვიდობითო, ამოილულულა და ნავ-  
იდა.

„თუ ბოლმა აგექავოს, ჩემთან მოდი, მოგფხ-  
ან“. — გაახსენდა ხუმარის სიტყვები და გული  
დაემდულა.

„როცა უკანასკნელი მასხარაც აღარ იცინის,  
ქვეყანა მაშინ იღუპება“...

ცოტა რომ გაიარა, ჭაბუკს ფრაკიანი ნაო-  
ფიცრალი შემოხვდა. გულმჭის კაცს საკმაოდ  
უდარდელი სახე ჰქონდა, ეტყობოდა, სუფთად  
გამოსულიყო ამ ორომტრიალიდან. მან უცებ  
იცნო ვენგარა, მიუახლოვდა და მიესალმა.

— გამიგონე, მოყმევ, ზოგჯერ ეშმაკსაც  
მოუნდება სამოთხის კართან მისვლა და აღ-  
სარების თქმა. მე ხომ ადამიანი ვარ? ერთხელ  
გულწრფელი მინდა ვიყო. რაც ამ ქალაქში გადა-  
ახგდა, ყველაფერი ვიცი და გითანაგრძნობ.  
ყველაზე დიდი ნაშება მაინც კაცისთვის საკუ-  
თარი თავის ზიზღია. ეს რომ არ დაგემართოს  
ჩემსავით, გახსოვდეს ერთი რამ: ტანჯვა, მარ-  
თალია, აკეთილშობილებს კაცს, მაგრამ ეჭვი-  
ანსაც ხდის. ზოგჯერ ვიღაც ისე მოგენდობა,  
არ გჯერა, ცბიერება გგონია. ეჭვის გასაქარვე-  
ბლად რაღაცას მოიმოქმედებ, რათაც საშინლად  
დანყვეტ გულს იმ ადამიანს. მერე შენს თავს საყ-  
ვედურობ, რად ჩავიდინეო ეს. დიდხანს, დიდხანს  
ფიქრობ და გახსენდება... ერთ დროს თავად იყა-  
ვი ისეთი მიმნდობი და გული მოუკლავთ შენთ-  
ვის. ისეთები, როგორიც შენ ხარ, ცუდ საქმეს  
უნებლიეთ თუ სჩადიან. იმიტომ გეუბნები ამას,  
რომ გაფრთხილდე მომავალში. შენ იმ ერთეუ-  
ლებს ეკუთვნი, რომლებიც სინდისის გატანჯუ-  
ლი მსახურები არიან. დედამინის ღერძი თქვენს  
გულებში გადის და თუ ის დაღუპება, წარღვნა  
გარდაუვალი იქნება. გზა მშვიდობისა ჭაბუკო! —  
ფრაკიანი ჩოხის კალთაზე ეამბორა გაცოცხლებულ  
ვენგარას და გაბრუნდა.

ჭაბუკი მალე გავიდა ქალაქიდან, უკაცრიელ

ველებსა და უდაბნოებს მისცა თავი. მხოლოდ  
ერთხელ მოხედა გაშავებულ, ჩამოშლილ კედელ-  
გუმბათებს და ნაღვლიანად თქვა:

— რა ფერადიც უნდა იყოს თვალი პა-  
ტიოსანი, მისი ჩრდილი ყოველთვის შავია. არ-  
სებობს ძალა, შენ აღგადგინოს, იავარქმნილო  
მხარევე? ქარის, წვიმის და მტვრის მალამო თუ  
დაგედებათ ანი.

### V თავი

ბევრმა დარმა და ავდარმა გადაუარა ჭაბუკს,  
ბევრი ტაფობი, კლდოვანი თუ ბულიანი გზა  
განვლო. თეთრონი, ნაბადი გალეგდნენ კი-  
დეც მტვრით. ბოლოს დაღლილ-დაქანცულმა  
ერთ უცნაურ ქალაქს მიაღწია იალკიალიან  
დღეს. ღრუბლებიდან სვეტებად გადმოფ-  
რქვეულ ნათელში თვალის მომჭრელად ელ-  
ვარებდნენ რკინის ცათამბჯენები, ანტენები,  
ანძები. მიწებიდან სხვადასხვა ფერის კვამლის  
გროვები ჯინებივით ამოდიოდნენ და ლაჟვარდს  
ხუთავდნენ. მინაზე რკინის ოთხფეხები, ცაში  
რკინისავე უზარმაზარი ჩიტები დაქროდნენ.  
უგალაენო ქალაქში შესული, გაოგნებული ვენ-  
გარა თვალეზრებულად შეჰყურებდა ქუჩებ-  
ში ჭიანჭველებივით მოფუსფუსე თავდიდა, ჩია,  
მელოტ ადამიანებს. ესენიც თავიანთ მხრივ  
დაინტერესდნენ ჭაბუკით და მალე მის ირგვლივ  
ბრობო შეიკრიბა.

— საიდან ეს ანტიკვარი? — ერთმა სათვალე  
მოიხსნა, განმინდა, გაიკეთა და კვლავ ჭაბუკს  
მიაშტერდა.

— ნაღდად მსახიობია, ანგლობს! — დაასკვნა  
მეორემ.

— ასეთი მოდლლეზილი მსახიობი კი არა, სამ-  
ბისტები არ გყავს.

— ნაბადი, აბჯარიც ნამდვილს ჰგავს.  
— მოქალაქენო, ნუთუ აღმოჩენის წინაშე  
ვართ? — წინ ნამოდგა მოხუცი, ცილინდრიანი  
პროფესორი, — ნუთუ უჯრედის გახშირვის კვ-  
ლევითმა ინსტიტუტმა ბოლოსდაბოლოს შეძლო  
გარდასულ საუკუნეთა ადამიანის გაცოცხლე-  
ბა?

— ვინ ხარ, კაცო? — იკითხა ყველაზე ჭკვიან-  
მა.

— ნატრულეთელი ვარ, ვენგარა მქვია.  
მოქალაქეებმა ერთმანეთს გახედეს.

— ეს მხარე ლურჯი მთიანეთის აღმოსავლეთ  
ნაწილში ხომ არ არის?

— იქაა. — მიუგო ჭაბუკმა.

— იშვიათი სანახაობაა, პატონებო! — წინ წა-  
მოდგა პროფესორი, — ეს გახლავთ თითქმის  
პირველყოფილი ნყოზილების წარმომადგენელი.  
მათი ტომი დღესაც მამაპაპეულ ტრადიციებს  
მისდევს და სხვათა შორის, იქაურნი საოცრად  
ჯანმრთელნი და ჩუქნი არიან. ერთ მათგანს  
თურმე თავისუფლად შეუძლია, შიშველი ხე-  
ლებით მოკლას ტურა, მელა, თვით ძაღლიც კი.

— ეს ფანტასტიკაა! — ნამოიძახეს აქა-იქ.

— ჩვენს შესახებ გსმენიათ, ძიაკაცო, მე კი  
არაფერი ვიცი აქაურობისა. აი, თუნდაც, რა  
არის ის, ორბივით რომ დაფრინავს ცაში, მაგრამ  
გაცილებით დიდია და უცნაურადაც ზუზუნებს.

57992

— თვითმფრინავია. — უთხრა ერთმა.  
— სად იზრდება ამოდენა ცხოველი? — იკითხა ვენგარამ.

— ეს ცხოველი არ არის, ბატონო, ჩვენი შექმნილია.

— როგორ, — გაოცდა ჭაბუკი, — ეს რკინის ოთხფეხებიც, კვამლის მფრქვეველი უცნაური სახლები, უსულო, მომღერალი კოლოფები თქვენი შექმნილია?

— ეგრე არის! ჩვენი რაკეტები, ცამსვლელები, მინის მთხრელები ხან ერთ გალაქტიკაში არიან, ხან მეორეში.

— მთვარეზე ასულხართ?

— მთვარე ხომ გასულ საუკუნეში დავა-მუშავეთ. ახლა იქაური მინა გამოფიტულია და ვასვენებთ.

— მაშ თქვენ ყველაფერი გქონიათ საიმისოდ, რომ არ გშოიოდეთ, არ გციოდეთ და უფრო გიყვარდეთ ერთმანეთი.

— მაპატიეთ, მაგრამ რას ნიშნავს „სიყვარული“?

ვენგარა გაოგნდა.

— აჰ, ვიცი, ვიცი! — კეფა მოიფხანა პროფესორმა, — აკადემიკოს შულცეს ლექსიკონში წერია, რომ ეს ტერმინი ნიშნავდა მამაკაცსა და ქალს შორის თვითშენიშნავს სექსუალური აქტისათვის, ან ერთმანეთთან სიახლოვის პათოლოგიურ სურვილს. ვინაიდან დღეს ყველას ნება აქვს სურვილისადმიხედვით იმყოფებოდნენ ერთმანეთთან, ეს გრძნობა გადაშენდა.

— როგორ, უმეგობროდ და უსიყვარულოდ ცხოვრობთ? — გაოგნდა ნატრულეთელი.

— მეგობრობა... — თვლები მოჭუტა ცილინდრიანმა, — მეგობრობა... აჰა, ესეც გამახსენდა — ადამიანთა შიში მარტოობის წინაშე, რის გამოც ცდილობენ, ხშირად იყვნენ ახლოს ვინმესთან. ან: ჭარბი შინაგანი ძალის მქონე პიროვნების მოთხოვნილება, რაიმე სამსახური გაუნეოს სხვას. თუ არ ვცდები, ასე წერია ზემოთ ხსენებულ ლექსიკონში.

— ეს მაინც მითხარით, რისთვის არსებობთ? — ბრაზი მოერია ვენგარას.

— უბრალოდ, ვცოცხლობთ, რადგან უკვდავნი ვართ.

— როგორ თუ უკვდავნი?

— უკვე ნახევარი საუკუნეა, შევქმენით წამალი, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია ხან ახალგაზრდა ვიყოთ, ხან — ბებერი, და რამდენიც გვსურს, იმდენი ვიცოცლოთ.

— თქვენ რამდენ ხანს აპირებთ ცხოვრებას?

— 1800 წელს.

— თქვენ? — სხვას მიუბრუნდა ვენგარა.

— მეც ამდენს.

— თქვენ?

— 1800 წელს.

— რაშია საქმე? რატომ გსურთ ყველას ასე?

— მერე წარღვნა იქნება.

— რა მიზეზით?

— პლანეტა ველარ გაუძლებს დაგროვილ თბურსა და სინათლის ენერგიას, აფეთქდება ან მეტეორებით დაიბომბება.

— არ შეგიძლიათ სხვა პლანეტაზე გადასახლება?

— როგორ არა, მაგრამ, ალბათ, აზრი არ

აქვს. კაცობრიობა მაშინ განვითარების ბოლო წერტილს მიაღწევს... ხომ ვერ გაიყინება ერთ ადგილზე? სჯობს დაინგრეს, რომ მერე თავიდან განვითარდეს სიცოცხლე.

— ადამიანებო, თქვენ მე შემშლით! — იღრიალა მოთმინება დაკარგულმა ვენგარამ, — ნუთუ ვერ გრძნობთ, რომ თავად ქცეულხართ რკინად? ემ-მაკსაც ნაუღია ეგ ლათაიები! თქვენ ისიც იცით, რასაც უნდა გრძნობდეთ მხოლოდ და უსულო მანქანებს დამსგავსებინართ!... რა ჯანდაბად გინდათ ამდენი უცხო ძალა, თუ თქვენს სისხლში უკანასკნელი უჯრედი სულს ღაფავს უძღურებისგან? ნუთუ იმისთვის იკვლევდით სიცოცხლის საიდუმლოებებს, რომ ბოლოს სიკვდილი გეპოვნათ? რას დამსგავსებინართ, თქვე თავ-კომბალეზო! — ხმა ჩაუწყდა თვალეზანთებულ ჭაბუკს.

— თავკომბალა?... — ფიქრებში ჩაეფლო პროფესორი, — ეს გასულ საუკუნეში მცხოვრები ამფიბიაა, რომლისგანაც ბაყ...

— გაჩუმდი! — უღრიალა ვენგარამ და ხმლის ვადას გაავლო ხელი.

ბრბო აქეთ-იქით მიმოიფანტა:

— მოიცათ! — მახვილი ჩანია ქარქაშში, — თუ ამდენი ძალა გაქვთ, რად არ ეხმარებით მეზობელი სამთავროებისა და სახელმწიფოების ხალხს? იქ ხომ ამდენი უსამართლობა და ბოროტებაა.

— ადრე თუ გვიან მათი ცივილიზაცია თავად მოვა ჩვენამდე. ვამჯობინეთ, ვაცალოთ თვით-განვითარება და პარალელურად დაკვირვებანი ვანარმოოთ. — თქვა კვლავ პროფესორმა.

— ვაი ასეთ მომავალს! — წამოიძახა ნატრულეთელმა, — აქ სული მეხუთება!.. — მან დაუზოგავად გააჭენა ცხენი და მალე ქალაქიდან გავიდა.

„თუ ასეთია ჩვენი ხვალისდელი დღე, მაშინ ისევ მენ გვებატონე, ყვითელო მეფე“. — გულში ამბობდა ჭაბუკი და უგზოუკვლოდ მიჰყვებოდა ველ-მინდვრებს.

## გაგრძელება იქნება

ვაგდივარ პირქვე,  
და ყველა სახის  
ნილაბი მტკივა...

\*\*\*

ლამე დაუფრთხიათ  
მამლაყინებს,  
ღვინოში ბანაობს  
გარიჟრაჟი...  
ეჭა, გულო ჩემო,  
რას ხარხარებ,  
ხომ არ გამიგიჟდი,  
გამიბავშვდი...  
მკერდში რომ  
ფრთხილებ ფრთებშესხმული,  
რამდენი  
ორლობე და  
ეზო გელის...  
ბუხრებში  
ღრუბლები ინვებიან,  
გხვდება  
გაბადრული მეზობელი!  
იმდენი  
სიმაღლე და  
სილაღეა,  
მოკლავს  
სიმრუშე და  
დარდი ცოდვილს,  
რამდენი  
კაი ყმა გყოლია,  
ჩემო ქვეყანავ და  
არ ვიცოდი!  
ეხვევა ვაზი ჭიგოს,  
ვით გოგო ბიჭს,  
ბორკილი არ ჭირდება  
არა სურვილს;  
მთებიდან დილა  
გადმომდგარა,  
ლოყებატკრეცილი,  
ალანძული.

### პირ გავკლავ

მზე კოცნით მიშრობს ცრემლიან ღანვებს,  
დილებს მტყორცნიან ჭალარა მთები...  
ფიქრის თოვლში რომ გულაღმა დავნვე,  
გაზაფხულამდე აღარ ავდგები...  
ყვავილებს მაყრის ყველა რტო ახლა,  
და ჩემი გული რავი, სად არი,  
მე შენ ყოველდამ სიზმრად თუ გნახავ,  
ჩემთან არასდროს მოვა ზამთარი...  
თუ მე და ზეცამ გავიაპრილეთ,



ზინა

სკოპნიძე

\*\*\*

თვალეებით სჭამენ  
აღვები მინდორს,  
როგორც ეულ ქალს —  
მრუში კაცები...  
ვიღაც ვაჭრულად  
მიმზერდეს ვითომ,  
ისე ვღელავ და  
მენვის ღანვები...  
მზემ გადაიძრო  
ნისლის პირბადე,  
დასკდნენ ღრუბლები,  
როგორც ბოთლები...  
ო, მაპატიე,  
არ გამიბრაზდე,  
თუ შენი ნატვრით  
დღესაც ვლოთდები...  
გემივით მიაქვს  
სხეული ფიქრებს,  
ქარი მანყნარებს  
უცრემლოდ მტირალს;  
ექვების კვამლში

გაგიჟდებიან თეთრად ნუშები,  
ღრუბლებიდან რომ გავინაპირო,  
ყოველგვარ ავდარს გადავურჩები...  
ნითელ მიხაკებს ვიბნევ კაბაზე,  
მაგრამ რად მინდა ნეტავ ბაღლობა!..  
თუ არ მახარე,  
თუ არ მაბრაზე,  
რალა აზრი აქვს ყოფნა-არყოფნას...  
სოფლის ბოლოში მინდვრად დავნვები,  
დე, ლამაზ მკერდზე ნუკრები შემდგნენ,  
შენს გაცნობამდე როგორღაც ვძლებდი,  
ვერ გავძლებ შენი დაკარგვის შემდეგ...

\*\*\*

ვაჰ

კაბად ვიცმეფე-გადააპენტილ ველ-მინდვრებს,  
უბეს ვივსებ მერცხლებით და ჩიტებით...  
მოვალ, სისხლის მყვირალობაა ვიდრე,  
მოვალ, შენს გულს თუ ნამდვილად  
ვჭირდები;  
დამბარდნია თმები ტყემალ-ატმებით,  
მზით ვერ ვძლები, დრო რად ჩქარობს,  
რად გარბის?  
შენს მკლავებში ცხელ კისკისად ავტყდები,  
რომ დამახრჩო სიყვარულის ღვართქაფით...

### ვისაც უყვარდა და სძულებია

ვითვრები?  
როგორ არ დავითვრე  
როცა სადღეგრძელო  
ულევიან...  
იმ ადამიანებს  
გაუმარჯოთ,  
ვისაც მკერდში  
მართლა გულელები აქვთ!  
ადრე ნასულეები  
გამახსენდნენ,  
სველ პურს  
შმაგი მაჭრის  
სურნელი აქვს.  
ლოდქვეშ მნოლიარეს  
გაუმარჯოს,  
მზე რომ  
ღვინოსავით სწყურებია!  
ბრძენსაც,  
გენიოსსაც  
გაამახსრებს,  
ბედი თავხედი და  
სულელია!  
მოდით, გაუმარჯოს  
ადამიანს,  
ვისაც უყვარდა და  
სძულებია.

### სიცოცხლე

მირბის, მინარნარებს  
ნაკადული,  
დილა შვილს ნუკრით ენაფება.  
კვირტები დაიყარეს  
ხეხილებმა,  
ცრემლები გადმოყარეს  
ვენახებმა.  
მინდორში  
კუნტრუშობენ  
გვირილები,  
მზე პირგაბადრული  
მენახვება.  
ვაიმე, სიცოცხლე  
რა ყოფილა!  
თვალი და გული რომ  
ვერა ძლება.

\*\*\*

დღეს ასდის სუნი  
იონჯის ნარღვის,  
შევხარი უცნობს,  
შევხარი ნაცნობს.  
მთაო, ზეცისკენ  
რომ მიაბიჯებ,  
მინა არ გიჯობს,  
შე კაი კაცო?!  
მოვარღვევ უღრანს,  
ვაიმე, რა ვქნა,  
ვერ მიპოვია  
ბილიკ-ნაპირი...  
კორდებო, ტყეში  
რომ შევარდნილხართ,  
ქარი კი არა,  
ცეკვავს აპრილი!  
ჩქარა ფერხული,  
ჩქარა ფერხული,  
მწვანე ჩოხები,  
ალვის ხეებო!  
გასწით გარმონი,  
მდინარეებო,  
დასცხეთ დოლები,  
მთვრალო ხეებო...

\*\*\*

— აღუუ,  
აღუო! —  
ღუღუნებს  
ია...  
და უხარია

ჩირგვის  
აკვანი...  
უშველებელი  
მწვანე  
მინდორი  
ჰკოცნის  
შვილივით  
ბოსტანს  
აყვანილს;  
— უი ქა,  
კაციო! —  
ტიტველა წყარომ  
თქვა და  
მოკურცხლა  
კისკის-ხარხარით.

\*\*\*

მთებს აპრილი დაჰკისკისებს სერაფიტად,  
ცხელ მინაზე დაკონებას მთხოვს სხეული...  
აბა მითხარ, მე უშენოდ მზე რად მინდა,  
ლერნამი ვარ, სალამურად მომსხვრეული.  
ნუ გამისწრებთ, წლებს მივკივი მდედარივით,  
მე ამქვეყნად ვარ სიტკბოსთვის მონვეული,  
კახურ ვაზზე ასაგლეჯი მტევანი ვარ,  
შენს ცხელ გულზე დასანურად მონეული.

\*\*\*

ნეტავი ატმებს  
და ბრონეულებს  
კაბებზე მუდამ  
ეკიდოთ ცეცხლი...  
და ჟინს იკლავდეს  
მუდამ ეროსი  
ჩემი სულის და  
ნერვების წეწვით...  
ისეთი ძალით მაგიჟებს ნატვრა,  
ლამის ლოდინი  
ლომივით დავბრდღვნა!..  
მიმქროლავ ქარებს  
ხან ოხვრას ვატან,  
ხანაც წვიმებით  
გაღეშილ ავდარს.  
ყვავილში ცურავს  
მინა — ხომალდი,  
შენთან მომიყვანს  
ყველა გზა მე მწამს.  
ვმღერი ტყესავით გულამოვარდნით  
და ცხელი მხრებით  
ვეხლები ზეცას.

\*\*\*

— არ მომჭამონო  
თხებმა ფეხები, —  
თქვა და  
თავლაზე  
აბობლდა თივა,  
ეკუტკუტება  
დედალს მამალი,  
ვერცხლში ბანაობს  
სისხამი დილა,  
მთაზე ბილიკი  
აბოლებს ჩიბუხს...  
ცა თავზე იდგამს  
მზეს, როგორც გვირგვინს...  
ძროხასა სწველის  
ეზოში გოგო,  
ჭრელი ბოჩოლა  
კუნტრუშობს  
ირგვლივ...

## ნუ შეამჩნევი

ვერხვის ფოთლებში ნიავი უსტვენს,  
გამომაფხიზლე, მე თუ გავრინდდი...  
დრო წყვილი თითით მიდენის ნუთებს,  
სხივით სავსეა უბე ამინდის...  
მე არყოფნაში როგორ გავბრუნდე,  
თუ შენს ძვალ-რბილში უკვე დავმკვიდრდი,  
ჩუ, ამინივლდნენ მთვლემი განცდები,  
და ყველაფერი ბრუვდება ირგვლივ...  
ნუ შემეხები პატარა გულზე,  
დიდ ტკივილების ბუდეა იგი...

\*\*\*

ფიქრს გაეაბოლებ  
სიგარეტივით,  
ამეშლებიან  
როცა დარდები...  
ოლონდ მიწოდე  
შენი ლოდინი,  
სამარიდანაც  
ტყემლად ავდგები...  
რა გენაღვლება,  
შემომაყარე,  
თუ გულს  
გიჟურად  
უყვარს ვარდები...  
ო, შავო თმებო,  
ნუ გათეთრდებით,  
თეთრო მანდილო,  
ნუ გაშავდები!



ქეთევან  
ჯანსიანი

### ახანბოჩი – დაახიბანი ქახთი

წინასიტყვაობის მაგიერ

საქართველოსთვის კიდევ ერთი ძირძველი მიწა-წყლის ჩამოჭრის მცდელობა სისრულეშია მოყვანილი.

ჩვენი ქვეყნის იურისდიქციის გარეთ კიდევ ერთი, დიდი ისტორიული წარსულის მქონე, მხარე აღმოჩნდა.

ახალგორელებს ისღა დარჩენიათ, მუხლჩაუხრელად „იმოვ ზაურონ“ თბილისს, წეროვანსა და მშობლიურ დაბას შორის; ერთმანეთს ენაცვლება გაურკვეველი განცდები— „სა ზღვარს იქით“ დარჩენილ სახლ-კარზე დარდი და ახალ, წეროვანში გაჩენილ, ეზო-მიდამოზე ზრუნვა და ფიქრი (გულში კი - მადლი უფალს, რომ ცოცხლები ვადარჩნენ და დღეს უვნებლები ესაღმებთან ერთმანეთს...)

ისიც უნდა ითქვას, რომ აქამდე ეს მხარე, თითქოს, „განცალკევებული“ იყო საქართველოსაგან, ზოგმა მისი არსებობის შესახებ მხოლოდ აკვიტოს მოვლენების შემდეგ შეიტყო. არადა, რა მდიდარი და საამაყო ისტორია აქვს ქსნის ხეობა—

ქვეყნის ყოველგვარმა ძნელბედობამ მის თავზე გადაიარა. ვინ მოთვლის რამდენი სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა გადაუხდიათ მამულის დასაცავად აქაურებს, რამდენგვარ ისტორიულ ბედუკუღმართობას ვამკლავებთან ვაუკაცურად... მაგრამ მათ მაინც წარბმუხრელად გამოიარეს საუკუნეები და მუდამ ჩუმად, ღირსეულად იტანდნენ დროთა სვლისაგან მოვლენილ ყოველგვარ ვასაჭირს; უხმაუროდ, ამაყად ატარებდნენ მამულიშვილობის მძიმე ტვირთს.

დღევანდელი ვასაჭირიც ისტორიული ძნელბედობის კიდევ ერთ, დიდ გამოცდად ჩავთვალოთ. ამ პატარა მოთხრობებშიც წარსული და ახლანდელი დრო ერთმანეთს ენაცვლება, ერთმანეთს ერწყმის და, საბოლოოდ, ამ კუთხის მცხოვრებთა ყოფაზე და მათ ადამიანურ განცდებზე მოგვითხრობს.

### „ახანბოჩის ბანძი“

ვუძღვნი ჩემს მშობლებს, მერი მზარეულიშვილს და ვახტანგ კახნიაშვილს

გასული საუკუნის დასაწყისია. შემოდგომის ერთ პირქუშ დღეს მინურიდან ღატაკი გლეხი გამოდის და ქსანს აღმა მიჰყვება. ცოტა ხნის შემდეგ პატარა ბილიკით შემალლებულ ბორცვზე მდგარ ძველისძველ ციხეს უვლის გარს და გეზს საქოთნე თიხნარისკენ იღებს. ზურგზე გადაკიდებულ გუდაში ხმელა პური ეგულება, მხარზე მინის სათხრელი წერაქვი გაუდვია და სვენებს-სვენებით მიიწევს წინ. ბილიკი თანდათან ფართოვდება და კაცი მალე ერთ ადგილას ჩერდება, სახელოებს იკაპინებს და გულმოდგინედ იწყებს თიხის თხრას. „ქოთნებსა და ხელადებს წავიღებ ახალგორში... იქნებ ცოტა ფქვილი და მარილიც გამიჩნდეს სახლში, მალე ზამთარიც დაგვიკრავს თავს...“ იმედიანად იქნევს წერაქვს საძეგურელი გლეხი და, წინაპრებისგან მემკვიდრეობით მიღებული ხელობის იმედით, ღონივრად ებრძვის მინას. წერაქვის კიდევ ერთი მოქნევა, მეორე... ჰაერში წკრიალი გაისმის... მიწამ თითქოს პირი გახსნა, და გლეხკაცს გულიანად შესცინაო — გადახსნილი ვინრო ნაპრალიდან უცხო ნათება ამოდის და ზღაპრულ სხივებს ჰფენს შემოდგომის მოქუფრულ დღეს. გლეხი ნაპრალს აფართოებს და ძველისძველი, რკინით შეჭედნილი სკივრიდან სათითაოდ ამოაქვს ძვირფასი თვლებით შეჭედილი ფიალები, ლალითა და ზურმუხტით შემკული, უმშვენიერესი ამფორები და აზარფეშები, ოქროთი გამოჭედილი, თითქოსდა ბაჯალლო ცვარით დაცვარული, ძვირფასად დარაბტული, მოქანავე წყვილი ბედაური, ოქროს ფულები და თვალ-მარგალიტი ხომ — აუარებელი. გლეხი თვალს არ უჯერებს, აკანკალებული ხელით აწყობს გუდაში მბრწყინავ ნივთებს... „ახალგორში!.. დღეს ველარ მოესწრება... მაშ ხვალ დილით მაინც!.. სისხამზე ხურჯინის ერთ თვალს თიხის ჯამ-ჭურჭლით გაავსებს, მეორეს კი ნაპოვნი თვალ-მარგალიტით გაძეძგავს და



ქსანს ნაპირ-ნაპირ დაუყვება. არავის უკვირს ქსნის ხეობაში საძვეგურიდან ახალგორს მიმავალი, ხურჯინაკიდებული კაცის დანახვა — ეს კუთხე ხომ მთელ ხეობას ამარაგებს თიხის ნაკეთობებით; ყველა ახალგორელის ოჯახში აქაური რაკრაკა სურებით ისმევა წყალი, ცხავატურ ქვევრებში იწურება მზიან ვაკეზე გაშენებული თაფლივით რქანითელი, აქაურების ნახელავ თონებში ცხვება სურნელოვანი პურები... საღამო ხანს ახალგორიც გამოჩნდება — მჭიდროდ მიდგმული ორსართულიანი სახლებით, გულითადი, საღმიანი ადამიანებით... გლეხკაცი ღვთისმშობლის ეკლესიასთან პირჯვარს გადაინერს და ნათლიმამას გასძახებს ეზოში — დარბაისელი, ტკბილად მოუბარი ჭარმაგი კაცი გაცეცხული ათვალერებს საუნჯეს და ხმადაბლა ამბობს: „ამის მცოდნე და შემფასებელი მხოლოდ მზარეულიანთ ვასოა!.. ნავიდეთ, ნულარ დავაყოვნებ.“ — რამდენიმე ხანში ისინი უკვე სამსართულიანი სახლის ქვედა, ბროლის ლამპებით „გაჩაღებულ“, ვრცელ დარბაზში სხედან და მოფუსფუსე მოახლეებს შესცქერიან, აქა-იქ ჩიხტიკოპით თავდახურულ ქალებსაც შეასწრებენ თვალს და უხერხულად იმშუშებიან... დიდხანს არ სჭირდებათ ლოდინი: თურმე მოახსენეს თუ არა დიდვაჭარს უცნაური ამბავი, ალღომ არც ახლა უღალატა გამოცდილ კომერსანტს და გულმაც რეჩხი უყო... კარებში ახოვანი, გამორჩეული გარეგნობის მქონე შუახნის მამაკაცი შემოდის (სწორედ ისეთი, როგორც ჩვენს საოჯახო ფოტოალბომებშია — ფრენში გამოწყობილი, უღვაშებანკეპილი, სალილესთან ცერის სიმსხო საათის დასამაგრებელი ოქროს ძეწკვით; ერთ ფოტოზე მარტო დამდგარა ფოტობიექტივთან, მეორეგან ლეჩაქით თავდახურულ ქალბატონთან და თავის მცირეწლოვან, ძვირფას ტანისამოსში გამოწყობილ შვილებთან ერთად ამაყად იცქირება; სურათების კიდევები შაეროვანი ანგელოზებით მოუხატავთ, ოდნავ ქვემოთ კი წარწერაა „Тифлис“)

იგი გაცეცხული დასცქერის იგავიშუნდომ სიმდიდრეს და ლამის საკუთარ თვალებს არ დაუჯეროს...

ცოტა ხნის შემდეგ კი ნაირ-ნაირი ქსოვილის „თოფებით“, ფქვილით და მარილით, მანამდე თვალთ უნახავი ვერცხლის მონეტებით დატვირთული გლეხი და მისი ნათლიმამა საკუთარ ოჯახებს უბრუნდებიან...

დიდვაჭარი კი გაოგნებული ზის ოქროთი და თვალ-მარგალიტით დაზნექილ მაგიდასთან და ვერც ამჩნევს, როგორ ათენდება თავზე..

...მერე ახალგორს ფაეტონით სტუმრობს ღრმად პატივცემული ექვთიმე თაყაიშვილი და ხეობაში ფოლადის სიმტკიცით ხმიანობს: — განძი ქვეყნისაა და იგი სრულიად საქართველოს ეკუთვნის!! ეს გადანყვეტილება შეუვალა და დამატებით განსჯას (?) არ საჭიროებს!!!

მერე ქვეყანა გადატრიალდება და ისევ თავის ადგილას დადგება. იმხანად „ახალგორის განძი“

უკვე საფრანგეთშია და მცხოვანი ექვთიმეს თავგანწირვით და უფლის შემწეობით ისტორიულ ქართველებს მშვიდობით გამოვიღის, ბოლოს, მოგვიანებით, სხვა სამუზეუმო სიმდიდრესთან ერთად, ისევ საქართველოში ბრუნდება და სახელმწიფო მუზეუმის საცავში იდება ბინას.

.....  
...თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენების პედაგოგიურ ინსტიტუტს გერმანელ მეცნიერთა დელეგაცია სტუმრობს. ქალაქში მათი გიდობის საპატიო მისიას მე მავალეებენ... ჯგუფი ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორებისაგან შედგება და მათ, რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელი „ნდობით აღჭურვილი პირებიც“ ახლავთ. საშვების შემონმების ხანმოკლე პროცედურის შემდეგ საცავში ვართ და ექსკურსიაც იწყება. ერთი ექსპოზიციიდან მეორეში გადავდივართ და მონდომებით ვცდილობ სრულყოფილად მოვუთხრო ჯგუფის წევრებს ჩვენს მუზეუმზე, მის ექსპონატებზე მათ მნიშვნელობაზე. ისევ ადვილს ვიცვლით და აი ისიც — „ახალგორის განძი“. ჯადოსნური შუქი მოდის ექსპოზიციიდან და მეჩვენება, რომ ის სულ სხვანაირია, აქამდე არნახული და განსაკუთრებული... მეცნიერები აღფრთოვანებით ათვალერებენ ნივთებს, მათ წარმოშობაზე, სიძველეზე მსჯელობენ და მოწონების ნიშნად თავს აქნევენ... — დიდებულაია!.. ფასდაუდებელია, განსაკუთრებულია!.. — გაისმის ალტაცებული, ჩურჩულით ნათქვამი სიტყვები. მე შეუმჩნეველად ვდგევარ განათებულ, ცეცხლგამძლე მინით დაფარულ ნიშასთან და პროფესიული ციებ-ცხელებით შეპყრობილ ადამიანებს მივჩერებივარ... მერე, უცებ, გადანყვეტილებას ვიღებ და ხმამაღლა ვაცხადებ: „ღრმად პატივცემულო ბატონებო! მე წარმოშობით ახალგორიდან ვარ და ეს განძი მთლიანად ჩემს დიდ პაპას ეკუთვნოდა!..“

მეცნიერები განძის თვალერებას წყვეტენ და, გაცეცხულები, უხმოდ მომჩერებიან, სახეზე დაბნეულობა და გაუგებრობა ესახებათ; ისევ ვიმორებ ნათქვამს, ამჯერად უფრო გაბედულად და ხმამაღლა: „ეს განძი ჩემი დიდი პაპის საკუთრება იყო!“..

ღმილით ებადრება სახე ხანშიშესულ ვაიმარელ პროფესორს, იცინიან ჯგუფის წევრები და გაცრეცილ ჯინსებში გამოწყობილ, უხერხულად მდგარ სტუდენტ გოგონას ცნობისმოყვარეობით და ახლა უკვე ერთგვარი თავაზიანობით შესცქერიან, შემდეგ კი უხმოდ უკრავენ ტაშს.

— ოოო, ძვირფასო, — ამბობს ბოლოს პროფესორი. — თქვენ თურმე პრინცესა ბრძანდებით და თავად გვიამბეთ თქვენს საგვარეულო სიმდიდრეზე!..

— ბატონო პროფესორო, — ჩემი ხმა უკვე სხვაგვარად ჟღერს, — ეს განძი საქართველოს ეკუთვნის და ბედნიერი ვარ, რომ შემთხვევა მომეცა მომეთხრო თქვენთვის მის ბრწყინვალეობასა და მნიშვნელობაზე!..



ნელ-ნელა ვიკრებ აზრებს; მთელი კვირა აფორიაქებული დავდივარ ინსტიტუტში, შიში მიპყრობს და მოსვენებას არ მაძლევს: ალბათ ჯერ დეკანი გამომიძახებს, მერე სხვაგან დამიბარებენ, მერე კიდევ სხვაგან... და ღმერთმა იცის, რას მოიფიქრებენ, რომელი მხრიდან მოაბამენ ჩემს ნათქვამს ყურს... მერე... მშვიდობით, ინსტიტუტო, განათლებავ და იქნებ სამშობლოც!..

არავის არ გამოვუძახივარ და დროც მშვიდობიანად განაგრძობდა სვლას.. გადავრჩი!..

მას შემდეგ დიდმა დრომ გაიარა...

### მინიახუხა

ანოსთვის ნასაკითხად

ცხელა, ცხელა!.. აგვისტოს პაპანაქებაა.. შეცოტავებული მდინარის ხიდზე ორი პატარა გოგონა მოდის — ასე, ექვსი-შვიდი წლის ასაკის; ხელში ჭილის მსუბუქი ჩანთები უჭირავთ და თავზეც ჭილის ქუდები ახურავთ, მოკლე, ფერადი სარაფნიდან კნაჭა, ეკლიან ბარდებში სირბილით დაკანრული ფეხები მოუჩანთ. ტკაცატკუცით მოხტუნავე კალიებს სუნთქვაშეკრულები არიდებენ თვალს და აჩქარებული, მოუთმენელი ნაბიჯებით მდინარის მეორე ნაპირისკენ მიეშურებიან.

ხიდის ცოტა ქვემოთ, ტოტებგაშლილი ბებერი ხის ძირში, მდინარის ტოტი დაუგუბებიათ და საბანაო მორევი მოუნწყიათ. ორ ცუგრუმელასაც სწორედ იქით მიეჩქარება — მდინარის ცივ ნაკადში საჭყუმპალაოდ; შუადღის აღმურში ყვავილის ფურცლებივით ირხევა ნითელი და მწვანე, მხრებთან გამჭირვალე ბაფთებით შეკრული ხელისგულისოდენა კაბები..

ზურგს უკან ნაბიჯების ხმა და კენჭების ხრამა-ხრუმი ისმის; გოგონებს მხრებსავსე, ღაჟღაჟა ქალი უსწორდება; ქალს ხელში მოზრდილი კალათი უჭირავს, კალათში კი ლაპლაპა, ნითელი ვაშლები მოჩანს, ისეთები, შორიდან რომ მოგანვდენენ თავბრუდამხვევ სურნელს და შეუხებლადაც კი გაგრძობინებენ უგემრიელესი წვენი ჯადოსნურ გემოს... გოგონები თვალს ვერ სწყვეტენ ვაშლებს, ფეხს უფრო უჩქარებენ, სალამურვივით წვრილი, სიფრიფანა ხელებით კალათას შორიდან ეპოტინებიან...

— მოდი, დავენიოთ!.. ახლოს ჩუმად მივიდეთ, და ვაშლები მოვიტაცოთ!.. — ამბობს ნითელკაბიანი, — ერთს მე დავავლებ ხელს, მერე კი, უცებ, შენ მიდი და მეორეც ამოიღე..

— არა, არა.. ერთად მივიდეთ და ჩუმად მოვიტაცოთ, მერე ზურგს უკან დავმალოთ, ვითომც აქ არაფერიაო... და თითისწვერებზე გავიქცეთ...

ვაშლები პრიალებენ, ბზინავენ და ბავშვებს მაგნიტივით იზიდავენ.

— არ შეიძლება — ჩურჩულით ამბობს მწ-

ვანეკაბიანი, — ასე ხომ არ შეიძლება, იქნებ უფრო ახლოს მივიდეთ და ვუთხრათ: — დედა, თუ შეიძლება ერთი ვაშლი მოგვეცით, გთხოვთ!

— ვაიმე, ვაიმე... აი ის, დიდი ნითელი ვაშლი ორივეს გვეყოფოდა!

— მე კი უფრო ლაპლაპა და ფოთლინი მინდა! ქალი შესასვენებლად ჩერდება, კალათს მიწაზე დგამს და სახეს ფართო ხელსახოცით ინმენდს; მერე თბილი, კეთილი ღიმილით მიჩერდება ბავშვებს:

— მოდით გენაცვალეთ, ვაშლი მიირთვიოთ...

გოგონები შეკრთებიან და უკან იხევენ... მორცხვი ღიმილით თავს დაბლა ხრიან.

— მოდით, მოდით... ნუ გრცხვენიათ!

— გმადლობთ — თითქმის ერთხმად ამბობენ ბავშვები, — დიდი მადლობა!

ქალი ყველაზე ლამაზ ვაშლებს იღებს კალათიდან და გოგონებს უწვდის:

— აჰა, პირი გაისველეთ, ნუ გერიდებათ!..

გოგონები ქვემოდან შეჰყურებენ ვაშლებს, ქალს თავს უკრავენ და უკანმოუხედავად გარბიან, მერე ჭილის ქუდით თვალს იჩრდილავენ და გულდანყვეტილები გასცქერიან გზას.

— შენ რატომ არ გამოართვი?

— შენც ხომ გინდოდა... ძალიან გინდოდა!.. — თვალეში ცრემლი უკიაფებს ნითელკაბიანს.

— იმიტომ... იმიტომ, რომ შენ არ გამოართვი...

— ძლივს ერევა თავს ჭილის ქუდს შეფარებული მწვანეკაბიანი და სლუკუნის შეკავებას ცდილობს. ქალი ბილიკით უკვე შემალლებულ ბორცვს დასდგომია. კალათი ნელ-ნელა ეფარება თვალს, ვაშლები კი შორიდან გამოსცქერიან ბავშვებს და მხიარული კისკისით იქაურობას ავსებენ.

გოგონები კი რამდენიმე წამში ისევ საბანაოსკენ გარბიან, თანატოლებს ხელს უქნევენ და შორიდან, მხიარულად ეხმიანებიან.

### ...და მაინც საახალწლო

— დედა!..

ყურმილის მეორე ბოლოში სიჩუმეა.

— დედა!

როგორც იქნა, რალაც აპრიალდა, გატკაცუნდა...

— ქეთინოო!..

დაუფიქრებლად მიყვები სანუკვარ ხმას შორს, ძალიან შორს, მთებში მარგალიტივით ჩასმულ დაბისკენ — იქ, ალვის ხეების შრიალში, ნაძვების მუქ ჩრდილში, ჩემს საყვარელ ადამიანებს, ჩემს ძვირფას ფუძეს ვხედავ; ეზოებს გარეთ ყველას, შორს თუ ახლოს მყოფს, მშობლის ხმა უხმოებს და ეძახის, სახლისაკენ ენევა — მანანა, თამრიკო, დალი, ემა — არ ცხრება ხმა... გინდა მეზობლებს ხელი დაუქნო, ჭიშკარი შეალო და საახალწლო სამზადისში დატრიალდე. ქუჩა სავსეა ხაჭაპურების და ხაბიზგინების სურნელით, მხიარული გადაძახილებით — ჩვენ

ხომ ახალ წელსაც ერთად ვხვდებოდით, ლხინიც ერთი გვექონდა და ჭირიც...

დედა მალე ოთხმოც წელს მიითვლის... დიდხანს იცოცხლე, დედა! ვიცე, შენს ჭერქვეშ ყოფნა მთელი ქვეყნიერების სიმდიდრეს გირჩევნია; ახლაც იმ მცირერიცხოვან ადამიანებს შორის ხარ, ვინც საკუთარ კერას ვერ შელევია, რა ვუყოთ, რომ ქვეყნად ყველაფერი იცვლება და ახლა აქ მხიარული ხმების ნაცვლად გრუხუნის და ლითონის ღრჭიალი ისმის. რა ვუყოთ, რომ დროებით ცხოვრების ბორბალი უკულმა დატრიალდა... ვინ იცის, იქნებ ისევ შემოაღოს კარი ჩურჩხელებით და გოზინაყით ხელდამშვენებულმა მოლიმარმა მეზობელმა, იქნებ ისევ აელვარდეს ფერადი, ტკბილესულით სავსე ლაპლაპა სინები.

— დედა, დედა!..  
— გისმენ, ნუ გემინია, შვილო!.. მეც გილოცავ.

გამაყრუებელი ძახილით უხმობს ქსანი წეროვნის შეფარებულ თავის ჯიშს და მოდგმას.

მომლოდინე თვალებით იყურება ქსნის ციხის იქით ხეობის ადგილის დედა და თავისი შვილები გულში ჩახუტებას ნატრობს.

ჩემი სულის ანდამატი!..  
ჩემი ტკბილი წინაპრების ბუდე და საფლავი.  
ჩემი მოწყენილი ახალგაორი...

## უსათაჰო

*ასე ვარქმევ, რადგანაც უშვილოდ დარჩენილი დედის მწუხარებას სახელი არ აქვს.*

დრო სწრაფად გადის, ადამიანის ცნობიერებაში გამუდმებით ჩნდებიან ახალი ცნებები, შეცვლილი ზნეობრივი ნორმები, ძველს ან სამუდამოდ ივინყებენ, ან კიდევ მესხიერების შორ კუთხეში მიუჩენენ ხოლმე ადგილს. ალბათ სწორედ ამ დროს ხდება გაუგებარი, შეუსაბამო მოვლენები, რომლებიც ვერ აგისხნია; ერთი კი ნათელია — ის მავანთ და მავანთ აძლევთ ხელს. მაშ, რატომ არის, რომ ქვეყანაში, რომელმაც არც ისე დიდი ხნის წინ საკუთარ თავზე იწვინია ხაკისფერი ჭირის სისასტიკე და საშინელება, ფაშიზმი აღდგა, და ეს ისე გაბედულად, ისე დაუფარავად ხდება, რომ მალე ჩირაღდნებით ავად განათებული შავხალათიანების კოლონები ცენტრალურ ქუჩებშიც გამართავენ მსვლელობას; ქვეყანა აავსო თავგადაპარსულების პარპაშმა, ბოროტად აკვესებენ თვალებს მძიმე, დაკბილულძირიანი ჩექმებით „შეიარაღებული“ ახალგაზრდები..

— შეაჩერეთ! ვინ ხართ გონიერი!!

პასუხი არ ისმის... და პატარა დაბასაც სწვდება მათი ცოფიანი შეძახილები, ავი გუგუნის და მუშტების ბოროტი ბავუნის...

ცრემლში იხრჩობა ახალგაორი...

მაშინაც ჩვეულებრივი ღამე იდგა — კომპიუტერები ზუზუნებდნენ, დაბალ ხმაზე ჩართული

ტელევიზორი უყურადღებოდ მიეტოვებინათ. დასასვენებლად ემზადებოდა მთელი დღის ორომტრიალით დაქანცული ოჯახი; გარეთ მეგაპოლისი ბორგავდა და გუგუნებდა, განათებული ვიტრინებით, გაჩირაღდებული პროსპექტებით, მანქანების უღვევი ნაკადით და განთქმული „საცობებით“.

ღამის სიჩუმეს ტელეფონის ზარი არღვევს; ყურმილში ჩემი მეგობრის აღელვებული ხმა მესმის:

— არ მოსულა... ისიც არ ვიცე სად არის... ამათ ვერაფერი ვათქმევინე... იქნებ მოხვიდეთ. იქნებ მომეხმაროთ!..

ველარ ვიხსენებ, როგორ აღმოვჩნდით ქალაქის მეორე ბოლოში. აი, მათი აივანიც, ღამის სიშავეში ჩემი მეგობრის სილუეტი ილანდება, წრიალებს და სიბნელეს უნუგემოდ გასცქერის. ღმერთო, რა ხდება! კარებში სისხლგამშრალი მამა ჩამდგარა. კუთხეში კედელს აპკვრია ხელეზამომშვებელი დედის ძმა, თავი ჩაულუნავს, აჩრდილს დამსგავსებია კაცი! გმინავს და ოხრავს ელდით დაზაფრულ ჭერქვეშ უსაშველო ღამე და არ მოდის სიტყვა, გლოვად ქცეული დედისთვის სათქმელი...

მერე ზარებია. განუწყვეტილ რეკავს ტელეფონი... ზუზუნებენ კამერები... სხვადასხვა არხები დანვრილებით კითხულობენ დეტალებს და მაინც უმოწყალოდ ამახინჯებენ მომხდარს... მომწეთა ერთი ნაწილი ერთს ამბობს, სხვა — მეორეს, მაგრამ მკვლევები „უკვალოდ ქრებიან.“

თითქოს კაპიუშონიანმა ლანდმა ჩამოიქროლა და თან წაიყოლა უზარმაზარი ქალაქის ერთი პატარა უბნის ლაზათი და მშვენება, მუდამ საქართველოზე მეოცნებე ბიჭი! უეცრად, უდროოდ დაადგა უსასრულო გზას ქართველი ვაჟკაცი და თან ოცდასამი მზიანი, ქართული ღირსებით სავსე შემოდგომა წაიყოლა, წლების მანძილზე თბილ, კაცურ ხელისგულებში ნაფერები და ნასათუთევი.

მამა ამბობს, ბოლოს მე ჩაუხედე დიძას თვალებში. მერე ყველაფერი დამთავრდა და მხოლოდ ერთი, მთელი ქვეყნიერების ვარამის დამტევი ფრაზა დარჩა:

— დედაშენს რა ვუთხრა, შვილო!...

დეკემბრის ქარბუქი და მდულარე ცრემლი მიაცილებს ცივი ქვეყნის ყინვით მოკრიალებულ ცაში სამშობლოსკენ უჩვეულოდ მიმავალ, ერთმანეთის უზომოდ მოყვარულ დედა-შვილს. მშობლიურ დაბაში, ღვთისმშობლის ეკლესიის ზემოთ პატარა ფერდობია და ახლა აქედან შემოგვცქერის მონატრებულებს, ძვირფას მარმარილოში არეკლილი უმშვენიერესი ვაჟკაცის სხივიანი სახე... და თუ უთქვამთ, „დედის ნატირალზე ია ამოდისო“, ამ მარმარილოსთან ხავერდით მოხასხასე ლურჯი იებიც ჩემი ბავშვობის მეგობრის უნუგემო ცრემლია...

დაბის შესასვლელთან სამხედრო საბაჟო პოსტია!

ადრე ამ ადგილს „ხერგილს“ ეძახდნენ (ხომ ზუსტად ასეა: ქართული „ხერგილი“ და არა „შლაგბაუმი“). ახლა აქ დაუდგია თვალუნვდენელ ქვეყანას თავისი სამანი — დედაქალაქიდან სულ რაღაც ორმოცდაათი კილომეტრის მანძილზე.

მოძველებული სამარშრუტო ტაქსი აქ ჩერდება; იქიდან ახალგორის მცხოვრებლები გადმოდიან და „სახლვართან“ ჩუმად დგებიან — ხელში საბუთებით და ყელში გაჩრილი ბურთით, უცხო კილოზე გაცემულ განკარგულებას ელოდებიან...

მათ შორის ერთი შავებით მოსილი სანდომიანი სახის ქალბატონიცაა, გაფითრებული სახით და უძირო ნაღველით თვალებში...

— ადამიანებო, გთხოვთ ნუ გადაეღობებით მას! შეუჩერებლად გააგრძელოს მძიმე სავალი!.. ის შვილის სამყოფელთან მიდის...

### იხმები

...ახლაც მრავალსართულიანი სახლის ერთ-ერთ ფანჯარასთან იჯდა და გარემოს გაჰყურებდა. შეუჩერებლად თოვდა, ცივი ქარიც უბერავდა და ფიფქებს ფანჯრის მინას აყრიდა — იქვე იყინებოდნენ და გამჭვირვალე ზედაპირზე ნაირნაირ ნახატებად ისახებოდნენ... ახალი თითქოს არაფერი ხდებოდა, მაგრამ ყოველდღიური ცვლილებების თვალყურის დევნება მაინც იზიდავდა მნახველს — სახლს გარს მშენებარე რაიონი ეკრა: ყველგან ამწეების „ტყე“ მოჩანდა, სამშენებლო ტექნიკა გამუდმებით თუხთუხებდა, თითქოს მინიდან ამოდიოდნენ სართულები — ნვიშაში, თოვამში, ქარში, შეუნელებელი ტემპით მშენებარე ახალი რაიონი „კოსმიურ ქალაქს“ ემსგავსებოდა. „KPOCT“ „KROST“ ამაყად იუნყებოდა კონცერნის ყველგან მყოფი წარწერა, სამკუთხედში ჩასმული, თავმოძნონე ლეობლით, რომელიც შებინდებისთანავე მწვანე ნეონით აელვარდებოდა ხოლმე.

ქვემოთ სკვერი მოჩანდა. მიწის ეს პატარა მონაკვეთი ჯერ კიდევ ხელშეუხებელი დარჩენილიყო. კონცერნის მესვეურები, არქიტექტორები და დიზაინერები, რაღაც მოსაზრებით (და ალბათ დროებით), თვალს არიდებდნენ პატარა ბაღს... აქვე გაშიშვლებული, დათოვლილი ხეების ტოტები ძლივძლივობით ფარავდნენ ჯერ კიდევ „უძრობის პერიოდში“ აშენებული კინოთეატრის დაბალ, უღიმღამო შენობას, ხმაურიანი სახელწოდებით „პატრიოტი“, რომელიც ამ გამალეზული მშენებლობის ფონზე მეტისმეტად უბადრუკად გამოიყოფებოდა. საოცარია, მაგრამ ამ, ყველასგან მივიწყებულ, „პატრიოტს“, მშვენიერი ბალი ერტყა — მოვლილი, დეკორატიული ბუჩქებით და მრავალწლიანი, ტოტებგაშლილი ხეებით; ახლა ყველაფერი თოვლში იყო ჩაფლული და ლამპიონების მოციმციმე შუქით განათებული პატარა სკვერი ზღაპრული ცხოველებით სავსე ბაღს ჰგავდა.

...მაშინაც დიდი ზამთარი იდგა. ოქტომბრის შუა რიცხვებში დაიწყო თოვა და მას მერე ცას პირი აღარ შეუკრავს — ხან ფართო ფანტელებით ბარდნიდა, ხან ირიბად, ალმაცურად ნამოუშენდა ხოლმე: ირგვლივ ყველაფერი გადათეთრდა, საითაც გაიხედავდი, თვალის განვდენაზე, ყველგან ათასი გაკვალული ბილიკი მიემართებოდა — ერთი სახლიდან მეზობელ სახლამდე, შორს თუ უფრო ახლოს, მოზრდილი თუ პანანინა ნაფეხურები მალევე იფარებოდნენ შრიალა ფიფქებით... დროდადრო ხეობაში მისასვლელი გზებიც კი იკეტებოდა ხოლმე ნამქერებისაგან... დაბაში უჩვეულო და თანაც მიმზიდველი ცხოვრება დაიწყო. დიდთოვლობა უფრო მეტად ბავშვებს მოსწონდათ — სასრიალოდ უკეთესს ვერაფერს ინატრებდი... იქაურობაც ნელ-ნელა საახალწლო ღია ბარათებზე დახატულ სურათს ემსგავსებოდა.

დიდი, ვერცხლისფერაივნიანი სახლი ფაფუკთოვლს დაეფარა. ერთ ფანჯარაში უკვე სინათლე აენთოთ და იქიდან ფანჯრის ფართო რაფაზე ჩამომსხდარი ბიჭი და გოგო ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ ხის ტოტებზე მოფრთხილავ ბელურებს. ბიჭს ცხვირი ფანჯრის მინაზე მიეჭყლიტა და ჩიტებს გულმოდგინედ ითვლიდა, მერე ფიფქების თვლა დაიწყო, თუმცა ესეც მალე მობეზრდა და ის იყო რაფიდან ჩამოსრიალებას აპირებდა, რომ ჭიშკართან „ვილისი“ გაჩერდა, იქიდან მამა და მძლოლი გადმოვიდნენ, მანქანის უკან ტენტი გახსნეს და... გაოცებისგან სულშეგუბებულმა ბავშვებმა ერთხანს ხმის ამოღებაც ვერ მოახერხეს, მერე კი სიხარულისაგან ხმამაღლა შეჰყვირეს: მანქანის ძარაზე ორი პატარა შვლის ნუკრი ერთმანეთს მიჰკვროდა, წვრილ, აკანკალებულ ფეხებზე იდგნენ, მოკლე, ერთი ციციქნა კუდები აეპრიხათ და მიშჩამდგარი თვალებით აქეთ-იქით იყურებოდნენ.

ბიჭი და გოგო თვალის დახამხამებაში ეზოში გაჩნდნენ — ხან იხვენებოდნენ, ზურგზე ხელს გადავუსვამთო, ხან — კამფეტებს ვაჭმევთ, ხომ შეიძლებაო... ამასობაში ბაღის ერთი ნაწილი მავთულის ბადით შეღობეს — ესეც ჩვენი ახალი ბინადრების სადგომიო, — თქვა პაპამ და ქლიავის ხის ძირში თოვა სქლად გაშალა. მამა კი ჰყვებოდა: ასეთ დიდთოვლობაში ცხოველებს ძალიან უჭირთ და ჩვენ ვეხმარებით, როგორც შეგვიძლიაო; ამ დილითაც, თურმე, ტყის პირას მიდიოდნენ და ადგილ-ადგილ ქვამარილს ტოვებდნენ, ბაღახი აღარსად ჩანს და ირმები მარილს მაინც ალოკავენ, მადლიაო. ჰოდა, სწორედ ამ დროს ტყიდან ორი დამფრთხალი ნუკრი გამოხტა, პირდაპირ მანქანის სავალ ნაწილზე გაჩერდნენ (ალბათ, მშვენიერ მგლებს გამოექცნენ), აღარც წინ მიდიოდნენ და აღარც უკან, იდგნენ, და ცახცახებდნენო. მამამ და მძლოლმა ისლა მოახერხეს, რომ ნუკრები იქაურობას მოაშორეს (ჰო, მერე თოფიც გაუსვრიათ, ისე, ყოველი შემთხვევისთვის) და მანქანით აქ ჩამოიყვანეს. „ისე იყვნენ შეშინებულები, მთელი გზა არ განძრეუ-

ლან, ასე, ერთმანეთს მიხუტებულები იდგნენო”, — ამბობდა მძლოლი.

— აქ გამოიზამთრებენ, — თქვა მამამ, — მერე კი ისევ თავის ტყეში, დედასთან დავაბრუნებთ.

ბავშვებმა ამის გაგონებაზე ერთმანეთს ბედნიერი ლიმილით გადახედეს. მხოლოდ ბებომ ჩაილაპარაკა უკმაყოფილოდ, — რაღა გვიჭირს... ესენი მაკლდნენ, კიდეც, მოსავლელადო!

სულ უმცროსი ძმა კი ჯერ ძალიან პატარა იყო, ხელები დედისთვის შემოეხვია კისერზე და საერთო ორომტრიალში მონაწილეობას არ იღებდა.

ისევ გადაუღებლად თოვდა. ბალის ახალი ბინადრები ნელ-ნელა ეჩვეოდნენ გარემოს. პირველად წყალი მოსვეს, მერე ქვამარილი ალოკეს; დიდი, დამფრთხალი თვალებით აქეთ-იქით იყურებოდნენ და გაუბედავი ნაბიჯებით უფლიდნენ გარს სადგომს; დათოვლილ ბუჩქებს, ბადეს, ღობეებს ხშირ-ხშირად ყნოსავდნენ, ზოგჯერ ყურებს ისე აცქვეტდნენ, თითქოს შორეულ ხმებს აყურადებნენ. შუადღემ რომ მოატანა, ქუჩიდან, მოულოდნელად, მხიარული ხმები და შეძახილები გაისმა. ხმაური ნელ-ნელა ახლოვდებოდა — ჭიშკარს გოგო და ბიჭი მოადგნენ, მათ უკან კი ლამის მთელი სკოლის მოსწავლეებს მოეყარათ თავი და ტყუილ-მართალის გასარკვევად დაძმის სახლისკენ მოეშურებოდნენ..

— ირმები... ბაღში არიანო!.. ვნახოთ, რა, ვნახოთ!.. — გაისმოდა მხიარული შეძახილები და როცა ბიჭმა და გოგომ ჭიშკარი გააღეს, მათმა ყიჟინამ იქაურობა გააყრუა. მთელი ეზო ჩანთიანი მოსწავლეებით აივსო — მესერზე აცოცდნენ, კიბეებზე მოკალათდნენ, მოაჯირებზეც დასხდნენ. დიდხანს, დიდხანს უყურებდნენ ნუკრებს, შორიდან ეფერებოდნენ, სახელებს უძახდნენ... მოსალამოვდა, მაგრამ შინ დაბრუნებას არავინ ჩქარობდა. ცხოველების ამბავი ელვის სისწრაფით „გავრცელდა“ — მშობლები განუწყვეტილად რეკავდნენ ან თვითონვე მოდიოდნენ და შეილეს „ირმებიან“ ეზოში ეძებდნენ... ამის შემდეგ დიდი „სტუმრიანობა“ აღარ შეწყვეტილა: ვის პური მოჰქონდა, ვის — კამფეტები, ვის — თივა და ჩალა. ბიჭი და გოგო „მკაცრად“ ადევნებდნენ თვალ-ყურს მნახველებს: ეს შეიძლებაო, ეს არ შეიძლებაო, „ბაკუნა“ და „რქება“ დაილაღნენო (ასე დაარქვეს შვლის ნუკრებს), მშობლები რეკავენ და გეძებენო... ახლა, უკვე, ბავშვების ყოველდღიური გზა ნუკრების სადგომზე „გადიოდა“. ისინიც მიეჩვივნენ მათ და ხმაურზე მოფარებულ ადგილებს აღარ ეტანებოდნენ, პირიქით — დრუნჩებს უწვდიდნენ და მხიარულად დაკუნტრუშობდნენ...

...ოღონდ ერთი პატარა ბიჭი იყო... ცოტა არ იყოს, უცნაურად იქცეოდა: მოვიდოდა, დადგებოდა ხოლმე ჭიშკართან, ხელში თივით სავსე პატარა პარკი ეჭირა და ჯიბეებიც თივით გამოეტენა... იდგა და იდგა ასე!.. რამდენჯერ უთხრეს, — შემოდი, შვილოო. კარები გააღე და შემოდი, როგორც სხვები შემოდიან, ისეო, ნუ გერიდე-

ბაო!.. არა და არა! ასე იდგა, მოთმინებით... თოვდა თუ ყინავდა, ფეხს არ მოიცვლიდა, შეპატიუებას ელოდებოდა... ხანდახან მეზობლები დაუძახებდნენ ან დარეკავდნენ ოჯახში: გარეთ ოთარაანთ ბიჭი დგას და გამოხედეთო!.. გაუღებდნენ კარებს და დინჯად შემოვიდოდა; მერე ცხოველებთან შესვლის ნებაც დართეს — აქაც ნაბიჯს არ აუჩქარებდა, ტურის კუთხეებში უსაზღვრო, დაუოკებელ სიხარულს ჩამალავდა და ცხოველებს ხელს ფრთხილად, მორიდებით გადაუსვამდა, ჯერ ზურგზე, მერე რქებზე მოეფერებოდა. ისე მიეჩვივნენ... ის ბიჭი სულ ეზოს გარეთ ეგულებოდათ... მართლაც, დიდი უცნაური ვინმე იყო!..

დღეები დღეებს მისდევდა და ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ პატარა, დამფრთხალი ცხოველები მოლონიერდნენ, ბენვი ვერცხლისფრად აუბზინდათ, ხალები ჩაუმუქდათ და აულაპლაპდათ, რქები კიდეც უფრო ამოეზარდათ; ერთმანეთს კუნტრუშით დასდევდნენ და აღარც მომსვლელებს უფრთხოდნენ. თივაც მეტი სჭირდებოდათ და ქვამარილსაც უფრო და უფრო ხშირად უმატებდნენ ხოლმე.

ახალი წელი რომ მოახლოვდა, ბავშვები ბიძაშვილებს შეეხმინენ თბილისში — ჩამოდით და ნახეთ, ეზოში როგორი ირმები გვყვავსო! — ზოოპარკიო? — არა, ზოოპარკი კი არა, ჩვენი ირმებია, „ბაკუნა“ და „რქებაო“, ჩვენ ვუვლით და ვზრდით, ჩვენია, და თუ არ გჯერათ, ჩამოდით და თვითონ დარწმუნდებითო. მათაც ბევრი აღარ დაუგვიანიათ — საახალწლოდ ეზოს ბიძაც მოადგა თეთრი, თოვლისფერი მანქანით... ახლა მათი გაცოცება უნდა გენახათ: „ვფიქრობდით, ბავშვები „ფანტაზიორობენო“... მართლა ირმები არ გყოლიათო!.. ეს რა ლამაზები და მშვენიერები არიან, აქაურობას როგორ აღამაზებენო!.. — მერე აივანთან ახლოს მაყალზე მწვადები შეწვეს, მამამ ღვინით სავსე ქვევრს თავი მოხადა და პატარა სუფრაც გაიშალა: ახალი წელი დალოცეს, ოჯახები ადღეგრძელეს... მერე — ბავშვებს გაუმარჯოთ, აქაურობას რომ სიხარულით ავსებენო, საქართველოს ბუნებას, ტყეს და მინდორ-ველს გაუმარჯოს, თავისი ბინადრებით! დალოცვილი ყოფილიყოს ჩვენი ქვეყანაო. დიდხანს, დიდხანს იდგნენ და ირმების ყურებით ტკბებოდნენ... შემდეგ, როცა კარგად შეღამდა და დიდ სახლშიც სიჩუმემ დაისადგურა, მამა კიდეც ერთხელ გამოვიდა ეზოში — ჭიშკარს დავხედავო, და სანამ კარებს ჩარაზავდა, ქუჩაში გაიხედა და იქაურობა ყურადღებით მოათვალიერა, თუმცა სიმართლე რომ ითქვას, ამ დაბაში ღამით კარებს არავინ კეტავდა, მხოლოდ ათასში ერთხელ — ისიც, თუ შემთხვევით გაახსენდებოდა ვინმეს.

ჯერ „თებერვლის წყალი ჩადგა ხეში“ და ფიფქების კორიანტელმაც იკლო, მერე მარტის მზემ მოუხშირა ღრუბლებიდან გამონათებას. გაზაფხული ძალაში შედიოდა. თოვლი დადნა და პატარა, ნვრილ რუებად დაიწყო დენა. „ბაკუნას“

და „რქებას“ თეთრი სადგომი ატალახდა, ჩლიქების ქვეშ თიხისფრად აიზილა; თვითონ მათ ხომ ველარც იცნობდით — გაიზარდნენ, კისრები მოემშვილდათ, რქები დაეტოტათ, მაღალ, ღონიერ ფეხებზე დადგნენ... იქაურობა, აშკარა იყო, აღარ ჰყოფნიდათ; მოუსვენრობა შესჩენდათ, აქეთ-იქით აწყდებოდნენ, ხანდახან კი ისეთი ძალით ეჯახებოდნენ მავთულის ბადეს, რომ დედას შიშისაგან გული გადაუქანდებოდა ხოლმე. ბებო ისევ ბუზღუნებდა: რაც ლამაზი ვარდის ბუჩქები მქონდა ბაღის გაყოლებაზე, სულ ძირიანად შემიჭამეს თქვენმა „ბაკუნებმა!“

ერთ დღესაც, ბავშვებს უთხრეს, სკოლიდან ცოტა ადრე მოდით და ირმებს დაემშვიდობეთ, ისევ ტყეში უნდა დავაბრუნოთ, რა ხანია, დედა ელოდებათო!

ჰოდა, ისინიც ცოტა ადრე მოვიდნენ. თვალები აუწყლიანდათ, მაგრამ თავი მაინც „ღირსეულად“ ეჭირათ, „ბაკუნას“ და „რქებას“ მოეფერნენ. აბზინებულ ზურგზე, რქებზე ხელი გადააუსვეს, თვალელებშიც ჩახედეს... ირმები გარინდებულები იდგნენ... მათი მოუსვენრობა სადღაც გამქრალიყო... ერთი კი იყო, თავები მაღლა აენიათ და ყურები აეცქვიტათ, თითქოს რაღაცას აყურადებენო... ნესტოები დაჰბერვოდათ და განუწყვეტლივ უთრთოდათ. ნელი, დინჯი ნაბიჯით გამოვიდნენ ბაღეახსნილი სადგომიდან, საბარგო მანქანასთან ოდნავ შეყოვნდნენ, მერე კი, თითქმის დაუხმარებლად, ერთი სკუპით შეხტნენ მანქანის ძარაზე და ისევ ისე გაირინდნენ... საბარგო მანქანა ნელ-ნელა დაიძრა. გოგო და ბიჭი დიდხანს იქნევდნენ ხელს. მანქანის უკანა კარზე მიხატული დიდი, თეთრი ციფრები თანდათან გაბაცდა... ახლა მხოლოდ ირმების დატოტვილი რქები მოჩანდნენ შორიდან. მერე ისინიც მიეფარნენ თვალს..

პირველ ხანებში ეზო მოწყენილი და დაცარიელებული გამოიყურებოდა, ბავშვების ჟივილხივილს მიჩვეულ ყურსაც ეხამუშებოდა ეს სიჩუმე, მაგრამ ახლა უკვე თვითონ გაზაფხული ხმიანობდა, უკვე ის მღეროდა თავის სიმღერას. ბაღში მინა დაამუშავეს. ირმების ჩლიქების კვალიც აღარსად ჩანდა.

მამამ ვარდების ახალი ნერგები მოიტანა და ბებო დააიმედა — ესენი იმ ძველებს ბევრად სჯობიაო. პატარა ორმოები ამოთხარეს და ნერგები ისევ მესრის გაყოლებაზე ჩარგეს. „იყო და არა იყო რაო“ — მრავალმნიშვნელოვნად იტყოდა ხოლმე პაპა, როცა დაცარიელებულ „სადგომს“ გადახედავდა...

გოგოს და ბიჭს კი ისევ ირმებისკენ ჰქონდათ გული და გონება (ასე ამბობდა ხოლმე ბებო). თოვლის ბოლომდე დადნობას ელოდნენ, გზების გაკვალვას და გაშრობას, რადგანაც მამა დაჰპირდათ, ნაგიყვანთ და იმ ტყეს გაჩვენებთ, სადაც ახლა თქვენი ქორბუდა ირმები დედასთან ერთად დანავარდობენო. აუცილებლად ნაგიყვანთ და გაჩვენებთ, როცა გაზაფხული კიდევ უფრო მეტად ძალაში შევაო.

შუალამე უკვე კარგად გადასულიყო. საცხოვრებელ სახლებში ერთიმეორის მიყოლებით ქრებოდა სინათლეები, მხოლოდ მშენებარე ცათამბჯენის ფერადი, გასწვრივი ნეონები ციმციმიბდნენ სიბნელეში. სახლში ღრმა, შუალამის სიჩუმე ჩამონოლილიყო. ყინულით მოჭიქულ მინაზე მხოლოდ გვიანობას შეჩენილი სილუეტები ირეკლებოდა; მერე ისიც ოთახის სიღრმეს შეერია, თუმცა ბავშვობაში შეძენილ ჩვეულებას ვერც ახლა უღალატა და ვიდრე სინათლეს გამორთავდა, შემოსაზღვრული ეზოს ბოლოში, წითელი ნათურებით განათებულ „შლაგბაუმს“ იქით ჩაგუბებულ სიბნელეს კიდევ ერთხელ დაკვირვების თვალთ გახედდა.

### შხავეჩი საში

როდესაც გრძელი, თოვლიან-ყინვიანი ზამთარი ნელში გადატყდება, როცა შენი მყუდრო ბინის ფანჯრებს მზის სხივების ანარეკლი თვალისმომჭრელი ღიმილით გაანათებს, გრძნობ, რომ ისე აღარ მიგინევს გული ჩაკეტილი სივრცისკენ, აღარც მომთენთავს, დაგუბებული სითბო გიზიდავს ძველებურად; ყოველი ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა მოახლოებული საზაფხულო ფუსფუსი; მედია, ტურისტული ბიუროები — ახალი სარეკლამო ბლოკებით, ხმაურიანი განცხადებებით, ფართომასშტაბიანი, გრანდიოზული საგამოფენო ღონისძიებებით — ზამთარგამოვლილ, დაქანცულ ადამიანებს სულის მოსათქმელად ინვევენ, უცხო, ეგზოტიკურ ქვეყნებში ეპატიუებიან; უყურებ ამ შინაარსის ნაირნაირ ექსპოზიციებთან გაჭიმულ რიგებს და როცა ამ რიგში ჩამწკრივებულ ჩანთებს, საკვოიაჟებს და ბორბლებიან ჩემოდნებს შეავლებ თვალს, პირველ ხანებში ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს ყველაფერი სათანადო „ლიტერატურისთვისა“ განკუთვნილი, განსაკუთრებული „ბარგის“ — ტურისტული კატალოგების, ბუკლეტების, პროსპექტებისათვის, ათასგვარი, ფერად-ფერადი ფოტოებით აჭრელებული ფურცლებისათვის, რომლებშიც ადამიანის სამომავლო გეგმები, ოცნებები (რატომაც არა) და ჯანმრთელობაც კი მოქცეულა; ფერად-ფერად, გლუვ და მბრწყინავ ფურცლებზე დაბეჭდილ რუკების რიცხვს ხომ დასასრული არ უჩანს — მთელი დედამინა გზების ნაირფერი ქსელით დაქსელილა; წითელი, ლურჯი, ოქროსფერი, ყვითელი, მწვანე... თვითმფრინავები, საავტომობილო გზატკეცილები, საწყლო-სანაოსნო გზები სასურველ ადგილამდე უსაფრთხო, კომფორტულ მგზავრობას გპირდებიან — ოკეანის უსაზღვრო ნაპირებამდე, პალმების ქვეშ გაშენებულ ოტელებამდე, მანამდე თვალთ უნახავ, მხოლოდ წიგნში ნაკითხულ და ზღაპრად გაგონილ შორეულ სახელმწიფოებამდე; ამოირჩიე, სულო და გულო, სად, როდის და რა საშუალებებით გნებავს მგზავრობა. ამიტომაცაა, რომ შესაბამისი ლიტერატურით

იძეგება ჩანთები, განსაკუთრებული დატვირთვით მუშაობენ კომპიუტერები. ამ დროს ქვეყანა საზაფხულო აჟიოტაჟითაა ატანილი და არავის აზრად არ მოუვა თავში თქვას, რომ ეს ყველაფერი გაუგებარია ანდა ზედმეტი!..

ეს — სულის მოთქმაა, ცალკე არსებული სამყარო — ადამიანების გასაოცებლად და გასახარად, ხელისგულზე შემოთავაზებული!

შენ კი ამ დროს შენს წინ გაშლილ, გზებით დაქსელილ და მასშტაბში მოქცეულ დედამიწის ზურგს დასჩერებიხარ იმ იმედით, რომ იქნებ იპოვო უწყვეტი გზა — პუნქტირით, შტრიხებით, წერტილებით, ბოლოს და ბოლოს, აღნიშვნის ნებისმიერი ფორმით გამოსახული, რომელიც ამ აფერადებულ, დაქსელილ რუკაზე უიმედოდ გამქრალა, უვადოდ დაკარგულა.. შენთვის ახლა ის შორეთია მთავარი, რადგან იქ ხარ საჭირო... ახლა იქ ყოფნა — შენი ვალია!

საქმეც იმაშია, რომ რჩევისა და ფიქრისათვის ძალიან მცირე დროა, არჩევანიც — მეტისმეტად შეზღუდული. ერთ ღამეს, როგორც იქნება, უცხო ქვეყნის აეროპორტში გაატარებ; 12 საათის განმავლობაში, შემდეგ რეისამდე, მოსაცდელ დარბაზში იყურეუტებ; — სამაგიეროდ, ამის შემდეგ, უკვე ადგილზე ხარ!

მხარზე გადაკიდებული ჩანთით, აჩქარებული ნაბიჯებით ვიტოვებ უკან მოზიშვიმე დარბაზს და მეტალის ვერცხლისფერ ბილიკს, აღარც დიქტორის გაურკვეველი და ხრინწიანი ბგერებით გადმოცემული ინფორმაცია კანრავს სმენას (ნეტავ როგორ ახერხებენ ერთნაირი „ეფექტის“ მიღწევას ეს სამსახურები!). ამის შემდეგ კი თავს მშვიდ, შედარებით მყუდრო ატმოსფეროში დაიგულე. ესეც ასე! საგულდაგულოდ მომარაგებული ბულვარული პრესა ჯერჯერობით არ მჭირდება (როგორმე ხომ უნდა მოკლა დრო!), „ჯეკობ ტოდიც“ „ისვენებს“ (წამოსვლის წინ მოვიმარაგე საკითხავად — მთელი ჩანთა „პერიოდიკითა“ სავსე, ეს რომანი კი — ახალი გამოცემაა, თარგმანიც — შესანიშნავი).

ჯერ კიდევ ჰაერში აფრენამდე გავიფიქრე, ჩემს გვერდით მჯდომ ქალბატონს რა ნაცნობი სახე აქვს-მეთქი, მაგრამ მერე ილუმინატორიდან დანახულ ცას ველარ მოგწყვიტე თვალი — ათასნაირი ღრუბლების გარემოცვაში მივფრინავდით: დაძენილი, გაფანტული, ქულა, ფთილა... თურმე რამდენნაირი შეიძლება იყოს... ღრუბლებს ქვემოთ ჯერ ნაცრისფერი, მქისე ჰაერის ტბორი მოჩანდა, შემდეგ იგი თანდათან, შეუმჩნევლად დამსუბუქდა და მოცისფრო ატმოსფეროში გაიფანტა.

— უკაცრავად, თუ შეიძლება, ჩანთას თაროზე დავდებ, — უბრალოდ და ბუნებრივად გაისმის თბილი, ხავერდოვანი ხმა და ისევე თვითმფრინავის სალონში „გბრუნდება“. ჩემს თანამგზავს თანხმობის ნიშნად თავს ვუქნევ და მერე ყველაფერი თავისი გზით მიდის: უცხოობის შეგრძნება უკვალოდ ქრება — წლების განმავლობაში ერთი ცის ქვეშ მცხოვრები ადამიანები

აქ ვხვდებით ერთმანეთს... უამრავი სიტყვა ჩნდება — ნაცნობი უბნები, დიდი ხნის უნახავი ადამიანები. მონატრებული ქუჩები...

— რამდენ ხანს დარჩებით თბილისში? — ვეკითხები ჩემს თანამგზავს, რადგანაც ვიცი, რა ძნელია ქალაქში გაჩერება, როცა იქ აგვისტოს ხვატი დატრიალდება; დაბარგული მანქანების უწყვეტი მწკრივებიც მახსენდება, ამ დროს ქალაქიდან ყველა მიმართულებით რომ გაიბანრება ხოლმე...

— მხოლოდ რამდენიმე დღე. მერე კი აგარაკზე მივდივარ, ახალგაორში.

გაოცებას ვერ ვმაღავ. ჩემს ახლად გაცნობილ თანამგზავს, როგორც „ათას ერთი ღამის“ ზღაპრიდან გადმოსულ პერსონაჟს, ისე შევცქერი და ხელახლა ვეკითხები:

— ს... სად მიდიხართ?.. დასასვენებლად?.. ე. ი. ს... სად მიდიხართ.. აგარაკზე?..

რა თქმა უნდა, — უყოყმანოდ, ისევე იმასვე იმეორებს და უფრო ზუსტად, ჩემი სახლის მოპირდაპირე, მაღალი მთის ფერდობზე შეფენილ პატარა სოფელს მისახელებს.

— მეც... მეც იქ მივდივარ... — ახლა მისი გაოცების ჯერი დგება. — ...დიახ, დიახ... წარმოშობით მეც იქიდან ვახლავართ!.. ...ვიცი თუ არა?.. როგორ არ ვიცი!.. დილაობით, სულ პირველად, ჩემი ფანჯრიდან ის ფერდობი მოჩანს ხოლმე; ჩემი დილა იმ მზით განათებული ფერდობით იწყებოდა და საღამოც, პირველად, იქ მოიპარებოდა ხოლმე... ყოველთვის მიკვირდა, როგორ ხდებოდა ასე — ეს ადგილი დღის ნებისმიერ დროს, მზის სხივებში იყო გახვეული — მისი ოქროსფერი, მენამული, ალისფერი ფერადები ჩემს თვალწინ ენაცვლებოდნენ ხოლმე ერთმანეთს...

სალონში დატრიალებული შავი ყავის არომატი საუბარს გვანწყვეტინებს; შავგვრემანი გამცილებელი მორიდებულად გვთავაზობს უალკოჰოლო სასმელებს, უკან კი მას პატარა, ლურჯი კონტეინერებით დატვირთული ურიკა მოჰყვება; მგზავრებს შორის აშკარა გამოცოცხლებაა, ჩემს გვერდით მჯდომი, სამხრეთის მზით ბრინჯაოსფრად სახეგარუჯული მამაკაცი ლალისფრად მოელვარე ბრონეულებს გვთავაზობს... მე კი ერთი სული მაქვს, ისე მინდა საუბრის გაგრძელება... გმირულად ვამბობთ უარს ბრონეულებზე და ჩვენს თეთრ, საზაფხულო სამოსზე ვიხედებით.

...ჰოდა, გამოდის, რომ ჩვენ ახლაც, წლების განმავლობაში, ერთი და იმავე მრავალმილიონიან ქალაქში ვცხოვრობთ; ახლად გაცნობილი ქალბატონი ექიმი-კარდიოლოგია და წარმატებული სპეციალისტი... და როგორღაც, ერთ და იმავე რიცხვში, ერთ და იმავე რეისზე, ერთმანეთის გვერდით აგვილია თვითმფრინავის ბილეთი; ჰაერში ვხვდებით და ვეცნობით ერთმანეთს, ერთმანეთის გვერდით ვსხედვართ და ვბაასობთ...

.....

ტრაპზე აგვისტოს აღმურმა და პაპანაქებამ აგვიჩინა სახე. ასეთი მხურვალე და მშრალი ქარი აღბათ კასპის მარილიანი ზღვის სუნთქვაა, ანდა უდაბნოდან წამოსული ხვატი; მთავარი კი ის არის, რომ მოსაცდელ დარბაზებში შესანიშნავი ვენტილაციაა, გრილი, კონდიციონებული ჰაერი სასიამოვნოდ გვიგრილებს დასიცხულ სახეს. რაღა დაგვრჩენია, პლასტიკატის დახვრეტილ სკამებზე ვსხდებით და თორმეტსაათიანი მოლოდინისთვის ვემზადებით. ნეტავ, როგორ თენდება ღამე სკამზე? თუმცა რას ვიზამთ, ცხოვრება მოულოდნელობებით არის სავსე!.. ჩანთიდან „ჯეკობ ტოდს“ ვიღებ. უნდა ვთქვა, რომ ამ რომანმა ძალიან გამიტაცა, მაგრამ თორმეტი საათი? მაინც მეტისმეტია... თუმცა თავი წიგნის ფუცლებში მაქვს ჩარგული, მაგრამ მაინც კარგად ვხედავ, როგორ გარბის ჩემს წინ ფეხშიშველი ინდუსი, ჯერ ერთი, შემდეგ მას მეორეც მიჰყვება... თვალს ვაყოლებ და მეზობელ დარბაზში შევდივარ. ესეც ორი წვეთი წყალივით ჰგავს პირველს, მაგრამ აქ, ფანჯარასთან ახლოს, ჩალმიანი, თეთრებით შემოსილი ადამიანების ჯგუფი დამდგარა, ვუახლოვდები და — ესენი ხომ ის ინდუსები არიან — ფანჯრის რაფაზე და იატაკზე მოსირმული საფენები გაუმლიათ და ზედ ფერადი ქვეები და მინერალები გამოუფენიათ: კამკამა ძონი, ცოტა არ იყოს, მაცდური და პიკანტური ამეთვისტოს მძივები; კამკამა, ვერცხლში ჩასმული მარჯნის ნაკეთობები; მქრქალი, მინაბული ქრიზოლიტები; ლაჟვარდოვანი, ხალიანი და სუფთა ფირუზები, და მარგალიტები ხომ — უამრავი... სხვადასხვა შეფერილობის, ზომის და ფორმის; თეთრად მოციანე, ნაცრისფერი, ვარდისფერი... გიშერი, ალექსანდრიტი, მალაქიტი.. ჩემს ყურადღებას შავი მარგალიტების მძივი იპყრობს — მოზრდილი, მოელვარე მარგალიტების ექვსი წყება ვერცხლის ლაპლაპა, რგოლებიანი საკეტი იკვრება... ხელში ვიღებ და ვათვალიერებ, ინდუსი მილიმის და ფასს მისახელებს; მართლაც რომ, უჩვეულო და ლამაზია, მაგრამ, ამავე დროს, შიშის მომგვრელი და უსიამოც... არა! ეს ძვირფასეულობაა და არა — სამკაული!..

თვალს ველარ ვაშორებ ათასგვარ, მბრწყინავ ქვეებს. ზოგს ხელით ვეხები, ზოგსაც ყელზე ვიკიდებ და სარკეში ვათვალიერებ; მაინც არსად მეჩქარება... ხალიანი, ზოლებიანი იასპების ტკაცუნს ველარ ვუძღვებ და... აი, სწორედ ასეთი სამაჯურს ვეძებდი... ინდუსი ხავერდის მოსირმულ კოლოფში იასპის სამაჯურს ათავსებს, ხუფზე პატარა აბრეშუმის ბაფთას ამარგებს და მანვდის. ახლა კი დროა, აქაურობას მოვშორდე... ისევ „ჩენი“ მოსაცდელისაკენ ვიყურები და იქ პატარა ბარში შევდივარ. ქეთი (ასე ჰქვია ჩემს ახლად გაცნობილ თანამგზავს) იქ მხვდება. პატარა მაგიდას მისჯდომია, წინ მწვანე ჩაით სავსე ფინჯანი დაუდგამს და ნელ-ნელა წრუ-

პავს. მე „კაპუჩინოს“ ვითხოვ და თან ინდუსებსა და ძვირფასეულობაზე შეუჩერებლად ვლაპარაკობ. იასპის სამაჯურს კოლოფიდან ვიღებ და მერე მაჯაზე ვიკეთებ... სამაჯური ქეთისაც ძალიან მოსწონს.

— სიამოვნებით დავათვალიერებ, ნავიდეთ, ვნახოთ..

ჩაის და ყავას თავს ვანებებთ, ისევ მომცრო დარბაზში ვადავდივართ და... გაცოცხლებული ვიყურები ირგვლივ — აღარც ინდუსები ჩანან სადმე და აღარც მათი ჭრელი, ერთმანეთზე დანყობილი ფუთები, ფანჯარასთან ნეონით განათებული სიცარიელეა და ფერად-ფერადი ზღაპრის კუთხეც სადღაც გამქრალა!.. აი, ოინი!.. მართლაც აღმოსავლურ ზღაპარს ჰგავს... ქეთი ჩემს დაბნეულ სახეს უყურებს და ღიმილს ძლივს იკავებს... ნეტავ ხომ არ მომეჩვენა რამე, ან ხომ არ ჩამთვლიმა... ხელზე იასპის სამაჯურს დავხედე — თავის ადგილზეა! ესე იგი, არაფერიც არ მომჩვენებია... გასაკვირიც, როგორც ვხედავ, არაფერია, უბრალოდ, მათი რეისი გამოცხადდა, ჰოდა, გაფრინდნენ!..

ჩვენ ისევ სკამებზე „ვენყობით, ლოდინი გრძელდება.

და მე ისევ „ჯეკობ ტოდს“ ვუბრუნდები. დიდხანს ვკითხულობ, დალილობისაგან უკვე თვალები მიწყებს ტეხას. წიგნის სიუჟეტი და რეალობა ერთმანეთში მერევა — იქ ჰოლანდიის არხები და ნავებია; ახლობელი ადამიანები ერთმანეთისაკენ ისწრაფიან, იფანტებიან და შემდეგ ისევ პოულობენ ერთმანეთს.

დარბაზში ხმაურით შემოვიდა მგზავრების მოზრდილი ტალღა. მე საბოლოოდ ვფხიზლდები და ვცდილობ გამოვიცნო, რომელი ქვეყნიდან მოდიან ისინი. თუმცა კი მიჭირს — თითქოს ჩრდილოეთი და სამხრეთი ერთმანეთს შერევიან, ჩაცმულობითაც ძნელი გასარკვევია, და ამიტომ, ჯობია, ისევ ჩაით ან ყავით შევიქციოთ თავი.

ბარი რამდენიმე ხანს დაკეტილი იყო, ახლა კი უკვე მუშაობა დაუწყია. რიგში დგომა საკმაოდ დიდხანს გვინევს, რადგანაც სწორედ ახლად ჩამოსული მგზავრებითაა იქაურობა სავსე. ისევ მწვანე ჩაი და „კაპუჩინო“ — ვდგავართ და თვალებით თავისუფალ ადგილს ვეძებთ. ჩვენს წინ მაგიდას უცნაური, თეთრი ტილოს ტანსაცმლით შემოსილი ახალგაზრდა კაცი უზის: მუქი ნითელი, გეომეტრიული ფიგურების მსგავსი ორნამენტებით მოქარგული და ტყავის წვრილი ნაკუნებით განყოფილი ტყავის მოზრდილი ჩანთა სკამის საზურგეზე გადაუკიდია და ყელზეც ასეთივე ორნამენტებით „შემკული“ თასმა შეუბამს. თავაზიანი ჟესტით გვანიშნებს მაგიდასთან მდგარ თავისუფალ სკამებზე. და ჩვენც ჩუმად ვსხდებით, ხმის ამოღებას არც ერთი არ ვაპირებთ.

— ქართველები ბრძანდებით? — ჰოი, საოცრება! განუყრელ „ჯეკობზე“ მანიშნებს ეს „აცტეკების პირამიდიდან მოვლენილი“ კაცი.

— დიახ, — ღიმილის შეკავებას ვცდილობთ...

(საიდან სადაო?) თვითონ ლუდს სვამს და ლაპა-რაკის ხასიათზე დგება: თითქმის ბავშვი წასულა შორეულ აღმოსავლეთში, ერთხანს სხვადასხვა კლუბებში ცეკვავდა და თავს ასე ირჩენდა... მერე გემზე მეზღვაურად მოენყო და შორეულ ნაოსნობაში დაცურავდა, მთელი მსოფლიო შემოვლილი აქვს და ახლა ლიმაში (!) ცხოვრობს; ჩვიდმეტი წელიწადია, რაც საქართველო თვალთ არ უნახავს... ენატრება... ძალიან ენატრება... 17 წელი... ხომ გესმით... როგორ ხდება! მერე ჩუმდება და ყრუ, დაბალი ხმით იწყებს:

— „გვიამბე, ელიზბარაო, რა ამბავ მოხდა ელოსა?“

მეჩვენება, რომ მთელმა ქვეყნიერებამ სული განაბა და ვაჟას სმენად გადაიქცა.

„როგორ დაეცნენ ლეკები ბაკურის ციხე—ეზოსა?“

ერთ წერტილს მისჩერებია და შეუფერხებლად განაგრძობს:

„...ვეფხვსა დააცვდა კლანჭები: ბაკურმაც დაიძინაო.“

ბოლომდე ჩაათავა ბაკურის ლექსი და ამოიოხრა.

„იას უთხარით ტურფასა: მოვა და შეგჭამს ჭიაო...“

წამომეველა ქეთი და მისი დაბალი, თბილი ხმა სულ სხვანაირად სწვდება სმენას.

მერე მე ვამბობ „ვედრებას“:

„თეფზი — წყალს, ცასა ვარსკვლავი, შვილი — დედას და მამასა.“

თითქოს გულზე მოგვეშვაო, დაძაბულობაც ქრება და... მერე ილია ჭაფჭავაძე ხმიანობს, აკაკი, გალაკტიონი, გოგლას „ყიფჩაღის პაემანი“, ასათიანი... მერე კიდევ სხვები, სხვები და სხვები... კიდევ და კიდევ!.. უცნობი უცნაური ჩანთიდან „დედაენის“ ძველ გამოცემას იღებს და იაკობ გოგებაშვილის „ხარს“ კითხულობს...

— ჩემი თანამემამულეა!.. — ამაყად გვანიშნებს ავტორზე, — დედაჩემი კი ახალგორიდანაა!..

სიმართლე რომ ვითხრათ, აღარც მახსოვს, რა ვუპასუხებ... იმიტომ რომ... იმიტომ რომ... თურმე, კარგა ხანია, რაც გათენებულა და რადიო, მეზაფხები და მესაზღვრეები ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვირიან რეისზე ჩასხდომის დამთავრებას და სამი დაგვიანებული მგზავრის გვარებს...

დამდულრულებივით ვტოვებთ ბარს და ჩასასხდომი ბილიკისაკენ კისრისტეხით გავრბივართ.. ცოტაც და ბარიერსაც გავივლით...

— ვაიმე, ჩანთა!.. ჩემი ჩანთა... პასპორტი! — უნუგემოდ ვიხედები ირგვლივ. — იქ დამრჩა?! ვიპოვი?.. ველარ მოვასწრებ!.. უმწეოდ ვდგავარ და ატირებას აღარაფერი მიკლია...

— ქალი-ბატონოთ! ქალი-ბატონოთ! — ჩემსკენ გახვითქული მოხელე მორბის, წინ გამონვდილ, მალლა ანეულ ხელში ჩემი ჩანთა ძვირფასი „მონაპოვარივით“ უჭირავს და ელვისისწრაფით მიახლოვდება. თვალები სიხარულის ცრემლით მევსება და ჩანთას ვართმევ,

ათასი მადლობის თქმას ვაპირებ, მაგრამ ის შეშფოთებით აქნევს თავს და ტურნიკეტიცაქენ მსუბუქად მიბიძგებს.

მადლობა ღმერთს, ახლა ისევ თვითმფრინავის სალონში ვზივარ და ღრუბლებს გავცქერი. ისე დავიქანცე, რომ მგონია, დასვენების თავიც აღარ მაქვს... ეს რა საოცარი, რა უცნაური ღამისთევა იყო... როგორ მოვემზადეთ სამშობლოსთან შესახვედრად!.. ჩვენ იქ ყველანი ერთ „განზომილებაში“ ვიყავით!..

ქვემოთ უკვე საქართველოს მინა-წყალი მოჩანს. უცნაური მოგზაურობა მთავრდება... რამდენიმე ათეული წყვილი თვალი ახლობლების მოლოდინში ზეცას მისჩერებია...

— მოხვლთ მშვიდობით!

— დაგვხვდით!..

### აღმახი-აღმახი

„აღმართ-აღმართ მივდიოდი მე წელა, სერზე შევედექ, ჭმუნვის ალი მენელა...“


აკაკი

აჰა, ესეც გასრულდა — ჩემი ერთი ამოსუნთქვა, ბავშვობის ქუჩით, თვალ-მარგალიტით, საფლავის ქვებით, პატარა მდინარეზე გადებული ხიდით, ხან ახლობელ, ხანაც შორეულ ქვეყნებში ფოთლებივით გაფანტული და მაინც ერთ ფუძეზე მდგარ ადამიანებთან შეხვედრებით... მაინც რა უცნაური ყოფილა ეს დალოცვილი, როგორ გაბრუნებს და გატრიალებს თავის ქარბობალაში. თავადვე მოგმადლის და თავადვე გამოგაცლის, რაც გაურიგებია, რაც შენთვის გაუმწესებია...

შენ კი, ამ სამყაროს ერთი პატარა ნაწილი, უსაზღვრო მოთმინებით, საგულდაგულოდ მოკრეფილი ძალ-ღონით, მაგრად მომუშტული ხელისგულებით, ხან ღონიერი ნაბიჯებით, ხანაც სვენებ-სვენებით, დროდადრო თვალის უპეებთან მომდგარი მლაშე წვეთების მალვით, ჯიუტად შესდგომიხარ შენს აღმართს...

ეგ კი არის, ხანდახან საიდანლაც მობერილი სიო შეგიგრილებს გახურებულ შუბლს, ან ადამიანების ყველგან მყოფი სიკეთე მოგეწევა და შეგმატებს ძალ-ღონეს...

...შეჰყოლიხარ აღმართს, გულდაგულ, ზემოთ და ზემოთ, „დანესებულ“ სიმალემდე, დანიშნულ სერამდე, საიდანაც შენს ბავშვობაში ჩაკარგულ მიდამოს გადმოხედავ, საიდანაც შენს „ელვარე ნაპირს“ გაუნვდენ თვალს...



ნათლი  
ნეკერიძე

თევზის თვალებზე არეკლილი  
მარგალიტის შუქის დასაჭერად.  
\*\*\*

სევდავ გულმძიმე დედაო  
უძღურების თავშესაფარო,  
უნამლოვ, უჭირისუფლოვ,  
ტანჯვის საბუდარო,  
სამზეოსაგან გადაგდებულო.

\*\*\*  
უფალმა მაჩუქა პანანინა  
ქვეყნიერება  
და ძვირფასი სახეები,  
სიყვარულის ყანა სამკელად,  
დაუზოგავი ხარჯისთვის გული  
და გრძნეული ვარდისფერი  
ნამოსასხამი,  
რომელზეც სულის პეპელას  
სძინავს.

\*\*\*  
უფალო! აი ჩემი უმწეო ხელები  
და დაბასრული გული,  
რომლებიც ნამსხვრევებიდან  
ნამოვნიე,  
შენს საკურთხეველზე დასაწყობად,  
რომ თვალისჩინში დაგუბებულ  
ცრემლზე  
სიყვარულის ცისარტყელა გენახა.

\*\*\*  
უფალო! აი ჩემი სევდის  
ჩიტები,  
რომელთა ბედნიერებას  
დაუცხრომლად ვეძებდი  
უსინათლოთა ქვეყანაში  
და ეკლებით დაბასრული,  
მზისა და მთვარის სხივებს  
უბით ვატარებდი.

\*\*\*  
მე ხანდახან გამოვდივარ  
მდუმარების ქვეყნიდან,  
რათა უბრალო სიტყვებით  
გამოგიტყუოთ  
გაქვავებული ქალაქის  
გულის ძაფის აღმოსაჩენად,  
ასტრალურ კუნძულებზე  
თქვენი სახეების საპოვნელად  
და ოკეანის ფსკერზე მარჯნის  
ტყეებთან,

\*\*\*  
ჯოჯოხეთში — ბოროტების,  
სიძულვილისა და ტანჯვის  
სამეფოში,  
თან უნდა ნავილო უფლის იმედი  
რომ შევძლო და აღმოვაცენო  
ჩუმი ყვავილი — სიყვარული  
და ნათლის სვეტი დავიბრუნო.

\*\*\*  
უფლის საქმეში ვინ ჩაერევა?  
ვინ შესძლებს გული მოუღბოს  
მას, —  
ვინც დღენიადავ ტვირთმძიმეა  
ჩვენი ცოდვებით.

\*\*\*  
„მეც გულმა ველარ გამიძლო“  
ეს არის დარდის ლექსი,

საუკუნის შორეთიდან  
სასაყვედუროდ გამოგზავნილი,  
სამართლის მაძიებელი,  
სინანულის საგალობელთა  
აღმძვრელი  
და კაი ყმის დამტირებელი.

\*\*\*

ჩვენ გვჭირდება განუზომელი  
სიმაღლის სვეტი,  
რომელზედაც დგას გრაალის  
თასი  
და გროვება სიყვარული,  
სულის, სისხლისა და გზნების  
დანმენდის დროს,  
რომ მოცახცახე ერთობა  
გავიმტკიცოთ.

\*\*\*

რას დაემსგავსე სიყვარულო,  
უგემოვნებოდ შეღებილო,  
გულის გულის გარეშე დარჩი,  
ფულის სუნით გაჟღენთილო,  
ნახდა შენი თავისუფლება  
და მეფისგან მონის ტრფიალი,  
ფრთები ძეძვის ტოტებზე დაგრჩა.

\*\*\*

არ დამიჭლექდეს პანანინა  
იადონი — სიყვარული,  
სუსტ მკლავებზე წევს,  
შეაკვეცეს ჭრელი ფრთები —  
საკვირველი საჭვრეტელი,  
გულის ნამღებები.

\*\*\*

დიდი დარდი მაქვს,  
დარდი უცვლელი,  
ნელი-ნელ მიდის პოეზია,  
მიირწევა უფსკრულისაკენ,  
საცაა შიგ მარგალიტის  
ტომრებს ჩაცლიან,  
მღვრიე ტალღებში იბურთავენს  
განწირული ატლასის ფრთები.

\*\*\*

ისე მიყვარდით, როგორც  
ხეებს უყვართ —  
უსიტყვოდ, უნაბიჯოდ,  
სილამაზეს ვუთვალთვალეზბდი,

წუხილსა და სიხარულში ღამეს  
ვუთევდი  
და მწვანე თმაქოჩოროა  
დიდებულებით  
თაყვანისცემით ვირხეოდი.

\*\*\*

დაიძინა ჩემმა ანგელოზმა,  
თავი მიმანება და გამეცალა,  
თავსატეხთა სიმრავლეში  
ძარღვები მოუდუნდა,  
და დაღლილი ბზრიალასავით  
გვერდზე გადაწვა.

\*\*\*

მინდა ეს სიტყვები გეხვეოდეს,  
როგორც ზღაპრის სიმსუბუქე,  
ნალკოტის სურნელი და რწმენა  
სიყვარულისა,  
ფიქრობდე ჩემზე —  
როგორც მოჟღურტულე უდარდელ  
ჩიტზე,  
რომელიც გულის გულში  
ჭრილობებს მალავდა.

\*\*\*

განსაცდელიდან განსაცდელში  
გადავვარდი,  
არსად იმედი, ნუგეში, შეწყალება,  
არც ტაძარი ცამდე ასული,  
სწრაფშემსმენელის კეთილინება  
ისევე ყოვნდება.

\*\*\*

უფალო! აი ჭრილობები და სისხლი  
ეკლის სარტყელი და ქვის პური,  
რომელიც მომცა წუთისოფელმა,  
რომ უიმედობის ნიაღვარში  
მოქცეულს  
ნათელი დამშორებოდა.

\*\*\*

ყველაზე ბოლო მაჩანჩალას  
ვინ მეტყვის;  
— მობრძანდი და მზის გულზე  
დადექ,  
აქ ცამდე ასვლა ნახტომებით  
ისე ხშირია, რომ თვალი უნდა  
მიადევნო მხოლოდ სიმაღლეს.



ეს წყარო

ნინია სანჯია №3

(ნამდვილი ამბავი)

ჯერ კიდევ გონი რომ მერჩოდა, ჩემი ბებრის სამზარეულოში მარტოდმარტო დაყუდებული გარე სამყაროსთან ჟურნალ-გაზეთებითა და სარეკლამო ბარათებით ვფურთხიერთობდი. მიხაროდა, რომ იქ, სადღაც შორს, ასე მეთერთმეტე-მეთორმეტე განზომილებაში ადამიანებს უხარიათ და სწყინთ, ჰქმნიან და ანგრევენ, ბატონობენ და ემონებიან, განიცდიან და ფხეზებენ იკიდებენ, იძინებენ და უძილობით თვალებს ითხრიან, ერთი სიტყვით, ცოცხლობენ. თუმცა, ომის, მკვლევობების, გაუპატიურებების, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა და საიქიოში გამგზავრებულთა სიის გაცნობისას შურის გრძნობა დიდად არ მტანჯავდა. შიგადაშიგ „ბიკინი ლან“ ამოპუტული „მისუბიცა“ და კუნთებაფეთქებული საჭურისი „მისცურებიც“ გამოერეოდნენ, რომლებიც საკვების, ელექტროსაქონლის, საცვლების, პრეზერვატივების, პარფიუმერიისა და ნაირ-ნაირი ავეჯეულობის დაუსრულებელ ჯარს მოჰყვებოდა.

საერო და სასულიერო საქმეებით დიდად დაკავებული არ გახლდით და სხვა რა საქმე მქონდა?! ვიჯექი და საჩემო ნიფხვებსა და ნელსაცხებლებს ვირჩევდი. დანუნებულ საქონელს ცხრასართულიანი კრიტიკით ვამკობდი. ისე, მარილი კი აკლდა ამ ჩემს კრიტიკას. მსმენელი

არავინ იყო ახლომახლო და დამფასებელი. „რალა მაინცდამაინც სამზარეულოში მოიწყებუდური?“ თუ იკითხავთ, მოგახსენებთ.

ამ ჩემს ბებერს აივანზე ჯდომის დაუოკებელი სურვილი არ ასვენებდა. დალაადრიან გაიხიკებოდა და სანამ ზაფხულობით გაფშეკილ პერგამენტსა და ზამთრობით ყინულის მორგვს არ დაემსგავსებოდა, სახლში შემოხეკვაზე კრინტს არ სძრავდა.

სახლის ერთადერთ უზარმაზარ აივანზე ადამიანი სამზარეულოდან თუ გააღწევდა, თუ არადა ეზოდან დაგრეხილი თოკით უნდა გეცადა. ასეთ რთულ ილეთებს კი ჩემი ბებერი, ბოლო დროს, ცოტა არ იყოს ერიდებოდა.

ცისფერი სისხლის არაფერი ეტყობოდა ამ დედაკაცს, არადა პატივს იყო ნაჩვევი. ალბათ ქმარმა (ან გარდაცვლილმა) გააფუმფულა და გარყვნა. ალბათ ხელზე მოსამსახურეებსაც არ იკლებდა და მათი დანიოკებით ივსებდა ახალგაზრდობის წლებს. მდიდარი ქვრივის სახელიც ექნებოდა, უფალს რომ არ დავიწყებოდა. შემოეჭამა ქმრის დანატოვარი, შეუთხელდა ბანკის ანგარიში ისე, რომ ჩემნაირ უპატრონოს თუ დაიქირავებდა, თორემ ადგილობრივად განვრთნილებს კარგა ხანია ველარ ეკარებოდა.

მართალია, ანგარიში კი შეუთხელდა, მაგრამ ძველ ჩვევებს ვერ ივინყებდა და „გვერდში დამიჯექი და თვალეში მიყურე!“-ო ითხოვდა.

რალა დაგიმალეთ, ჰაერის აბაზანები არც მე მანყენდა, არც მსუბუქად გარუჯვის წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ ამ დედაკაცის უმარილო, მუავე პომიდორს დამსგავსებული სიფათის ყურება ჩემს ფსიქიკაზე გიგანტური დატვირთვა იყო.

თითქოს ეს ბებერი არ მეყოფოდა, ერთი ბუ შემოგვეჩვია. იჯდა თავისთვის და „ბუ-ბუს“ გაჰკიოდა. დღე მან არ იცოდა და ღამე, შიმშილი მას არ ანუხებდა და წყურვილი, სექსუალური ვნებანიც კი საშვილიშვილოდ ჩაჰქრობოდა. ერთი სიტყვით არასოდეს ჩერდებოდა.

ის ბებერი, ბუიანი გარნირით კი, ფრიადძნელად მოსანელებელი კერძი გამოდგა. ღებინების შემოტევენს თუ ჩაიკლავდი, ფალარათს მაინც ვერსად გაეცქევოდი.

ორიოდე თვე ვითმინე, ბოლოს ხელფასის მომატება მოვთხოვე.

„შენი ხელფასი აივანის ტერიტორიას არ ფარავს-მეთქი. თუ გვერდზე გინდივარ, თითოეულ ნაბიჯში დამატებით უნდა მიხადო“-თქო.

ვინაიდან არ იცოდა სამყაროს კიდევ რამდენ ხანს ნაბილწავდა — „ემანდ ამ გოგომ არ გამაკოტროს“-ო, — შეშინდა და შემეშვა.

შორსაც ვერ გავეცლებოდი, უდროო დროს ხან „ვოტერი“, ხან „ქეიქი“, ხან „კოფი“ და ხან რა ჯანდაბა და დოზანა აუტყდებოდა. საღერღელს იმ წუთსავე თუ არ დაიკმაყოფილებდა, ისეთ ჩხავილს ტეხდა, ბუსაც უჯოკრავდა.

ჰოდა, რადგანაც შორსაც ვერ გავეცლებოდი, სამზარეულოდან ვუთვალთვალეობდი.

ერთი სიტყვით, როგორც მოგახსენეთ, ჯერ კიდევ სრულ ჭკუაზე რომ ვიყავი, ბებრის სამზარეულოში მარტოდმარტო დაყუდებული, გარე სამყაროს ამბებს მაკულატურით ვეცნობოდი.

მაკულატურა, იცოცხლე, ბლომად მოგვდიო-

და. კვირის მანძილზე იმდენი გროვდებოდა, რომ ოთხშაბათობით იმის თრევით წელს ვინცვეტიდი. მადლობა ღმერთს, შორს წასვლა არ მჭირდებოდა. იქვე, ათიოდე ნაბიჯში გზის პირას ქვაფენილზე ვდებდი. თერთმეტ საათსა და თხუთმეტ წუთზე „შარპ!“ მანქანა მოდიოდა და მიჰქონდა. სად? არ ვიცი, არ დავინტერესებულვარ, არ მიკითხავს, არ გამომიძიებია.

ეს მაშინ, გონი რომ მერჩოდა. მერე კი, ამ დედაკაცმა ისე გადამრია და გამასულელა, ნიფხავ-პერანგის შერჩევის თავი კი არა, უკანალიც კი არ დამიტოვა.

საიდანღაც ახალი ნაცნობი გამოტყვრა. „მე დეპრესია მქვია და შენთან მეგობრობა მსურს-ო“ — გამომიცხადა. პასუხს არც დაელოდა, გადამეხვია და აღარ დამტოვა.

მას შემდეგ სულ ერთად ვმოდრობდით, მუდამ შეზარხოშებულნი და შიგადაშიგ „მრავლჟამიერსა“ და „შენ დაუკარ“ ყიჟინას ვცემდით.

კარგად შევენწყვეთ ერთმანეთს, კარგად გავუგეთ. ისე მივენდე, ერთხელ „ნამო, ატამი უნდა ნაგყვიანო“-ო რომ შემომთავაზა, უყოყმანად გავყვი.

ჯურღმულში ჩამიყვანა, ხელს აღარ მხვევდა, ფეხებზე დამეკიდა და გასაქანს არ მადღევდა. ჯურღმული ისეთი ნესტიანი გამოდგა, სახსრები ამიჯანყდნენ. ამოსვლას ვლამობდი. ვინ გიშვებს?! თანაც ჯურღმულის კედლები სულ ლაპლაპა პიტალო იყო, ვერაფერს მოეჭიდებოდი, რომ ამოგექაჩა და სამშვიდობოს გასულიყავი. ბორგვა შევნყვიტე, ბედს დავემორჩილე.

და ვიყავი ამგვარად — მთელი დღეები ან ფურცლებს ვაშრიანებდი, ან დედაკაცის ჯაჯღანს ვისმენდი, ან ბუზებს ვითვლიდი.

ერთხელ აივანზეც გავენთე. ბუს სიცოცხლის დარჩენილ წლებზე ინფორმაცია კატეგორიულად მოვთხოვე. ბუმ გვარიან ხუთასამდე რომ მიაღწია, მაშინღა გამახსენდა, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობაში ბუ უმეცარია, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობაზე გუგულს უნდა დაეკითხო.

ერთ დღესაც, ჩვეული საქმიანობით დაკავებული, დროს ვკლავდი. სამშაბათი დღე იყო, კარგად მახსოვს. სამშაბათობით თანამედროვე პრესის საოცრება, ყოველკვირეული ვაზეთი პირობითი სახელწოდებით, „რა ხდება, რა გესიამოვნება?“ მოგვდიოდა.

დიდი ამბიციური ვინმე გახლდათ. დარწმუნებული იყო, რომ მისი გაცნობის შემდეგ, სულიერი (ანთროპოლოგიაში ადამიანად მოხსენებული) უფლის წინაშე „იმ დროისათვის ფრიად განათლებული ადამიანის“ სახელით წარსდგება.

მეც, როგორც განათლებას დაწაფებული სულიერი, ხომს არ ვუტეხავდი და ძირფესვიანად ვეცნობოდი.

გავეცანი, რომ გუშინ წვიმა ყოფილა და ხვალიც წვიმა იქნება და ზეგაც და საერთოდ, ქარიშხლებისა და წყალდიდობების სეზონის მოახლოება კაცობრიობას არაფერ კარგს არ უქადის.

გავიგე, რომ მდიდარ ორგანიზაცია X-ს, რაიონული სკოლა Y-სათვის ქველმოქმედება გაუნეცია და პირველ-მესამე კლასის მოსწავლეები „ცხელი ლანჩით გაიხარებენ“. ჩემს შეკითხვას

„უფროსკლასელებმა რა დააშავეს?“ ვაზეთი ორაზროვანი დუმილით გამოეხმაურა.

ამ ინფორმაციას ადგილობრივ და არაადგილობრივ პოლიტიკურ კულუარებში ვათამაშებული ვნებების ამსახველი კომედიურ-დეტექტიურ-მოსტომდერნისტულ ჟანრებში გადწყვეტილი სტატიების სერია საერთო სათაურით — „რა გეგონათ, ადვილია?!“ — მოჰყვა.

ვაზეთის მომდევნო ფურცელზე ხე-ტყის კომბინატ „ლას-ვეგასის“ მიერ გამომუშავებული საძინებელი გარნიტური „ზაფხულის ღამის საზმარი“ მრავალ დაუვიწყარ ღამეს დამპირდა.

„ზაფხულის ღამის სიზმრის“ მონმედ, ორ ფურცელზე გადაფარჩხული, საკუთარი სიფათის ფერადი ფოტოსურათი მოჰყავდა.

ბევრი-ბევრი წლის წინ თბილისის ერთ-ერთი სალონის ვიტრინაში ვილაც-ვილაციებს ტარტაროზის სამუშაო კაბინეტის ავეჯეულობა გამოემზეურებინათ. ეს საძილე გარნიტური იმ სამუშაო კაბინეტს კარგ კომპლიმენტს გაუქვეთებდა.

ავეჯს გარდაცვლილთა სია, გარდაცვლილთა სიასახალდაქორწინებულთა სიადაახალდაქორწინებულთა სიას, ლოგიკურად, ახალშობილთა სია მოჰყვა. ეს ყველაფერი ერთად აღებული კი შემდგომ რუბრიკაში — „ვეძებთ“, ქვერუბრიკებით „ქალი ეძებს მამაკაცს“, მამაკაცი ეძებს ქალს“, „ქალი ეძებს ქალს“ და „მამაკაცი ეძებს მამაკაცს“ ნარნარად გადადიოდა.

„მამაკაცი ეძებს ქალს“-ზე კარგა ხანია გული ამცრუებოდა. ხან სიმაღლე მაბრკოლებდა, ხან თმისა და კანის ფერი, ხან თვალის ჭრილის ფორმა და მარჯვენა ფეხზე თითების რაოდენობა და ხანაც გარკვეული სექსუალური თამაშობების სრულყოფილად ფლობის ხაზგასმულად კატეგორიული მოთხოვნა, რაც, უძრაობის ხანაში დაბადებული და ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი მანდილოსნის გრძობებზე, მსუბუქად რომ ვთქვათ, წელს ქვემოთ მიყენებული მტკივნეული დარტყმა იყო.

ბოლო დროს თვალები „ქალი ეძებს ქალს“-ისკენ მეპარებოდა. ქალები ნაკლებ პრეტენზიას აცხადებდნენ და ნაკლებ მოთხოვნებს მიყენებდნენ.

შემდგომ გვერდზე ჯიქის ნერტილებითა და ლაქებით გადანყვეტილი ქვედა საცვლიანი ერთი მამაკაცის ორი გარდასახვა ახლადმემუშავებული სუპერტრენაჟორის ქებით დორბლებს ყრიდა.

ისე, იმ პირველ გარდასახვას იმხელა სტომაქი ეკიდა, პლასტიკური ქირურგიის მაგია თუ არა, მხოლოდ სუპერტრენაჟორი ვერას გახდებოდა.

და სწორედ ამის შემდეგ, განცხადება „გვესაჭიროება ყველა ზომის, ფორმის, ასაკისა და გარეგნობის პროფესიონალი და არაპროფესიონალი მსახიობები“. ( ერთხელ სამსახურის ძებნით არაქათგამოცლილმა მეგობარს დავეკითხე — „როგორ ფიქრობ, ხომ არ გამერისკა“ — მეთქი, რაზედაც მან, უკმეხად მახალა — „თუ გინდა, რომ „პორტ-არტურთან“ სამ დოლარად გაბოზონ, მიდი და გარისკეო) და ვილაცის მცდელობა შემოეტენა ნახმარი, მაგრამ „კარგი ნახმარი“ სამთვლიანი ველოსიპედი, იყვნენ ისინი...

საიდუმლოებით მოცულნი, მდუმარედ

მომზირალნი, ჩაფიქრებულნი — სანჩესების კლანის წარმომადგენლები: წმ. სანჩესი №1, წმ. სანჩესი №2, წმ. სანჩესი №3.

თეოლოგიურ საკითხებში სრული უმეცრება ნაყოფს ისხამდა. ვინ იყვნენ ეს წმინდა სანჩესები და რა სურდათ, გაგებაში არ ვიყავი. ოდნავი წარმოდგენაც არ მქონდა ეს წმინდა სანჩესები სამი სხვადასხვა სანჩესი იყო, თუ ერთი სანჩესი, პანტერის ნიფხვიანი კაცისა არ იყოს, სამ სხვადასხვა გარდასახვაში.

ოცი წუთი სანჩესების შესწავლას დავეთმე. არც წვრილი ასობით დაწერილი თავსართბოლოსართი გამომიბოვებია, მაგრამ იმის გარდა, რომ „თანამედროვე წმინდანებში ყველაზე ქმედითნი და მეტად სასწაულმოქმედნი იყვნენ“, ვერაფერი გავიგე. მათი წარმომავლობა საიდუმლოებად რჩებოდა.

ჩემი ბებრის გამოკითხვას აზრიც არ ჰქონდა. კარგა ხანია სული სატანისათვის მიეყიდა და წმინდანებისაგან შორს იჭერდა.

სანჩესებიც ისევე ჩაბარდებოდნენ ისტორიას, როგორც სუპერტრენაჟორიანი ტიტლიკანა კაცი ან სულაც ამინდის პროგნოზი, ჩემს შინაგან ხმას რომ მოვესვენებინე.

რომ ჩართო „მიდი და მიდიო“, აღარ გაჩერდა, ტვინი წაიღო. ბოლოს, არც აცია, არც აცხელა და პირდაპირ შუბლში მახალა — „ერთი კარგი სასწაული მე და შენ ნამდვილად არ გვანწყენდა“-ო.

ჩვეულებრივ პირობებში კირკიტსაც არ დავიწყებდი, პირველივე სანჩესით დაკმაყოფილდებოდი, მაგრამ ამ ჩემი დედაკაცისათვის რა მექნა?! პირობას აყენებდნენ. „მამაკაცი ეძებს ქალისა“ არ იყოს, წმ. სანჩესი №1-იც მკაცრ, შრომატევად და დროისმშთანთქავ პირობებს მიყენებდა. ასე ნვალებითა და გაჭირვებით ნაშრონ სამსახურს სანჩესი №1-ის ხუმტურებს ხომ არ შევწირავდი?!

წმინდა წყლის არც სანჩესი №2 გამოდგა.

მათ ოინბაზობას რომ ავყოლოდი, მომავლის განსაჭვრეტად სანჩესების სასწაულმოქმედი ძალა სულაც არ დამჭირდებოდა — ერთ კვირამი საკუთარ თავს ნიუ-იორკისაკენ მიმავალ ტრასაზე აღმოვაჩენდი. მიდი და სდიე მერე მარჯვნივ სამსახურებს და მარცხნივ წმინდანებს.

ეგოიზმისაგან თავისუფალი კი წმ. სანჩესი №3 იყო.

ერთადერთ პირობად — დროის მკაცრ დაცვას მიყენებდა. ათი დღის შემდეგ პირველსავე კვირის განმავლობაში კი, სურვილის ასრულების 100%-იან გარანტიას მაძლევდა.

საჩემო სანჩესი კი ვიპოვე, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანა კიდევ ამოსახსნელი მრჩებოდა.

სასწაული მჭირდებოდა! დიდი, ყველაფრის მომცველი, საშვილიშვილო სასწაული.

აჩქარება არ მმართებდა. ამგვარი შანსი ადამიანს ერთხელ ეძლევა და გამაზვია არ შეიძლება.

ნატვრისთვალის თავიდანვე უარყავი. არ არსებობს და არ არსებულზე ხომ არ გავფლანგავ-

დი წმ. სანჩესი №3 სასწაულმოქმედ ძალას.

დიდხანს ვფიქრობდი, არსებული სიტუაცია ათასგზის ავწონ-დავწონე, წაღმა-უკუღმა ვატრიალე და კრიტიკულად ვაფასე.

„რა უნდა იყოს ისეთი“-მეთქი — „ნატვრისთვალის შემცველი, მაგრამ არანაკლები პოტენციის მატარებელი, რომ ჩემს გაჭირვებასაც უშველოს, ჩემს მეგობრებისადაც და იქნებ მადლის თვალთ საქართველოსაც გადახედოს.“

ხვეულების მტკივნეულად დაძაბვის, ცხრაპირი ოფლის დაღვრისა და უკიდევანო ფანტაზიისა და შთაგონების მოხმობის შედეგად იდეა დაიბადა.

მომდევნო დღეს, მას შემდეგ, რაც ბებერი ვასაუზში, აივანზე გავსვი, ჭურჭელი დავრეცხე და სახლი დავალაგე, ჩემს ოთახში შევიკეტე, მუხლებზე დავემხე და როდესაც საათის მოკლე ისარი თერთმეტს გაუტოლდა და გრძელი თორმეტზე გაშეშდა, დავიწყე:

„წმინდა სანჩესი ნომერი სამო (ნომერი მივუთითე, იმ პირველ ორს რომ არ ჰგონებოდათ „ვსაჩქაობ“ და მათი მაგიის გამოყენებას ვცდილობ), ვინც ხარ და სადაც ხარ, კარგად იყავი, ეს ერთი პატარა თხოვნა შემისრულე და პირობას გაძლევ, აღარასოდეს შეგანუხებ! ძალიან გთხოვ, გემუდარები, ისე მოიმოქმედე, რომ ბილ გეიტსმა ცოლად შემირთოს (ბილ გეიტსი მკაფიოდ, დამარცვლით წარმოვთქვი, ემანდ სახელი შეცდომით არ გაეგო და სხვა ვინმე არ შემოეტენა, ჩემი ბედის ამბავი რომ ვიცი), ხომ იცი მეც ამოვისუნთქავ, ჩემი მეგობრებიცა და ამ კავშირით იქნებ საქართველომაც ისეიროს“-თქო.

მომდევნო რვა დღეც ექსცესების(?) გარეშე მიიღია. ბებერს ვამზუურებდი, ოთახში შევიკეტებოდი და ბილ გეიტსის სახელს ვმარცვლავდი.

სწორედ იმ დროს, როდესაც ჩემს მომავალს მარცვალ-მარცვალ ვაკონინებდი, მავანმა გარანტირებული ანმყო (და მასთან ერთად მომავალიც) ხელის ერთი მოსმით (უპრიანი იქნება ვთქვა — ერთი ფრაზით) მოსპო:

— „მე ამაყი ამერიკელი პედერასტი ვარ“. — საჯაროდ განაცხადა ნიუ-ჯერსის შტატის გუბერნატორმა და ფართოდ გაღებული მომავლის კარიბჭე საშვილიშვილოდ ჩარაზა.

მომდევნო ორ წელიწადს შტატის ყოფილი თავკაცის პაპარაცები მოსვენებას არ აღირსებენ:

— „რალა მაინცდამაინც „ამაყი პიდარასტი“ უნოდე თავსო? მარტო პიდარასტი რა, საკმარისი არ იქნებოდაო?“

მომავალმოთხრილი შეკითხვას გაკვირვებით უპასუხებს:

— „მე ამერიკულ ტრადიციებზე ვარ გაზრდილი, თანაც პიდარასტი და აბა სხვა რა უნდა მეთქვაო?“

— „ამაყი რა შუამიო?“ — პაპარაცები იკითხავენ.

— „ამაყი ვარ და რა ვქნაო?“ — მომავალმოთხრილი უპასუხებს.

იმ დროს ამ დეტალებისათვის არავის ეცალა. ფრაზამ ისეთი სიმძლავრის ინფორმაციული

ტალღა გამოიწვია, რომ ყველა ტალეკომპანია და ჟურნალ-გაზეთი ააფეთქა.

პაპარაცებს არ დავეძებდი, ჩვეულებრივი მოკვდავების რეაქცია მაინტერესებდა. — „აბა, კაცები ხელებს ხმლებზე თუ გაიკრავენ და ქალები სახეს თუ გაიხოკავენ კივილით — „შენ მოუკვდი შენს გამჩენსო!“

ვინ მაცალა?! ყველაზე საინტერესო მომენტში ბებერმა „მშია“-ო გამომიცხადა და ტელევიზორი გამორთო.

ეს ამბავი წმ. სანჩეს № 3-ის მაგიური ძალის ამუშავების მეცხრე დღეს მოხდა. ერთი დღეა რჩებოდა, რომ სასწაულმოქმედებას ფრთები შეესხა და რეალიზება დაენყო.

მეორე დღეს, პრესის მოსვლისთანავე დღის რუტინული საქმიანობა შევკვეცე. ბებერი ყავის გარეშე აივანზე მოვისროლე — „ძალიან ცხელა, მეშინია სითბური დაკვრა არ მიიღო“-მეთქი.

— „მაშინ „ჯინჯერ-ეილიო“.

— „აჰა“-მეთქი. კინალამ დანიშნულ დროზე ადრე გავაგზავნე იქ სადაც ჯერ არს. სიჩქარეში ჭიქა სამზარეულოდან ვესროლე, თავი რომ არ გაენია, სულს გააფრთხოდა.

— „ყინულები“-ო.

მივუტანე.

— „ორი რას მეყოფა“-ო.

მთელი საყინულე მივუტანე.

— „მორჩა, ორი საათი შენი წკრუნი არ გავი-გო, ნაჭმი და ნასმი ხარ, პატარა ამომასუნთქე“-შევუტყე.

— „სად მიდიხარ?“ — თვალები მომიჩქურა.

— „შენ ხელში სად წავალ, ფალარათი მაქვს და თავს უნდა მივხედო“-მეთქი.

— „ორსაათიანი ფალარათი ვის გაუგიაო?“

— „ჩვენებურებმა ორი საათი იცინა“-მეთქი, უკვე სამზარეულოდან გაეპკივლე, პრესას ხელი დაგავლე, საპირფარეშოში შევვარდი, უნიტაზზე შეძლებისდაგვარად მოვკალათდი და პრესაში ჩავიკარგე.

ათი საათი ხდებოდა.

წმინდა სანჩეს № 3-თან უკანასკნელი პაემანი, როგორც ყოველთვის, თერთმეტ საათზე მქონდა.

ერთი საათი ჩემს სრულ განკარგულებაში იყო.

მთელი პრესა „ამაყი ამერიკელი პედერასტის“ ფრად ფოტოსურათებს უჭრელებია. „ამაყი ამერიკელი პედერასტის“ ანფასი, „ამაყი ამერიკელი პედერასტის“ პროფილი, „ამაყი ამერიკელი პედერასტი“ ბავშვობაში, ყმანვილკაცობაში, სანადიროდ, გოლფის კლუბის დაფუძნების 30 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ ბანკეტზე, „ამაყი ამერიკელი პედერასტი“ ჰავაის კუნძულებზე ცოლთან ერთად, მის გარეშე სამუშაო კაბინეტში სახელმწიფო საქმეებით გადაღლილი, ბავშვით კალთაში და ძაღლით ფეხებით, გამორჩენილი და არაგამორჩენილი ადამიანებით გარემოცული...

რედაქტორებს ფოტოსურათების განმარტებითი ტექსტებისათვის ადგილი დანანებოდათ, ასოები აქა-იქ ისე ჩაეკვებათ, თითქოს შესცივდათ და იბუზებიათ.

„ამაყი ამერიკელი პედერასტის“ ცოლის

„ბედნიერი დღეების“ მოგონებებს ვეცნობოდი, როდესაც შინაგანმა ხმამ თმებზე დამქაჩა და საათს ამახედა. (ჩემს საპირფარეშოში უნიტაზის მოპირდაპირე კედელზე ჩინური იეროგლიფებით აჭრელებული კედლის საათი ეკიდა).

თორმეტის შვიდი ნუთი იყო, როდესაც ნახევრადნიფხავჩახდილი ჩემს ოთახში მუხლებზე დავემხე:

— „წმინდა სანჩეს ნომერო სამო, მომიტევე ჩემი უგუნურებანი“. — დავიწყე და ჩვეულებრივ ბილ გეიტსის სახელის დამარცვლით დავასრულე.

მომდევნო ერთი კვირა საქმროს მოლოდინში ფანჯარაში გადაყუდებულმა გავატარე.

ბედად, მთავარი ტრასა ბებრის სახლის წინ გადიოდა. ბილს ორღობებში კარდაკარ კითხვა-კითხვით — „მავანი და მავანი აქ ხომ არ ცხოვრობს?“ — სიარული არ მოუნევდა.

ჩემი დედაკაცი სულ მივავდე. ორცხობილებიანი ტომარა მივაჩჩე და ერთი კვირა არ მომიკითავს.

მყვირალა სამოსით შევიმოსე, ყოველი შემთხვევისათვის. ძალიან უნდა გეცადა, რომ კომუნისტურ მოტივებში გადაწყვეტილი, ფანჯარაში გამოჩხერილი სათვალეებიანი „მატრონა“ არ შეგემჩნია.

ერთხანს ვნერვიულობდი — „როგორ უნდა მიხედეს ბილი მე რომ მე ვარ?!“-თქო. თავი დავიმშვიდე ბოლოს. კონტრაქტის ჩემი ნაწილი პირნათლად შევასრულე და დანარჩენი სანჩეს 3-ის სინდისზე იყო.

მანქანებს თვალს არ ვამორებდი, ხამხამსაც ვერიდებოდი — უყურადღებოდ არც სამთვლიანი და ორთვლიანი სატრანსპორტო საშუალება დამიტოვებია. რას გაუგებ ამ ფულიან ხალხს, ვინ იცის რას აიხირებენ?!

ერთი კვირაც მიილია...

არათუ ბილ გეიტსი, მის მიერ გამოგზავნილი მაჭანკლების ჭაჭანებაც არ იყო (ხომ შეიძლება მნიშვნელოვანი თათბირი ჰქონოდა და მაჭანკლები გამოეშვა?)!

შენც არ მომიკვდე!

ორიოდ დღეში მეგობარმა დამირეკა. (აი იმან, „პორტ არტურთან“ გაბოზებით რომ მაშინებდა).

— „გამარჯობა“ არც მაღირსა.

— „რა შარში გაეხვიე?“ — მახალა. ჩემი ხმა არ მოეწონა, ალბათ.

გაცტყედი. აუხდენელ „გარანტირებულ სასწაულზე“ დაგროვილი ბოღმა ერთბაშად გადმოვანთხიე.

ყურადღებით მისმენდა, ხმა არ ამოუღია, ერთი რეპლიკაც არ ჩაურთავს.

— „როგორ ფიქრობ, იმ შვიდმა ნუთმა ხომ არ დამღუპა?“ — ბოლოს შევეკითხე.

— „ვაი შენს პატრონს!“ — აპილპილდა. —

„შენს გაჩენას ერთი გოჭი აჭყვირებოდა დედაშენს, ის ერჩია...“

— „იქნებ სანჩესები მართლმადიდებლებზე არ მოქმედებენ?“

— „ის პირველი ორი ხომ არ უნდა ამერჩია, 3 ნამეტანი მარტივი იყო, მაგრამ ხომ იცია...“

— „არა, არა, მარტობისაგან სულ გაგირეკია...“

— „ისე არასწორი სანჩესები რომ ყოფილიყვნენ, ხომ არ დაბეჭდავდნენ, ოფიციალური პრესაა ბოლო-ბოლო...“

— „პორტ-არტურთან“ უნდა გამეშვი, მიეჯარე, ხალხს მაინც გაერეოდი, გაეხახუნებოდი, აზრზე მოხვიდოდი...“

— „არა, ასეთი იაფფასიანი და ღრძო როგორ გამოდგა, შვიდი წუთი რომ არ მაპატია?“ — დაგვიანებული შვიდი წუთის თემას დავუბრუნდი.

ჩემი მეგობარი დუმდა.

— „რას ჩაკემენდილხარ, მითხარი რას ფიქრობ?“ — შევუტიე.

— „ესე იგი ბილ გეიტსის ცოლობა მოინდომე“.

— დააზუსტა ჩემმა მეგობარმა.

— „დიხაჯ, რა იყო როო?!“

— „რამე რომ ყოფილიყო, შენმა მზემ, საყვარლობაზე უარს ეტყობი?“

— „ეჭვიც არ შეგეპაროს!“ - მეთქი.

— „ვითომ რატომ?“

— „პრინციპის გამო!“

— „ესე იგი მაიცდამაინც ბილ გეიტსის ცოლობა ისურვე?“

ჩემი მეგობარი მეორდებოდა.

— „დიხაჯ!!!“

იქნებ იქონ „სვახსანობას“  
მოჰჩიკით და სჯამას მიჰხელოთ  
ნჯ  
ჩახონა ჰყვიჩოლით მე და ჰაიხანი  
ჩაჩაში 1980 წელს

როგორც იქნა 2008 წლის 31 დეკემბრის ადამიანურად გატარების შანსი მომეცა. შანსიც მომეცა და სურვილიც აღმეძრა, თორემ სურვილის გარეშე შანსი აბა რის მაქნისია?!

2009 წლის შესახვედრად მანჭეტენზე დამპატიყეს. უფრო კონკრეტულად, მანჭეტენის „აპკერ ვესტ საიდზე“. მართალია, „აპკერ ვესტ საიდი“ „აპკერ ისტ საიდს“ ვერაფრით გაუტოლდება — „აი, დიდუბე და ვერა რომ შეადარო, ისე არისო“ — მასპინძელმა ამიხსნა, მაგრამ დიდუბეს ვჩიოდი?! მთავარია „ლონგ აილენდის“ „დიერ პარკში“, ჩვენებურად ბორჩალოში მაინც არ ვიჯდებოდი და ბედუკულმართ ცხოვრებაზე გაბრაზებული ნაცარს მაინც არ დავიყრიდი თავზე. თანაც, მასპინძლებს ერთი „ლოიერიც“, ჩვენებურად ადგოკატი, „აპკერ ისტ საიდზე“ მცხოვრები, დაეპატიჟათ, რაც, ერთობ პიკანტურობას მატებდა ახალი წლის ღამეს.

ისე, მართალი რომ გითხრათ, „კარენი თბილისელს“, ცისფერი სისხლის შთამომავალს, თანაც საქართველოს სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულ ქალბატონს, „აპკერ ისტ საიდზე“ მაცხოვრებელი „ჰარვარდის“ იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული „ლოიერი“ რას გამაკვირვებდა?! საცივი რომ არ მქონდა გავრუკვე ექვსი წელია ნაგემი, ის იყო ჩემი შთაგონების ობიექტი, თორემ, რომელი ჭკუათმყოფელი დაადგებოდა 5 საათიან მგზავრობას 10 გრადუ-

სიან, უსაშველო ბარდნასა და მოლიპულ გზებს, აბრეშუმის მარვალსა და სიფრიფანა პალტოში გამოწყობილი, მარტო „აპკერ ისტ საიდზე“ მაცხოვრებელი „ლოიერის“ სანახავად.

შარვალს დიდად არ დაჰკვირვებია და პალტოზე კი მასპინძელმა შენიშვნა მომცა — „ეს რა უბედურებაა, ჩვენთან ნიუ-იორკში აი ამნაირებით დადიანო“ — და კარადიდან ერთი გონჯი ტყაპუჭი რის ვაი-ვაგლახით გამოათრია.

— „რას მკადრებ, სტილს ხომ არ გავიფუჭებდი და „აპკერ ისტ საიდზე“ მცხოვრებ „ლოიერს“ „აპკერ ვესტ საიდზე“ ამნაირ ჯუბაში გამოწყობილი ხომ არ ვეახლებოდი. მაცალეთ „სვეტსკაობა“-მეთქი — მასპინძელი დავტუქსე.

ისე, 31-ში დილიდანვე ბოროტი ძალები ძალიანაც ეცადნენ ჩემი „სვეტსკაობის“ ჩაშლას.

ჯერ იყო და შემცვლელმა დამირეკა უთენია — „გენაცვალე, ცოლი გამიხდა ავად და ვერა, ვერ მოვალ, მაპატიეო“. პატიების დრო მქონდა?! ვეცი ტელეფონს და ვინც იყო და ვინც არ იყო ყველას დავურეკე, სულ ძილები დავუფრთხე, „სასტუმროშიც“ გადავრეკე — „არიქა, ორმაგი ხელფასის გაკეთება არავის სურს მეთქი?“ „ТУТ ВСЕ СПЯТ, ИЗВИНЯЮСЬ“ — ო — მიპასუხეს.. აბა ელაპარაკე!... მერე კი ზუზუნით ყურებს ნავილებენ — „ეს რა უბედურებაა, სამსახურს ვინლა ჩივის, „პადრაბოტკებიც“ არ შემოდისო. ა ბატონო, შევთავაზე „პატრაბოტკა“ და „ТУТ ВСЕ СПЯТ“-ო მივიღე.

ვიშოვე ერთი ბეჩავი ბოლოს. ბეჩავი იყო, მა რა! ახალი წლის ღამის გატარება „პადრაბოტკებზე“, ისიც „ბორჩალოში“ მხოლოდ ბეჩავებს უხარიათ.

არ გეგონოთ „ბეჩავს“ უპატივცემულობით მოვიხსენიებ. პირიქით, ძალიანაც რომ ღრმა პატივისცემით. ბოლო-ბოლო 5 წელი მეც ბეჩაობა მინევდა.

პირველ ახალ წელს, მე ბეჩავი, მომაკვდავის სასთუმალთან ვიჯექი.

მეორე ახალ წელს, მე ბეჩავი, ოთახში გამოკეტილი და ყურებში საჩვენებელთითებ-გარჭობილი შევხვდი — იმ ავციას ლანძღვა ახალი წლის ღამეს რომ არ გამეგო.

მესამე ახალ წელს, მე ბეჩავს მეძინა.

მეოთხე ახალ წელს, მე ბეჩავმა, ოჯახში ღვიწვიანის კოლექციას მივაგენი და ერთი ბოთლიც ვხუხე. კოლექცია კი იყო ძველი და იდეაში კი უნდა ყოფილიყო მაგარი, მაგრამ პატრონი შენახვის წესებით თავს დიდად რომ არ იწუხებდა პირველ ჭიქაზე და ვეჭვდი, მეორე ჭიქაზე — ვიგრძენი, მესამე ჭიქამ — დასტური მისცა, მეოთხე ჭიქამ — ნერტილი დაუსვა და მეხუთე ჭიქამ ღვიწვიანის გამომგონებლის გაჩენის დღე მატრიალეზინა. მოკლედ, ძველ ახალ წლამდე იმ უმსგავსობის გამოდევნას მოვუნდი.

მეხუთე ახალ წელს ადგილობრივი კომედიანტის უკბილო ხუმრობებს ვითმენდი ლაიან რიჩის მომლოდინე. არც ლაიონმა გამიმართლა — „დანსინ ონ დე სილინგ“ უკმეხად მომიგდო და „ერთი თქვენიც და თქვენი ტელევიზიებიც“ — შემაკურთხებინა.

და აბა რა დასახრახი ვიყავი, მეექვსე წელს პატარა „სვეტსკაობა“ რომ მომდომებოდა?!

მერე იყო და ბობა განმიცხადა — „მენზე დასა-

კარგი დრო სად მაქვს, ტაქსით ისარგებლე”-ო. მე ტაქსით სარგებლობის სანინაალმდეგო არაფერი მქონდა, მაგრამ ალბათ, ტაქსებს ჰქონდათ რაღაც ჩემს სანინაალმდეგო. ყველამ ისეთი „ბიზი“ დაიჭირა, სულ „სორი, სორი“ მაძახებინა.

საშველად მეზობლებს მივმართე. მეზობლებმა სიტყვების ისეთი ტკეპნა და წელა დაინყეს, ხუთი წუთის სავალი გზა დედამინა - ვენერა - დედამინა და აქციეს. იმათაც ზრდილობიანი „სორი“ თქო და ჩემს სიტყვა - გალაქულთა გრძელ სიას - „თუ როდესმე, რამე, სადმე, არ მოგერიდოს“ - ისინიც შევმატე.

ბოლოს ვპოვე ერთი ნაკლებად ცხვირაბზუ-ეზული ტაქსების კომპანია.

მერე ესაო და თოვსო და ყინავსო და თანაც ზამთარიო, მატარებელი, ცოტა არ იყოს უგუნებოდ გახლდათ და ძველებური ენთუზიაზ-მიც განელეობდა. მაგრამ პასუხისმგებლობაზე კარგად განვრთნილმა მოვალეობა მაინც შეას-რულა.

უშინშველო დეტალებით რომ არ შეგანყინოთ, ძირითადებს მოგახსენებთ - საცივი გეახელით (ორი მათლაფა), ნაპოლეონიც (დავაყოლე (ორი უზარმაზარი ნაჭერი), შამპანიურიც მივირთვი, ჯინ-ტონიკიც და ვარდისფერი ღვინოც, პუჭურ-პუჭურების ჩამოთვლა არც ღირს.

მერე „ლოიერიც“ გავიხსენე - „აპპერ ისტ საიდზე“ მცხოვრები. მგონი ვეკეკლუცე კიდეც, მაგრამ აშკარად ცოტა მკლებია, იმიტომ რომ ამ სიტყვების წერისას ეულად ვარ და თანაც ეულად ვარ „დიერ პარკში“. და ცოტა რომ არ მკლებოდა, ვინ იცის, იქნებ, ბედობის დღეს „აპ-პერ ისტ საიდზეც“ შევხვედრილიყავი.

მერე იცოცხლე, ამ ყველაფერ ზემოჩამოთ-ვლილმა („ლოიერის“ გამოკლებით), ისეთი ველური ბრაზილიური ტანგო გამართა, რომ მთელი ღამე ცხრა პირი ოფლი მალგრევიანა.

თუმცა, ცხრა პირ ოფლს ვინ ჩივის, ხომ მაინც „ვისვეტსკავე“ პატარა.

დილით მასპინძელს საცივისა და ნაპოლეონის გადანაწილებაში წავასწარი - „სალამოს ისიამ-ოვნებო“.

ღამენათევსა და ნამთვრალევეს ჯამ-ჭურჭ-ლის ჩხარუნის თავი მქონდა?! ხათრი რომ არ გამეტხვა, ავდექი და ჩემს წილ საცივსა და ნა-პოლეონს იქვე „აპპერ ვესტ საიდზე“ მოვუღე ბოლო.

მერე გამოვგორდი და ხუთ საათში „დიერ პარკში“ ჩამოვგორდი.

სადგურში ტაქსი ავიყვანე. მძღოლს საუბარი გავუბი.

- როგორ მოგნონს სამსახური? - მეთქი.
- ბედს არ ვუჩივიო.
- დამღლელი თუა?-მეთქი.
- არა, საათობრივზე ვარ და რა დროც მანყობს, იმას ვიღებო.
- სხვაგან სად მუშაობ?-მეთქი.
- სკოლის ავტობუსი დამყავსო.
- აბა შენ კარგი მძღოლი იქნები-მეთქი.
- კი უმაღლესი კატეგორიის მძღოლი ვარო-კმაყოფილმა გაიღიმა.

მერე ცოტა ჩემი ვთქვი, წინა დღის ტაქსების ამბავიც შევჩივე, გული მოვიოხე.

— ჩვენი კომპანიის ნომერს მოგცემ, თუ მუდ-მივი კლიენტი გახდები, კომპანია პირველ რიგში მოგემსახურებაო.

მძღოლს, ჩემი არ იყოს, გემრიელი აქცენტი ქონდა.

საიდან ხარ?-მეთქი.

ჰაიტიდანო.

უი, ერთ ჰაიტელ ექიმს ვიცნობდი — ტვინის ძალიან დაძაბვამაც ვერაფერი მიშველა, სახელი ვერ გავიხსენე — „კარგი ექიმი იყო მეთქი“ - მეტი დამაჯერებლობისთვის დავამატე.

შენ საიდან ხარ? — მკითხა

ჯორჯიიდან-მეთქი

უი — ახლა მისი ჯერი დადგა — ვიცი ჯორ-ჯიაო.

ჩემმა „სვეტსკაობამ“ თავისი ქნა — ყელში მფხაჭნიდა და ტანში მაჭრჭოლებდა. დიდად საქართველოს გეო-პოლიტიკურ ვითარებაზე საუბრის სურვილი არ მქონდა, მაგრამ ზრდილ-ობა ითხოვდა და...

ნუსებიდან გეცოდინება, აი ავვისტოში ომი... წინადადება არ დამასრულებინა.

არა, არა, ტელევიზორს საერთოდ არ ვუყურებ, 1980 წელს ჯორჯიამ არგენტინას თასის მფლო-ბელთა თასი რომ მოუგო, იქიდან ვიცი.

ენა გადმომეკიდა, სასწრაფოდ შევკეციე. უზ-რდებლობა მაინც, ხომ იცით...

იმ წელს ჯორჯიაზე დავნიძლავდი. არგენ-ტინა არ მევასებოდა და მაგრა მინდოდა ჯორ-ჯიას მოეგო. მეც და ჩემი ძმაკაცებიც ჯორჯიას „ვბალეშიკობდით“, პრინციპში მთელი ჰაიტი ჯორჯიას მხარეზე იყო და რომ მოიგეთ, ერთი უნდა გენახა მოსახლეობა რა დღეში ჩავარდა?! ქუჩაში გამოვვარდით, დავრბოდით, ვყვი-როდით, ერთმანეთს ვეხვეოდით. თანაც, ფული მქონდა ნიძლავზე დადებული და მოვიგე. ხომ ხედავ, ჯორჯიამ ფული მომაგებიანო.

რამდენი მოიგე?-მეთქი.

ბევრი არა, სულ ოცი დოლარი, მაგრამ იმ დროს, თანაც ჰაიტელისათვის ოცი დოლარი კარგი მაყუთი იყოო. აი, საიდან ვიცი ჯორჯიაო. დიდი „ტიპი“ მივეცი - ღმერთმა დაგლოცოს-მეთქი.

იმ ღამეს, ჰაიტელისა არ იყოს, მეც ბავშვებთან ერთად ქუჩაში დავრბოდი და ვყვიროდი, რატომ, წარმოდგენა არ მქონდა, მაგრამ სხვებს ხომ არ ჩამოვრჩებოდი. ქვეყანა ბლაოდა და მეც მაგრად მომწონდა. სხვა დროს ბლავილს ვინ დამანებებ-და? ჩემი ბლავილი რა სათვალავში ჩასაგდები იყო?!

1980 წლიდან დღემდე 29 წელმა განვლო. დღეიდან 29 წლის შემდეგ, საინტერესოა, ვის როგორ გავახსენდებით?!

ჩემი აბრეშუმის შარვლისა და 10 გრადუსიანი ყინვის არ იყოს, იქნებ დროა „სვეტსკაობას“ მოვრჩეთ და საქმეს მივხედოთ.



ირასკლი  
სამსონაძე

### მეხუთე პერსონაჟი

კომედიის ორ მოქმედებად

მოქმედი პირები:

**ასმათი** — ტელესტუდიის გენერალური პროდუსერი, ამ თანამდებობისთვის თვალშისაცემად ახალგაზრდა ქალი.

**ვახო** — მწერალი, სცენარისტი.

**გიგი** — რეჟისორი, სტუდიის თანამშრომელი.

**ნონა** — 30-იოდე წლის წინ კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში ნამუშევარი ქალბატონი.

#### პირველი მოქმედება

**გიგი** — *| მასაჟს უკეთებქს |*, — აჰ, გაზეთებისაც? და კინოსტუდიის დაფუძნებაზე არ გიფიქრიათ, ნონა, ეს შეიძლება ძალიან პერსპექტიულ საქმედ ვაქციოთ...

**ნონა** — კინოსტუდიის დაფუძნებაზე რამდენიც გინდათ იმდენი მიფიქრია, გიგი, მაგრამ ამ წუთას ყველაზე მეტად მე ვახო მაფიქრებს,

იცით... რა სჭირს ვახოს, ნუ დამიმაღავთ, გემუდარებით, იქნებ ჩემმა გამოჩენამ იმოქმედა მასზე ასე დამთრგუნველად, იქნებ...

**გიგი** — არა, უბრალოდ შეილის ამბავი აფიქრებს — უცხოეთში სურს სასწავლებლად წასვლა და... შევცვალოთ პოზიცია... *| მოხვევას შეეცდებქს |*.

**ნონა** — *| ხელიდან გამოუსხლტება გიგის |*, — სულ ესაა! ღმერთო ჩემო, მე ხომ ფონდი მაქვს...

**გიგი** — *| ხელმოცარული კაცის უხერხულობით |*, — ფონდი?..

**ნონა** — დიას, ფონდი! მე ხომ სრულიდ უცნობ ადამიანებს ვეხმარები... დეზადორით ვისარგებლებ ერთი წუთით, თუ შეიძლება...

**გიგი** — *| უახლოვდება |*, — იქნებ მასაჟი კიდევ...

**ნონა** — არა, არა, დიდი მადლობა... მე შემოქმედებითი სტრესის ჟამს ფასდაუდებელი დახმარება გამინიეთ... *| დეზადორს დასწვდება, თავჩაქინდრულ ვახოს მიუახლოვდება, ვაცისკროვნებული სახით |*, ვა-ხო! ვახ-ტან-გი!

**ვახო ამოხედავს.**

**ნონა** — *| დეზადორს მიასხურებს ლოყაზე, შემდეგ აკოცებს |*, — არაფერზე იფიქრო, ძვირფასო, დღეიდან შენი პრობლემა ჩემი პრობლემაა...

**ვახო** — ოო, ღმერთო! *| თავზე ხელებს შემოიჭრს |*.

**ნონა** — *| ატაცებული, აღტკინებულიც კი, მათარას ამოაძვრენს ხელჩანთიდან |*, — აი ასე, მეკობრესავით ვსვამ ჩვენი თანამშრომლობის სადღეგრძელოს! *| მოსვამს |*, ახლა კი პრეზენტაციაზე, ასმათთან! *| მობილურზე რეკავს |*.

**გიგი** — ნონა, ეს ნოკიაა, ბოლო გამოშვება?

**ნონა** — დიას... ალო, ნუგზარ, მანქანა შემოსასვლელთან მიიყვანე! *| გიგის გაუღიმებს |*, ჩემი მძღოლია...

**გიგი** — აა...

**ნონა** — *| შუბლზე მიადებს ვახოს ხელს |*, — არა, არა აქვს სიცხე, მაგრამ ფერი მაფიქრებს...

**გიგი**, თქვენი იმედით ვტოვებ ვახოს... *| ნაპიჯს გადადვამს, ოდნავ აერევა ფეხი |*, მგონი, დავთვერი...

*| გადაიკისკისებს |*, გკოცნით შუბლზე, თქვენი მთვრალი მეკობრე! ეს უნდა ჩავინიშნო! *| მიდის ფეხარეული |*.

**გიგი** — *| თავისდაუნებურად გაღიმებული |*, — ნახვამდის... *| პაუზის შემდეგ |*, ეს ქალი მიყვარს! ეს ქალი ძალიან მიყვარს! ბიჭო, ვახო, კომკავშირის ცეკას რომელ ლაბირინთში გადააწყდით ამ ქალს! ვინ არის, ვახო, ეს ქალი?!

**ვახო** — *| თვალგაციებული მზეურით |*, — ჩემი პირველი ქალია...

**გიგი** — *| ვახოს გამოხედავს |*, — პირველი?

**ვახო** — *| თითქოს წამოაზიდაო, მაგრამ თავის შეკავებას მოახერხებს |*, — ნუ მელაპარაკები...

გაგრძელება. დასან. № 10

გიგი — */ვახოს უახლოვდება /*, — რა, სას-  
მელმა განყინა?

ვახო — */თვალვაციებული /*, — პატარა ბიჭი  
ვიყავი... კომკავშირზე დანერეო... პრემიე-  
ბიო... მომავალიო... თავის კაბინეტში, თავის  
მაგიდაზევე მინვებოდა... გავერიდე მერე... არ  
დავთმე... ო, შენი, სად ვცხოვრობდით! */გულს  
ირევს, გიგი შუბლს დაუჭერს /*.

### მეორე მოქმედება

იგივე გარემოში მოკრივის მუთაქაა ჩამოკ-  
იდებული. ასმათი მუთაქას შესცქერის, ადგ-  
ილს მიინაცვლებს, ამ კუთხიდან შეათვა-  
ლიერებს მუთაქას, შემდეგ ბარის მაგიდისკენ  
გაემართება, დაიხრება და მაყურებლისთვის  
გაუჩინარდება. ცოტა ხანში გიგი გამოჩნ-  
დება ბორჯომის ბოთლით. დროდადრო ბორ-  
ჯომს მოსვამს ხოლმე ბოთლიდან და წელზე  
ივლებს ხელს. სარკეს მიაშურებს, უპეებს  
ჩამოინევს, ამოიხვნეშებს რამდენჯერმე და  
მერეღა შეამჩნევს მუთაქას. მიუახლოვდება,  
ხელს შეახებს. გატრიალდება.

გიგი — */გ ზად /*, — ვინ შემოიტანა ეს?! აოე,  
არავინ ხართ! */თვალს ეფარება /*.

როგორც კი გიგი გავა, ასმათი გამოჩნ-  
დება, სკამზე მოთავსდება და მოსიყვარულე  
თვალებით მიაჩერდება მუთაქას. გიგი მა-  
ლევე შემობრუნდება.

გიგი — */დაბნეული ასმათის უეცარი აღმო-  
ჩენით /*, — ასმათ? სად იყავი? მე... იქ... */უაზ-  
როდ გაიღიმებს /*.

ასმათი — */მუთაქას უცქერს /*, — მძიმე სალ-  
ამო გქონდა. ეტყობა...

გიგი — */ბორჯომის ბოთლს დახედავს /*, —  
ა, ჰო... გუშინ... */ასმათს შესცინებს /*.

ასმათი — */მუთაქას მიცქერილი /*, — გასაგე-  
ბია.

გიგი — */მუთაქისკენ იშვერს თითს /*, — ვინ  
შემოიტანა?

ასმათი — */თვალს არ აშორებს მუთაქას /*, —  
მე ჩამოვაკიდებინე.

გიგი — შეენ? */პაუზა /*, რად გვინდა მოკრივ-  
ის მუთაქა? მითუმეტეს, სადღაც ნაგდები...

ასმათი — */იგივე მდგომარეობაში /*, — ეს  
არაა მოკრივის მუთაქა.

გიგი — */უახლოვდება მუთაქას, ხელს შეახ-  
ებს /*, — როგორ არა, მოკრივის მუთაქაა...

ასმათი — */გაუნძრევლად /*, — არა-მეთქი!

გიგი — */ხელით სინჯავს მუთაქას, ინ-  
ტერესით /*, — აბა, რაა?

ასმათი — ეს მე ვარ.

გიგი — */თითქოს დაენვაო ხელი, შემკრთა-  
ლი მოშორდება მუთაქას, თავის რეაქციაზე  
თავადვე ეცინება, თუმცა შემცბარია /*, — მეხ-  
უმრები?!

ასმათი — */გიგის გამოხედვას /*, — იაპო-

ნური მეთოდი.

გიგი — ვერ გავიგე?!

ასმათი — შრომის ნაყოფიერება რომ არ დაე-  
ცეს. უფროსზე გამწყრალი ხელქვეითებისთ-  
ვისაა. შეუძლიათ დაამცირონ, ლანძღონ, ცემონ  
კიდეც...

გიგი — */შემცბარი, ცუდის მოლოდინში /*,  
— ასმათ, არ მესმის...

ასმათი — */წამოდგება, საიდანღაც ჯოხს  
მოიძიებს, მუთაქას მიუახლოვდება /*, —  
თუმცა, ხანდახან უფროსებისთვისაცაა. */მუ-  
თაქას უცქერს /*, როცა უფროსია ხელქვეითზე  
გამწყრალი, როცა ხელქვეითია არაფრის გამ-  
კეთებელი. ანუ, ზარმაცია ხელქვეითი. ყვეყრია.  
მექალთანაა. როცა უნიჭოა ხელქვეითი და ამბ-  
იციურია თანაც. */ვამეტებით შემოსცხებს მუ-  
თაქას ჯოხს /*, წესით, აეროპორტი ქუდი უნდა  
ეხუროს იმ ხელქვეითს. */შემოსცხო /*, ჰიტ-  
ლერივით ჩამოჭრილ უღვაშს უნდა ატარებ-  
დეს. */შემოსცხო და შემოსცხო /*, გამიგია,  
ბულალტერულ უღვაშსაც ეძახდნენო ასეთ  
უღვაშს. */შემოსცხო /*, როცა გაუზრდელია  
ხელქვეითი. */შემოსცხო და შემოსცხო /*, ქვის  
ხანის აზროვნებით. */შემოსცხო /*, კლიპიც ვერ  
გადაუღია წესიერად. */შემოსცხო /*, როცა,  
ქარაქუცა და ვირიშვილია ხელქვეითი, მაგის  
დედის დედა... */შემოსცხო, შემოსცხო და შე-  
მოსცხო /*.

ასმათი წამისმიერად მშვიდდება. ამ სცე-  
ნაში გიგი თითქოს საკუთარ ტყავზე განიც-  
დიდა თითოეულ დარტყმას. შემდეგ შიშით  
მიაცქერდება ასმათს, რომელიც სარკესთან  
ინესრიგებს თავს.

ასმათი — */სათვალე ვაისნორა, უმისამარ-  
თოდ ამბობს /*, — ჭკვიანები, ძალიან ჭკვიანები  
არიან იაპონელები! */მშვიდად ტოვებს სცე-  
ნას /*.

გიგი მძიმედ დაეშვება სკამზე. შემოდის  
აღელვებული ვახო.

ვახო — წარმოგიდგენია! მართლა ჰქონია  
ფონდი... უშვებს ჩემს შვილს... მიდის, სადაც  
უნდა — ჰოლანდიაში, ბელგიაში, გერმანიაში...  
გალექსილივით არაა, გიგი, ჰოლანდიაში, ბელ-  
გიაში, გერმანიაში... */პაუზა /*, მე დამეჭოჭა. */გი-  
ვის გვერდით ჩამოჯდება /*, დამავალდებულა...  
ჩამავლო... დამიჭირა... ისევ დამიჭირა! */გიგის  
გამოხედვას /*, რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის?

გიგი — ახლა მე აქ ისე მირტყეს, ადამიანის  
ენა ვერ აღწერს...

ვახო — */იბნევა /*, — ვინ გირტყა?

გიგი — ... ასმათმა.

ვახო — რატომ?

გიგი — */მექანიკურად /*, — მიტომ... */პაუზა /*,  
თუმცა, მართლა რატომ ასე?! ასე რატომ?!  
*/ვახოს მიხედვას /*, მგონი ვუყვარვარ...

ვახო — ვის?

გიგი — ასმათს...

ვახო — შეიშალე?!

გიგი — */სადღაც წასული მზერიო/,* — კი, ნაღდად ვუყვარვარ... რაღაცას ელოდა ჩემგან... აშკარად... კი... ნიშანი მომცა... თუკი რამე გამეგება ქალის, ნაღდად ელოდა... გამომიწვია... გამეთამაშა... მე იდიოტი კი ვიკლაკნებოდი აქ... */ვახოს გამოხედავს/,* როგორ გამოვიყურები?

ვახო — შემაშფოთებლად...

გიგი — კაბინეტში მივაკითხავ და იქ... იქვე...

ვახო — გიგი, გიგი, გიგი!..

გიგი — */სარკეს მიაღვება, ისტერიულად ივარცხნის თმას/,* — მოიცა, რა! შენ ყოველთვის ეგეთი იყავი... მელანქოლიკი... ჰო, ბავშვობიდან... მე ვიცნობ ამათ, ამ პატარა, გაავებულ მტაცებლებს... ამ მღრღნელუკებს, ბასრი კიჭუნიებით... ვიცი ამათი ზნე... ბუნება ვიცი ამათი... მიწვევდა... იქვე უნდა შემეველო ხელი და მერე გენახა... ჩვენ აქ, ვახო, აღვირახსნილობას გავაჩაღებთ, ზეტოტალურს, ვახო! მე ამ ნორჩ მტაცებელთან, შენ იმ შენს მაქსიმესთან...

ვახო — ფუჰ, შენი!..

გიგი — რატომ, ბიჭო, ფუჰ, მითხარი, რატომ?!

ვახო — მარაზმია ეგ ბებრული! ამ ხნის კაცი სარკესთან კოპნიაობ და ბოდავ! ბოდავ ახლა შენ! ვერ გრძნობ, რა სასაცილო ხარ?

გიგი — */სარკეს ჩამოშორდება/,* — ვერა, ვახო, შენ წარმოიდგინე ვერ ვგრძნობ, რომ სასაცილო ვარ! იცი, როგორ მინდა სიცოცხლეს დავენაფო და თუნდაც ერთხელ გამარჯვებულად ვიგრძნო თავი?! იცი, როგორ მინდა ვიცხოვრო ბრჭყვიალა, განათებულ სივრცეში?! ეს ჩემი გენეტიკური მისწრაფებაა, ვახო! მე იმ სივრცის ნაწილი ვარ და აქ ვცხოვრობ... ვერც ჩემმა წინაპრებმა და ვერც მე ვერ გავარღვიეთ მოჯადოებული წრე, რომელიც ასე გვახრჩობს, ასე გვაზინყებს თავს, ვახო! იცი, ვახო, იცი, როგორ მინდა, თუნდაც ერთხელ მოვთავსდე ლიმუზინის უკანა საჯდომზე, ჩემს გვერდით კი თვალისმომჭრელი სილამაზის ქალი იყოს... ირგვლივ ღილაკებია, ხედავ! სულ ღილაკებია და ტყავია, უძვირფასესი ტყავი... ეს ტყავი მე მოვინადირე! მე მოვკალი ყველაზე დიდი მამონტი! ეს ქალიც ჩემი მონადირეებუღია და ეს მანქანაც თავისი ღილაკებით... აჭერ ღილაკს თითს და როგორი ხმა გესმის, იცი, ვახო—ცსს... ცსს... იღება ბარი და თითქოს სიზმარიდან ცხადში გადმოსახლდაო ისე მოემართება ბარიდან შენსკენ ბროლის ოთხკუთხა ბოთლი ბროლის ჭიქებით, ვახო... მერე წითელ ხალიჩაზე ვდგავართ მე და ჩემი ლამაზი ქალი. ჟურნალისტები ერთმანეთს აწყდებიან, ფოტოაპარატების მკვეთრი ნათება ჩვენზე... შევდივართ დიდ, მოსარკულ დარბაზში და მსუბუქად ნასვამები, თავისუფლები, ლალები, ამ დაბანილ-დავარცხნილ-დანკრიალეებულ საზოგადოებაშიც კი ვასხივებთ ჩვენი ბედნიერებით... მე ხომ ბავშ-

ვობიდან ვოცნებობდი ამაზე, ვახო! მე ხომ ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ თუნდაც ერთხელ ვერ განვიციდიდი ამას! */წელზე შეივლებს ხელს და ასე გამოემართება მუთაქისკენ/,* ო, ეს... ო, ეს ნუხანდელი სალამო... მჭახე სიცილ-ტვარცალითა და იაფფასიანი არყით გათანგული სინამდვილე... გაღვიძება არ გინდა... ტკივილამდე ხუჭავ თვალებს... არ გამეღვიძოს, არ გამეღვიძოს, არა, ჯერ არა!.. რაღაც დამამცირებელ ცოდვაში ხარ ამოგანგლული... სინამდვილეში კი, ვახო, ეს ყველაზე მძიმე მარხვაა, რომ იცოდე, იმიტომ, რომ მართლაც ღირსეული, მართლაც მაცდურათ განათებული ცოდვა ყოველთვის ჩვენს მიღმა იყო, არის და... */მუთაქას ჩამოეჭიდება/,* ჩემი საბრალო, გალახული ცხოვრება... ჩემი საბრალო — მე და ჩემი საბრალო წელი... */გაელიძება, უცნაური სხივი ჩაუღვება მოცრემლილ თვალებში, თითქოს ოცნებაში წავიდაო/,* მაგრამ, ვახო, თუკი რამე გამეგება, კიდევ უნდა მიმანიშნოს... ვახო... კიდევ ერთხელ... გიგი ბიძია დაელოდება ამ ნიშანს... გიგი ბიძია მოთმინებით დაელოდება, ვახო! შენ გგონია, ვუბერავ?

ვახო — თვითონაც ხომ გრძნობ?

გიგი — */გაღიმებული, ოცნებაში წასული/,* — ვერა...

ვახო — მე კი ვავუბერავ სადაცაა... ახლა ის მოვა...

გიგი — */კვლავ მუთაქას მოჭიდებული და გაღიმებული. თითქოს მექანიკურად ეკითხება/,* — ვინ?

ვახო — */გაცვიებული მზერიო/,* — ნონა...

გიგი — */ივივე მდგომარეობაში/,* — ნონა ვინ არის?

ვახო — მაქსიმე... ღმერთო, რა იდიოტური ფსევდონიმია...

გიგი — */ივივე მდგომარეობაში/,* — მოვიდეს მერე...

ვახო — სერიალის თავის ვარიანტს შემომთავაზებს... პიონერხელმძღვანელის სიბეჯითით თანაც... ოდესმე მაინც თუ მიხვდება ჩემი შვილი, რა მსხვერპლზე წავიდა მამამისი... გულმოდგინედ ვემზადები იმისთვის, რომ ვაკეთო — არაფერი. არა, კი არ ვაკეთო, შევქმნა — არაფერი. აუტანელია, გიგი, როცა — არაფერს ქმნი... შემზარავია, ეს; გიგი... შენი სულის აბორტმახერი ხარ თავადვე. გამოაცარიელო უნდა... გამოასუფთაო... არც სულის, არც ფიქრის ნატამალი არ უნდა დახვდეს — არაფერს... ცარიელი სივრცე უნდა დახვდეს, გიგი... */პაუზის მერე/,* ადრე, იმ იდეოლოგიურ მარაზმს ემსახურებოდა და როგორღაც დავუძვერი... გადაურჩი როგორღაც... ახლა ამ დეიდეოლოგიზირებული მარაზმის სამსახურში ჩადგა და ჩამავლო, დამავალდებულა, დამაბა... რატომ წერს, საერთოდ?.. რაში სჭირდება ამხელა ფულის პატრონს, წერა... რად უნდა ეს,



ანდა რა ავადმყოფობაა ეს, გიგი, გამაგებინე, გიჟია?!

**გიგი** — */ვალდებულნი, მუთაქას მოჭიდებულნი, ოცნებაში წასული, მექანიკურად ეკითხვება/,* — ვინ?

**ვახო** — ნო-ნა!

**გიგი** — */იგივე მდგომარეობაში/,* — აბა, ნონა?

**ვახო** — */თვალვაციებული/,* — მაქსიმე...

**გიგი** — */იგივე მდგომარეობაში/,* — აა... ჰო, ალბათ...

**ვახო** — გიგი, ხომ არ შემატოვებ იმას!..

**გიგი** — */გიგი თავის ოცნებას უღიმის/,* — ვის?

**ვახო** — */მოხდავს ვივის, ვალი ზიანებით/,* — მოეშვი რა, მაგ მუთაქას, სულ გამოტვინდი?!

**გიგი** — */შეცბება, ახლავა გამოერკვევა/,* — ჰო, მუთაქა... ვინ მოვაო?!

შემოსასვლელიდან ჯერ აღელვებული ნონას ხმა მოაღწევს: - ვახო! ვახო!!! შემდეგ გამოჩნდება კიდეც სამეჯლისო, გრძელი კაბით და სადედოფლო დიადემით შემკული. გრძელსამკლაურიან ხელჩანთას იატაკზე მოთრევს. ცალ ხელში საკმაოდ თხელი სინოფსისი უჭირავს. სახეზე დაბინდული იერი დასდებია.

**ნონა** — */შორიდანვე/,* — ვა-ხო! */სკამს დაეყრდნობა/,* ეს... ეს შენ შექმენი! */სინოფსისს ააფრიალებს/,* შენ შექმენი, ვახო, ეს! გიგი, თქვენც მონაწილეობდით ამ საქმეში?!

**გიგი** — */დამფრთხალი/,* — არა, ნონა, მე ისე... გარედან... ძალიან მკრთალად...

**ნონა** — ესე იგი, შენ, ვახო?! ეს სულ შენია?

**ვახო** — */შემკრთალი, შეშინებულიც კი/,* — ჰო... უნდა ვაღიარო... სისულელე...

**ნონა** — სისულელე?!

**ვახო** — */უფრო შემკრთალი/,* — მეტიც... იდოტიზმი... დანაშაული კაცობრიობის წინაშე...

**ნონა** — მოეშვი თვითგვემით ტკობას!!! ეს... ეს...

**გიგი** — დიახ, რა არის ეს?... ძალიან ბევრი შენიშვნები გაქვთ, ნონა! ძალიან ცუდია?!

**ნონა** — ეს გენიალურია, ვახო! ეს... */მუთაქას შენიშნავს, შეცვლილი ტონალობით/,* და ეს რა არის, ვარჯიშობთ?

**გიგი** — */იშმუშნება/,* — არა... ეს... იაპონური მეთოდი ყოფილა.. უფროსზე გამყრალი ხელტყვიანებისათვისო, ასმათმა...

**ნონა** — მეხუთე პერსონაჟი, ესე იგი...

**გიგი** — ვერ გავიგე?!

**ნონა** — ამან უცებ გაიარა ჩემში... ნზ და... ასმათი, მე, თქვენ, გიგი, და ვახო! ისიც მეხუთე... ხომ მახვილგონივრულია? უნდა ჩავინიშრო...

**გიგი** — შესანიშნავია მართლაც... რა კარგად ატარებს ის ვილაც თქვენში ამ ელექტრონს...

**ნონა** — გიგი, ნუ მაშაყირებთ მუდმივად... ახლა სრულიად სხვა განწყობა მაქვს... ტრანსში შესვლის პროცესს გავდივარ, თქვენ კი...

**გიგი** — არა, ნონა, რატომ გაქვთ ჩემზე ასეთი ეჭვი, ვერაფრით ამიხსნია... კი, ბატონო, მივხედოთ საქმეს... მეც შემოქმედებით ნვაში ვარ... ესეიგი, შენიშვნების გარეშე... ერთხმად...

**ნონა** — რალა თქმა უნდა შენიშვნების გარეშე... */პაუზა/,* თუმცა სურვილები გამიჩნდა... */ხელჩანთას დაითრევს, იქიდან ქალღმების ძალიან დიდ შეკვრას ამოიღებს, თხელ სინოფსისს ვივის გაუნჯდის/,* ეს თქვენ, გიგი! მგონი, აღარ დაგეჭორდება...

**ვახო** — */ქალღმების შეკვრას მიცქერილი/,* — ეს სულ სურვილებია შენი, ნონა?!

**ნონა** — მე ხომ მწერალი არა ვარ, ვახო!.. მე მხოლოდ ვატარებ... მე ვინვი, ვიღვენთები, მე მზად ვარ ტრანსისთვის, ვახო! */სკამზე დაემხო და თვალებს დახუჭავს/,*

**ვახო** — */შიშით მიცქერილი ნონას/,* — გიგი, იცოდე, არ დამტოვო, გიგი!..

**გიგი** — არა, არა... */ისიც ნონას უცქერს/,*

**ნონა** — */თვალდახუჭული/,* — “ნაკიანი წელიწადი”. სამას სამოცდაათხი სერია... თითო სერია ნაკიან წელიწადის თითო დღეზე... ვნებათაღელვა... სიყვარული... მკვლელობები... გამოძიება... სივრცე... მასშტაბი...

**გიგი** — */შემკრთალი/,* — თორმეტი სერია მინდაო, ასმათმა...

**ნონა** — */თვალდახუჭული/,* — ხმა-კრინტი! მადროვეთ მუშაობა!

**გიგი** — არა, ეს მე კი არა, ასმათმა თორმეტიო... */მობილურის ზარი. გიგი ნომერს დახედავს, ვახოს მიაცქერდება/,* ის არის, ასმათია!.. აი, ნიშანი! აი, ჩემი გუმანი, ვახო!..

**ვახო** — გიგი, იცოდე არ დამტოვო! გიგი...

**გიგი** — */ხელით აჩუმებს ვახოს, მობილურს ყურთან მიიტანს, შეცვლილი ხმით/,* — ჰო, ასმათ! ვმუშაობდით... მაქსიმე, კი, აქაა... ტრანსში შედის... შენთან შემოვიდე? */თვალს უკრავს ვახოს/,* რომ ვმუშაობთ... კარგი, შემოვალ!.. */დაფეთებული, აღვზნებული/,* შემოვალ, შემოვალ, მოვალ... */სარკესთან მივა/,* მოვა ბიძია, მოვა... */კარისკენ მიდის, ვახო ხელზე მოეჭიდება. მცირე ძიძვილაობა, გიგი თავს გაინთავისუფლებს/,* საქმეზე მეძახის! საქმეზე! ნაიმუშავეთ თქვენ!.. მივალ და მოვალ... */ვარშის ოთახიდან/,*

**ნონა** — */როგორც კი გიგი გაუჩინარდება/,* — ვა-ხო! ვახტანგ!

**ვახოც** აპირებდა გაპარვას, ადგილზე ვახევდება.

**ნონა** — ვახო, მე ახალგაზრდა ქალს ვხედავ! ის მოკლეს, ვახო! მკვდარია, მკვდარი! არ გებრალეება?

**ვახო** — */დაბნეული, შემკრთალი, ნონას მიცქერილი/,* — ვინ არ მებრალეება?

**ნონა** — ქალი, რომელიც საკუთარ ბინაში ნახეს მოკლული?

**ვახო** — */ნიშნისმოგებით/*, — ისე რა, ნონა! ნონა — განთავისუფლდი ამ დამღუპველი ირონიისგან! ირონია ჩვენი ყველაზე დიდი მტერია!.. გახსენი გულის კარიბჭე! გახდი სრულიად დეიდეოლოგიზირებული! იდეოლოგიაც ჩვენი მტერია ირონიასთან ერთად! ჩვენი იდეოლოგია არის დეიდეოლოგია!

**ვახო** — იდეოლოგიას შენ მიხსნებ, ნონა?

**ნონა** — დიახაც, გიხსენებ, იმიტომ რომ მე ახლა სხვა ვარ!.. მოვახერხე და ჩამოვიცილე ეს მძიმე ტვირთი! შენ კი ეჭვებისა და ირონიის ეკლები აღგიმართავს, რათა დამკანრო, გამაუბედურო, ჩამომიშორო!.. უბრალოდ შეიბრალებ ეს ქალი! ის ხომ ისეთი ახალგაზრდა იყო, ისეთი ლამაზი... და მოკლეს, ვახო, რით მოკლეს, როგორ ფიქრობ, რით?!

**ვახო** — */ავდებულად/*, — დანით!

**ნონა** — არა! არა!

**ვახო** — მაკაროვის პისტოლეტით!

**ნონა** — არა, არც ეგ... რაღაც უფრო საინტერესო მოიფიქრე! უფრო...

**ვახო** — ბერდენკით!

**ნონა** — ღმერთო ჩემო, რა უსუსური ფანტაზიაა, ვახო!

**ვახო** — */ხმამაღლა/*, — ბომბით! ატომური ბომბით!

**ნონა** — არა! არა! არა! ის მოკლეს სრულიად უცნობი ბაქტერიით...

**ვახო** — */პაუზის შემდეგ, თითქოს შეგუებულადაც/*, — გასაგებია...

**ნონა** — გამომძიებელი საგონებელშია... კაცობრიობა საფრთხის წინაშეა!

**ვახო** — გამომძიებელიც ახალგაზრდაა ალბათ და სიმპატიური, ხომ?!

**ნონა** — ყოჩაღ, ვახო, ყოჩაღ, მაგრამ მოეშვიმეთქი ამ ირონიას, ვიკანრები შენგან, მუშაობის ხალისი შეკარგება... */პაუზა/*, ცოლიანია გამომძიებელი...

**ვახო** — აჰა...

**ნონა** — და აი, ირკვევა, რომ მოკლულ ქალთან ვინმე ახალგაზრდა მეცნიერს ჰქონია რომანი...

**ვახო** — ისაა მკვლეელი?

**ნონა** — ჯერ არავინ იცის!.. თუმცა, ყველაფერი ამაზე ლაღდება, ვახო! მეცნიერი საეჭვოდ გაუჩინარდა, მასზე ძებნა გამოაცხადეს! ამასობაში საიდანლაც ჩამოდის მოკლულის და... */თვალდახუჭული/*, საიდან ჩამოდის, საიდან, საიდან... აჰ — შტატი ჯორჯია

**ვახო** — იყოს ჯორჯია, მაგრამ რატომ, ქართველები რომ ვართ?

**ნონა** — ეს არაა არსებითი... ამ ქალს და გამომძიებელს ერთმანეთი შეუყვარდებათ... გამომძიებლის ცოლი ეჭვიანობს, მაგრამ, აი, ერთ დღეს გამომძიებლის ცოლსაც ჰკლავენ!..

**ვახო** — იმასაც ბაქტერიით?

**ნონა** — არა, გამომძიებლის ცოლს მანიკურის ჩხირით ჰკლავენ... სასულე არტერიაში...

**ვახო** — იმ მოკლულის დაა, ესე იგი, მკვლეელი?!

**ნონა** — */უეცარი ისტერიკით/*, — ხმა! კრინტი! */თვალზე ცრემლმომდგარი/*, ეს მე მკალვენ, მე, შე უსინდისო, მე მკლავენ გამუდმებით, ჩემსკენ უშვებენ ირონიის შხამიან ისრებს. ყმანვილკაცები, მეცნიერები, პარტიული მოღვაწეები და გამომძიებლები!.. შენც მათ შორის ხარ, შენც...

**ვახო** — კარგი, ნონა, ჩუმად ვარ, დამშვიდდი...

**ნონა** — */უცებ წყნარდება, თვალებს ხუჭავს/*, — ახლა თეთრ ფერს ვხედავ... თეთრი... სულ თეთრი... ჩრდილოეთ პოლუსი!

**ვახო** — პოლუსი?!

**ნონა** — არა, პოლუსი არა, კავკასიონის ქედი... უშბა! თოვლი, თოვლი, თოვლი, ქოხმახი თოვლში... ქოხმახში წვერმოშვებული მეცნიერი... მისკენ მთიელი გოგონა მიემართება, საკვები მიაქვს უ-ბე-დურს!..

**ვახო** — შენ გინდოდა გეთქვა, სვანი გოგონა!

**ნონა** — */ხელის განვდენით/*, — შეჩერდი, გოგონავ, შეჩერდი!!! ვახო! ვახტანგ! ვახო, მასაფი, ვახო!

**ვახო** — რა მასაფი?!

**ნონა** — ვახო, სასწრაფოდ მასაფი, ვახო, თორემ დაინვა სადენი... აი, აქ, ბეჭებზე!.. გემუდარები, ვახო!

**ვახო** — ნონა, ჩვენ სცენარზე...

**ნონა** — */მუდარით გაინვდენს ვახოსკენ ხელებს/*, — მიშველე, ვახტანგ!

შემკრთალი ვახო მიუახლობდება ნონას და მხრებზე დაადებს ხელებს. ნონა ვახოს ხელებს მოეჭიდება. ასე გახვედებიან წამით. უეცრად სცენის მარცხენა კუთხეში დაოთხილი გიგი შემოდის. შემოვა თუ არა, წამოდგომას დააპირებს, მაგრამ ასმათი გამოჩნდება, ქეჩოში ჩაავლებს ხელს და ასევე, დაოთხილს გაათრევს.

**გიგი** — */გამოჩენისთანავე/*, — რაო, ვინ არის მკვლეელი! ვახო, ვინ არისო... მკვლეელიო, ვახო!

**ასმათი** — */გიგის ქეჩოზე ხელნავლებული/*, — წამოდი, შენი!..

**გიგი** — სამუშაო მაქვს! სამუშაო! სამუშაოდ ვარ! ხელი! ხელი!

**ასმათი** — ჭკვიანად!..

**გაუჩინარდებიან.** ნონა თავად გაიტარგამოიტარებს ვახოს ხელებს მხრებზე.

**ნონა** — */თვალდახუჭული/*, — დამზილე, გენაცვალე, დამზილე, არ გებრალება შენი ნონა...

**ვახო** — */გაურკვეველობაში, შემცბარიც/*, — ნონა, ჩვენ...

**ნონა** — */თვალდახუჭული/*, — რა ჩვენ, რა, ვახო!.. რა, ჩვენ!.. ჩვენ ვმუშაობთ... ჩვენ

მხოლოდ ვმუშაობთ... სად გავჩერდით? ჰო, მთიელი გოგონა...

**ვახო** — სვანი...

**ნონა** — მოეშვი ამ დეტალებს... მთავარია, რომ... */პაუზის შემდეგ/*, დილაა. პატარა ქონმახში ახალგაზრდა გამომძიებელი ლამაზი, სვანი გოგონას ცხედარს დასცქერის.

**ვახო** — */გალიზიანებით დააწვება ბეჭე-ბზე/*, — ესე იგი მეცნიერი-მეთქი მკვლეელი, ხომ გითხარი!

**ნონა** — ო, ეს ხელები, ეს ნაცნობი, მონატრებული ხელები... ვახო, გამახსენე მერე, ჩაენერო უნდა!

**ვახო** — */მეტი გავეშებით უკეთებს მასაჟს/*, — მეცნიერია?!

**ნონა** — არა! შენ წარმოიდგინე, არა!

**ვახო** — */მასაჟს უკეთებს, თითქმის ღრიალი-ით/*, — აბა, გამომძიებელია მკვლეელი?!

**ნონა** — არა, არა, გამომძიებელი უბედური კაცია, რადგან ნარკობარონები გასაქცევად გაუხდინან საქმეს და ის შემდგომში კანტუზიას მიიღებს...

**ვახო** — */მასაჟს უკეთებს, თითქმის სივი-უბნად მისული/*, — ესე იგი, იმ ქალის დაამკვ-ლეელი, ხომ გითხარი, იმ ქალის დაა!!!

**ნონა** — არა, იმ ქალის დასაც ჰკლავენ!

**ვახო** — */მასაჟს უკეთებს, ვაცოფებულის/*, — ვინ ჰკლავს, ვინ?!

**ნონა** — ეს არაა არსებითი, რადგან ამათ კიდევ ყავთ ერთი და, სახელად მედეა, რომელ-იც დამოუკიდებელ გამომძიებას იწყებს!..

**ვახო** — */უკვე დამთავრებული ვიფია/*, — დაგახრჩობ, დაგახრჩობ, შენი!.. */კისერზე შე-მოაჭდობს ხელებს/*, მკვლეელი ვინაა! ვინაა მკვლეელი, ვინ, ვინ!!!

**ნონა** — */ქვემოდან აცქერის ვახოს/*, — დამახრჩვე, ჰო, დამახრჩვე, რადგან... */ხმა ჩაუნყდება/*.

**ვახო** — */ახრჩობს/*, — რა, რადგან, რა?! ამ-ოიდგი ენა, რადგან რა?!

**ნონა** — */ვაჭირვებით ამოთქვამს/*, — რად-გან მკვლეელი შენ ხარ!..

**ვახო** — მე ვარ! ესე იგი მე! ჰო, ჰო, ვარ! მკვ-ლეელი ვარ!!!

**ნონა** — */ხავილით/*, — ააა! ააა!

**ვახო** — */უეცრად გაეცლება ნონას, ღრმად სუნთქავს, თავის ხელებს დასცქერის შეძრ-წუნებულის/*, — ვარ... ვარ...

**ნონა** — */სულს მოიბრუნებს, სამოსზე მი-ეტანება ვახოს, თავისკენ მიიზიდავს/*, — თუ მკვლეელი ხარ, მკვლეელი იყავი! მომკალი, მომ-კალი, ჩემო სულისთქმავე! ახლავე მომკალი... */ერთმანეთს ჩაეკონებინან, შეცვლილი ხმით/*, ვახო, ეს არ დამავინყო!

**ვახო** — */აღელვებული, აღვზნებული/*, — რა, ნონა?

**ნონა** — ეს ფარაზა — მომკალი, ჩემო სუ-ლისთქმავე! ხომ კარგია!

**ვახო** — ო, შენი! მართლა დაგახრჩობ, მარ-თლა!.. ძიძგილობა-ბლლარძუნში ბარის მიღმა აღმოჩნდებიან, თვალს მოეფარებიან.

**როგორც კი ვახო და ნონა გაუჩინარდები-ან, თითქოს ნიხლით შემოაგდესო, ისე შემოი-ჭრება ოთახში სამოსაჩაჩული, თვალჩალურ-ჯებული გიგი.**

**გიგი** — */მიიხედ-მოიხედავს, შემოსასვ-ლელისაკენ მეტი სიფრთხილით გააპარებს თვალს, პაუზის შემდეგ/*, — მატრიარქატია, ტო! */სიჩუმეს მიაყურადებს, უფრო ხამამა-ლლა/* მატრიარქატია!!! სად გაიზარდე, სად!!! */ასმათს შენიშნავს, უკან წაღვამს ნაბიჯს/*.

**ასმათი** — */შემოსასვლელში თავგამორგუ-ლი/*, — გამოხვალ? გამოდი!

**გიგი** — იყოს... ვმუშაობ.

**ასმათი** — მაშინ იმუშავე, ნუ ზარმაცობ!

**გიგი** — ჰოდა, ვმუშაობ! აი, ვმუშაობ!..

**ასმათი** — ყოჩაღ! */გაუჩინარდება/*.

**გიგი** — დიას, ვმუშაობ! ვმუშაობ მე! უტა-ნელ პირობებში, სხვათაშორის! სამზარეულო-ში! რეჟისორი კაცი, სამზარეულოში! მაგრამ, ხომ ვმუშაობ! თითსაც ვერავინ დამაკარებს! ეს ჩემი სამუშაო კუთხეა! ვმუშაობ მე აქ!!! გაგდება გინდათ ჩემი? გამაგდეთ! კი, ბატონო! ჩემი ნებით კი არ წავალ! ამ ბედნიერებას არ გაღირსებთ! თქვენ გამაგდეთ! მერე ვნახოთ! შემოქმედთა პროფსაბჭოსთან გექნებათ საქმე! სასამართლოსთანაც! მე... მე... პოლიკლინიკი-დან ავიღებ ცნობას და მერე პირდაპირ სასა-მართლოში! იქ... იქ ვილაპარაკებთ, იქ... ვაიმე, ბიჭო, გავბოზდი, მგონი, ამ სიბერეში...

**საკამზე დაემხოზა გახევებული. გამოჩნ-დება ვახო.**

**ვახო** — გიგი, როგორ ფიქრობ, გამომძიე-ბელმა რით მიიღო კანტუზია, გიგი?

**გიგი** — */ვახევებული/*, — ურო მოხვდა თავ-ში...

**ვახო** — ურო?... იყოს ურო... კი, ურო...

**გიგი** — */ვახევებული/*, — მივხვდი, ვინ არის ასმათი...

**ვახო** — ვინ არის ასმათი?

**გიგი** — კარატისტია...

**ვახო** — ააა...

გაგრძელება იქნება



რევაზ ართილაყვა

## არონ კოპტაინი

### გიორგი ლეონიძეს

ეს სიმღერა ყელში როდი ბორგავს,  
საუკუნის გატოლებას ლამობს,  
გაგიმარჯოს, ამხანაგო გოგლა,  
ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ძმაო.

გაუმარჯოს, დიდება და ვაშა,  
ვინც გაუძლო თემურ ლენგის მახვილს,  
ირანელთა უბოროტეს ლამქარს  
გადაურჩა შენი გმირი ხალხი.

თუმცა როდი უცხოვრია მშვიდად,  
შენი ხალხი მტერს არ შეუშინდა.

ქვეყნად ცოცხლობს რუსთაველის ლექსი  
და კოლხეთში ჰყვავის დიდი ბალი,  
შენს ხალხს ახსოვს წლები უმკაცრესი,  
მძიმე დღეებს არ ივინყებს ხალხი.

შენ გვახარე მერცხალივით ფიცხლად  
თბილისური თბილი განთიადი,  
თვითონ ვხედავ,  
ხშირ ფოთლებში მკვირცხლად  
ცინცხალი მზე ბავშვივით რომ დადის.

ცხრათვალა მზე თბილისს ეშხით მოსავს,  
ცის სილურჯეს ერთვის ძველი მცხეთა,  
გაგიმარჯოს, ლეონიძე — მგოსანს,  
დიდება და გამარჯვება შენდა.

ჩვენს ძველ საზღვარს დღეს ბალახი ფარავს,  
გაუქმდა და ნაიშალა ზღვარი.  
დაილოცოს, დაილოცოს მარად  
დიდი ვაჟას ჯადოსნური ქნარი.

ეს არ არის ზღაპარი და მითი,  
ამ ქვეყნად გზა გაგრძელებას ითხოვს,  
ცხოვრება წინ უსასრულოდ მიდის,  
თან მიჰყვება შენი ლექსის სიტბო.

მთის მდინარე მოშხუის და ბორგავს,  
კავკასიონს შვენის ცისარტყელა,  
სალამი და დღეგრძელობა, გოგლა,  
ჩვენს მეგობრებს გაუმარჯოს ყველას.

შემართება მინდა ფშაველების  
და ზაჰესის ჩაუქრობი ცეცხლი,  
საქართველოს ტურფა მთა-ველები  
რომ შევაქო უკრაინულ ლექსით.

## ვლადიმერ მაიაკოვსკი

### ჰაინესებური

თვალთაგან ელვა შემომანათე,  
— ვიხილე, როგორ გამცვალე სხვაზე,  
ხარ სულმდაბალი და მოღალატე.  
და დამაყარე ქოქოლა თავზე.

მე ამგვარ რისხვას არ ვარ უჩვევი,  
გიჯობს დაიცხრო გულის ნუხილი,  
თუ თვალთა ელვას გადავურჩები,  
არ მეშინია შემდეგ ქუხილის.

## ბელა ახმადულინა

\*\*\*

თავს ნუ მევლები ასე ძალიან,  
არც არაფერი არასდროს მკითხო.  
ნუ მომაშიებ ასე მალიმალ  
შენი კეთილი თვალების სიტბოს.

ნურც გაზაფხულის დატბორილ ველზე  
ამედევნები, როგორც ლანქერი,  
თანაგრძნობასაც ჩემში ნუ ეძებ,  
ამაო არის ეს ყველაფერი.

ნუ ფიქრობ, თითქოს ამაყი ვარ და  
მიტომ დაგიხშე გულის კარები.  
მე უნებლიე სევდამ და დარდმა  
გამხადეს ასე მიუკარები.

## ივანე უშაკოვი

### ოსტატობა

გემორჩილება ვიდრე ხელები  
და ინარჩუნებ მცდელობის უნარს,  
მეთუნის ჩარხზე კვლავ გახელებით  
სამყარო მიწყევ აბრუნო უნდა.

ქვეყნიერება ითხოვს სრულყოფას,  
დადგი კვარცხლობეკზე,  
მოუპყარ მკაცრად,  
გაანან სილა  
უტირე ყოფა,  
რომ გარდაიქმნას თიხიდან აზრად.

## იგორ სავერინაძე

### სამწუხარო გამოცდილება

მე ცდის შედეგი ვინვნიე მწარე,  
ის, რაც სხვისია სხვისად დარჩება.  
ჰა, გაზაფხულიც მოადგა კარებს  
და შინ მიმიხმო სახლ-კარმა ჩემმა.

ეს გაზაფხულიც, ვინ იცის სულაც  
ბოლოა, ასე რომ ხარობს ირგვლივ.  
იქნება სულმა შეიცნოს სრულად  
მიტოვებული სახლ-კარის ხიბლი.

სიხარბეს გულში ნუ გაიკარებ,  
ისმინე ჩემი კეთილი რჩევა,  
სხვისი ნუ გინდა, შენი იკმარე,  
ის, რაც სხვისია, სხვისად დარჩება.

## იანის პეტერსი

### ცეცხლი

მინდორში ცეცხლი ვიპოვე და  
ამ ცეცხლით ვცოცხლობ,  
მძლავრი კოცონით მე დავაფრთხე  
მრუმე წყვდიადი,  
გამოქვაბულში გავაჩაღე  
ცინცხალი ცეცხლი,  
ცეცხლით უბრალო  
ქვა და რკინა გავადიადე.

დავიმორჩილე ჯერ ცეცხლი და  
მერე ლითონი,  
დაკოჟირილ ხელით მტკიცედ ვჭედდი  
ხმალსა და გუთანს.  
ქალებისათვის სამკაულებს  
ვჭედდი თვითონვე,


ცეცხლის წყალობით  
სინდისის გაჭედვაც მსურდა.  
ცეცხლს ვალმერთებდი,  
ვლოცულობდი ცეცხლის გაჩენას,  
ბედნიერების ძიებაში  
ვიკლავდი წყურვილს,  
მაგრამ მიმტყუნა,  
არ დამინდო მოყვასმა ჩემმა,  
ნამართვა ცეცხლი —  
ღმერთიცა და არსობის პური.

ჩემს ნაპოვნ ცეცხლზე  
ცოცხლად წვავენ ადამიანებს,  
შებლალეს ცეცხლი,  
ცეცხლში ინვის ჩემი გონება  
და ველად ქარი  
ნამწვავსა და ფერფლს აფრიალებს,  
ჩემს ნაპოვნ ცეცხლში  
ინვის სხვისი გამოგონება.

მინდორში ცეცხლი ვიპოვე და  
ვცოცხლობ ამ ცეცხლით,  
ცეცხლად ვაქციე  
მოჩხრიალე მდინარის ტალღა.  
კეთილ ბავშვებში  
კეთილ საქმეს ცეცხლით ვაცოცხლებ,  
ცეცხლის წყალობით  
მე მივიწვევ ვარსკვლავზე მაღლა.

ქვეყნად პირველად  
ქვაში ვპოვე ცეცხლის ღირსება  
და ჩემი სული  
ცეცხლის ხვატში ტირის და მღერის.  
ჩემი გული კი  
შურისგების ცეცხლით ივსება  
მათ მიმართ,  
ცეცხლზე ვინც ბოროტი აღმართა ხელი.

თარგმნა რევაზ ართილაყვამ



ნეკუძა  
ლებანიძე

### „ნახავი თუ ბაიბანს, ხან მა ამათ ვითხახი?!“

„პოეტი მაინც სულ არ კვდება, როდესაც კვდება...“ – ბრძანებს მურმან ჯგუზურია. და არცთუ უსაფუძვლოდ: ნაღდ შემოქმედებას ისევე არ ნაეყრება დავინყების ფერფლი, როგორც სამყაროს...

მაგრამ... თავგამოდებული ჭირისუფალი მაინც ყველას სჭირდება – თუ დროდადრო ვილაცას არ გაახსენდა, ვილაცა არ შენუხდა, შენც არ მომიკვდე, ყურს არავინ გააპარტყუნებს!

თუმცა, დღეს ვის რა უკვირს? ვის რაღა უკვირს, როცა მავანთა მიყურისძირებით თითქმის ყუამდე დავიდა ყველაფერი, რასაც „ეროვნულობის“ ბეჭედი აზის!

მურმან ლებანიძის პოპულარობა კი, უპირველესად, სწორედ ეროვნულობაში უნდა ვეძიოთ. ვინც მის შემოქმედებას თვალს გადადევნებს, უთუოდ შენიშნავს ზემძლავრ მუხტს, რომელიც ასაზრდოებს სამშობლო ქვეყნისადმი მიძღვნილ ყოველ ლექსს. იოლი როდი იყო ამის გაბეჭვა – ათასი თვალი უჭვრეტდა ჯერ შემოქმედის „სამზარეულოს“, მერე — „სამჭედლოს“, სადაც თავს იყრიდა და წიგნად ისტამბებოდა წვითა და

დაგვით შექმნილი ნაკალმარი. ესეც ვთქვათ: იმ გამომცემლობათა მესვეურებსაც სწორედ რომ გმირის თორ-აბჯარი ემოსათ, მათაც უწყოდნენ, რომ ჰაი-ჰარად ვერ დაუსხლტებოდნენ მკაცრი და შეუვალი ცენზურის მარნუხებს...

ზოგჯერ ცხოვრების ალოგიკურობით სულმეძრული პოეტი დაუფარავად წამოიძახებდა: „როდემდის, სამშობლოვ ტკბილო?“ და მიაყურადებდა, ეგებ პასუხის გამცემი გამოჩნდეს ვინმეო.

მოპასუხე კი არა და არ ჩანდა...

„ვარ გაკოჭილი მე ევროპელი!“ — წერდა 1966 წელს, როცა ბოროტების იმპერია ჯერ კიდევ მსოფლიოს აზანზარებდა. ბედნიერი და ალტაცებული კი არა, სწორედ გაკოჭილი ვარო.

მართლა გულმაგარი ვაჟკაცი უნდა ყოფილიყო, მაშინ ამის თქმა რომ გაგებდნა!

სხვაგან უფრო შორს წავიდა: „კარგია ახლა აფრიკის ნახვა, თავისუფლების გახდები მოწმე!“ ეს სტრიქონებიც 1966 წლით არის დათარიღებული. მაშინ იმპერია ჯერ კიდევ არ ბარბაცებდა და მკვიდრად იდგა ფეხზე. „დედისობილა ტომებზე ვფიქრობ და ვხარობ ზანგის თავისუფლებით!“ – აცხადებს პოეტი. ჩემი და ჩემი მოძმეების თავისუფლებით კი არა, ზანგის თავისუფლებით ვხარობ, ვინაიდან ჩვენ ეს თავისუფლება საერთოდ არ გვაბადიაო.

მავანს და მავანს მაინც უკვირს, რატომ უყვარდათ მურმან ლებანიძე ასე ძლიერ, პატრიოტულ ლექსებს აკი სხვებიც წერენო... იმათ თავისი დამფასებლები და თავყანისმცემლები არ აკლიათ, მურმან ლებანიძეს კი თავისი „ამქარი“ ჰყავს.

თუ საკუთარ ინტუიციას და გემოვნებას მაინც არ ვენდობით, ფეხდაფეხ უნდა შემოვიაროთ ამერ-იმერი, შევხვდეთ ახალგაზდასაც და ხანდაზმულსაც, ქალსაც და კაცსაც გავესაუბროთ და ისე, სასხვათაშორისოდ გადავუკრათ სიტყვა მურმან ლებანიძეზე. ვკითხოთ, თუნდაც ხულოელ პედაგოგ ეთერ დეკანაძეს, ქარელელ ლიანა აბაშიძეს, ახალგორელ როლანდ ოვამვილს, თელაველ ლეილა თარალაშვილს, ქობულეთელ ნარგიზა და დარეჯან რომანაძეებს, მარტვილელ ბადრი წულაიას, ასპინძელ ნათელა ცისკარაძეს, სიღნაღელ დარეჯან ფხოველიშვილს, ზუგდიდელ ციური ესართიას, სხვებსა და სხვებს... აი, მაშინ კი უთუოდ ვირწმუნებთ, რა შეუძლია ჭეშმარიტ პოეზიას, რამდენის გულს ათობს და რამდენ დაცემულს წამოაყენებს ფეხზე!

სწორედ ამის შეგნებამ მათქმევინა ერთხელ: „მურმანი შენი რა არის? — მეკითხებიან ხშირად, ის მარტო ჩემი რომ იყოს, არც ეღირება ჩირად! მე იმითი ვარ მდიდარი, ამაყიც, ღიმილმჩენიც, მურმანი, როგორც სამშობლო, თქვენიც არის და ჩემიც!“

... უკვე შვიდი წელი შესრულა, რაც მურმანი ჩვენს შორის აღარ არის. 2002 წლის სიცხიან ზაფხულში ჯიუტად ებრძოდა სიკვდილს მანამდეც ათასჯერ დაჩეხილ-დაკერებული პოეტი. მერე მეხვივით გავარდა მისი გარდაცვალების ამბავი... ვალიართ: გულნატკენი წავიდა და არა ოდენ იმიტომ, რომ ერთადერთი ქალიშვილი — ფიქრია უდროოდ გამოეცალა ხელიდან, არამედ იმიტომ, რომ... უკადრებელი აკადრეს. იმათ, ვინც ჯერაც ვერ დაუსხლტა ვინრო კუთხურობის ჩარჩოებს და ზოგადქართული მსოფლმხედველობიდან ისე შორს დგას, როგორც დედამიწა

— იუპიტერისაგან. მაგრამ ეს სტრიქონები არც საყვედურების გადმოსაფრქვევად იწერება და არც ნამუსზე ვინმეს შესაგდებად — ყველას თავისი სინდისით გაუმარჯოს! მიუხედავად ამისა, გვერდს ვერ ავუვლი სამწუხარო რეალობას: სათანადო უწყებებმა და პიროვნებებმა ერთ ყურში შეუშვეს და მეორედან გამოუშვეს საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 8 ნოემბრის 45720 რეზოლუცია, რომელიც მურმან ლებანიძის ხსოვნის უკვდავსაყოფ ღონისძიებათა განკარგულების მომზადებას ავალბდა სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს, ფინანსთა მინისტრს მირიან გოგაშვილს და თბილისის მერს ვანო ზოდელავას...

გათვალისწინებული იყო სხვადასხვა დონის საღამოები თბილისისა და რეგიონებში, ქუჩებისთვის სახელის მიკუთვნება, ოთხტომეულის გამოცემა, საცხოვრებელ სახლზე მემორიალური დაფის გაკვრა, ონში ძეგლის დადგმა, დიდუბის პანთეონში საფლავის კეთილმოწყობა...

საფლავიც ოჯახმა მოაწყო და რამდენიმე წიგნიც ოჯახმა გამოსცა. ერთდერით, რითიც ხელისუფლებას თავის მონონება შეუძლია, არის ონში დადგმული ძეგლი (ავტორი, მოქანდაკე თემურ ჭყონია). სხვა დანარჩენი შარშანდელი თოვლივით არავისაც არ გახსენებია.

ეს სამწუხარო ფაქტი იმას ადასტურებს, როგორ გაუფასურდა ყველა ღირებულება, რასაც უნდა ეფუძნებოდეს თაობათა აღზრდა და ზნეობრივი ჩამოყალიბება. ასეთი გულგრილობა (თუ დანაშაული არა!), ძირფსვიანად არყვეს საზოგადოებას და კლავს მომავლის რწმენას, ვინაიდან, უნარსულო ქვეყანა ქვიშაზე აგებულ სასახლეს ჰგავს — დაჰკრავს დრო-ჟამი — დარჩება ოდენ „იყო და არა იყო-რა“.

ეკუთვნის თუ არა ცოტა მეტი ყურადღება პოეტ მურმან ლებანიძეს, რომელიც წლების მანძილზე მეთაურობდა რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების კომიტეტს, რუსთაველის საზოგადოებას? პოეტს, რომელმაც შემოქმედებითი ნოვატორობით ახალ სიმაღლეზე აიყვანა ქართული ლექსი, სული შთაბერა თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის საუკუნეობრივ საფიქრალს. პოეტს, ვინც ათეული წლების წინ „ინინასწარმეტყველა“ ბოროტების იმპერიის რღვევა, მოგვახედა აფხაზეთის პრობლემისკენ...

„მურმანი ჩემთვის ყველაფერი იყო — პოეტიც, მეგობარიც, სამშობლოც, მინაც და ცაც“, — მითხრა ქარელელმა პედაგოგმა ლიანა აბაშიშვილმა.

„წელიწადში ორჯერ — პოეტის დაბადებისა და გარდაცვალების დღეებში, ხულოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო სასწავლებელში საგანგებო კუთხეს ვაწყობთ სანთლებითა და ყვავილებით. იმ დღეებში მეც და ჩემი მოსწავლეებიც კიდევ ერთხელ ვმალდებით მურმან ლებანიძის პოეზიის წყალობით“, — მწერს პედაგოგი ეთერ დეკანაძე.

„თქვენმა გვარმა საქართველოს დიდებული პოეტი აჩუქა. უნდა იამაყოთ!“ — ამ შეფასების ავტორი ცნობილი ლიტერატორი, დიდი ილიას თანამებრძოლი ბატონი იპოლიტე ვართაგავა გახლდათ.

ჰოდა, ისევ ჯიუტად ვკითხულობ: ეკუთვნის თუ არა ცოტა მეტი ყურადღება პოეტს, რომელ-

იც ორმოცდაათი წლის მანძილზე „გვანჯღრევდა და გვაფხიზლებდა“.

„შენ სხვა იყავ, შენ მართლა ხმამაღლა ამბობდი სათქმელს, შენი ერისთვის ჰყვიროდი“, — უთხრა პოეტს ჯანსუღ ჩარკვიანიძე.

„ქართველ ხალხს და ქართულ მწერლობას მოუკვდა პოეტი, რომელიც ერთ-ერთი დედაბოდი გახლდათ დღევანდელი ქართული ლიტერატურისა“ (თამაზ წივნივაძე).

გოგი ხარაბაძემ „ნანისქვილარი კაცი“, ვახტანგ ჯავახიძემ „დიდი სიმართლის თავდადებული დამცველი“, ტარიელ ჭანტურიამ „შენუხებული და უბედური“, გურამ ბენაშვილმა „ქართული პოეზიის უნიკალური მოვლენა“ უწოდა.

სამწუხაროდ, მისი ყველა წინასწარმეტყველება ახდა — გასხვისდა აფხაზეთი და სამაჩაბლო, დაიცალა მთის სოფლები. ისევ „გადრეკილია ქარში ალვის ხე, არეულია სამშობლოს ხედი“. არავინ იცის, როდის მივა მის სამარესთან შვილთაშვილი ცოტნე ლებანიძე, რათა „თენდე-ბა, პაპავე!“ ჩასძახოს.

მურმან ლებანიძე არ იყო ის კაცი, ვისაც მხოლოდ საკუთარი ტკივილი აყვირებდა. თავის პირად ტკივილს მოთმინებით იტანდა. იქნებ ჰქონდა კიდევ დაეჭვების წუთებიც, როცა გარს პატარ-პატარა ფინიები შემოეხვეოდნენ და მოსვენებას აღარ აძლევდნენ. არადა, ასეთებიც იყვნენ. ისინი ლანდევით აეკვრნენ, ატეხეს წკავნკავი და ყმული. ვინ — უბადრუკ ლიტერატურულ კვლევა-ძიებაში გაცვეთილი ბებრეკი იყო, ვინ — ხელმოცარული რედაქტორ-გამომცემელი, ჩამონერილი მწერლუკა ან პოლიტიკოსი. ატეხეს ფაციფუცი, არც აციეს, არც აცხელეს, შეელივნენ ლუდის წრუპვას და მოურიდეზლად ჩაყვეს ცხვირი ისტორიულ ანალიგებში, ხარშეს და ხარშეს ბოროტების ლავა, როგორ თუ მტრის მიერ შეკვეთილი და გამოცემული თარგმანი დაგვიწუნესო, როგორ თუ გალაკტიონის გვერდით მოისურვა ყოფნაო, რატომ სამზე მეტ ქალს არ შეუძლია თქვას, პოეტის ცოლი ვარო... ალბათ ამანაც ათქმევინა, „ძმობამ, ყმობამ, მტრობამ, შურმან, აქეთურმან, იქეთურმან, ხომ არ გამოგჭამა გული, ხომ არ დაიღალე, მურმან?“ ან „ღმერთო, დაძინება მინდა, ვალვიძება აღარ მინდა!“

„ათას უბედურებასთან ერთად და საშინელი სიკვდილის მიუხედავად მე მაინც არა ვარ დამარცხებული კაცი!“ — წერდა ფინიების გულის გასახეთქად.

„ერმა, რომელსაც ასეთი შვილი მოუკვდება, ღრმად უნდა ამოიხხროს“, — ამბობდა პოეტთან განშორების დღეებში გაზეთ „თბილისის“ მთავარი რედაქტორი იოსებ ჭუმბურიძე.

ეს ფაქტები გვაიძულებს ვალიაოთ, რომ... მურმან ლებანიძე მართლაც მეტ ყურადღებას იმსახურებს!

მაგრამ ზოგიერთს ისევ ნუ ეგონება, თითქოს დრომ ყველაფერს გადაუხვია ხაზი!

ჟურნალმა „ლიტერატურა და ხელოვნებამ“ ეს წერილი რომ შემოკვეთა, ესეც ადასტურებს — ჩვენი ხალხის მადლიერება და მახსოვრობა ისეთივე ძლიერია, როგორც „თვალთახედვის ისარი“ (ილია).

განვლილი შვიდი წლის მანძილზე მურმანი არაერთხელ გაიხსენეს მეგობარმა მწერლებმა, რიგითმა ადამიანებმა. საგულისხმო მოგ-

ონებები და წერილები დაბეჭდეს „ლიტერატურულმა საქართველომ“, „საქართველოს რესპუბლიკამ“, „სასავალ-დასასვალმა“, „რინამ“, „რეიტინგმა“, „ჩვენმა მწერლობამ“. საგანგებო გადაცემა მოახდინო საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიორედაქციამ. პოეტის შემოქმედებით სალამოებს უმასპინძლა თბილისის მოსწავლეთა სასახლემ, თეატრალურმა ინსტიტუტმა, რუსთაველის საზოგადოებამ, ქობულეთის ასწლოვანმა გიმნაზიამ, საქნიგნამ, ხულოს სასულიერო სემინარიამ...

და მაინც, ყველაზე დიდი საჩუქარი პოეტს საკუთარმა ოჯახმა, პირადად მეუღლემ, ქალბატონმა ელენე ჭავჭავაძემ მოუზადა — შეადგინა და გამოსცა წერილების, მილოცვებისა და როგონების კრებული „მურმანი“. ქუთაისის სს „მანდარიას სტამბამ“ დაბეჭდა რჩეული ორტომად, გამომცემლობა „ინტელექტმა“ — პოეტის „100 ლექსი“.

დიახ, მურმან ლებანიძემ სიცოცხლეშივე მოიპოვა აღიარება და სიყვარული, რასაც დროთა სრბოლა კიდევ უფრო მძაფრად წარმოაჩენს. დღეს პოეტების ქვეყანაში დიდაც რომ ჭირს განსაკუთრებულის შექმნა, მაგრამ მან ამ სტერეოტიპსაც აჯობა. ვერსიფიკაციის სფეროში კიდევ უფრო განავითარა სასაუბრო მეტყველება, მიაღწია სიტყვის, ფრაზის უჩვეულო მოქნილობას და რიტმის დინამიკას, რითაც თავისი საკუთარი სამყარო შექმნა. ობოლი მარგალიტივით მოჩანს რაჭის, სვანეთის, კახეთის პოეტური ციკლები, ხოლო ლირიკული პოემა „მამა, ბავშვობა, გოგოლის ქუჩა“ მშობლის წმინდა ხსოვნისადმი უზომო მოკრძალების ნიმუშია.

მურმანმა პირდაპირ ომის ქარცეცხლიდან შემოაბიჯა ქართულ მწერლობაში და თან მოიყოლა დენთით შერუჯული, ამასთან, უნატიფესი ლირიკით შეზავებული სტრიქონები („მეომრის ქუდი“, „ჩემო ხალხო, ეს ჩანგური“, „მოლანდება“). მერე და მერე უფრო იმძლავრა პატრიოტულმა პათოსმა, რომელიც, მთელი მისი შემოქმედების ქვაკუთხედად იქცა. მკითხველის სამსჯავროზე გამოტანილ ლექსებში ჯიუტად „აპარებდა“ შეფარულ აზრს, რომელთაც ღრმა ეროვნულობის გამო მკაცრი ტაბუ ედო. ახლა ძნელიც კია იმის დაჯერება, რომ „უფლისციხესთან“, „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“ იმპერიის სურსემდგომი რეჟიმის დროს დაიბეჭდა! სურავდ მახსოვს, სტუდენტობის წლები, როცა „ქართველის დედას“, „ახალგაზრდობას“, „დათვები“, „თამუნია ქავთარაძეს“ „მელიქიშვილის გამზირი“, „გვაპყან“, „მეშინია“, „გურამ თიკანაძეს“, „აფხაზეთზე ამ კაცს თვალი უჭირავს“, „ციცო“ და სხვა უამრავი ლექსი მთელს უნივერსიტეტს აბოლებდა! მერე ამას მიემატა „უფლისციხესთან“. ეს ის დრო იყო, როცა თავში გვიტყენდნენ, სესერეკა თქვენი სამშობლოაო. მურმან ლებანიძე კი საქვეყნოდ გაჰყვირის: „მშვენიერია ორ ზღვას შუა კავკასის ხედი, და კითხვა: ვინ ვის? ბებერ გულში ლახვრად მაჩნია, არავითარი სხვა სამშობლო, ამაზე მეტი არ გამაჩნია!“

როცა ახლანდელი თაობა ამაცობს (სამართლიანდაც!), ეროვნული თავისუფლების დროშა აღვმართეთო, ნურც მურმან ლებანიძეს და მის სხვა ლირსეულ თანამოკალმეებს დაივინყებენ — ეს მათ განაღდეს შამბი და ლელი, ეს მათმა გამბედაობამ დააჩქარა და მოახლოვა იმპერიის

რღვევა, რამაც ნაოცნებარი დამოუკიდებლობა მოიტანა. სხვა საქმეა, როგორ განვითარდა მოვლენები, ვიპყით თუ არა თავისუფლების ნაყოფს, რატომ აღარ ახსოვთ „ქვეყნის მამებს“ რომ „დრო ჰქრის, დრო ჰქრის და მეფობენ დრონი! და არა მეფენი“ ქვეყნის პირველმა პრეზიდენტმა წამოაყენა კავკასიის ხალხთა ერთი დროშის ქვეშ გაერთიანების შესანიშნავი იდეა. მაგრამ ეს იდეა ბევრად ადრე „აღმოაჩინა“ პოეტმა მურმან ლებანიძემ: „მინდა, ეს ლელი ლერწმად გავთალო, სალამურსავით ჩავბერო ყელში... „ხომ გელდი!“ ძმა ხარ, ჩემო თათარო! ერთ ბედქვემა ვართ აზიის ტყეში!“ ასე მიეფერა იგი მეზობელი აზერბაიჯანის შვილს, თუმცა არც თუ დალხინებული წარსული და ტკბილ-მწარე ურთიერთობები ავინყდებოდა.

პოეტი მთელი თხოუმეტი წლის მანძილზე არჩევდა, აჯამებდა, ხვეწდა და რანდავდა ქართული ხალხური პოეზიის შედეგებს, რომელიც, როგორც ბატონი ვახტანგ ჯავახიძე ბრძანებს, „აღადგინა, დაადგინა და შეადგინა. შეადგინა და... ველარ გამოსცა“. დღეს ეს ორტომეული უკვე ამშვენებს ჩვენი საოჯახო ბიბლიოთეკის თაროებს.

ათასი საზოგადოებრივი საქმით ყელამდე სავსე მაინც პოულობდა დროს და წერდა ბავშვებისათვის, თარგმნიდა უცხო პოეტთა ნაკალმარს. საგანგებო აღნიშვნის ღირსია წიგნი „ჩემს გალაკტიონს მე ვკითხე ერთხელ“, რომელშიც ჩინებულად მოჩანს XX საუკუნის გენიალური პოეტის მთელი სიმაღლე. ან როგორ არ გავიხსენოთ ის შედეგები, მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს რომ მიუძღვნა — უნატიფესი ლირიკით აღსავსე „ვაზაფხული შემოსულა, ლენ“, რომელიც სიყვარულის ნამდვილ ჰიმნად აქცია ჯემალ სეფიაშვილის მუსიკამ. სამაგიეროდ, როგორი დაუოკებელი მამაკაცური თინით არის დაჭედილი „ციცო“ — „როგორც ხეჭექური ქვაზე დასათხლემი, ციცი ისეთია!“ და ვაჟკაცური თავშეკავებით ამაღლებული „მარეკები მლიდნენ ბანაკს“, „ღმერთო, ღმერთო, მე სულ ველი სიკვდილს, შენ მაცოცხლო ვინძლო, სანამ ვიგრძნო ეგ სურნელი, სანამ ეს სურნელი ვიგრძნო“.

მაგრამ, მოდით, დროებით გვერდზე გადავდოთ ლექსები და მივუბრუნდეთ მხატვრულ პროზას. მახსოვს, ჯერ კიდევ მონაფეოვისას, როგორი გატაცებით ვკითხულობდი „ზაზა მესხს“, მას შემდეგ თითქმის ორმოცდაათი წელი გავიდა. სამწუხაროდ, წიგნი აღარ შემომჩნა — კითხვაში გაცვდა... ერთხელ შევბედე ბატონ მურმანს, რატომ აღარ გამოსცემთ-მეთქი. რაღა დროს „ზაზა მესხიაო“, — ხელი ჩაიქნია.

არადა, გვახსოვს მისი „წერილები ჩემი კოშკებიდან“. უფრო დიდ ტილოსთან შეჭიდებასაც აპირებდა: „ფუთა დაჩქელანზე რომანი მენატრება, რამხელა ამბავია, თუ დავნერე“. ვერა, პოეტმა მისთვის ველარ მოიცალა — უფრო საშური საქმეები აჩქარებდა. ხაშურის გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში ამბობდა, პროზა ჩემი მეორე სიყვარულიაო. პროზიდან პოეზიაში „გადანაცვლებული“ ბევრი მიწახავს, ვიდრე პირიქით. ვერც მურმან ლებანიძე იქნებოდა გამონაკლისი. მაგრამ მაინც დაგვიტოვა „მცირე პროზა“, რომელშიც მოკვდავთა თვალნი ვერ ამჩნევს. „მე გაგვირდი, ქალაქში გამოვედი. მივაბიჯებ და მენზე ვფიქრობ... ცოცხა ბებრები ხომ არა ვართ

საიმისოდ, რომ ან შენ გათხოვდე ხელახლა და ან მე მივეკედლო ვინმეს! შვილებს შენ უფრო უყვარხარ, ლელაჟ!" — აი „ოჯახური იდილიის“ ერთი პატარა თაიგული! მურმანს აქვს ვრცელი ნოველაც — „დიდი პულკა“, პოკერს ეხება იგი. ეს ნოველა მაშინ გამოქვეყნდა, როცა თამაში კი არა, პოკერის ხსენებაც არ შეიძლებოდა! ჩვენ ამ შემთხვევაში მწერლის ოსტატობა უფრო გვიანტერესებს, ვიდრე თვით ფაქტი. „ქართული ანთოლოგია თუ გამოიცემა, ამ ნოველას გვერდს ვერ აუვლის გამომცემელი“, ამბობს როსტომ ჩხეიძე; „ეს ნაწარმოები ქართული ნოველის ოქროს ფონდშია შესატანი“, — უფრო შორს მიდის თამაზ ნატროშვილი; „დიდებული ნოველა, ნამდვილად კლასიკური“ (დავით მჭედლური); „თითქოს მუსიკალური (ნაწარმოებია“ (ინგა მილორავა); „სტეფან ცვაიგის მოთხრობა გამახსენა“ (ლევან ბრეგვაძე)..

რისი თქმა მიიწინა? მურმანმა პროზაშიც შესანიშნავად წარმოაჩინა თავისი კალმის ძალა, თუმცა, ვიმეორებ, პროზა არასოდეს ქცეულა მის „საჯილდაო ქვად“.

რთული ხასიათისა და თავისი პრინციპების კაცი გახლდათ მურმან ლებანიძე. ამითაც დაგვამახსოვრა თავი. ერიდებოდა, ჭირის დღესავით სხაგდა პომპეზური იუბილევები და შეხვედრები. ის ძირითადად წიგნებით ესაუბრებოდა თავის მკითხველს და მკითხველსაც მუდამ სჯეროდა მისი. დიდი, საერო მიზნის მისაღწევად კი ყველაფერს იყენებდა — პოპულარობას, გავლენას, პირველ პირთან სიახლოვეს (გაიხსენეთ „ხელმწიფის ნავი“). მაგრამ ხაზგასასმელია — ეს არ ეხება საკუთარ კეთილდღეობას. მისი ოჯახი დღესაც ცხოვრობს ულიფტო და ურემონტო სახლის ბოლო, მეხუთე სართულზე, სადაც დაზიანებული სახურავის გამო ზამთარ-ზაფხულ „წვიმს და თოვს“. „ამ კიბებზე მოკლა“, — შემომტირა ერთხელ ქალბატონმა ელენემ. 92 საფეხური დავითხალე. ამ 92 საფეხურს დღეში, სულ ცოტა ორჯერ მაინც ავიღ-ჩაივილიდა ხოლმე ათას უბედურებასთან ნაბრძოლი პოეტი... „ეს როგორ ბინაში უცხოვრია“, — ისმოდა გასვენებაში მოსულთა ჩურჩული...

სამაგიეროდ, ხომ შენდებოდა და შენდებდა ჭრუბაჭრულა თბილისი!

არც უცხო ქვეყნებისკენ მიუწევდა გული. კაცმა ჯერ საკუთარი ქვეყანა უნდა შეისწავლოსო, — იტყოდა ხოლმე. გერმანელი კინორეჟისორები გვარიანი ჰონორარის ფასად ნლების მანძილზე ცდილობდნენ მის დაყოლიებას ანრი ბარბიუსის როლისათვის, მაგრამ ამაოდ (თუმცა, იცოცხლეთ, ის ჰონორარი მართლაც ჰაერივით სჭირდებოდა!).

ოთხმოცდაათიან წლებში დიდი მითქმამოთქმა ატყდა რუსთაველის საზოგადოების გარშემო. ალბათ, ორიოდე სიტყვა აქაც უნდა ითქვას. ამ არაპოლიტიკურ ორგანიზაციას პოეტმა უზარმაზარი ენერგია შეაღია. სამოქალაქო ომის შედეგად დანგრეული აპარტამენტების მონყობისათვის გამოიყენა ყველა თავისი შესაძლებლობა, რაზეც ცოტა ზემოთ ვამბობდი. 2003 წლის 4 მარტს შედგა რუსთაველის საზოგადოების რიგგარეშე ყრილობა. იყო ერთი ორომტრიალი — მავანსა და მავანს თავისი კანდიდატურის წამოყენება სურდა, ვინაიდან... საზოგადოების ანგარიშზე მურმან ლებანიძის მიერ დატოვებული დიდძალი ფული ეგულებოდა...

ყრილობამ მიხილ ქურდიანი აირჩია.

ბატონმა მიხილმა თავის საპროგრამო სიტყვაში ზედმიწევნით ჩამოაყალიბა საზოგადოების სამომავლო გეგმა. „ავაშენა ღმერთმა, არ მოისვენებს მურმანის სული?“ — ვფიქრობდი. ვფიქრობდი, რადგან მიხილ ქურდიანმა ჩემზე უკეთესად იცოდა, რას მოელოდა მურმანი ამ საზოგადოებისგან, რატომ შეაღია უზარმაზარი ენერგია მის აღორძინებას. „არ ვიცი, აღდგენამდე ნანახი გქონდათ თუ არა ეს შენობა, — მეუბნებოდა ბატონი მიხილი. — სადაც ახლა ვდგავართ, არაფერი იყო. კაცს ეგონებოდა, ათასტონიანი ყუმბარა ჩამოაგდესო. ბატონი მურმანი გატაცებით მიზიარებდა თავის ვეგმებს, ამას და ამას გავაკეთებო. ცოდვა გამხელილი სჯობს და, გიორგი ერისთავის „გაყრა“ გამახსენდა — „აქ ბესედკა გაკეთდება, უფულოდ კი არ იქნება“. მერე ჩემს თავს შევუძახე, პოეტი, ცოტას თუ ნაიფანტაზიორებს, რა მოხდა-მეთქი... არადა, დღეს აქაურობა ზუსტად იმის ასლია, რაზეც ბატონი მურმანი ასე გატაცებით მესაუბრებოდა“.

მოვიდა დრო და „ბოროტმა აქლემმა“ რუსთაველის საზოგადოების კართანაც დაიჩოქა — უბოდიშოდ გამოაბრძანეს თავისი შენობიდან. დღეს იგი გალაკტიონის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე სამოთახიან ბინაში ყოფილა შეყუჟული.

... დღეს მურმან ლებანიძე თავის ფიქრისთან ერთად განისვენებს დიდუბის პანთეონში. მისმა გარდაცვალებამ ბევრს დაუფრთხო ანგელოზები. „ხანდაზმულ შემოქმედს დასასრულზეც უფიქრია და მაშინ ერთი გვარიანი მითქმამოთქმის საგნად ქცეული ფრაზა დასცდენია ასეთი: „შენთან, შენთან, გალაკტიონ...“ არადა, ასეა!“ — ჯერ კიდევ 1992 წელს დაუნერია პოეტის თანამოკალმეს, მეგობარსა და თანამოაზრეს, ტარიელ ჭანტურას.

ავგისტოს იმ მწარე დღეებში მურმან ლებანიძის ოჯახში დამხვდნენ ბატონები ირაკლი ანდრიაძე, თამაზ ნივნივაძე, გურამ ბენაშვილი, ტარიელ ჭანტურია, ვახტანგ ჯავახიძე, რეზო ნოდარიშვილი, ზაალ ბოტკოველი და ჩემთვის უცნობი ორიოდე სხვა პირიც. ისინი ბჭობდნენ, როგორ გამოენახათ ადგილი დიდუბის პანთეონში... მთანმინდაზე დაკრძალვის ოცდაათწლიანი ტაბუს ერთ-ერთი ინიციატორი აკი მურმან ლებანიძეც ბრძანდებოდა, ამიტომ მთანმინდის ხსენება საერთოდ არ ყოფილა.

ქალაქში კი გაჰქონდათ და გამოჰქონდათ ათასი ჭორი და მართალი...

ამ შვიდ წელიწადში ბევრი რამე შეიცვალა. სამწუხაროდ — უარესობისაკენ.

ოთხჯერ დაირღვა სამთავრობო დადგენილება მთანმინდის ოცდაათწლიანი ტაბუს თაობაზე...

რატომ? ამაზე, ალბათ, მომავალი იტყვის.

„ამიღებთ, წამიღებთ, — დამფლავთ, არაფრის თან არ ვარ წამლები, — თქვენ რჩებით! შეგერგოთ თაფლად! შაქრად თქვენ — წუთისოფლის ბალები!“

ასეთი იყო და დარჩება მურმან ლებანიძე — კუშტიც და მკაცრიც, მიმტევებელიც და მომკითხავიც.

თუმცა, ისევ შეიძლება ათასი ჭინკა ჩაუსახლდეს თვალებში და დაეჭვებით იკითხოს: „ნეტავი, თუ გაიგეს, რაც მე ამათ ვუთხარი?“



ვასილ  
სეროენება

**თეთრი რაში არ დაიდგამს უნაგირს**

ეს ლექსი ვუძღვენი ჩემს შვილს  
— პაკო ცერცვაძეს, რომელიც  
ახლა სხვა განზომილებაშია

ნმინდა სანთლის სხივი ხარ და  
ჩაუმქრალი ღიმილი ხარ...  
და არავის... სულ არავის არ გავხარ...  
თეთრი ხარ და ყირმიზი ხარ...  
ვინც შეგწვდება იმისი ხარ...  
შენს ლოდინში სიჭაბუკე გათავდა...  
სადღაც მიქრის თეთრი რაში...  
სადღაც მღერის თეთრი გედი...  
ყველაფერში დამნაშავე შენა ხარ...  
აენტება ღვინო ჯამში... აფეთქდება ჩემი  
ლექსიც  
და შენ დაგენტება — კარგო — კელაპტრად.  
თავს მოიკლავს თეთრი გედი ამაღამ...  
თეთრი რაში არ დაიდგამს უნაგირს...  
ეს ფიალა უყვარს უფალ თამადას —  
— მიართვით!.. მიართვით!..  
ვინც დალია — ისევ იმან დალიოს...  
ვინც უყვარდათ — ისევე ის უყვარდეთ...  
ვინც ელოდა — მიეგებოს ალიონს...

სინათლე!.. სინათლე!..  
საქართველო — უსასრულო ფიქრია...  
ჯვარზე გაკვრა იმავე წუთს და იმავე დღეს...  
რა მძიმე და რა მსუბუქი ტვირთია —  
გიყვარდეს...

გიყვარდეს!..  
სადღაც მიქრის თეთრი რაში...  
სადღაც მღერის თეთრი გედი...  
ყველაფერში დამნაშავე შენა ხარ...  
აენტება ღვინო ჯამში...  
აფეთქდება ჩემი ლექსიც...  
და შენ დაგენტება — კარგო — კელაპტრად.  
სხვანაირად ვერ ვიქნები...  
ყოველ ღამით — შენთვის ვკვდები...  
ყოველ დღით — შენით ვთვრები ხელახლა...  
ზედაზენზე ცისკარს ვხვდები...  
მეტეხთან მტკვარს ვუერთდები...  
და ვძმაკაცობ — მხოლოდ ტატოს მერანთან...  
მე მოსისხლე მტერიც მიყვარს...  
და ვინც მიყვარს — მართლა მიყვარს  
ასაკით კი — საქართველოს ხნისა ვარ...  
და ყველაზე ნალდი სიტყვა —  
რაც კი მიტყვამს, შენთვის მიტყვამს...  
შენ ხომ ჩემი თეთრი სერაფიტა ხარ...  
თავს მოიკლავს თეთრი გედი ამაღამ...  
თეთრი რაში არ დაიდგამს უნაგირს...  
ეს ფიალა უყვარს უფალ თამადას —  
— მიართვით!.. მიართვით!..  
ვინც დალია — ისევ იმან დალიოს...  
ვინც უყვარდათ — ისევე ის უყვარდეთ...  
ვინც ელოდა — მიეგებოს ალიონს...  
სინათლე!.. სინათლე!..  
საქართველო — უსასრულო ფიქრია...  
ჯვარზე გაკვრა იმავე წუთს და იმავე დღეს...  
რა მძიმე და რა მსუბუქი ტვირთია —  
გიყვარდეს...

გიყვარდეს!  
საით მიქრის თეთრი რაში?!.  
რატომ მღერის თეთრი გედი?..

**ყველაზე ჯანმრთელი —  
აპადმყოფი გული**

თქვენ მე შემეკითხეთ —  
„გული რატომ არის?..“  
და მე გიპასუხეთ — გული რატომ არის  
თუ არ იფეთქა და...  
თუ არ იბორგა და...  
თუ არ დაიხარჯა...  
აბა რა გულია — ერთხელ თუ არ გასკდა  
სად ვთქვა — კრწანისთან ან...  
რა ვთქვა — გარნისთან ან...  
— მართალი ბრძანდებით —  
ან არ გაიმარჯვა.  
(სხვათაშორის, ყველაზე ჯანმრთელია —  
ქვეყნისათვის ავადმყოფი გული.)  
თქვენ მე შემეკითხეთ —  
„სისხლი რატომ არის?..“

და მე გიპასუხეთ — სისხლი რატომ არის  
 თუ არ იყივლა და...  
 თუ არ იხუვლა და...  
 თუ არ გადმოხეთქა...  
 არ შეიძლება ჯგუფებად დაიყოს...  
 ხარისხებად იყოფა სისხლი...  
 (ასე მაგალითად — უმაღლესი ხარისხისაა —  
 ერისთვის  
 დანთხეული სისხლი)  
 თქვენ არ მეთანხმებით —  
 „მთავრდება ეპოქა, ძალიან შორსაა აქედან  
 კრწანისი“...  
 ჩემო მეგობარო, კამათი გვეყოფა...  
 წესს ადასტურებს გამონაკლისი.

\*\*\*

როგორ გავძელით  
 — რომ ვერ გავძევრით —  
 — ისევ იმ წყეულ წრეში ვტრიალებთ.  
 ყველას მივყვებით...  
 ყველას ვუმღერით...  
 ვინც თვალწინ ნაჭერს აგვიფრიალებს.  
 როგორ გავძელით...  
 დროზე გავსხალით...  
 მაგრამ რად გინდა... (ჩვენზე ახია)  
 იქ არ მწიფდება — სადაც ჩავყარეთ  
 ღვინობისთვეში კიდევ მკვასხეა.  
 როგორ გავძელით...  
 ეს თქარათქური —  
 გაღვიძებული სულის კვდომია...  
 სხვის სანახალოში ჩუხჩუხებს ტკბილი...  
 და რა... ჩვენთვისაც შემოდგომა?!  
 როგორ გავძელით...  
 როგორ დავთვევრით...  
 ისევ ეშმაკის წრეში ვტრიალებთ...  
 კვლავაც მივყვებით...  
 ყველას მივყვებით...  
 თვალწინ ნაჭერს ვინც აგვიფრიალებს.

### არაფერი თავდება და არაფერი ქრება

არაფერია აქ ახალი — ამ ცის ქვეშეთში...  
 „ახალი ქვია —  
 ძველს რომ კარგად გადაივინყებ“...  
 აღმართის შემდეგ —  
 ისევ ისევ თავქვე ვეშვებით...  
 ისევ იქ ვჩქარობთ —  
 სადაც უფრო გვმართებს სიღინჯე.  
 კვლავ თავის დრო აქვს ყოველივეს —  
 — მწუხრს და განთიადს...  
 ირმის ყვირილს და ლომის ბუხუნს  
 დრო აქვს თავისი...  
 შუქს არ გამოსცემს არაფერი —  
 რაც არ ანთია...

რაც არ ანთია —  
 განწირული არის ღამისთვის...  
 არაფერი თავდება და არაფერი ქრება...  
 თუ ცუდად არ შეხედავ —  
 ყვაველიც არ ჭკნება...  
 გაგიღიმებს ზოგი და — აყვავდება ნუში...  
 ზოგიერთის ღიმილს კი —  
 ტყვია გიჯობს შუბლში.  
 კაცი მოგესალმება და ინატრებ საძმოდ...  
 ზოგიც ნაცნობს არ ცნობს და  
 ზოგი ღმერთსაც არ ცნობს...  
 ცხოვრობს... ბობოქრობს... როგორც წინათ...  
 ადამის მოდგმა...  
 ეკლესიაშიც შედიან და მირონს იცხებენ...  
 არ ავინყვდებით შობის ღამეს —  
 ნაძვის ხის მორთვა...  
 ზოგნიც ცხოვრებას ამთავრებენ...  
 ზოგნი იწყებენ...  
 კანდელაბრებში დანთებული ქრება სანთლები  
 თუ არ მივაგეთ მისაგები —  
 ბიჭებს... რა ბიჭებს...  
 თუ არ ავედით გელათში და დიდი ქართველის  
 გულზე დადებულ საფლავის ქვას  
 არ დავაბიჯეთ.  
 არაფერი მთავრდება და არაფერი ქრება...  
 ხე რომ ხეა — ისიც კი შეძახილით ხმება...  
 ისა სჯობს რომ არ თესო —  
 თუ არ თესავ კეთილს...  
 თუ მცხეთას არ აშენებ — მოუარე ხერთვისს!...  
 ის რაც ერთხელ მომხდარა —  
 ისევ ისე ხდება —  
 — სული ცაში ნავარდობს...  
 სხეული კი კვდება...  
 არაფერი თავდება და არაფერი ქრება.

### ღვთის საჩუქარი

„პირველითგან იყო სიტყვა.  
 ...და ღმერთი იყო სატყუარი იგი“  
 იოანე 1.1.

სიტყვა თუ იყო პირველთაგან  
 სიტყვებშიც იქნებოდა —  
 — პირველი სიტყვა —  
 ნათქვამი ივერთაგან იყო უთუოდ —  
 — „ღმერთი გვიშველის“  
 აკი გვიშველა...  
 რომ ავკანკალდით —  
 აგორგასალდა მაშინ ვახტანგი...  
 მერეც გვიშველა — თითქმის დავინთქით...  
 და აღჩნდა ქართლში მეფედ — დავითი.  
 კიდევ გვიშველა...  
 როცა ვმღეროდით —  
 დაგვხატა შოთას რუსთაველობით...  
 როცა მივწავლდით და მივილიეთ —  
 — გამოგვიგზავნა შემწედ — ილია.  
 წარმოიდგინეთ — არც ეს იკმარა  
 და არაფრისგან შექმნა ნიკალა

კი. ჩვენც ავუგეთ უფალს სიონი  
მაგრამ საჩუქრად..?!/ რამ მოაფიქრა?!/  
თევდორე ბერის სამოსელს ვარჩევთ  
და ცოტნესავით კვლავ გავშიშვლდებით...  
თუ ვეყვარებით სულ ასე გამჩენს...  
თუ ღმერთი ცოტას კიდეც გვიშველის...

### ეშმაკების თათბირზე

„სიყვარული კონსტიტუციით უნდა აიკრძალოს...  
/ამაზე მეტს ნულარ ვილაპარაკებო/.  
არადა — ლალატი უნდა აიკრძალოს...  
/რაც უფრო ძნელია — არავის არ გვარგებს/.  
სიკეთე კანონით უნდა აიკრძალოს  
/რად გვინდა! რას გვაძლევს!

რამდენი დრო მიაქვს./

ანდა ბოროტება უნდა აიკრძალოს —  
— რაც უკვე მესამე მსოფლიო ომია.  
ბედნიერებაც ავკრძალოთ კოდექსით...  
ეს უკანასკნელი — წინა ორს ყოფინობს“.  
ბოდიში... კენჭისყრას ვერ დაველოდები...  
გადაწყვეტილება არ შემატყობინოთ.

P.S. სიცოცხლის აკრძალვის საკითხი ამა-  
ვდროულად იხილება ინსტანციაში —  
— რომლის წარმოდგენა სცილდება  
ჩვენს კომპეტენციას.

### ხოხობს სძინავს თბილისში

ვუძღვნი ნათია გიგაურს

იყო და არა იყო რა...  
იყო ტყე და იყო ცა...  
თბილი წყაროც იყო და... აქ დაიბადა.  
შემოქმედმა აკურთხა... კაცმა მასზე ილოცა —  
— გრემიდან... ზარზმიდან... საფარიდან.  
არ შექმნილა ედემად... იყო ელვის კვესება —  
— თბილისში... თბილისთან... თბილისიდან...  
აქ მეტეხთან ლამდება და  
სიონთან თენდება —  
— იმ ძვირფას ადგილთან ვახტანგისა.  
საუკუნე სრულდება... ძველი რას დაბრუნ-  
დება...  
დრო მოდის ან აფრენად ხოხობისა...  
თორემ ალგეთელები — ორი თეთრი ბოკვერი  
მოსართავებს ეძებს წინაპრისას.  
ზვირთი ზვირთზე ედება...

მოდის მტკვარი ვედრებად...  
მტკვარი მოდის იმედად მომავლისა...  
ნარიყალა ბერდება... სული არ უბერდება...  
ხსოვნა არ უბერდება — გორგასლისა.  
იყო და არა იყო რა...  
იყო ტყე და იყო ცა.  
თბილი წყაროც იყო და... აქ დაიბადა.  
ღვთისმშობელმა აკურთხა...  
ერმა მასზე ილოცა —  
— გრემიდან... ომკიდან... საფარიდან.  
საუკუნე თხუთმეტი — იყო მტერზე კვეთება...  
— თბილისში... თბილისთან... თბილისიდან...  
აქ სხვაგვარად ლამდება და  
და საოცრად თენდება...  
დედა ჩანს ქართველისა მეტეხიდან  
მთა კი ჩვენი — უბადლო...  
წმინდა მამის — დავითის  
ივერიის უწმიდეს წარსულს იცავს...  
ყველაფერი ერისთვის... არაფერი თავისთვის...  
ჯილდოდ — მამადავითის წმინდა მინა.  
ხოხობს სძინავს თბილისში...  
შავნაბადას მხარეზე...  
ფრინველებში უმშვენეს ხოხობს სძინავს...  
მაგრამ არ ფრენს უდიდეს სიყვარულის გარეშე...  
ვისაც აუფრინდება — ნეტავ იმას...

### სურათი მოგონება

ევქსინის პონტი მიატოვა  
ავვისტოს ხვატში...  
თავის ბავშვობის ღელესთან ზის...  
თან შვილი ახლავს...  
იმედიც ახლავს —  
— დაიჭირავს იმ ღორჯოს ბავშვი...  
დიდი ხნის წინათ  
მამამისის ანკესს რომ ასცდა.

\*\*\*

მერაბ მამარდაშვილს

„და მურილიოს საწყალი ბიჭი...“  
ასე ხედავდა...  
დიდი მანეტრო...  
უნდა დაესწრო —  
საკუთარ სიკვდილს...  
საკუთარ სიკვდილს —  
უნდა დაესწრო...



მანანა ფუძუაძე

ხირო – ჩემი საცდხივი  
სიყვანილი

ინტერვიუ-მონოლოგი

გაგიკვირდებათ, მაგრამ რომ დავფიქრდი, მივხვდი, რომ თურმე, მთელი ჩემი ცხოვრება კინოსთან ყოფილა დაკავშირებული. თუმცა ეს უფრო ცალმხრივად შეყვარებული ადამიანის მდგომარეობას გავს.

1958 წელს რეჟისორი ზაზა გუდავაძე კინოფილმ „მანანასთვის“ სხვა და სხვა სკოლებში მანანას როლის შესასრულებლად გოგონას ეძებდა. მე მაშინ პირველ კლასში ვიყავი. ბევრ სხვა გოგონასთან ერთად მეც ამირჩიეს სასინჯ გადაღებებზე მონაწილეობის მისაღებად. ჩემდა სამწუხაროდ, ეს პირველი ცდა უშედეგოდ დამთავრდა, თუმცა რეჟისორმა აშკარად საუკეთესო არჩევანი გააკეთა ნაწული სარაჯიშვილის სახით. არადა მეც ისეთივე ახტაჯანა ვიყავი. მე და ნაწულის გარეგნობით ხშირად გვამსგავსებდნენ, ხანდახან ვეშლებოდით კიდეც. ამიტომ ბევრჯერ უკითხავთ ჩემთვის, შენ ხომ არ თამაშობ მანანასო. იმავე წელს თენგიზ აბულაძე იწყებდა „სხვისი შვილების“ გადაღებას. მას ბავშვების „მასოვკა“ სჭირდებოდა, მთავარი გმირის, პატარა

ლიას მეგობრები, მეც მათ შორის აღმოვჩნდი. სიამოვნებით ვასრულებდი ყველა მითითებას, თანაც ხშირად როლი მქონდა. ბატონი თენგიზიც კმაყოფილი იყო ჩემი თამაშით. როდესაც ფილმი ეკრანებზე გამოვიდა, გულის ფანჯრით ველოდი საკუთარი თავის ეკრანზე გამოჩენას, მაგრამ ამაოდ. ძალიან გული დამწყდა და ბევრიც ვიტყვი, მამაჩემი თენგიზ აბულაძის მეგობარი იყო და გაიგო, რომ თურმე ფილმი ძალიან დაუჭრიათ (იმ პერიოდში ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო), შემცირებაში მაინც და მაინც ჩემი ეპიზოდი მოხვდა. შემდეგ რეზო ჩხეიძე იღებდა „ლიმილის ბიჭებს“. იქაც რალაც ეპიზოდში უნდა მეთამაშა. ძალიან გავიპრანჭე, კიკინებიც გავიკეთე, ვეცადე თავი გამოემჩინა, მაგრამ ეკრანზე კვლავ ვერ მოვხვდი. თენგიზ აბულაძეს კიდეც ერთხელ შევხვდი გადასაღებ მოედანზე, როცა თავის ცნობილ ფილმს „მონანიებას“ იღებდა. იქაც სჭირდებოდათ „მასოვკა“ დასაფლავების სცენისათვის. ნანა ჯანელიძემ ორი ავტობუსი მეგობრები შეკრიბა და ბათუმში ჩავედით, სადაც ფილმის გადაღებები მიმდინარეობდა. თენგიზ აბულაძე აღფრთოვანებული იყო ჩვენით. ამბობდა – ასეთი დამჯერი, შემსრულებელი და ენთუზიანით აღსავსე „მასოვკა“ არასოდეს მინახავსო. ჩვენი კუთვნილი სამ-სამი მანეთი ჰონორარი სალამოსათვის პირდაპირ „ინტურისტის“ რესტორანს გამოენერა და ჩვენი ფასდაუდებელი წვლილიც კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ისტორიაში გრანდიოზული ბანკეტით დაგვირგვინდა. მთავარ როლზე გეგა კობახიძე ჰყავდათ მინვეული, შემდეგ თვითმფრინავის გატაცების ოპერაციაში მონაწილეობის გამო, გეგა შემსრულებელთა სიიდან ამოირიცხა და ნახევრად გადაღებული ფილმიც თავიდან გადასაღები გახდა. მეორე გადაღებაზე რალაც მიზეზის გამო მონაწილეობა ველარ მივიღე და კვლავ ეკრანის მიღმა აღმოვჩნდი. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი თავი საკმაოდ არტისტული მეგონა და მსახიობობა ძალიან მინდოდა, თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარებაზეც ვოცნებობდი, მამაჩემმა თავისი ჩვეული იუმორით ეს გატაცება საფუძველშივე ჩამიხშო. მოკლედ, ჩემი სამსახიობო კარიერა არ შედგა.

სულ ახლახან ჩემმა დისშვილმა ლევან მაჭარაშვილმა გადაიღო დოკუმენტური ფილმი „მე, ბაბუა, ილიკო და ილარიონი“, სადაც კარგად და საკმოდ დიდხანს გამოვჩნდი ეკრანზე და დიდი ტექსტიც მაქვს.

ჩემი დიდი სიმდიდრეა ის, რომ მე ახალგაზრდა მამასთან ერთად გავიზარდე. მამაჩემი 24 წლის ბიჭი მახსოვს. მისი მეგობრები თენგიზ აბულაძე, ანზორ სალუქვაძე, გიორგი და ელდარ შენგელაიები და ბევრი სხვა მომავალში დიდი რეჟისორები მაშინ სულ ახალგაზრდა ბიჭები იყვნენ. მე მათ ვხედავდი, კარგად ვიც-

ნობდი, ისინი მოდიოდნენ ჩვენთან სტუმრად. ამ წრეში ბავშვობიდან მიწევდა ტრიალი. მახსოვს, ერთხელ მამამ უნივერსიტეტის ბაღში მიმიყვანა, სადაც მას გადაეხვია ულამაზესი ახალგაზრდა, წარმოსადეგი, მაღალი, მხარბეჭიანი მამაკაცი. მამამ მითხრა, ეს არის ცისკარა (ტოგრიკა – თამაზ ტოგონიძე, ცისკარას როლის შემსრულებელი ფილმში „ცისკარა“). სიამაყისაგან გული კინალამ გამისკდა, ეს რა მაგარი მამა მყოლია, ცისკარას იცნობს-თქო. „ცისკარა“ ბავშვებში ყველაზე პოპულარული ფილმი იყო. 60-იან წლებში (ჩემი ბავშვობისა და მოზარდობის პერიოდში) კინო საოცრად პოპულარული იყო. ხოლო ქართულმა კინომ სწორედ იმ წლებში განსაკუთრებული სახელი მოიხვეჭა. ჩვენი რეჟისორები მაშინ ახალგაზრდები, ნიჭიერები, ნოვატორები იყვნენ. ისინი მართლა გენიალურ ფილმებს იღებდნენ. მათი სახელი ქუხდა საბჭოთა კავშირის ქვეყნებში და მის გარეთაც. ჩვენ მათ შევცივინებდით, მათით ვამაყობდით. კინო იყო ჩემთვის და ჩემი თაობისათვის ყველაფერი. კინომსახიობები და კინორეჟისორები იმ პერიოდში უფრო პოპულარული იყვნენ, ვიდრე მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები. პოლიტიკოსები ვის დაკარგვოდათ. დღესაც ყველა ქართული კინო მიყვარს – ცუდიც და კარგიც. დღევანდელი გადასახედიდან ყველა ფილმი საინტერესო საყურებელია. როდესაც ქართული ფილმი ტელევიზიით გადის, რაც არ უნდა გამოჩენილი უცხოელი რეჟისორის ფილმი გადიოდეს სხვა არხზე, მე მაინც ქართული ფილმის ყურებას ვარჩევ. ეს არის ჩემი სუბიექტური დამოკიდებულება ქართული კინოს მიმართ. ღმერთმა მარგუნა, რომ ჩემი ამხანაგების დიდი ნაწილი, კინოსთან არის დაკავშირებული და როცა რაღაც არ ვიცი, შემიძლია დავრეკო მათთან და გავიგო რა ხდება კინოში ახალი და საინტერესო. რაც შეეხება მამაჩემს – მამა, კინო და თეატრი განუყოფელი ცნებებია. მისი არც ერთი ნაწარმოები არ დარჩენილა კინოში გადაუღებელი და სცენაზე დაუდგმელი, მოთხრობების ჩათვლით. ბევრი მშვენიერი ფილმია, თუმცა არის რამდენიმე სუსტიც, მაგალითად, არ მომწონს „მარადისობის კანონი“. თენგიზ აბულაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ კი შედევი მგონია. მშვენიერია მოკლემეტრაჟიანი ფილმები: „ძალი“, „სისხლი“, „ჰელადოსი“.

ეს იყო კინოს დამოკიდებულება მამაჩემის მიმართ, რადგან მისი ნაწარმოებები იძლეოდა საშუალებას, რომ მათთვის ხორცი შეეხსათ ეკრანზე. მაგრამ თავად ნოდარ დუმბაძე პირველივე ფილმის მერე მიხვდა, რომ კინო არ არის მწერლის, კინო არის რეჟისორის. მან თქვა: „მე კინოში არ ვერევი“. მიუხედავად იმისა, რომ მის პირველ ფილმში (სადაც სცე-

ნარის თანაავტორი იყო) „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, საკმაოდ აქტიურად იყო ჩართული, მეორე ფილმიდან „მე ვხედავ მზეს“ (რეჟ. ლანა ლოლობერიძე) მან გადაწყვიტა, რომ არასდროს ჩარეულიყო ფილმის გადაღების პროცესში. მერაბ კოკოჩაშვილის ფილმში „გზა მშვიდობისა, ჯაყო“, ნოდარ დუმბაძის „ნუ გეშინია, დედა“-ს მიხედვით, ძალიან ბევრია კოკოჩაშვილისეული: დამოკიდებულება, ხედვა, ტექსტი, სცენები, იუმორი. და მიუხედავად იმისა, რომ ამ ფილმმა თავისი ადგილი ქართულ კინოში მოძებნა, მიმაჩნია, რომ ნოდარ დუმბაძის შემოქმედება ვერ იტანს რეჟისორის აქტიურ ჩარევას. სადაც სიუჟეტს გადაუხვიეს, ტექსტი შეცვალეს და უხეშად ჩაერივნენ, იქიდან კარგი არაფერი გამოვიდა. მისი ენა, მისი იუმორი, სევდაც ძალზე სპეციფიკურია, ამიტომ ვერაფრით იტანს მიმსგავსებას ან ცვლილებას. ასეთი იყო თავიდან „კუკარაჩას“ ქეთი დოლიძისეული სცენარიც, მაგრამ ბოლოს ქეთი სწორ გზას დაადგა და ზუსტად ისეთი ფილმი გადაიღო, რომელიც მამაჩემს გაახარებდა. როდესაც ვალერიან კვაჭაძემ „მარადისობის კანონი“-ს გადაღება დაასრულა, დაურეკა მამაჩემს და უთხრა – ის ამოვიღე, ეს ამოვიღეო, მამამ შეანყვეტინა, — აბა სამი პარტიული კრება დაგიტოვებია და ეგ არისო.

60-იან წლებში ნოდარ დუმბაძე კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სასცენარო განყოფილების რედაქტორი იყო და მოღვაწეობდა იმ დროის საუკეთესო რეჟისორების გვერდით. ეს იყო ქართული კინოს აღზევების ხანა და მამაჩემი მისი განუყოფელი ნაწილი გახლდათ.

„დილის გაზეთი“ აქტიურად აშუქებდა ყველაფერს რაც 90-ან წლებში ხდებოდა საქართველოში, მათ შორის კინოს პრობლემებსაც. კინო ისეთი ხელოვნებაა, რომელმაც შეიძლება შენი ქვეყანა ისეთ ფართო ასპარეზზე გაიყვანოს, როგორსაც ხელოვნების სხვა ჟანრი ვერ შეძლებს. იმ პერიოდის ქართული კინოს სავალალო მდგომარეობა კარგად ჩანს სტატიაში „პასუხი არც თუ უმიზეზო ეჭვებზე“. ინტერვიუში მწერალ ანზორ სალუქვაძესთან გამოიკვეთება ქართული კინოს პრობლემები და ამ პრობლემებიდან გამოყვანის ძიების გზები. სტატიაში „ვიდრე ვარსკვლავები ციმციმებენ“ გამოქვეყნებულია ჩემი ინტერვიუები ჭარმაგ თუ ახალგაზრდა კინოვარსკვლავებთან – დოდო ჭიჭინაძესთან, დუდუხანა წეროძესთან, ლიკა ქავჭავაძესთან, ია ნინიძესთან, ედიშერ მაღალაშვილთან. მათთან საუბარში ნათლად ჩანს მათი გულისტკივილი კინოში არსებული დუხჭირი მდგომარეობის გამო, როლების არარსებობის და მსახიობთა ხელმოკლეობის გამო, თუმცა, ყოველ მათგანს

ჯერ კიდევ არ დაუკარგავს იმედი იმისა, რომ ქართული ფილმი დაიბრუნებს ძველ დიდებას. ეს სტატიები მე ჩემი ესსეების წიგნში „უმიკროფონოდ და უმეგაფონოდ“ შევიტანე.

კუნძულ როდოსზე, საბერძნეთში 1997 წლიდან წელიწადში ორჯერ დავდივარ სამი (შავი, ბალტიის და ეგეოსის) ზღვის მწერალთა და მთარგმნელთა საერთაშორისო საბჭოს შეკრებებზე. ჩემი განსაკუთრებული წვლილი ამ საბჭოში ისაა, რომ დავამკვიდრე ფილმის ჩვენების ტრადიცია ყოველ გენერალურ ასამბლეაზე, რომელსაც ჩვეულებრივ, უამრავი უცხოელი ხელოვანი ესწრება. სხვადასხვა დროს მე ვაჩვენე ფარაჯანოვის, ნანა ჯანელიძის, ლევან ზაქარეიშვილის და ზურაბ ინაშვილის ფილმები. ეს ჯერ არც ერთ სხვა წევრს არ გაუკეთებია და ამიტომ მე, როდოსის მწერალთა და მთარგმნელთა საერთაშორისო ცენტრში „მოფერებით“ ეროვნული ფილმების ჩვენების ტრადიციის ფუძემდებელს მძახიან. მეც ვიფერებ, აბა რა ვქნა, ასეა და... გულით და სულით ვცდილობ ვაჩვენო ჩემი ქვეყნის კულტურა, კინო კი ამის საუკეთესო საშუალებაა. წელს მიმაქვს ოთარ იოსელიანის ფილმი „შემოდგომის ბაღები“. მოვიპოვე ამ ფილმის ინგლისური ვარიანტი, რომლის ჩვენებას მოუთმენლად ელიან. წელს როდოსზე გაიმართება ებრაელი და პალესტინელი გამოჩენილი მწერლების ფორუმი. შეხვედრა, ალბათ, ძალზე მძიმე იქნება. იოსელიანის ფილმი უდავოდ დადებით მუხტს შეიტანს ამ ურთულეს ვითარებაში.

რაც შეეხება ჯემალ თოფურის ნაწარმოებებს, ისინიც არაერთხელ ყოფილა ეკრანიზირებული. რეჟისორ ზურაბ ინაშვილს ჯემალთან ერთად ჰქონდა დაწერილი კინოსცენარის შავი ვარიანტი, მაგრამ ჯემალი გარდაიცვალა ისე, რომ მათ ვერ დაასრულეს სცენარზე მუშაობა. საბოლოოდ ზურაბმა მაინც გადაიღო ის სცენარი და ფილმს „ნუ მოიწყენ შემოდგომისას“ დაარქვა. მე ფილმის კონსულტანტად ამიყვანა. ფილმი აგებულია ახალგაზრდობისა და უფროსი თაობის ურთიერთობაზე. ზურამ ცოტა რაღაცეები შეცვალა, რაღაც-რაღაცეები დაამატა, სიუჟეტი გამართა და საბოლოოდ ძალიან სასიამოვნო, თბილი ფილმი გამოუვიდა. ზურაბ ინაშვილთან კიდევ ვიმუშავე, ასევე იმ ფილმის კონსულტანტად, რომელიც მან მამაჩემზე გადაიღო. ეს იმდენად კარგი ფილმია, რომ სხვა რეჟისორები, რომლებიც ნოდარ დუმბაძეზე რაიმეს იღებენ, ყოველთვის სარგებლობენ ზურას ფილმის მასალით. რეჟისორმა ზაზა ბუაძემაც გადაიღო ფილმი ჯემალის მოთხრობის მიხედვით „მათთვის, ვინც მამამ მიგვატოვა“. მართალია, ამ ფილმის გადაღების პროცესში მე არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია, თუმცა

გარკვეული წვლილი მაინც მიმიძღვის საერთოდ ამ ნაწარმოების გამომზეურებაში. იგი ჯემალის გარდაცვალების შემდეგ ვიპოვე მის არქივში და ბევრი ვიმუშავე მის რედაქტირებაზე. შემდეგ რეჟისორ დათო ფაილოძეს უნდოდა ჯემალის ყველაზე ცნობილი მოთხრობის „დიოსკურია“, ზღვაში ჩაძირული ქალაქია“ გადაღება, მაგრამ დაფინანსება ვერ მოიპოვა. სხვა რეჟისორებმაც სცადეს, მაგრამ უშედეგოდ. თინა მენაბდემ გადაიღო „გამოუსწორებელი“. ქეთი დოლიძე ჯემალის მეგობარი იყო და მახსოვს, ერთხელ მითხრა – ძნელია ჯემალის მოთხრობების გადაღება, მით უმეტეს „დიოსკურიასი“. ეს მოთხრობა ისეთ სიღრმისეულ შრეებს ატარებს, მათი ეკრანზე გამოტანა ადვილი საქმე არ არისო. მე კი ვოცნებობ ამ ნაწარმოების გადაღებაზე. არსებობს მწერალ ბადრი ჭოხონელიძის მიერ დაწერილი კინოსცენარი, რომელიც ბადრის გარდაცვალების შემდეგ მისმა მეუღლემ გადმომცა. ბადრის ამ ფილმის რეჟისორიც ჰყავდა შერჩეული – რამაზ გიორგობიანი, არც მას დაცალდა. როდესაც სცენარი ნავიკითხე, ვიფიქრე ეს ფილმი ოდესმე მე უნდა გადავიღო-მეთქი, ჩემს მეგობარ კინორეჟისორებთან ერთად. მე არ მაქვს არც კვალიფიკაცია და არც ცოდნა, რაც ფილმის გადაღებისთვისაა საჭირო. მე მჭირდება ბევრი მეცადინეობა და შრომა ამ კუთხით, რისთვისაც ჯერ არ მცალია. ეს არის ჩემი ჯერჯერობით აუხდენელი ოცნება, მაგრამ ვიმედოვნებ, ამ ოცნებას ახდენა უნერია, იმდენად დიდია სურვილი, რომ ღმერთი აუცილებლად დამეხმარება.

ამდენი საუბრის შემდეგ უნებლიედ ვხვდები, რომ ჩემი ცხოვრება კინოს გარეშე თურმე არც არსებებულა. მე მთელი ცხოვრება მივიღტვი მისკენ, მაგრამ ეს არის ცალმხრივი სიყვარული, რომელშიც მე დაჩაგრული პერსონაჟი ვარ, იმიტომ, რომ ამ დიდმა სიყვარულმა ამიარა და თავისი გზით წავიდა. ღმერთმა ბედნიერად ატაროს!

მომამზადა ქეთევან ჯაფარიძემ



თენგიზ  
ყიბლაძე

### „ჩიტხაჯ, ამაჩიხაში“...

„ასეთი ნამდვილი კოლიფუსს ჯერ არ უნახავს“

„ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა თავისი არსებობის მანძილზე უჭკნობი ხელოვნებით მოაჯადოვა მთელი მსოფლიო. ჩვენი პლანეტის ცივილიზებულმა სამყარომ მუხლი მოიყარა ცერებზე შემდგარი მგზნებარე სულის წინაშე და ალაღად დაულოცა ის ლაყვარდევანი გზა, დღეს მსოფლიო ქორეოგრაფიული ხელოვნების წარმტაც მატრიანედ რომ იქცა“

### პირველად ოკეანეს გაღმა

1959 წლის ზაფხულში, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის სახელმწიფოთა მეთაურების შეთანხმებით, ქალაქ ნიუ-იორკში გაიხსნა საბჭოთა კავშირის მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მიღწევათა დიდი გამოფენა.

იმ დროისათვის ამ მეტად მნიშვნელოვან მოვლენას მიესადაგა საგანგებოდ მომზადებული კულტურული პროგრამა - „საბჭოთა

მუსიკისა და ცეკვის ფესტივალი“. გამოფენის მსვლელობის პერიოდში ამერიკელ ხალხს უნდა ეხილა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების მიღწევები ხელოვნების სფეროში.

საკონცერტო პროგრამაში შედიოდნენ: პიატინცკის სახელობის რუსული ხალხური აკადემიური გუნდის მთლიანი დასი, უკრაინის, ყაზახეთისა და სომხეთის ცეკვის ანსამბლების მოცეკვავეები, იგორ მოისეევის ცეკვის ანსამბლის სოლისტები, უზბეკეთის, ლიტვისა და ყირგიზეთის ფოლკლორული ჯგუფები, მოსკოვის დიდი თეატრის, კიევისა და ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრების წამყვანი მომღერლები და ბალეტის ვარსკვლავები.

ილიკო სუხიშვილმა და ნინო რამიშვილმა ამ პროგრამისათვის შეარჩიეს ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის 16 საუკეთესო სოლისტი ვაჟი: **დავით ბასილაშვილი, გიზო ბერაძე, შალვა გარუჩავა, ჯემალ გეგუჩაძე, იასონ ზედაშიძე, ელგუჯა კალაძე, თამაზ კიკალიშვილი, ომარ მხეიძე, ოთარ ნასყიდაშვილი, ანზორ ნიკოლაიშვილი, თენგიზ სუხიშვილი, თენგიზ უთმელიძე, დავით ქველიძე, ქართლოს ნიქვაძე, გიორგი ჯიბლაძე** და ოთხი წამყვანი მუსიკოსი: **ანზორ ასლანიშვილი, ბახშო იაგუტოვი, თამაზ ტალახაძე და გიორგი შენგელია**. მათ, **ნინო რამიშვილთან** ერთად, ამერიკელი ხალხისთვის უნდა ეჩვენებინათ ჩვენი ეროვნული ფოლკლორის განუმეორებელი ხიბლი, ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების მრავალფეროვანი პალიტრა და ქვეყნის მდიდარი კულტურა. ამ პროგრამისათვის ილიკო სუხიშვილმა საგანგებოდ შეარჩია ანსამბლის რეპერტუარის წამყვანი და ცეცხლოვანი ნომრები „მხედრული“, „შეჯიბრი“ და „ყაზბეგური“.

ანსამბლის ბიოგრაფიაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც იგი უცხოელი მაყურებლის წინაშე ვერ წარსდგებოდა მთლიანი შემადგენლობითა და სრული პროგრამით.

მოსკოვში, დიდი თეატრის ცნობილმა მთავარმა რეჟისორმა ბორის პოკროვსკიმ 10 დღეს იმუშავა 210 კაციან შემოქმედებით ჯგუფთან სამგანყოფილებიანი საკონცერტო პროგრამის დადგმაზე.

ამერიკის კონტინენტზე ეს მასშტაბური ტურნე მოაწყო გამოჩენილმა ამერიკელმა იმპრესარიომ, დიდად გავლენიანმა პირმა ხელოვნების სფეროში, სოლ (სოლომონ) იუროკმა, წარსულში მრავალი მსოფლიო ვარსკვლავის, მათ შორის ანა პავლოვასა და თევდორე შალიაპინის იმპრესარიომაც.

მრავალრიცხოვანი საბჭოთა მხატვრული



ანსამბლის მოცეკვავე- სოლისტები ჰოლივუდში

კოლექტივი დიდი აღფრთოვანებით მიიღო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა.

ნიუ-იორკში ჩასვლისთანავე ჩატარდა რამდენიმე რეპეტიცია.

კონცერტის სამხატვრო ხელმძღვანელების გადანყვეტილებით, ქართული ცეკვები პროგრამის მეორე და მესამე განყოფილების ბოლო ნომრებად ჩასვეს, ასე ვთქვათ, ქართველი მოცეკვავეები „ხურავდნენ“ მთელს პროგრამას, რაც საპატიო და ამასთან, საპასუხისმგებლოც იყო.

### „რუსული ფესტივალი“?!

პრემიერის დღეს, ნიუ-იორკის 14 000- იანი „მედისონ სქუერ გარდენი“ მაყურებლებით გადაიჭედა. გრანდიოზულ დარბაზში მოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წევრები, კონგრესმენები, ბანკირები, ბიზნესმენები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაკები, დიპლომატები, ამერიკული კინოს, თეატრის, ესტრადის ვარსკვლავები, ქალაქის ხელოვნების მოყვარულნი...

უზარმაზარი აფიშები და ლამაზად გაფორმებული საკონცერტო პროგრამები იუ-

წყებიან „რუსული ფესტივალის“ დაწყებას (ჩვენმა „უფროსმა ძმებმა“ ჩვეულებას ვერ უღალატეს და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ეროვნების მსახიობთა ერთობლივ კონცერტს მაინც „რუსული ფესტივალი“ დაარქვეს).

... საზეიმოდ ჟღერს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ჰიმნები. სცენაზე, ერთიმეორის მიყოლებით, ხელიხელჩაკიდულნი, შემოდიან კონცერტის მონაწილენი. თვალისმომჭრელი მრავალფეროვნებაა: რუსული და უკრაინული კოსტუმები და ქალთა სამკაულები, ლიტვური გვირგვინები და უზბეკური ორნამენტები, ყაზახური და სომხური ხალათები, ჰაეროვანი საბალეტო კაბები და დახვეწილი ქართული ჩოხები...

მსახიობები მთლიანად ავსებენ ვრცელ სცენას.

კონცერტს საზეიმოდ ხსნის კომპოზიტორ ისააკ დუნაევსკის სიმღერა „ვრცელია ჩემი სამშობლო“, დიდი თეატრის სოლისტის არტურ ეიზენის შესრულებით.

პირველი განყოფილება მთლიანად პიატნიცკის სახელობის გუნდს მიჰყავს: დიდებულად ჟღერს რუსული ხალხური სიმღერები „რუსი მზეთუნახავი“ და „მდინარის



თენგიზ უთმელიძე, ნინო რამიშვილი და  
ომარ მხეიძე (სარეკლამო ფოტო).

გაყოფებით”, მას ცვლის ორიგინალური ქორეოგრაფიული სურათი „ოქროს ძენკვი”.

მაყურებელი ოვაციით ხვდება გუნდის მიერ შესრულებულ ამერიკელი კომპოზიტორის ფოსტერის სიმღერას „სახლი მდინარეზე” და რუსულ „პოლიუშკო პოლეს”. პირველ განყოფილებას დინამიური მასობრივი ცეკვა „პერეპლიასი” ამთავრებს.

მეორე და მესამე განყოფილებებში ერთმანეთს ცვლიან დიდი თეატრისა და კიევის ოპერის თეატრის სოლისტები ევგენი კიბკალო და ანდრია კიკოტი, ლენინგრადის მცირე თეატრის ბალეტის ახალგაზრდა მოცეკვავეები ტატიანა ბოროვიკოვა და ვალერი პანოვი. შთამბეჭდავია ადაჟიო პ. ჩაიკოვსკის „გედის ტბიდან” დიდი თეატრის ნამყვანი სოლისტების ნინა ტიმოფეევასა და იური ჟდანოვის შესრულებით.

სიმფონიურ ორკესტრს ბრწყინვალედ დირიჟორობს გენადი როჟდესტვენსკი.

მაყურებელი მხურვალე აპლოდისმენტებით აჯილდოებს იგორ მოისევეის სახელგანთქმული ანსამბლის სოლისტებს, რომლებიც მალაღბროფესიულად წარმოადგენენ კოლორიტულ „ბოშათა ცეკვას”.

შემდეგ სცენაზე გამოდიან ყაზახი და ლიტველი მსახიობები თავიანთი ნაციონალური ცეკვებით, ყირგიზეთის ხალხურ საკრავთა ორკესტრი, უზბეკი მოცეკვავე გალია იზმაილოვა...

სომეხი მოცეკვავეები შთაგონებით უჩვე-

ნებენ ხალხურ ცეკვას „შალახო”, უკრაინის ცეკვის ანსამბლი ბალეტმაისტერ ვახტანგ ვრონსკის (ნადირაძე) ხელმძღვანელობით, უნაკლოდ ასრულებს ტემპერამენტთან „გოპაკს”...

„მედისონ სქუერ გარდენის” არენას დოლგარმონის მჭექარე ხმა ეფინება, სცენაზე ქართველი მოცეკვავეები შემოდიან. ვირტუოზი სოლისტები არნივებივით დაფრინავენ და თავბრუდამხვევ ტემპში აჩვენებენ ურთულეს ტრიუკებს მუხლებსა და ცერებზე. მაყურებელთა აღტაცება კულმინაციას აღწევს. მათი დაჟინებული მოთხოვნით სამსამჯერ მეორდება „შეჯიბრი” და „მხედრული”.

ბრწყინვალე საკონცერტო სპექტაკლი „დიდი ფინალით” მთავრდება, რომლის აპოთეოზი ისევ და ისევ ცეცხლოვანი ქართული ცეკვებია...

ფეხზე ამდგარი ათასობით მაყურებელი მქუხარე ტაშით მიესალმება საბჭოთა მსახიობების უმაღლეს ოსტატობას, ხელოვნების ამ არაჩვეულებრივ დღესასწაულს...

### სასიამოვნო უხერხულობანი

ამერიკის შეერთებული შტატების უდიდესი ქალაქების – ნიუ-იორკის, ჩიკაგოს, ფილადელფიის, ბოსტონის, აგრეთვე მონრეალის (კანადა) შემდეგ ჩვენი მასპინძელია მზიური კალიფორნია.

ულამაზესი ქალაქის, სან-ფრანცისკოს 12 000-იანი საკონცერტო დარბაზი სპექტაკლის დაწყების მოლოდინშია. მოულოდნელად კულისებში ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის დიდი ჯგუფი შემოდის, თან მოაქვთ ცოცხალი ყვავილებისაგან შეკრული ლამაზი, ვეებერთელა კალათი. ისინი სამხატვრო ხელმძღვანელთან ბორის პოკროვსკისთან მიდიან და ეკითხებიან, თუ კონცერტის მონაწილეთაგან ვის მიართვან ეს ტრადიციული პრიზი. პოკროვსკი ჯერ გაცეხებულია, შემდეგ კი სთავაზობს: - უყურეთ მსახიობთა გამოსვლას და ვისაც საუკეთესოდ ჩათვლით, მათ გადაეცითო.

კონცერტის ფინალში, როდესაც ცეკვა „მხედრული” „ბის“-ზე რამდენიმეჯერ გავიმეორეთ, დარბაზში გამაყრუებელი ყიჟინა ატყდა: „ჯორჯიენ, ჯორჯიენ!”.. და ის ორმეტრიანი ყვავილების კალათა, ყველას თვალნინ, ქართველ მოცეკვავეებს მოგვართვეს. გულახდილად უნდა ითქვას, ჯერ დავიბენით, შემდეგ კი საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით სხვა დანარჩენი მსახიობების ნინაშე. მაგრამ რა უნდა გვექნა? ისე, გახარე-

ბული და ამაყები კი ვიყავით.

კიდევ ერთ უხერხულობაში ჩავვარდით, ამჯერად ლოს-ანჯელესში, როდესაც ამ ქალაქის საზაფხულო თეატრ „ჰოლივუდ ბოულში“ გამოვდიოდით. ღია ცის ქვეშ, ანტიკურ სტილში აგებული ეს ამფითეატრი 24 ათას მაყურებელს იტევს და პრესტიჟულ საკონცერტო არენად ითვლება მსოფლიოში.

აქაც, მთელი პროგრამის კულმინაცია ისევ და ისევ ქართული ცეკვებია. აღტაცებული მაყურებელი დიდხანს გვიკრავს ტაშს. შემდეგ, როგორც ერთი, ისე დგება ყველა ფეხზე და ერთდროულად ასანთებს და ლითონის სანთებლებს ანთებს. ჩვენს თვალწინ ათასობით ცეცხლოვანი ციციანათელა კაშკაშებს, ენით აუნერელი, ამაღლევებელი სანახაობაა. ეს ჩვენდამი გამოხატული პატივისცემის უჩვეულო დემონსტრაციაა...

მეორე დღეს კი, ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი უდიდესი გაზეთი „ლოს-ანჯელეს თაიმსი“ აქვეყნებს სახობტორეცენზიებს სათაურით: „ასეთი ცეცხლი ჰოლივუდს ჯერ არ უნახავს!“, „ქართული ცეკვები – ნამდვილი ტაიფუნია!“ ხოლო ამავე გაზეთის პირველ გვერდზე დაბეჭდილია ცერზე შემდგარი, თეთრჩოხიანი, თვალებანთებული მოცეკვავის შალვა (ჯამუ) გარუჩავას დიდი ფოტო წარწერით: „ამ ერთი ქართველი მოცეკვავის ცერზე შედგომა მთელს რუსულ ფესტივალს უდრის!“

ამის შემხედვარე ილიკო სუხიშვილს ჯერ სერიოზული მღელვარება დაეტყო, შემდეგ



ცეკვა-„შეჯიბრი“ შალვა (ჯამუ) გარუჩავა

კი შექმნილი უხერხული სიტუაციის განსამუხტავად, ჩვეული იუმორით გადმოგვცახა:

— ჩქარა, დახიეთ ეგ გაზეთი, ვითომც არ ყოფილაო!

გაზეთის იმ ეგზემპლარს კი გავანადგურებდით, მაგრამ რა უნდა გვექნა დანარჩენი, ორმილიონიანი ტირაჟისთვის?

შეუძლებელია მოკლედ გადმოსცე იმ მრავალფეროვან და საინტერესო შთაბეჭდილებებზე, რაც ამერიკის კონტინენტზე მოგზაურობისას განვიცადეთ.

გაგვაოცა გრანდიოზულმა ნიუ-იორკმა, როცა მდინარე ჰუდსონზე, საექსკურსიო თბომავალით შემოვუარეთ მის ცენტრალურ რაიონს — მანჰეტენს. დავათვალიერეთ ვაშინგტონისა და ბრუკლინის გოლიათი ხიდები, თავისუფლების კოლოსალური ქანდაკება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საკონფერენციო დარბაზები, გუგენჰაიმის სახვითი ხელოვნების თანამედროვე გალერეა, უოლ-სტრიტი და მეხუთე ავენიუ, ქალაქის ცენტრალური, გრანდიოზული პარკი და ზანგთა კვარტალი „ჰარლემი“, სარეკლამო ზღვაში ჩაძირული „ბროდვეი“, „იმპაიერ სტეიტ ბილდინგის“ 104-ე სართულიდან გადმოვხედეთ გაკაშკაშებული ცათამბჯენების ქალაქს...

ქვეყნის დედაქალაქ ვაშინგტონში ვენვით თეთრ სახლს, კაპიტოლიუმს, ავრაამ ლინკოლნისა და თომას ჯეფერსონის მემორიალებს.



ცეკვა „ყაზბეგური“, ნინო რამიშვილი, გიზო ბერაძე და იაშა ზედაშიძე

მეხსიერებაში ჩაგვრჩა ჩიკაგოს ხმაურიანი ესტაკადები, მიჩიგანის ტბა და ულამაზესი ნიაგარას ჩანჩქერი.

მოგვხიბლა კეკლუცმა კალიფორნიამ თავისი რბილი, ზღვისპირა კლიმატითა და შესანიშნავი ბუნებით. ვენვიეთ უოლტ დისნეის ჯადოსნურ პარკს „დისნეილენდს“ და უდიდეს აკვარიუმს „მარიენლენდს“. ნარუშლეი შთაბეჭდილება მოახდინა სან-ფრანცისკოს დაკიდულმა „ოქროს ხიდმა“ და კინოვარსკვლავთა ზღაპრულმა ვილა-სახლებმა „ბევერლი ჰილსზე“ ლოს-ანჯელესში.

მაგრამ ყველაზე გასაოცარი და შთამბეჭდავი ჩვენთვის მაინც მსოფლიო კინოინდუსტრიის ცენტრში – ჰოლივუდში სტუმრობა იყო.

### სტუმრად ჰოლივუდში

ჰოლივუდის 24 კინოსტუდიიდან ყველაზე უდიდესია „მეტრო გოლდვინ მიერი“. სწორედ ამ კინოსტუდიის ერთ-ერთი კინორეჟისორის მეუღლემ, მომხიბვლელმა ქალბატონმა ლესლიმ, რომელიც ქართული ცეკვებით აღფრთოვანდა, ასე ვთქვათ, „ჩაგვინყო“

საქმე და ნ ქართველი მოცეკვავე მსოფლიოში ყველაზე დიდ კინოსტუდიას ვესტუმრეთ.

ეს ფაქტი ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. საქმე იმაშია, რომ კინოხელოვნების მექაში მოხვედრა თვით ამერიკელთა უმრავლესობისთვისაც კი აუხდენელი ოცნებად რჩება. თუმცა ჩვენ გაგვიმართლა და ისიც გამონაკლისის სახით.

ჩვენთვის პირველი და მოულოდნელი სურპრიზი ის იყო, რომ კინოსტუდიაში შესვლის შემდეგ, სადაც გარკვეული შემონიშნება გავიარეთ, უცბად რესტორნის ტიპის უზარმაზარ სასადილო დარბაზში აღმოვჩნდით. აქ ჩვენთვის, წინასწარ განყობილ მაგიდასთან მიგვიპატიჟეს. ვინაიდან სადილობის დრო იყო, სტუდიის თითქმის ყველა მუშაკს აქ მოეყარა თავი. ისინი პირდაპირ გადასაღები მოედნებიდან და პავილიონებიდან იყვნენ აქ შეკრებილნი.

სიზმარში გვეგონა თავი. ადრე ეკრანზე ნანახი ამდენი ნაცნობი მსახიობი რომ დავინახეთ. ცნობილ რეჟისორებთან ერთად აქ იყვნენ კოვბოების, ინდიელებისა და სხვადასხვა კოლორიტულ კოსტიუმებში გამოწყობილი გრიმიანი ადამიანები. მათ შორის ბევრი კინოვარსკვლავი ამოვიცანით, ამერი-



კინოვარსკვლავებთან: დევიდ ნივენთან და დორის დეისთან (ცენტრში) ერთად, მარჯვ. პირველი — ქალბატონი ლესლი.



კინოვარსკვლავებთან: დები რეინოლდსთან (მარცხნიდან მე-5), გლენ ფორდთან (მარჯვნიდან მე-3) და ჰოლივუდის თანამშრომლებთან ერთად

კული ვესტერნის გმირები: ჯონ ვეინი, კერკ დუგლასი, ჰარი კუპერი და იულ ბრუნერი, ტონი კერტისი და ჩარლტონ ჰესტონი. მოშორებით ლეგენდარულ ჯეიმს კეგნისა და რობერტ ტეილორს მოვკარით თვალი. აქვე იყვნენ ჰოლივუდის უმშვენიერესი მსახიობი ქალბატონებიც: ჯუდი გარლანდი, ნატალი ვუდი, ჯეინ მენფილდი, ურსულა ანდერსი...

მართლაც, რომ ზღაპრულ სამყაროში მოხვდით.

შემდეგ მასპინძლებმა ორ გადასაღებ პავილიონში მიგვიწვიეს. იქ მისვლამდე, გზად ვათვალიერებდით ამ გრანდიოზული კინოქალაქის გადასაღებ მოედნებს, უზარმაზარ დეკორაციებს – ინდიელთა სოფლებს, კოვბოელთა დასახლებებს...

ერთ-ერთ პავილიონში ამერიკული კინოს ვარსკვლავებმა დორის დეიმ და დევიდ ნივენმა მიგვიღეს და გულში მასპინძლობა გაგვინიეს. მათ, ჩვენს გამო, ნახევარი საათით შეაჩერეს გადაღება, რაც იქ იშვიათად ხდება. გულთბილი საუბრის შემდეგ მსახიობებმა ჩვენთან სამახსოვრო ფოტო გადაიღეს.

მეორე პავილიონში 50-იანი წლების ასევე პოპულარული ამერიკელი კინოვარსკვ-

ლავები დები რეინოლდსი და გლენ ფორდი იღებდნენ ახალი ფილმის ეპიზოდს. როგორც მოგვიანებით გავიგეთ, მათ ჯერ უარი უთქვამთ „საბჭოთა მსახიობებთან“ შეხვედრაზე, მაგრამ, როცა გაიგეს, რომ ქართველი მოცეკვავეები ვიყავით, შეწყვიტეს გადაღება და საკმაოდ კეთილგანწყობილად შეგხვდნენ. მათთან ხანმოკლე შეხვედრა ასევე სამახსოვრო ფოტოს გადაღებით დამთავრდა.

„მეტრო გოლდვინ მეიერში“ მიღებული შთაბეჭდილებებით დატვირთულნი, ქალბატონმა ლესლიმ შემდეგ თავის დიდ, რძისფერ „კადილაკში“ ჩაგვსხა და ბევრლი ჰილსზე საკუთარი სახლისაკენ გავვაქროლა...

მწვანეში ჩაფლული, მაღალი მთის კორტოხზე წამოჭიმული უზარმაზარი, ქათქათა ვილა, გემოვნებით მოვლილი ეზო-კარითა და საგულდაგულოდ „დავარცხნილ“ მობიბინე გაზონებზე აქა-იქ მჩქეფარე პატარა შადრევნებით, მართლაც ედემის ბაღს მოგაგონებდათ.

აქვე გავიცანით ჩვენი მასპინძლის მეუღლე, შუახნის, ერთობ მხიარული მამაკაცი, რომელიც შინ დაგვხვდა და ნებივრად ჩყუმბალაობდა ლურჯად მოლივლივე ულამაზეს



ცეკვა-„შეჯიბრი“ ნიუ-იორკის „მედისონ სქუერ გარდენის“ სცენაზე

აუზში.

კეთილმა ცოლ-ქმარმა გულდასმით დაგვათვალაიერებინა თავიანთი, უზადოდ განყოფილი ფემენებელური სასახლის კუთხე-კუნჭული, რის შემდეგ გულუხვად გაგვიმასპინძლდნენ.

ამ „სამოთხის“ გადასახედიდან, როგორც ხელის გულზე, ისე მოჩანდა ზაფხულის ხვატისაგან ავარდნილ მტვრიან ნისლში ნახევრად ჩაძირული ლოს-ანჯელესი და წყნარი ოკეანის ვრცელი სანაპირო.

უზომოდ გულღია ადამიანებთან ორსაათიანმა სტუმრობამ და ოკეანიდან მონაბერმა გრილმა ნიაჟმა დაღლილობა მოგვიხსნა და ოდნავ ჩაგვიცხრო პოლივუდიდან გამოყოფილი მძაფრი ემოციები.

კინოსტუდია „მეტრო გოლდვინ მეიერში“ ჩვენი დაუვინყარი ვიზიტისას მსოფლიოს კინოვარსკვლავებთან გადაღებული სურათები, მათივე ავტოგრაფებით, მეორე დღესვე საჩუქრად გადმოგვცა ქალბატონმა ლესლიმ – ჩვენმა არაჩვეულებრივმა მასპინძელმა.

### მომავალ შეხვედრამდე...

ამერიკის კონტინენტზე ორთვიანი საგასტროლო ტურნე დასასრულს მიუახლოვდა. გამოსათხოვარი კონცერტები ვაშინგტონში გვაქვს. ამერიკის შეერთებული შტატების

დედაქალაქმაც იხილა „საბჭოთა მუსიკისა და ცეკვის ფესტივალის“ უდიდესი წარმატება და ქართველ მოცეკვავეთა ტრიუმფალური გამოსვლა. აქ, ვაშინგტონში კიდევ ერთი სასიამოვნო სიურპრიზი გველოდა. ძალზე გაგვახარა დასკვნით კონცერტზე ჩვენი საყვარელი პიროვნების, პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძის მოსვლამ, რომელიც ამერიკაში შემოქმედებითი მივლინებით ჩამოსულიყო. ბატონი ირაკლი, უზომოდ აღტაცებული, სიხარულისაგან სიტყვებს ვერ პოულობდა და სათითაოდ გულში გვიკრავდა.

თბილისში დაბრუნებული ირაკლი აბაშიძე შემდეგ პრესაში დაწერს:

„...ეს იყო უდიდესი ბედნიერება, სიამაყისა და სიხარულის განცდა, რომელიც მე მხვდა წილად სამშობლოსაგან ასე დაშორებით. დიახ, ბედნიერება გახლდათ ის დიდი გამარჯვება, რომელიც მოიპოვეს ქართველმა მოცეკვავეებმა თავიანთი ბრწყინვალე გამოსვლით.

ზედმინევენით ყველა ნომერი ინვევდა ოვაციის გრიგალს და ამერიკელთა მხურვალე ენთუზიაზმს.

ეს იყო ქართული ხელოვნების, ქართული კულტურის ნამდვილი ტრიუმფი!”

დავემშვიდობეთ ამერიკის კონტინენტს, მაგრამ დროებით. ამერიკის შეერთებული

შტატები, ეს დიდი ქვეყანა, კვლავ გახდება ქართველ მოცეკვავეთა ტრიუმფალური გამოსვლების მოწმე, როდესაც ჩვენი ანსამბლი, ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით, ერთი წლის შემდეგ, იგივე სოლ იუროკის მიწვევით, ამჯერად კი სრული შემადგენლობითა და ორგანოფილებიანი ეროვნული პროგრამით ეწვევა მას.

ეს იქნება 1960 წელს.

ამერიკის შეერთებული შტატების უდიდეს ქალაქებს კვლავ შეაზანზარებს განუმეორებელი და მადლითცხებული ქართული ცეკვა. ამერიკული პრესა არნახულ ხოტბას შეასხამს ქართველ ვირტუოზ მოცეკვავე-მსახიობთა ხელოვნებას. ჟურნალ-გაზეთები სენსაციური სათაურით აჭრელდება:

- „ქართული ცეკვის ტრიუმფი!“
- „დამაბრმავებელი სანახაობა!“
- „თქვენ დაიპყართ კალიფორნია!“
- „აჰ, რა ლამაზნი არიან ქართველები!“
- „საოცარი მოცეკვავეების მიერ წარმოდ-

გენილი პროგრამა გვიჩვენებს საქართველოს დიდ კულტურასა და ისტორიას!“

„არასოდეს, არასოდეს, არასოდეს ამერიკას არ უნახავს ასეთი ბრწყინვალე სანახაობა!“

ამერიკის პირველ სცენაზე, ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ ოპერაში“ ანსამბლის მორიგი ტრიუმფის შემდეგ კი, ერთი ცნობილი ამერიკელი თეატრალური კრიტიკოსი თავის ვრცელ, საქებარ სტატიას სათაურით: „ფანტასტიკურია, დაუჯერებელი!“, ასე დაამთავრებს:

„შესდექით! გადავადგოთ შორს ეს ლექსიკონი დიდებული, მყვირალა სიტყვებისა, რადგან ისინი მაინც არ გვეყოფა. ქართველების გამოსვლა იყო ახალი, მაცოცხლებელი ნიავის შემოჭრა მოსაბეზრებელ გართობათა ფორმალური რუტინის ძველ, დამყაყებულ სამყაროში!“

დიახ, ეს იქნება 1960 წელს, კიდევ ერთხელ, ამერიკაში!



ანსამბლის სოლისტები: ოთარ ნასყიდაშვილი, თამაზ კიკალიშვილი და ჯემალ გეგუჩაძე



სიუზინ სტარი და გულბათ ტორაძე

გულბათ ტორაძე

## პიანისტაჰი ხელოვნების ზიზი და მისი შუა-ჩხილი

(პიანისტა თბილისის IV  
საერთაშორისო კონკურსი)

1—14 ოქტომბერს თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში მიმდინარეობდა პიანისტა IV ტრადიციულად ქცეული საერთაშორისო კონკურსი. თბილისის კონკურსმა, რომელიც ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება, საერთაშორისო აღიარება მოიპოვა და 2002 წლიდან იგი შედის მსოფლიოს მუსიკალური კონკურსების ფედერაციაში. სულ უფრო ფართოვდება გეოგრაფიული არეალი იმ ქვეყნებისა, რომლებიც მონაწილეობენ კონკურსში, იზრდება კონკურსანტების (მათ შორის, ქართველი პიანისტების) რაოდენობაც.

წარსული კონკურსების ლაურეატები (ცხადია, ქართველებიც) წარმატებით გამოდინან მსოფლიოს საკონცერტო ესტრადებზე, მუშაობენ სხვადასხვა ქვეყნის კონსერვატორიებსა და მუსიკალურ-სასწავლო დაწესებულებებში.

ყველა კონკურსის დამაარსებელი და მთავარი ორგანიზატორი, მისი „სული და გულია“ საქართველოს სახალხო არტისტი, თბილისის

კონსერვატორიის რექტორი, ცნობილი პიანისტი პროფესორი მანანა დოიჯაშვილი.

ამჟამინდელ კონკურსში მონაწილეობდა 25 ნიჭიერი ახალგაზრდა მუსიკოსი სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის, 12 — საქართველოდან. რაც შეეხება კონკურსის ჟიურის, იგი ასეთი გახლდათ: მ. დოიჯაშვილი (თავმჯდომარე), ოლივიე გარდონი (საფრანგეთი), პიტერ დონოპიუ (ინგლისი), აქილეს დელ ვინიე (არგენტინა), ნინო კერესელიძე (საქართველო-ესპანეთი), ალექსანდრე კორსანტია (საქართველო-აშშ), პეტერ კორსე (ავსტრია), ემანუელ კრასოვსკი (ისრაელი), სერჯიო პერტიკაროლი (იტალია), კვი ჩაო (ჩინეთი), სიუზინ სტარი (აშშ), ფილიპ ჯენკინსი (ინგლისი), მ.ადამია-გრიფონი — ჟიურის მდივანი (საქართველო-ინგლისი).

ჩატარდა კენჭისყრა, რომელმაც განსაზღვრა კონკურსის მონაწილეთა გამოსვლის განრიგი. ლაურეატობისათვის დაწესებული იყო ე.წ. „გრან-პრი“ (15000 დოლარი) და ხუთი ფულადი პრემია, აგრეთვე სხვადასხვა სპეციალური პრემია, რომელიც ჩვენი ქალაქის ორგანიზაციებმა და საქართველოში გერმანიის, იტალიის, პოლონეთის, ჩეხეთის საელჩოებმა დააწესეს.

კონკურსის სპონსორი გახლდათ კომპანია „მაგთიკომი“, იგი ტარდებოდა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პატრონაჟით.

კონკურსის ყველა მონაწილისათვის აუცილებელი იყო ნოდარ გაბუნიას პიესის — „იმპროვიზაცია და ტოკატა“ შესრულება II ტურში.



საზეიმო საღამოს გახსნისას მ.დოიჯაშვილმა აღნიშნა კონკურსის კულტურულ-საზოგადოებრივი მნიშვნელობა, მისი ადგილი ჩვენს ქვეყნის მუსიკალურ ცხოვრებაში და აგრეთვე საერთაშორისო შემოქმედებითი კავშირების ფართო კონტექსტში. მისალმების სიტყვებით გამოვიდნენ ჟიურის უცხოელი წევრები და ზოგიერთი უცხოური საელჩოს წარმომადგენლები.

საზეიმო გახსნა დაავგირვინა ჩვენმა საამაყო საშა კორსანტიამ, რომელმაც შეასრულა რახმანინოვის „ვარიაციები შოპენის პრელიუდის თემაზე“.

კონკურსის პირველი ტურის შემდეგ ჟიურიმ მიიღო ფრიად არაორდინარული, თუმცაღა, სამართლიანი, გადწყვეტილება, რომ მეორე ტურისათვის დაეშვა ყველა 25 მონაწილე, რაც საშუალებას მისცემდა მათ კიდევ ერთხელ ეჩვენებინათ თავისი თავი ახალი, უფრო რთული პროგრამის შესრულებისას.

დავასახელოთ I—II ტურებში მონაწილე ყველა ქართველი შემსრულებელი (ანბანური თანმიმდევრობით): გიორგი აბულაძე (თბილისის კონსერვატორიის მაგისტრატურის II კურსის სტუდენტი. მისი პედაგოგია პროფ. ე.რუსიშვილი), ნინო ბაქრაძე (კონსერ-

ვატორიის კურსდამთავრებული. პედაგოგები — მ.გოცირიძე და ს.კორსანტია), ნათია ბერაია (კონსერვატორიის კურსდამთავრებული. პედაგოგები — დ.ცინცაძე, ნ.ხუბუტია), მარია გელაშვილი (მაგისტრატურის მე-2 კურსი, პედაგოგი — ქ.ჩხიკვიშვილი), ანა გოვაგა (ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის XI კლასის მოსწავლე, პედაგოგი — დ.ცინცაძე), თამარ ელიზბარაშვილი (მაგისტრატურის მე-2 კურსი. პედაგოგები — ნ.იმედაშვილი და ლ.სანიკიძე), ალექსანდრე ვასაძე (IV კურსის სტუდენტი, პედაგოგები გ.შაყულაშვილი და ე.რუსიშვილი), გიორგი მიქაძე (IV კურსის სტუდენტი, პედაგოგები ნ.ნაკაიძე და რ.თავაძე), ვახტანგ ჟორდანი (მაგისტრატურის I კურსი, პედაგოგები ვ.სვანიძე, თ.ამირეჯიბი), ანა ლილვაშვილი (მე-3 კურსის სტუდენტი, პედაგოგები თ.ოკოლოტი, მ.გელაშვილი, ამჟამად — რ.თავაძე), ქეთევან ჩხარტიშვილი (კურსდამთავრებული. პედაგოგები — რ.ჩაფიძე, ბ.ნამგლაძე).

გამოუკლებლივ ყველა მათგანი ნიჭიერი, პროფესიულად კარგად მომზადებული ახალგაზრდაა, რომელთაც, დარწმუნებული ვარ, ჩინებული შემოქმედებითი პერსპექტივები აქვთ სამომავლოდ, მაგრამ კონკურსი



კონკურსის ორგანიზატორი და ჟიურის თავმჯდომარე, ქ-ნი მანანა დოიჯაშვილი

კონკურსია, და მე-3 ტურში, დებულების თანახმად, გავიდა 12 მონაწილე, მათ შორის, 5 ქართველი – ნ.ბერაია, ა.გოგავა, თ.კიკნაძე, ვ.ჟორდანიას და ა.ლლიღვაშვილი.

ამავე დროს, მრავალთა (მათ შორის, ჩემი) აზრით, კიდევ ორი ქართველი — გაბულაძე და გ.მიქაძე იმსახურებდნენ ნახევარფინალში გასვლას. მაგრამ მთავარი იმედგაცრუება და უკმაყოფილება, თურმე, წინ გველოდა, როდესაც აღმოჩნდა, რომ ფინალში — ჟიურის გადანყვეტილებით ექვს მონაწილეთა შორის არ მოხვდა უნიჭიერესი ანა ლიღვაშვილი, რომელმაც ყველაზე უკეთ, ბრწყინვალე წარმატებით (დარბაზმა იგი ოთხჯერ გამოიძახა სცენაზე. ერთადერთი შემთხვევა მთელ კონკურსზე!) დაუკრა მესამე ტურში. მან ნამდვილი შთაგონებითა და პროფესიულად სრულყოფილად შეასრულა ბახ-ბუზონის „ჩაკონა“, მესიანის „ყრმა იესოს ამბორი“, ლისტის სონატა სი მინორი და არა მარტო დარბაზის, არამედ ჟიურის ზოგიერთი წევრის, პირველ რიგში, ისრაელელი ე.კრასოვსკის, აღტაცებაც გამოიწვია.

მაშ, რა მოხდა, რა იყო მიზეზი ამ უსამართლობისა? გადაჭრით და სრული კატეგორიულობით პასუხის გაცემა ამ შეკითხვაზე შეუძლებელია, თუმცა, უნდა ვიფიქროთ, ეს ჟიურის რამდენიმე წევრის არაობიექტურობით მოხდა.

ასეა თუ ისე, ლიღვაშვილის „ჩაგდება“ საგრძნობლად დაუკარგა ინტერესი და „ინტრიგა“ ფინალს, სადაც უკვე ძნელი აღარ იყო საბოლოო შედეგების ამოცნობა.

ყოველივე ზემოთქმულის შუქზე, ვფიქრობ, რომ მომავალი კონკურსების ორგანიზატორ-

ებს დიდი დაფიქრება მართებთ ჟიურის შემადგენლობის შერჩევას.

საბოლოოდ, მე-4 ტურში (ფინალში) გავიდა ექვსი პიანისტი (ვასახელებთ მათ, კენჭისყრის რიგითი ნომრის შესაბამისად): სანჯიოვანი სციპიონე, ჯულიანო მაცოკანტე (ორივე იტალია), შჩეპან კონჩალი (პოლონეთი), ვახტანგ ჟორდანიას (საქართველო), დინარა კლინტონი (უკრაინა) და ევგენი ბრახმანი (რუსეთი).

კურობული კი ის არის, რომ საბოლოოდ, ლაურეატთა სიაში ეს განრიგი „თავდაყირა“ დადგა — აბსოლუტური სიზუსტით!

ახლა კი — მოკლედ ყველა ლაურეატის შესახებ. დაიწყო იმით, რომ ჟიურის მართებული გადანყვეტილებით, „გრან-პრი“ გაუცემელი დარჩა.

I პრემიის მფლობელი რუსეთელი ევგენი ბრახმანი გახდა (დ. 1981 წ.). ე. ბრახმანმა დაამთავრა მოსკოვის კონსერვატორია ცნობილი პიანისტისა და პედაგოგის ლ.ნაუმოვის ხელმძღვანელობით. იგი მრავალი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატია. ჩვენ კონკურსზე ბრახმანმა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია მეორე ტურში გამოსვლით, კერძოდ კი, რახმანიანოვის ურთულესი საფორტეპიანო სონატის შესრულებით. ფრიად შთამბეჭდავი აღმოჩნდა მისი გამოსვლა მესამე ტურშიც (ბრამსის ფანტაზია, ლისტის სონატა სი მინორი, მესიანის პრელიუდი).

ნათელი გახდა, რომ ბრახმანის სახით სერიოზული კანდიდატი გამოვლინდა ერთ-ერთ უმაღლეს ჯილდოზე, რაც მან დაადასტურა რახმანიანოვის მე-3 საფორტეპიანო კონცერტის შესანიშნავი შესრულებით (აქ, ისევე როგორც ყველა ფინალისტს, მას აკომპანემენტს უწევდა ე.მიქელაძის სახელობის ეროვნული სიმფონიური ორკესტრი, ესტონელი ანდრეს მუსტონენის დირიჟორობით).

შედეგმაც არ დააყოვნა. პიანისტს I პრემია მიენიჭა (10000 დოლარი). ე.ბრახმანი ნამდვილი ვირტუოზი პიანისტია, რომელსაც ძნელი არაა ვუნინასწარმეტყველოთ ჩინებული არტისტული კარიერა.

ერთგვარად მოულოდნელი აღმოჩნდა უკრაინელი დინარა კლინტონის (1989 წ.) მეორე პრემია. ამას იგი, ძირითადად უნდა უმაღლოდეს ფინალში ჩაიკოვსკის კონცერტის შესრულებას. მისი ძლიერი მხარეა მართლაც რომ საუკეთესო ტექნიკური განაფულობა. დინარა ჯერ კიდევ სტუდენტია — მოსკოვის კონსერვატორიისა.

III პრემია გაინაწილეს პოლონელმა შ.კონჩალმა (1985 წ.) და ფინალში საქართველოს ერთადერთმა წარმომადგენელმა



**ევგენი ბრახმანი (პირველი პრემია)**

ვ.ჟორდანიამ (1986 წ.), რომელმაც ძალზე თანაბრად და წარმატებით დაუკრა ოთხივე ტურზე (ფინალში ორკესტრთან ერთად შეასრულა პროკოფიევის მე-3 კონცერტი), და, საფიქრებელია, უფრო მაღლაც შეიძლებოდა დაეყენებინა ჟიურის საბოლოო „სატურნირო ცხრილში“. მინდა ვუსურვო ვახტანგს ახალი, კიდევ უფრო დიდი წარმატებები.

მეოთხე ადგილზე გასულმა იტალიელმა პიანისტმა — ასაკით ყველაზე უფროსმა (დ. 1976 წ.) ჯულიანო მაცოკანტემ მსმენელთა სიმპათიები მოიპოვა პირველ სამ ტურზე ძალიან კარგი გამოხვლით, მაგრამ „ფეხი დაუცდა“ ფინალში ჩაიკოვსკის საფორტეპიანო კონცერტის შესრულებისას (იგი, თითქოს, ბოლომდე მომზადებულიც არ ჰქონდა?!).

მეხუთე ადგილი ერგო იტალიელ სანჯოვანის სციპიონეს (1987), რომელმაც პროკოფიევის მე-2 კონცერტი შეასრულა.

კონკურსის დახურვისას, გარდა ძირითადი პრემიებისა, გაიცა სხვადასხვა ორგანიზაციისა და კერძო პირის მიერ დაწესებული სპეციალური ჯილდოები, რომელთა მფლობელებიც, სხვებთან ერთად, გახდნენ ქართველი პიანისტები ნ.ბერაია, თ.კიკნაძე, ა.ღლიღვაშვილი, კონკურსის ყველაზე ნორჩი მონაწილე 17 წლის ა.გოგავა.

საზეიმო საღამო კი დაავგირგვინა ლაურეატების გალა-კონცერტმა.

წერილის ბოლოს, კიდევ ერთხელ უნდა დავუბრუნდე ჩვენი კონკურსის „შუქ-ჩრდილების“ (უფრო ზუსტად — „ჩრდილების“) საკითხს, რომელიც, სხვათა შორის, თანაბრად შეეხება

სამივე წინა კონკურსსაც: ამჯერადაც ვერ გაამართლა მონვეულმა უცხოელმა დირიჟორმა (არ შევეუდგები დაკონკრეტებას).

რა თქმა უნდა, საერთაშორისო კონკურსზე სასურველი და მიზანშეწონილია, რომ დირიჟორიც საერთაშორისო არეალიდან იყოს მონვეული, მაგრამ ორიდან ერთი: ან მონვეული დირიჟორი უნდა იყოს მაღალი პროფესიული დონისა, ანდა... ჩვენც ხომ გვყავს საქართველოში გაცილებით უფრო კვალიფიციური დირიჟორები!

დავამთავრებ კი მაინც მაჟორულ ნოტზე: — კონკურსი დასრულდა, გაუმარჯოს მომავალ კონკურსებს! მადლობა ორგანიზატორებს, სპონსორებსა და მონაწილეებს!

\*\*\*

ვფიქრობ, მკითხველებს დაინტერესებს საუბარი კონკურსის ჟიურის წევრთან — გამოჩენილ ამერიკელ პიანისტთან — ქ-ნ სიუზინ სტართან, რომელსაც შევხვდი იმ დღეებში.

პირველად ს.სტარის სახელი გავიგე შორეულ 1962 წელს მოსკოვში, სადაც ვიმყოფებოდი კორესპონდენტად პ.ჩაიკოვსკის სახელობის პიანისტთა II საერთაშორისო კონკურსზე.

19 წლის სიუზინ სტარი (ცნობილი პიანისტისა და პედაგოგის რუდოლფ სერკინის მოსწავლე) მაშინ კონკურსის ერთ-ერთ „აღმო-



**ვახტანგ ჟორდანია (მესამე პრემია)**



ანა ლლიღვაშვილი

ჩენად” იქნა მიჩნეული. გაცეხებას იწვევდა ახალგაზრდა პიანისტის ნებისყოფა, ტემპერ-ამენტი და ტექნიკური ოსტატობა.

მახსოვს, კონკურსის მე-2 ტურზე სიუზინმა ბრწყინვალედ შეასრულა პროკოფიევის მე-7 სონატის ფინალი და ჩაიკოვსკის სონატა, აგრეთვე ყოფილი თბილისელის (ჩემი თანაკლასელის) ალექსანდრე ფირუშოვის „პრელიუდია და ტოკატა“, რომელიც აუცილებელი ნომერი იყო ყველა მონაწილისათვის.

სტარის გამოსვლების კულმინაციად იქცა მესამე ტური, სადაც მან შესანიშნავად შეასრულა ჩაიკოვსკის საფორტეპიანო კონცერტი (უკვე პირველი ნაწილის შემდეგ დარბაზმა მას ოვაცია გაუმართა) და რახმანინოვის „რაფსოდია პაგანინის თემაზე“.

საბოლოოდ, ს.სტარმა მეორე პრემია მოიპოვა (პირველი გაიყვეს ჯ.ოგდონმა და ვ.აშქენაზიმ, მესამე იყო ჩვენი ელისო ვირსალაძე).

ამჟამად ქ-ნი სტარი განაგრძობს საშემსრულებლო მოღვაწეობას, თანამშრომლობს გამოჩენილ დირიჟორებთან და სიმფონიურ ორკესტრებთან. 2007 წლამდე ეწეოდა პედაგოგიურ მუშაობას ხელოვნებათა სკოლაში „Mason Gross“. იგი ორი შვილის დედაა: ვაჟი არტემენეჟმენტით არის დაკავებული, ქალიშვილი კი ორკესტრში ვალტორნაზე უკრავს.

თბილისში ს.სტარს, სამწუხაროდ, არასოდეს დაუკრავს, მაგრამ ძალიან კმაყოფილია ჩვენ ქალაქში ყოფნითა და კონკურსის ჟიურიში მუშაობით.

ჩემ შეკითხვაზე, თუ ვის იცნობს იგი ქართველი მუსიკოსებიდან — ჟიურიში თავისი კოლეგების—მ.დოიჯაშვილის, ა.კორსანტიასა და ნ.კერესელიძის გარდა, მან დაასახელა „შეუდარებელი“ (მისი გამოთქმა) ელისო ვირსალაძე და ლექსო თორაძე, რომელსაც თავისი საშემსრულებლო და პედაგოგიური მოღვაწეობით დიდი წვლილი შეაქვს პიანისტური ხელოვნების განვითარებაში.

ს. სტარს ძალიან მოეწონა ნოდარ გაბუნიას „იმპროვიზაცია და ტოკატა“ (ყველა კონკურსანტის აუცილებელი შესასრულებელი პიესა) და აპირებს მის გამოყენებას თავის პედაგოგიურ პრაქტიკაში.

დიდი ინტერესი გამოიწვია ამერიკელი პიანისტის მიერ კონსერვატორიაში ჩატარებულმა მასტერ-კლასმა. კონკურსის დახურვაზე გამოსვლისას ს.სტარმა დიდი მადლობა გადაუხადა ქართულ საზოგადოებას გულითადი მიღებისათვის.

\*\*\*

ახლა კი მკითხველებს მინდა შევთავაზო კონსერვატორიის პროფესორის, ცნობილი პიანისტისა და პედაგოგის **რევაზ თავაძის** „ნაღვლიანი ფიქრები კონკურსის შემდეგ“, რომელიც ბევრ საინტერესო აზრსა და დაკვირვებას შეიცავს:

„ვერ კიდევ პიანისტთა თბილისის I საერთაშორისო კონკურსის წინ ბრძენმა მუსიკოსმა ნოდარ გაბუნიათ თქვა, რომ ყოველი კონკურსი, პირველ რიგში, ავლენს ჟიურის წევრთა უმრავლესობის გემოვნებას და არა იმას, თუ ვინ ვის სჯობიაო.“

მართლაც, წარმოვიდგინოთ ასეთი ვითარება — კონკურსს გადიან ფერმწერი მხატვრები. ერთ-ერთი არბიტრი მსჯელობს ასე: ბალახი მწვანეა, მიწა — ყავისფერი, ქვა — რუხი, ცა — ცისფერი, ზღვა — ლურჯი. ეს რეალობაა, ჭეშმარიტებაა, ხოლო როგორც ბუალომ თქვა: „ყოველივე ჭეშმარიტი — ლამაზიაო“. ამიტომ, მე ვერ მივცემ ხმას ვანგოგს. თუ ასე ფიქრობს ჟიურის წევრთა უმრავლესობა, მაშინ იმარჯვებენ — ეს, ის, ან ვილაც სხვა, ხოლო მარცხდებიან — ვან გოგი, ფიროსმანი, პიკასო.

რა კავშირშია ყოველივე ეს მუსიკალურ-საშემსრულებლო ხელოვნებასთან? ვეცდები მოკლედ გამოვხატო ის აზრი, რომელიც ამასთან დაკავშირებით გამოთქვეს XX საუკუნის უდიდესმა ხელოვანმა-შემსრულებლებმა — დირიჟორმა ვილჰელმ ფურტვენგლერმა და ვიოლონჩელისტმა პაბლო კაზალსმა: „მუსიკალური ნაწარმოები მოდის იმ-

პროვიზაციიდან, იგი ცოცხალია, ცვლადია, მრავალნახნაგაა ბუნებასავით. დგება მომენტი, როდესაც კომპოზიტორმა უნდა დააფიქსიროს იგი სანოტო ქალაღზე, აკეთებს ამას და რჩება „სტოპკადრი“, რასაც ჩვენ სანოტო ტექსტს ვუნოდებთ. შემსრულებელი ვალდებულია განახორციელოს უკუსვლა, ამოვიდეს ამ „სტოპკადრიდან“, შთაბეროს მას სული, გააცოცხლოს და კვლავ მიანიჭოს ის თვისებები, რაც იმპროვიზაციაშია. ამაშია მუზიციერების არსი, მისი შთამაგონებელი ძალა.

იმის განხორციელება, რაზედაც საუბრობენ ფურცლები, კაზალსი, ედ.ფიშერი, ა.კორტო და სხვანი ძალუძს მხოლოდ შემოქმედებითად ნიჭიერს, და არა, თუნდაც გრანდიოზული, მაგრამ „თუთიყუშური“ ნიჭის მქონეს, ვისთანაც ბალახი ყოველთვის მწვანეა, მინა — ყავისფერი, ქვა — რუხი, ცა — ცისფერი, ზღვა — ლურჯი. და თუ ჟიურის წევრთა უმრავლესობა ასე აზროვნებს,

მაშინ... მაშინ პრემიების გარეშე რჩებიან ფერუჩო ბუზონი და ედვინ ფიშერი, არტურ რუბინშტეინი და არტურო ბენედეტი მიქელანჯელი, მარტა არგერიხი, რომელიც ორჯერ ზედიზედ „ჩაჭრეს“ ერთიდაიგივე სუპერპრესტიჟულ ბელგიის კონკურსებზე 1960 და 1964 წლებში, ხოლო დღეს ის აღიარებულია თანამედროვეობის ყველაზე დიდ პიანისტად და ა.შ.

რაშია გამოსავალი? ვერ გიპასუხებთ, რადგან არ ვიცი. ვიცი მხოლოდ ის, რომ კონკურსები გამოგონილია, რათა გაიმარჯვოს სიმართლემ, რათა მოვიძიოთ სამართალი...

და ასე, სამართლის ძიებაში მივექრით უსამართლობიდან უსამართლობისაკენ და ამას არ ექნება ბოლო, დასასრული, რადგან უსამართლობა ამძაფრებს ვნებებს, ხოლო ადამიანებს სწორედ ეს ვნებათაღელვა უყვართ!


**პიანისტთა თბილისის მეოთხე  
საერთაშორისო კონკურსი**

1-14 ოქტომბერი, 2009, თბილისი, საქართველო

1-14 OCTOBER, 2009, TBILISI, GEORGIA

**THE FOURTH TBILISI  
INTERNATIONAL PIANO COMPETITION**

2009




გიგა ლორთქიფანიძე

# სოსე ნინცაძე

## გიგა ლორთქიფანიძე – 80

XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული რეჟისურის მხატვრული დონის განმსაზღვრელი და ჟანრობრივად მრავალფეროვანი თეატრალური ძეგლების ერთ-ერთი უპირველესთაგანია გიგა ლორთქიფანიძე, ძნელად მოიძებნება ქართულ თეატრში ხელოვანი, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან მსგავსი მრავალმხრივი ნიჭიერებით რომ გამოირჩეოდეს: სპექტაკლების (დრამატული, მუსიკალური, საოპერო) და კინოფილმების შემქმნელი, თეატრის დამაარსებელი, სხვადასხვა თეატრების ხელმძღვანელი, მსახიობებისა და რეჟისორების აღმზრდელი, სცენისათვის ლიტერატურული ნაწარმოების ჩინებული შემთხვევითი, მრავალი შემოქმედებითი პროექტის ინიციატორი და ორგანიზატორი. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ სარბიელზე დიდი ინტენსივობით მოღვაწე, საჯარო გამოსვლებით განსაკუთრებით თვალსაჩინო, ქართულ თეატრში მიმდინარე

ექსპერიმენტული ძვრების ქომაგი. ნახევარი საუკუნეა, იგი შეჭიდებულია ცხოვრებისეულ და შემოქმედებით მძაფრ ქარტეხილებს. ჭეშმარიტი შემოქმედებითი გამარჯვებების კვალდაკვალ უკიდურესი სირთულეების დაძლევა უწევდა. ბევრი მითქმა-მოთქმის საბაბიც გამხდარა, კრიტიკის ქარცეცხლიც და, მრავალ ბედნიერ დღეებთან ერთად, შემოქმედებითი წარუმატებლობის სიმწარეც უგემია. სწორედ ასეთი მღელვარე, წინააღმდეგობებით აღსავსე საინტერესო შემოქმედებითი გზა განვლო გიგა ლორთქიფანიძემ. ბუნებით მჩქეფარე, მტკიცე ნებისყოფის, საოცარი იუმორითა და შესაშური მუსიკალობით, უმდიდრესი ფანტაზიით, ენამახვილობით გამორჩეული ადამიანია. შემტევი ხასიათი აქვს, საწინააღმდეგო აზრის გაბათილებისათვის მუდმივად მზად მყოფი და „ხმალამოლებულია“, მწვავე პაექრობაში ჩართულს ამ პროცესისაგან ერთგვარი სიამოვნებაც ეტყობა ხოლმე. ვერ იტანს ინერტულობას. შემოქმედებით კონფლიქტებს არასდროს არიდებს თავს, პირიქით, თავდავინწყებით იცის ჩართვა უმძაფრეს პოლემიკაში. შეიძლება ტენდენციურადაც კი იქცეს ამ დროს, მაგრამ მის გულწრფელობაში ეჭვს ვერ შეიტანთ. მსჯელობისას არგუმენტები არ ელევა. მისი განზრახვა ზოგჯერ შეიძლება მცდარიც იყოს, მაგრამ შენიღბული არ არის, ზედაპირზე ძვეს რის მიღწევასაც ცდილობს. კამათში მოგების უფინით შეპყრობილი, შეიძლება შიშველ სარკაზმამდე მივიდეს, მაგრამ იქვე ისეთ ლირიკულ ნიუანსს,




ან იუმორისტულ ფრაზას ჩაურთავს, რომ გაგაოცებს. პირდაპირია, ყოველგვარი ქვეტექსტის გარეშე მოგახლით სათქმელს, შეიძლება თავზეც მოგახვიოთ საკუთარი ტენდენცია, ჩათვალთ, რომ არაობიექტურია, მაგრამ ეს მისი ბუნებაა, მისი ინდივიდუალობაა. შეიძლება მეტად მწარე სიტყვით ტკივილი მოგაყენოთ, მაგრამ არ გაგჩირავთ, სწორედ წყენისა და შერიგების დიდოსტატია. შერიგებისათვის დიდი დრო არ სჭირდება, იქვე, ჯერაც რომ არ დამცხრალა მწვავე პერიპეტეიები, მეგობრულად გაუნვდის ხელს მონინააღმდეგეს. ადვილად ფეთქებადი ხასიათი, სიფიცხე, იმპულსურობა შერწყმულია გულჩვილობასთან. ხშირად გულწრფელი ცრემლით გულამოსკვნილია სხვისი სცენური შედევრის ხილვისას. მაღალმხატვრული მოვლენით ან მსახიობის ოსტატობით მოხიბლული, ვერ იკავებს ხოლმე მოძალებულ ემოციას ( დასტურად პოეტ მიხეილ ქელიძის ფრაზა: „მიყვარს იგი... ვისაც სრულყოფილი სილამაზის ხილვა ცრემლსა ჰგვრის და ასევედიანებს“) შესაშური თანადგომა იცის — ასეთია დიდი პიროვნებისათვის ჩვეული კონტრასტულ თვისებათა გამოვლენის ჯაჭვი. დიდი ხანია ლიდერის მდგომარეობის მქონე ყოველდღიურად მაინც იმტკიცებს თავის იმიჯს. მუდმივად ყურადღების ცენტრში ყოფნა აუცილებელია მისი არსებობისათვის. არ შეუძლია „წუთშესვენება“, ან დასვენების რაიმე პასიური ფორმა — მუდმივ ქმედებაშია მისი პიროვნება. დაუცხრომელი მისწრაფებებით აღზევებული ამგვარი ნატურა განსაზღვრავს რეჟისორის შემოქმედებითი ინტერესების სფეროს, გავლენას ახდენს მის ხელოვნებაზე — რელიეფურად ისახება სპექტაკლებსა და კინოფილმებში და განაპირობებს ყოველგვარ წარმატებას მის მოღვაწეობაში.

გიგა ლორთქიფანიძე არასდროს ღალატობს საკუთარ რეჟისორულ პრინციპს — ბოლომდე გახსნას დრამატურგიული მასალა ( „ავტორი-სეული ჩანაფიქრისა და სტილისტიკის ისე გავე-

ბა-გააზრება, როგორც გიგა ლორთქიფანიძეს შეუძლია, სხვასთან არავისთან მინახავს...“ ვადიმ კოროსტილიოვი), ამომწურავად წარმოაჩინოს ავტორის ჩანაფიქრი, არ დაარღვიოს პიესის მხატვრული ქსოვილი. გიგა ლორთქიფანიძის შემოქმედებითი ინდივიდუალობა რეჟისურის კლასიკურ ფორმებს ეყრდნობა, მას არ იტაცებს სცენური მეტაფორების სიჭარბე და თეატრალური ეფექტები, სპექტაკლის ფორმის განსაკუთრებული სიმკვეთრე. არ ახასიათებს საკუთარ პრინციპებს ხელოვნურად დაუმორჩილოს ავტორისეული აზრი, ზეგავლენა იქონიოს პიესის ჟანრულ თავისებურებებზე, საკუთარი სურვილით შეცვალოს ნაწარმოების მხატვრული სტრუქტურა. რეჟისორი თანმიმდევრულად მიჰყვება კონკრეტული პიესის ლოგიკურ სვლებს, იკვლევს ფსიქოლოგიური მომენტების სიღრმეს და დრამატურგიული ნაწარმოების ძირითადი აზრის წარმოჩენას უქვემდებარებს მთელ თავის ოსტატობასა და რეჟისორულ ფანტაზიას.

გიგა ლორთქიფანიძე თბილისის ვერის უბანში დავით ლორთქიფანიძის და ნინო მიქელაძის ( რომელიც გენიალური მუსიკოსის ევგენი მიქელაძის ახლო ნათესავი იყო) ოჯახში დაიბადა 1927 წელს. თანამედროვეთა გადმოცემით, ყოველთვის ხალისიან, დაუღლელ, მოჭარბებული ენერჯის, ოხუნჯ, ამღერებული სულის, ონავარ (ამ ონავრობის გამო ბავშვობაშივე დაკარგა ცალი ფეხი) ჭაბუკს აფორიაქებული ყრმობის წლები ჰქონდა. თეატრით გატაცება ბავშვობაში მოხდა. 1944 წელს იგი შევიდა თბილისის შოთა რუსთაველის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე. მისი პედაგოგი იყო იმ პერიოდში უკვე აღიარებული გიორგი ტოვსტონოგოვი. ერთი წლის შემდეგ კი გადავიდა მოსკოვში, ანატოლი ლუნაჩარსკის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტში, სადაც მისი პედაგოგები იყვნენ გამოჩენილი რუსი





რეჟისორები: ალექსეი პოპოვი და მარია კნებელი. გ.ლორთქიფანიძის შემოქმედებითი მსოფლმხედველობის ფორმირებაში დიდი როლი შეასრულა იმ ხანის თეატრალურმა მოსკოვმა, განსაკუთრებული ზეგავლენა მოახდინა სამხატვრო თეატრმა. ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში გ. ლორთქიფანიძემ მოსკოვის რკინიგზის ტრანსპორტის თეატრში დადგა ვ.ბურიაკოვსკის პიესა „პრალა მაინც ჩემი იქნება!“. სადიპლომო ნამუშევარი კი ა.კრონის „პარტიის კანდიდატი“, განახორციელა ვილნიუსის რუსულ დრამატულ თეატრში. აქვე დადგა ო. პრუტისა და ა. შპანოვას „დასავლეთის საზღვარი“, ხოლო კაუნასის მუსიკალურ თეატრში თანამედროვე თემაზე დაწერილი ე. გალპერინის „მეოცნებენი“. ახალბედა რეჟისორმა სპექტაკლი არა მარტო თვალისმომჭრელი თეატრალური ხერხით, ხალისიანი რიტმით აღავსო, საერთო სანახაობაში ჩართული იყო მაყურებელთა დარბაზი, ფოიე და თვით თეატრის ფასადიც კი. უკრავდა სასულე ორკესტრი, მაყურებელთან ერთად დასეირნობდნენ და ცეკვავდნენ მსახიობები. გარემო მორთული იყო მრავალფერი გირლიანდებით, თაიგულებით, ლოზუნგებით ( რომლებიც მაყურებელს მშენებლობაზე წასვლას მოუწოდებდა), რეჟისორი ნამდვილი თეატრალური ზეიმის განწყობილებას ქმნიდა.

1951 წელს დაბრუნდა გ. ლორთქიფანიძე საქართველოში. პირველი წარმოდგენები გორის გ. ერისთავის სახელობის თეატრში განახორციელა (შალვა დადიანის „ნაპერწყლიდან“, ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარული“) და უმაღლვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება.

1952 წელს გ. ლორთქიფანიძე კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში მიიწვიეს. პირველი არჩევანი დიდი წარმატებით დამთავრდა. კ. გოლდონის „სასტუმროს დიასახლისმა“ მარჯანიშვილის თეატრის ცხოვრებაში ღრმა კვალი დატოვა. სპექტაკლი იმითაც იყო ღირსშესანიშნავი, რომ მთავარი როლების შემსრულებელი მსახიობები სხვა ამპლუაში ბრწყინვალედ წარ-

მოსდგნენ (მირანდოლინა — ვ. ანჯაფარიძე, კავალერი რიპაფრატა — შ. ლამბაშიძე და ს.ზაქარიაძე). აშკარა იყო, რომ ქართულ თეატრში მოვიდა რეჟისორი, რომელსაც მსახიობთან მუშაობის დიდი უნარი შესწევდა. ამ თვისებით იგი იმთავითვე განსაკუთრებულად გამოირჩეოდა. გ. ლორთქიფანიძის რეჟისორული ინდივიდუალობა ჩამოყალიბდა თვითმყოფადი და შესანიშნავი რეჟისორების: ვასო ყუშიტაშვილის, არჩილ ჩხარტიშვილის, ვახტანგ ტაბლიაშვილის გვერდით, მისი თაობის რეჟისორების: ლილი იოსელიანის, აკაკი დვალიშვილის, მიხეილ თუმანიშვილის სიახლოვეს.

1954-56 წლებში გ. ლორთქიფანიძე ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის მთავარი რეჟისორი იყო, სადაც განახორციელა: კ.ტრენიოვის „ლიუბოვ იაროვაია“, ლ. ქიაჩელის „ტარიელ გოლუა“ და უ.შექსპირის „ოტელო“. 1956 წლიდან კვლავ მარჯანიშვილის თეატრის დამდგმელი რეჟისორია. ამ წლებში განხორციელებული სპექტაკლებიდან აღსანიშნავია: ს. კლდიაშვილის „დაბრუნება“, ვ. გაბისკირიას „უფსკრულთან“, ა.კორნეიჩუკის „ესკადრის დაღუპვა“, ლ. ლეონოვის „შემოსევა“, კ.ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“.

1963-64 და 1970-73 წლებში გ. ლორთქიფანიძე თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის რუსულ თეატრში მოღვაწეობდა. ამ პერიოდში წარმატებით განახორციელა ცალკეული სპექტაკლები მოსკოვის თეატრებში: განსაკუთრებულ თეატრალურ მოვლენად იქცა ამ დროს მეტად გახმაურებულ, ახლად შექმნილ თეატრ-სტუდია „სოვრემენიკში“ ე. ჰემინგუეის „მეხუთე კოლონას“ დადგმა. სპექტაკლის შესაფასებლად გამოჩენილი რუსი რეჟისორის ანატოლი ეფროსის ეს გამონათქვამიც კმარა: „ე. ჰემინგუეის პიესა, რომელიც მეტისმეტად რთულია და რომელმაც ბევრჯერ განიცადა მარცხი მსოფლიოს მრავალი თეატრის სცენაზე, დღეს



დიდებულადაა დადგმული...“ სპექტაკლში შესანიშნავი აქტიორული ანსამბლი მონაწილეობდა: ო.ეფრემოვი, ი.კვაშა, მ.კაზაკოვი, ტ.ლაგროვა, ე.ევსტიგნევი, ვ.ნიკოლინი, გ.ვოლჩევი, ე.სერგაჩოვი, ო.ტაბაკოვი. „სოვრემენიკმა“ 1962 წელს თბილისურ პირველ გასტროლებზეც წარმოადგინა „მეხუთე კოლონა“.

1964-1967 წლების სეზონში გ. ლორთქიფანიძე მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორია. მისი ბიოგრაფიის შემდგომი პერიოდი დაკავშირებულია რუსთავის სახელმწიფო თეატრთან, კვლავ მარჯანიშვილის თეატრთან, ერთი სეზონი ისევ რუსთავის თეატრთან. ცალკეული სპექტაკლები დადგა ბათუმში, რუსთაველის სახელობის თეატრში (ო. მამფორიას „მეტეხის ჩრდილში“, ლ.ზორინის „რომაული კომედია“). მიუხედავად ამგვარი მონაცვლეობისა, გ. ლორთქიფანიძეს არ უღალატია თავისი რეჟისორული პოზიციისათვის. თავისი შემოქმედებითი მრწამსით ყოველთვის გამორჩეული ადგილი აქვს ქართულ თეატრში და მყარად იცავს სცენური სიმართლის პრინციპებს, ამასთანავე, მისი შემოქმედება ეყრდნობა ეროვნული სულის ჭეშმარიტ ფესვებს. მის წარმოდგენებში განსაკუთრებულად იგრძნობა ხოლმე ეროვნული კოლორიტი. მოქმედ პირთა ურთიერთობისა და ფსიქოლოგიის ამოხსნის დროს შეუმცდარი ალლოთი, რაღაც უხილავი ეროვნული სურნელით შეზავებულ კონკრეტულ ნიუანსებს აღმოაჩენს ხოლმე. გ. ლორთქიფანიძისათვის პიესის არჩევანი არ არის განპირობებული მხოლოდ შიშველი რომელიმე აქტუალური აზრის წარმოჩენის სურვილით, არამედ კონკრეტული მსახიობის ინდივიდუალობის გათვალისწინებით ყალიბდება რეჟისორული ჩანაფიქრი, მსახიობის შესაძლებლობების გათვალისწინებით ხდება ჩანაფიქრის რეალიზაცია.

გიგა ლორთქიფანიძემ გაუხსნა გზა ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებებს სცენისაკენ. ბრწყინვალე პროზაიკოსის ნაწარმოებებში პირველად გ.ლორთქიფანიძემ აღმოაჩინა სანახაობითი ნიუანსები. საკუთარი ინსცენირებით ჯერ „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მე ვხედავ მზეს“ განახორციელა მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, შემდეგ „ნუ გეშინია, დედა!“ და „საბრალდებო დასკვნა“ აზიარა სცენას რუსთავის სახელმწიფო თეატრში. რეჟისორის ფანტაზიამ და ზუსტმა ინტუიციამ დუმბაძისეულ ლიტერატურულ მასალაში დაინახა ორიგინალური, საოცრად კოლორიტული, ჯერ ხელშეუხებელი სცენური სამყარო. ნ. დუმბაძის კეთილი, გულწრფელი და იუმორით აღსავსე გმირები გ. ლორთქიფანიძის რეჟისორულმა ხელმა სცენაზე სახიერად აამეტყველა და კონგენიალური გახადა ავტორისეული გმირებისა (მარტო სესილია თაყაიშვილის ოლღა ბებია რად ღირს!). ისე ორგანულად გადაიტანა



დუმბაძისეული არაჩვეულებრივი სამყარო სცენაზე, თითქოს სცენისათვის ყოფილიყოს შექმნილი. ჭეშმარიტი სცენური სიმართლისა და ერთგვარი რომანტიკულობის ელფერი დაჰკრავდა დუმბაძე-ლორთქიფანიძისეულ სპექტაკლებს. იმ პერიოდში საქართველოში მყოფმა ფრანგმა თეატრალურმა მოღვაწემ ჟან დარკანტმა სპექტაკლის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ შესახებ თქვა: „ამ შესანიშნავ სამახსოვრო სპექტაკლზე, მიუხედავად იმისა, რომ არ მესმოდა არც ერთი სიტყვა, აღფრთოვანებული დავრჩი“.

ჭეშმარიტი სცენური სიმართლითა და რომანტიკულობით შერწყმული თეატრალური ესთეტიკა მთელი თავისი სისავსით წარმოჩნდა გ.ლორთქიფანიძის პირმშო რუსთავის სახელმწიფო თეატრის შემოქმედებით სახეში (დააარსა 1967 წელს). გ. ლორთქიფანიძის მიერ შექმნილი რუსთავის თეატრი იმ წლებში, როცა სათავეში ედგა, იყო თეატრალურ ხელოვნებაში სცენური სიმართლისა და რომანტიკულის ერთობლიობის ნამდვილი ოსტატობის ნიმუში. ქართული თეატრის ისტორიაში განსაკუთრებული მოვლენა იყო რუსთავის თეატრის მოღვაწეობის ის წლები. გ. ლორთქიფანიძის სპექტაკლებში: ე. როსტანის „სირანო დე ბერჟერაკი“, ვ. კოროსტილიოვის „ასი წლის შემდეგ...“ და „მარტოობის დღესასწაული“, მ.გორკის „ფსკერზე“ (ნ.გაჩავასთან ერთად), „საბრალდებო დასკვნა“, უ.შექსპირის „მეფე ლირი“ გამოიკვეთა რეჟისორის შემოქმედებითი კრედიო, ხელოვნის სათქმელი, ნათელი მოქალაქეობრივი პოზიციით, გრძნობისა და აზრის ნამდვილი



სინთეზით, თანამედროვეობის შეგრძნებით, სტილისტურად დახვეწილი წიაღსვლებით, ლაკონური სცენური საშუალებებით რეჟისორი მიიკვლევდა გზას ახალი თეატრალური ესთეტიკის დასამკვიდრებლად. სცენაზე იკვეთებოდა რთული ეთიკური პრობლემები. იბრძოდნენ პოეტური სულის, ჰუმანური იდეალებით გამსჭვალული ადამიანები. იბრძოდნენ სამართლიანობისათვის, თავისუფლებისათვის. მიმდინარეობდა განმათავისუფლებელი იდეით აგზნებული დეკაბრისტების მძაფრი პაექრობა ხელისუფალთან... იშლებოდა კონფლიქტი ხელოვანსა და საზოგადოებას შორის. მაღალ რანგში აყვანილი სცენური სიმართლე მსჭვალავდა ყველა ამ სპექტაკლს და ემოციისა და ინტელექტის შერწყმის პრინციპით გამოირჩეოდა. იმ წლებში გამოჩენილმა ლიტველმა რეჟისორმა იოზას მილტინისმა ასეთი შინაარსის წერილი მოსწერა გ. ლორთქიფანიძეს: „დღემდე გაოგნებულები ვართ იმ უდიდესი შთაბეჭდილებით, რაც თქვენმა სპექტაკლმა „მარტოობის დღესასწაულმა“ მოახდინა ჩვენზე. ეს ხომ ხელოვნების ზეიმი იყო“.


პოლიკარპე კაკაბაძის პიესის „კახაბერის ხმლის“ დადგმა გ. ლორთქიფანიძის შემოქმედების ერთ-ერთ მწვერვალად იქცა. ეს სიმალლე განა-

პირობა რთული, ქართველი მაყურებლისათვის მანამდე სცენაზე განუხორციელებელი ნაწარმოების ორიგინალურმა რეჟისორულმა ხედვამ. ამ წარმოდგენაში გამოვლინდა კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის შემოქმედებითი ტრადიციების ერთგულება. ქართული თეატრის ხალხური ნიღბების გამოყენებით, ბერიკაობის სანახაობის ხერხის გაცოცხლებით, სიმბოლიკისა და ყოფითი დეტალების შერწყმით იყო შექმნილი წარმოდგენის სცენური ფორმა. რეჟისორმა უმთავრესად მიაგნო ეროვნული ფოლკლორიდან პ.კაკაბაძის მიერ ბრწყინვალედ შექმნილი განზოგადებული მხატვრული ტიპების სცენაზე წარმოსახვის მანერას, გამომსახველობითი საშუალებებით თავისებურებას. ამიტომ წერდა მიხეილ თუმანიშვილი: „იშვიათია, როდესაც რეჟისორს შეუძლია აღმოაჩინოს თეატრალური სტილისტიკის ახალი ფენები, გიგამ ეს შეძლო. ერთი ურემი რად ღირს „კახაბრის ხმალში“, შესაშური მიგნება“. სპექტაკლი ქადაგებდა ზნეობრივ სისპეტაკეს, აღვიძებდა პატრიოტულ სულისკვეთებას, ხოტბას ასხამდა რწმენით ამალღებულ ადამიანს, წუთისოფლის ტრიალს სცენაზე სიმბოლურად გამოხატავდა ურემი, რომლის სხვადასხვა რაკურსით მოძრაობა ქმნიდა საინტერესო სახიერ კომპოზიციებს, მეტაფორული სახით წარმოაჩენდა მთავარ სათქმელს. ეს ერთადერთი სცენური დანადგარი ჩართული იყო მთელი წარმოდგენის სცენურ ფორმაში.

დიდი წარმატება ჰქონდა „კახაბერის ხმალს“ მოსკოვში 1966 წელს მარჯანიშვილის თეატრის გასტროლების დროს. ცნობილი თეატრალური კრიტიკოსი ა.ანიქსტი აღნიშნავდა: „ეს სპექტაკლი თეატრალური სატირის ერთ-ერთი შესანიშნავი მოვლენაა. ბევრი ჩემი მოსკოველი კოლეგისათვის და პარადად ჩემთვისაც „კახაბერის ხმალი“ პირდაპირ აღმოჩენა იყო“.

გიგა ლორთქიფანიძის სპექტაკლ „ოიდიპოს მეფეს“ (თ. მესხთან ერთად) (მარჯანიშვილის თეატრი) ორი ბრწყინვალე წინამორბედი ჰყავდა. 1946 წელს ბათუმის დრამატულ თეატრში არჩილ ჩხარტიშვილის მიერ განხორციელებული და 1956 წელს დიმიტრი ალექსიძის მიერ





რუსთაველის თეატრში. ქართულ თეატრში სოფოკლეს ამ ტრაგედიის მესამე ინტერპრეტაციაც წარმატებით დამთავრდა. დიდი რეჟისორი, სიტყვაძუნნი და უტყუარი ალღოს მქონე არჩილ ჩხარტიშვილი წერდა: „წლების მანძილზე ჩვენს ზოგიერთ თეატრში გამეფებულ ყალბ პათოსთან ბრძოლამ მეორე უკიდურესობაში გადაგვადგო: სცენიდან განიდევნა ამაღლებული სიტყვა, ნამდვილი პათეტიკა. ამ სპექტაკლში მან დაიბრუნა თავისი ადგილი...“

უკვე აღვნიშნე, გ. ლორთქიფანიძე ცხოვრებაში საოცრად მუსიკალურია. ემოციური გადამდებლობის, „მაგნიტური მიზიდულობის“ და ინტელექტუალური გონების გარდა, ალბათ მისი მუსიკალური შიდაბუნება არის მიზეზი მეგობართა წრის სიფართოვისა. ამ საკითხში ყველაზე კომპეტენტური პიროვნების, კომპოზიტორ ბიძინა კვერნაძის სიტყვებს გავიხსენებ: „გიგას საოცარი დამუხტვის უნარი აქვს, ყოველ შემთხვევაში, ჩემს თავზე გამოვცადე, თუ როგორ ზუსტად გიხსნის ამა თუ იმ მუსიკალურ სახეს და როდესაც მას სცილდები, გრძნობ, რომ ამ ახსნის გარდა, კიდევ სხვა რაღაც ჩავიდო სულში. ეს არის განწყობილება, რომელსაც შემდეგ თითქმის უშეცდომოდ და, რაც მთავარია, შემოქმედებითი დამუხტვით ასრულებ“.

გ. ლორთქიფანიძე ვოკალურ-მუსიკალური ჟანრის კანონებს პროფესიულ დონეზე დაუფლებული ხატოვნად, იოლად, სახიერად, ლაღად, რიტმული დინამიკით აგებს მუსიკალური სპექტაკლების გარეგნულ მონოლითურ ჩარჩოს, რომელიც ყოველთვის სავსეა კომპოზიტორის ჩანაფიქრიდან გამომდინარე სახეობრივ შინაარსში და სტრუქტურული თავისებურებით, ხასიათდება აქტიორ-მომღერლების ანსამბლურობით, მასობრივი საგუნდო სცენების გამომსახველობით. ჰარმონიულად კრავს ყველა კომპონენტს, მუსიკალური დრამატურგიის ნიშან-თვისებას, სცენოგრაფიას, ქორეოგრაფიას, პლასტიკას. გ. ლორთქიფანიძის შემოქმედებაში რამდენიმე მუსიკალური სპექტაკლიდან გამორჩეულია ოთხი: ჯ. ბოკის და კ. სტაინის მიუზიკლი „მევიოლინე სახურ-

ავზე“ (ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური თეატრი); ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტე“ და ბ. კვერნაძის „კოლხთა ასული“ (ზ. ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი); ჯ. ვერდის ოპერა „აიდა“ (ბათუმის საოპერო თეატრი).

გიგა ლორთქიფანიძე აქტიორული ანსამბლის თაყვანისმცემელია, მსახიობთან მუშაობის აღიარებული ოსტატია. მსახიობია მისი სპექტაკლების (ასევე კინოფილმების) სული და გული. მისი დიდი დამსახურებაა ქართული თეატრის კორიფეების ხანდაზმულობის ჟამს სცენაზე კიდევ ერთხელ გამოყვანის შემთხვევები. მან სპეციალურად მოიწვია თამარ ჭავჭავაძე მარჯანიშვილის თეატრში ლამბრინი კირიაკილისის როლის შესასრულებლად სპექტაკლში „აფროდიტეს კურძული“, ხოლო აკაკი ხორავა ოთარ ბეგის როლში სპექტაკლში „ლალატი“. სპეციალურად დადგა აკაკი ვასაძისათვის რუსთავის სახელმწიფო თეატრში „მეფე ლირი“, ხოლო მარჯანიშვილის თეატრში ვერიკო ანჯაფარიძისათვის „შთამომავლობა“.

გიგა ლორთქიფანიძის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კინოხელოვნებას. მისმა საყოველთაოდ ცნობილმა მრავალსერიანმა ფილმმა „დათა თუთაშხიამ“ უმაღლეს მოიპოვა აღიარება (ეკრანზე გამოვიდა 1979 წელს) და დროს გაუძლო. ყოველთვის სიყვარულით, აღფრთოვანებით ეგებება მაცურებელი ფილმის დემონსტრირებას.

გიგა ლორთქიფანიძის ღვაწლი ყოველ დროში სათანადოდ იყო დაფასებული. ამ მხრივ საყვედური არ ეთქმის. დაჯილდოვებულია დამინიჭებული აქვს პრაქტიკულად არსებული თითქმის ყველა ნოდება, პრემია. მიუხედავად იმისა, რომ მთლად დაღმწევილი ცხოვრება არც მას ჰქონდა — გიგა ლორთქიფანიძე ბედნიერია: ჰყავს სამი შვილიშვილი, სამი ქალიშვილი, ორი მათგანი მსახიობია, მეუღლე ქეთევან კიკნაძე ცნობილი მსახიობია. ბედნიერია, რადგან მთელი თავისი არსებით მონაწილეობს შემოქმედებით და ორგანიზაციულ ბოზოქარ პროცესში.





ნაწა

მიწახსენება

### მონაშენსაჲი ქანდაკების შესახებ

(მოქანდაკე მერაბ მერაბიშვილის  
შემოქმედება)

„მოქანდაკემ თავის ნაწარმოებზე მუშაობის დროს ხელის ძალით და დარტყმით უნდა მოსპოს ზედმეტი მარმარილო ან სხვა ქვა, რომელიც ფიგურას გარედან მეტხორცად აგარსია, ფიგურას, რომელიც ჩამწყვედეულია ამ ზედმეტი ქვის შიგნით. მოქანდაკე ამ დროს მოქმედებს ყველაზე მექანიკური მოძრაობების მეოხებით, რასაც ხშირად ახლავს აურაცხელი ოფლი, არეული მტვერთან და გადაქცეული ტალახად. ეს დაკავშირებულია ამ ნაზავით აზელილ სახესთან და მოქანდაკე, როგორც ფქვილით შეიძლება მოითხვაროს, ისე მთლად მოთხვრილი მარმარილოს მტვერით, ველური გეგონებით“ (ლეონარდო და ვინჩი).

მერაბ მერაბიშვილმა შემოქმედება მონუმენტურ ქანდაკებას მიუძღვნა. მისი გმირები წარსული ეპოქის გამოჩენილი მოღვაწეები არიან. წარსულ ეპოქებთან მოქანდაკის განსაკუთრებ-

ული სულიერი სიახლოვე, ამ ეპოქების ხასიათში მხატვრული ჩანვდომის ნიჭი, კონკრეტული ისტორიული მოვლენების ზუსტი ხედვა და ინდივიდუალური დახასიათების სიზუსტე სასიცოცხლო ენერგიით მუხტავს მის მიერ შექმნილ მხატვრულ სახეებს.

მერაბ მერაბიშვილი ტრადიციული რაციონალური და განონასწორებული აკადემიური სტილის მიმდევარი ხელოვანია. კლასიკური კანონების საზღვრებში მუშაობს (რაც განსაზღვრავს კიდევ მისი პლასტიკის ძირითად თვისებას: სწრაფვას კონსტრუქციული მკაფიოებისაკენ, აღქმადი ფორმებისაკენ, ლაკონურობისაკენ).

ჩვენ არ ვისახავთ მიზნად მერაბ მერაბიშვილის შემოქმედების სრულად განხილვას, მაგრამ შევეცდებით მისი შემოქმედებისათვის ორი ეტაპური მნიშვნელობის ნამუშევრის მაგალითზე (ალ. გრიბოედოვის ძეგლი თბილისში, ერეკლე მეორის მონუმენტი თელავში — ერთი აღმართულია საქართველოსათვის მნიშვნელოვანი ისტორიული ამბის სადიდებლად, მეორე გამოჩენილი პიროვნების ხსოვნის აღსანიშნავად) გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება მონუმენტური ქანდაკების შესახებ.

ბუნებრივია, რომ ეს ნამუშევრები მთელი რიგი თავისებურებებით განირჩევიან ერთმანეთისაგან, მაგრამ ბევრი საერთო ნიშანიც აქვთ და ამ საერთოში უმთავრესი მემორიალობის რეპრეზენტაციაა.

მონუმენტს საფუძვლად უდევს საყოველთაო ღირებულებები (რელიგიური, პოლიტიკური, სოციალური და ა. შ.) ის ამალღებული ზოგადსაკაცობრიო თემებით სულდგმულობს, მხატვრულ ფორმაში განასახიერებს კონკრეტული ისტორიული სიტუაციის თუ მომენტის აბსტრაგირებულ არსს. მასში ჩადებულია განსაკუთრებული იდეურ-შინაარსობრივი პროგრამა (ტრადიციულად გაბატონებული) ამიტომ მონუმენტი ბევრის დამტევი, მეტს აღნიშნავს, მეტ ასოციაციებს ბადებს, ვიდრე ძეგლი. მაგალითისათვის ქრისტიანული რელიგიის გამარჯვების იდეის განმასახიერებელ ერეკლე მეორის მონუმენტს მოვიყვან (ერეკლეს ზეალმართულ მარჯვენაში ქარქაშში ჩადებული ხმალი უპყრია, რომელიც ტრიუმფალური, გრძელქვედამკლავიანი ჯვრის მიმსგავსებულ გამოსახულებას წარმოქმნის. რაც ქრისტიანული სარწმუნოების ერთგულების მანიშნებლად აღიქმება და გამოკვეთილად აღნიშნავს მონუმენტის მთავარ იდეას.

ძეგლი და მონუმენტი განსხვავებული დაშორებით აღიქმებიან, თუმცა პირველი, რაც აღიქმება თითოეული მათგანის დანახვისას ვერტიკალია, რაც ვერტიკალის ჰორიზონტალისაგან გამოკვეთილობით არის განპირობებული (გრიბოედოვის ძეგლი იქნება ეს თუ ერეკლე, კარნაკის მენჰირები თუ გუთური ქანდაკება, ჯაკომეტის ფიგურები თუ ბრანკუსის „უსასრულო სვეტი“).

მონუმენტის აღქმა ვათვლილია მასობრივ აღქმელზე. ის დისტანციას მოითხოვს, მიახ-

ლოების საშუალებას არ იძლევა. როდესაც მხილველი მას უახლოვდება, მონუმენტის შთაბეჭდავი პროპორციები მის თვალწინ დიდდება, კიდევ უფრო გრანდიოზული ხდება, ზეცისაკენ მისწრაფულს ზეცა უქმნის ფონს.

ძველი ახლოდან დაკვირვების საშუალებას აძლევს მხილველს, გახანგრძლივებულ კონტაქტს გულისხმობს.

საგრძობ განსხვავებას ქმნის ძეგლის და მონუმენტის „სივრცეში განთავსების“ პრობლემა. ძეგლის და მონუმენტის შეჭრა, ჩარევა, თანდათან, ხანგრძლივი დროის მანძილზე ჩამოყალიბებულ რეალურ სივრცეში (ირეალურია, ხილული სამყაროს მიღმაა, მაგ. შუასაუკუნეების სივრცე. ამიტომ „შეშინებული“ ქანდაკება ეკერის, ენებება არქიტექტურას, რომელიც რეალურ სამყაროს განსახიერებს) სხვადასხვა ცვლილებებს იწვევს და სხვადასხვა მიდგომას გვიჩვენებს. ძეგლის „შეჭრა“ ქალაქის ჩამოყალიბებულ სივრცეში ნაკლებ ცვლილებებს მოითხოვს, ის ქალაქის საერთო განაშენიანების მიკროტერიტორიას გამოკვეთს, შესატყვისობაშია გარკვეულ მიკროხუროთმოძღვრულ გარემოსთან. მონუმენტი უფრო მეტად, ვიდრე ძეგლი, დაქვემდებარებულია „ხელოვნებათა ერთიანობის“ კანონებს, ის ანსამბლის შემადგენელია, მთელის ნაწილია, მთელის ძირითადი კომპონენტია, წამყვანია ანსამბლში, მისი დამავირგვინებელია, კომპოზიციის ბირთვია.

მონუმენტი კონკრეტული ხუროთმოძღვრულ-სივრცობრივი გარემოს გათვალისწინებით იდგმება. ის აკონკრეტებს არქიტექტურულ სახეს, მაგ. კახთა მეფეების რეზიდენციასთან აღმართული ერეკლე მეორის მონუმენტი თელავის ძველ სახესაც იცავს და ორგანულადაა ჩართული მის გარემომცველ ისტორიულად ჩამოყალიბებულ სივრცეში. ერეკლეს მონუმენტი მთელი ქალაქის მახვილს ქმნის. ერეკლე მეორის მასშტაბური შეფარდებები გარემომცველ სივრცესთან, ნაგებობის და პეიზაჟის თავისებურებების გათვალისწინება, რომლის დროსაც ის სივრცით-კომპოზიციურად განმსაზღვრელი ხდება და არქიტექტურული ანსამბლის დომინანტს ქმნის. აღქმის ნერტილების სიმრავლე, სილუეტის მკაფიოება იმ ერთიანობას ანიჭებს მას, რომელიც მხატვრულ შთაბეჭდილებას აყალიბებს.

მონუმენტის აღმართვა მოითხოვს მისთვის „მუდმივი ადგილის“ მოძიებას. მონუმენტის „ადგილი“ ყოველთვის რაღაც მოსაზრებით არის გამორჩეული, მნიშვნელოვანი მოვლენის მიმნიშნებელია. (ძეგლთან მიმართებაში „მუდმივი ადგილი“ „ნომადურით“, იცვლება. ეს ნიშანიც განასხვავებს ძეგლს და მონუმენტს ერთმანეთისაგან).

ძეგლს და მონუმენტს ერთნაირი ურთიერთ-მიმართება აქვთ ისტორიულ დროსთან. ეს ურთიერთობა არ გამორჩევა სტაბილურობით და ბევრ ფაქტორთან არის დაკავშირებული (პოლიტიკური ბრძოლები, კონიუნქტურული

პრობლემები, ბუნებრივი კატაკლიზმები). დაცულობას დიდად განსაზღვრავს მასალა, რომელშიც ისინი არიან შესრულებულნი (პლასტიკურ ხელოვნებაში მხატვრულ-გამომსახველობითი შთაბეჭდილების შექმნაში მასალაზე ბევრად მეტია დამოკიდებული, ვიდრე ხელოვნების სხვა დარგებში, თუნდაც მხატვრობაში). ოდითგანვე მასალის შერჩევა, მისი ფიზიკური თვისებების გათვალისწინებასთან ერთად სიმბოლურ გააზრებასაც გულისხმობდა. სიმბოლიკით არის დატვირთული ბრინჯაოს უპირატესი გამოყენება მონუმენტურ ქანდაკებაში. მისი შეგნებული და გააზრებული გამორჩევა მარადიულობის განცდის შესაქმნელად, უკვდავყოფის საბუთად, იმის მანიშნებლად, რომ მონუმენტური ქანდაკება საუკუნეებზეა გათვლილი.

გადარჩენის შემთხვევაში, ძეგლიცა და მონუმენტიც, თუ მათ შენარჩუნებული აქვთ მხატვრულ-იდუური მნიშვნელობა, როგორც ჭეშმარიტი ქმნილება ხელოვნებისა, თანამედროვეობაში განაგრძობს „ცხოვრებას“, თანამედროვეობის მონაწილე ხდება, აწმყოთი ცხოვრობს და ასეა მუდმივად, ყოველი ახალი თაობის წარმოსახვაში.

ძეგლს და მონუმენტს რეალობიდან კვარცხლბეკი მიჯნავს, მაგრამ თავად რჩება მჭიდრო კავშირში გარემოსთან. კვარცხლბეკს, რომელიც რეალობასა და ზედროულს შორის გადასასვლელ საზღვარს წარმოადგენს და ტრადიციული ქანდაკების თანმდევი შემადგენელია, გარკვეული აზრობრივი და ემოციური დატვირთვაც შეიძლება დაეკისროს (მაგალითად ანტიკური ხანის ტრიუმფის იდეის გამომხატველი ქანდაკებიანი სვეტები შეიძლება მოვიყვანოთ).

ორივე შემთხვევაში კვარცხლბეკი შეიძლება გამოყენებული იყოს მხატვრული სახის აღქმის ზემოქმედების გაძლიერების ან ინფორმაციის დამატების მიზნით.

გრიბოედოვის ბიოგრაფიასთან დაკავშირებულ მრავალ ლეგენდას შორის ერთ-ერთი და განსაკუთრებით საინტერესო მის უკვდავებისათვის მიყიდულ სულს უკავშირდება, რასაც „ვაი ჭკუისაგან“-ის შექმნა მოყვება. ავტორისეული ვერსიით ნანარმოების შექმნის იდეა სპარსეთში 1820 წ. 17 ნოემბრის უცნაურმა სიზმარმა განაპირობა. მკვლევარების უმრავლესობის აზრით „ვაი ჭკუისაგან“ განცალკევებით დგას ალ. გრიბოედოვის მიერ შექმნილ ყველა სხვა ნანარმოებებიდან. და მისმა „გაბოროტებულმა აზროვნებამ“ (პუშკინის სიტყვებია) ვერაფერი შექმნა ამის მსგავსი.



ლაშა კუხალაშვილი



გიორგი კუხალაშვილი

ლაშა  
კუხალაშვილი

## შავი ზახით და თეთრი აინდით... ანუ მსოსავი ფახნახა

(ძმები ლაშა და გიორგი  
კუხალაშვილები)

ხელებგაშლილი ადამიანი ჯვრის გამოსახულებას გვაგონებს, ხელებდაშვებული კი სამხატვრო ფუნჯს. აბა კარგად დააკვირდით, ყაჭისთმიანი ქალწული აკვარელის ფუნჯივით როგორ ნარნარებს, მაგრამ ამავე დროს როგორ გაურბის რეალობას, როცა ამქვეყნიურ, ბუნებრივ სილამაზეს ავსებს შთაგონებით წარმოსახული მხატვრული სახით, რის გამოც იხატავს თვალებს, ტუჩებსა და ფრჩხილებს. ყოველ ადამიანში ჩასახლებულია უხილავი მხატვარი, მაგრამ ყველაზე დიდი შემოქმედი მაინც ბუნებაა. იგი ქმნის ქანდაკებებს სტალაქტიტების სახით, ფერწერულ კოლაჟებს ცისარტყელასთან ერთად, მთაზე ამოზრდილ საოცარ კომპოზიციებს, მაგრამ უშეცდომო, როგორც მხატვარი, არც იგია. ხშირად შემინიშნავს თუ როგორ დისჰარმონიაშია ჰორიზონტი ტყის აბიზინებულ მნ-

ვანე ლანდშაფტთან. იგი მაშინ იქცევა ნამდვილ ხელოვნებად, როდესაც ადამიანი ბუნებრივ ქანდაკებას კვარცხლბეკს შეუქმნის სადგომად და ფერწერულ ტილოს კი სასჯელად ლურსმნით ჩამოკიდებს კედელზე.

დღეს კი, სამწუხაროდ, მატერიალური კეთილდღეობის მოპოვებისათვის ბრძოლაში დაღლილსა და დაოსებულ ადამიანს, ყოველდღიური ყოფითობით შთანთქმულსა და ღონემიხდილს დრო აღარ რჩება მხატვრულ ღირებულებათა შემეცნებისათვის და კიდევ უფრო მეტად პრაგმატულები თავად ხელოვნებას აქცევენ ყიდვა-გაყიდვის და გამდიდრების ობიექტად.

დიახ, დრო მიდის. ჩარადოვანი აჩრდილები იცვლიან ჩოხებს, ცხოვრება სხვაფერდება. მალე შემოდგომაც მოვა. ახლა კი ვზივარ ჩემი სახელოსნოს სამასწლოვან აივანზე და ვფიქრობ: ვინ იცის, ამ ეზოში იქნებ ბავშვობისას ნიკოლოზ ბარათაშვილსაც ურბენია (მისი სახლი ხომ აქედან სულ ასიოდ მეტრშია), ანდა სულაც ილია და ორბელიანი სტუმრობდნენ აქაურ ოქროსა და ვერცხლის განთქმულ ოსტატებს. აქ თითოეული აგურიც კი ცოცხალი მუზეუმის ნაწილია. კაცს საფიქრალს აბა რა დაუღევს. მერე კი თავისით ინერება ასეთი სტრიქონები:

...„საით ნასულან ძველი ამქრები,  
ან ეს თონე და სახლი ვისია,  
შავი პური და თეთრი ამინდი  
ჩემს პალიტრაზე მიღევს ნისიად...“

მამის გული ხომ ავანსად გაღებულ მსხვერპლია თუნდაც შავი პურისათვის. მაგრამ იქნებ მასწავლოთ, ნისიად ნაყიდი თეთრი ამინდები როგორ გამოვუზოგო და გავუნანილო ჩემს შვილებს.

იქნებ ისე, ორაგულები რომ იქცევიან.

ამ დროს ჩვენ, გრძნეულ თევზებთან ერთად

უკუდინებით მივუყვებით გზას — ზღვის ნყლიდან. მშობლიური მდინარისაკენ — იქ რომ გავიდეთ და დავიხოცოთ. და როგორც ორაგულებმა თავიანთი სხეულის ნარჩენებით — ისე ჩვენ, ადამიანებმა მინაზე დატოვებული სახელითა და კეთილად ქმნილი საქმეებით უნდა გამოვკვეთოთ ჩვენი შთამომავლობა.

სულ ცოტა ხნის წინ მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის ცენტრში მოწყობილ მამათა და შვილთა გამოფენაზე მეც სწორედ ორაგულის დღეში აღმოვჩნდი.


ამ საშუალო ზომის გალერეაში შეკრებილ მხატვართა შორის მოკრძალებით დავიკავეთ სამი ადგილი მამა-შვილმა კუხალაშვილებმა. დარბაზში ვხედავდი ნაცნობ სახეებს. გულის სიღრმეში ყველა ოსტატი, ალბათ, ჩემსავით თავის თავს შვილს ადრიდა, ანდა პირიქით. ვინ იყო უფრო მართალი, ვინ შეკაზმა ცხენი და ვინ ესროლა ბერპაპასავით ტახს მიზანში. ავტორები ბედნიერი სახით ულოცავდნენ ერთანეთს და სიტყვაზე წინ იდგა უთქმელი შედარება: ვინ როგორ განვლო ცხოვრების გზა და რა განძი და სულიერი სარჩო-საბადებელი დაუტოვა ახალგაზრდა თაობას.

მშობლის წარმატება დიდ ბედენად ვერ ჩაითვლება, თუ მას არ ჰყავს კარგად აღზრდილი შვილები.

ერთ-ერთ უშვილო იმპერატორს რომში ბავშვმა თურმე გზა არ დაუთმო და არც სკამი მიანოდა. იმპერატორი განრისხდა და ჰკითხა თუ რატომ მოიქცა ასე. მან კი უპასუხა: „შენ ვერ აღზარდე შვილი, რომელიც მე დამითმობდა სკამსა და გზას“.

ალბათ მერწმუნებით რარიგ რთულია ხუთი ვაჟის მამობა, რომელთაგან ოთხი ხელოვნების გზას ადგას.

გაგეცინებათ და ასეთი შედარება უნდა გავაკეთო. სახელოსნოს ეზოში ამ ბოლო დროს კატები მომიმრავლდნენ. დავაკვირდი და ასეთი რამ აღმოვაჩინე: როცა დედა კატამ საშიშროება იგრძნო, შვილებიდან პირველად საუკეთესო გადაიყვანა უხიფათო ადგილას. ადამიანი კი პირიქითაა. ყველაზე უმწეოს მფარველობს. მე არ ვიცი ჩემს შვილებს შორის რომელი იქნება უფრო წარმატებული: ფერმწერები ლაშა და გიორგი, არქიტექტორ-დიზაინერი ბექა თუ მოქანდაკე – კახაბერი, მაგრამ ერთი კი ცხადია: ამ ეტაპზე




თავიანთი ასაკის, ნიჭისა და გამოცდილების მიხედვით ლაშა და გიორგი ლიდერობენ და უმცროს ძმებსაც შთააგონებენ ხელოვნების სიყვარულს. მეგობრები ჩემს სახელოსნოს ხანდახან მცირე აკადემიასაც უწოდებენ. აქ იზრდებიან არა მარტო ჩემი შვილები, არამედ მათი მეგობრებიც. ის ახალგაზრდობა, რომელიც ჯანსაღ ხელოვნებას ეზიარება, უკვე საზოგადოების სასარგებლო ნაწილია.

ამჯერად გიორგიზე მოგახსენებთ: იგი მომავლის მხატვარია. მისი სავალი რომ გაიწაღდოს, ვან გოგისა არ იყოს, ორმოცი მონის ძალაა საჭირო. სიკვდილის პირას მისული მიქელანჯელო გულდანყვეტილი ამბობდა: „რა დროს ვკვდები, ხელის მტევენის ხატვა ძლივს ვისწავლეო.“ ვან გოგი კი მთელი მისი ცხოვრება ჩიოდა: მოსწავლე ვარ და მოსწავლედ დავრჩიო.

გიორგი თავისი ნიჭიერებით, შრომისმოყვარეობითა და მიზანსწრაფულობით, შეიძლება ითქვას, რომ უკვე შემდგარი მხატვარია. მისგან შორს არის მერკანტილური გრძნობები და ხელოვნებაში მომძლავრებული, არაფრის მთქმელი იზმები. მის მიერ შესრულებული რელიგიური და მითოლოგიური სიუჟეტები ყურადღებას იმსახურებს. ფერის მეტყველება მუქია და კონტრასტული. მისი სიზმრისეული ხილვები ფანტაზიურ პეიზაჟებთანაა შერწყმული. მხატვარი იყენებს ლისირების რთულ ტექნიკას. გაუვალი გზებით ცდილობს მნახველზე უდიდესი შთაბეჭდილების მოხდენას. მისი ნახატები არ მთავრდება საგამოფენო სივრცეში ნახვის დროს. მისი ხილვა იწყება შემდეგ, როცა გალერიის კარებს გამოიხურავ. ისინი თან მოგყვებიან და გაფორიანებენ.

იგი ხშირად ხატავს თბილისსა და მის ძველ





უბნებს. მისი პეიზაჟები იმპრესიონისტული მანერით ხასიათდება, თუმცა კიდევ რაღაც ენით უთქმელის, მეხსიერებაში ჩარჩენილის, დავინწყებულის გახსენებას მაგონებს.

ნაშლა ხატვის დროს იგივე ხატვის პროცესია და ხშირად ხატვაზე მეტად ფასობს. პიკასო ამბობდა, მე ვმლი მას, რაც მომწონსო. პრაქტიკულად დიდ ტალანტს შეუძლია გაერთოს ნაშლით. მე არ ვგულისხმობ მაზოხისტურ და სპონტანურ მიდგომას ფერის მიმართ. რომ შემეძლოს, სურათს ავნონიდი ყოველ დღე. რა თქმა უნდა, აქ ვგულისხმობ თუ სულის რა ნაწილი ემატება პირველადი ქვრეტის სიკაცკასეს. მრავალსიანი პეიზაჟი დასაწყისში ეტიუდის სახით გვევლინება მხოლოდ. გიორგის შეუძლია ამგვარ სირთულეს გაუმკლავდეს. დაიყოლიოს შრომის კალთაზე გამობმული მიძინებული სურათი, რომელიც თითქოს ეხვეწება ავტორს: „გამიშვი, შვილო, მე ხომ ბუნების ასლი ვარო.“ გიორგი კი ჯიუტად იყოლიებს, გასახედნი ცხენივით აჩვევს ტვირთს, ბეჭზე შემოჰკიდებს უცაბედად ამ ცხოვრების დარდსა და სივალაღეს, სიხარულსა და აღმაფრენას. და თრთის ბუნებაც: ცრემლსა ღვრის ხან თოვლისა და ყინვის სახით, წვიმების ლარნაკებზე აციაგებს განყვეტილ კავშირს გარესამყაროსთან და ჰა, დაჭერილი ღლავივით ამოჰყავს მხატვარს მდინარიდან. რა უნდა მდინარეში პეიზაჟს. რა უნდა სახლებს წყალში, რატომ ჩაუყვინთავთ და ლიცლიცებენ. აბა, თუ ბიჭი ხარ და შეგიძლია, ამოხსენი ეს მარადიული სასწაული.

მხატვრის ცხოვრება მდინარეს ჰგავს, რომელიც პატარა წყაროებს, ნაკადულებს იერთებს, ახელებს მათ და შორი მოგზაურობით მიექანება აბობოქრებული ზღვისკენ.

სალვადორ დალი განსაკუთრებულად არასდროს მყვარებია, თუმცა კი ჭაბუკობის წლებში მისი პერსონალური გამოფენა რომ მენახა მოსკოვში, მამისეული ბეჭედი გავყიდე. რაც ყველაზე უფრო მეტად მომწონდა მასში, ეს იყო ახალგაზრდობის დამოძღვრა: გიყვარდეთ რემბრანტი, შეიძინეთ წვრილი ფუნჯები, გაუფრთხილდით ხელებსა და თვალებს, რამეთუ ისინი დაგჭირდებათ ხელოვნებაში მიზნის მისაღწევად. მოერიდეთ ნარკოტიკებს“ —ო.

ასრულებს კი ყველა ხელოვანი დიდი მასტროს დანაბარებს? მომრავლებულმა იზმებმა, სიახლის ძიების ნიშნით თავგამოდებულმა ვაინოვატორებმა ლამის ბავშვის ნაბანს გადააყოლეს დიდი ფერწერა, რომლის აღდგენა და სულის ჩაბერვა არც თუ ისე იოლი საქმეა გლობალიზაციის პრობაგანდით გაბრუებული მსოფლიოსათვის. მონინავე ქვეყნებმა დაკარგეს სახვითი ხელოვნების ისტორიული სკოლები და დღეს წარსულის ნასუფრალზე მსხდომი ახალგაზრდა თაობა ვერ გარკვეულა საით წავიდეს.

იგივე საშიშროება ემუქრებათ ლაშას და გიორგისაც. საქართველოში თუ არ ამაღლდა ჭეშმარიტი კრიტიკული ხმა, მაშინ ჩვენ ვერ განვასხვავებთ ცირკის ბილბორდებზე გამოკრულ სარეკლამო ნახატებს ნამდვილი ხელოვნებისაგან.

გიორგი კუხალაშვილის ნამუშევრებში მრავალსახიანობა გამოყენებულია მეთოდად. მე მის ფერწერას ვუნოდებდი „მცოცავ ფერწერას“, რაც ჩემი აზრით, გულისხმობს სურათში არსებული ფიგურების ხშირი გადაადგილების სურვილს. მცოცავ ფერწერაში ფერის კომპოზიციაც ასევე მცოცავია. მისი სურათები რენტგენის ქვეშ რომ მოვათავსოთ, ჩვენ ერთ სურათში ათობით მოძრავ სილუეტს დავინახავთ.

რეალური ცხოვრება ეფემერულ ფანტაზიებს ვერ ეგუება. სიამტკბილობით მოფარდაგებუ-



ლი გზები სხირად ეკლიანით გვეცვლება. წარმატებას წარუმატებლობა მოსდევს, რაც მუდამ გვაგონებს, რომ ადამიანები ვართ, და სწორედ ჩემი სათქმელის გასაღებიც ეს არის. როგორც მამა და შემოქმედი, ვცდილობ ჩემი შვილები-სათვის მაგალითი ვიყო.

და კიდევ ერთი და უმთავრესი: ადამიანი და ნებისმიერი შემოქმედი ვერ იქნება წარმატებული, თუ დედა-ეკლესიას და რწმენას არ უკავშირებს ღვთის მიერ ნაჩუქარ ნიჭიერებას, რომელიც როგორც მოგეცემა, ასევე შეიძლება მინდობასავე ნაგერთვას.

მთელი ცხოვრება აუნონავი სიყვარულის ტვირთი უნდა ატარო და გოდოლ-გოდოლ მალღებოდე შენი კაცობით. წვრილ თევზს იჭერდე და არ დიდგულობდე, ბადეში ღლავი თუ მოგიყვა, უფლის საჩუქრად ღებულობდე და ღმერთს მადლს სწირავდე. უცოდველი იყო და სიცოცხლე გიხაროდეს, თუმცა წუთისოფლის სახიმრის ჯოხი და განკითხვა მაინც არ აცდებია.

საკუთარ შვილებზე წერა, ცოტა არ იყოს, უხერხულია, ჩემო მკითხველო, მაგრამ ურემი განათვითონ შეშა არ არის? მე როგორც მხატვარსა და მამას იქნებ უფრო კარგად მესმოდეს ჩემი შვილების ავ-კარგი. ამიტომაც გადაწყვიტე გიორგის შემდეგ ახლა ლაშაზე ვიამბოთ. ლაშა კუხალაშვილი, მიუხედავად იმისა, რომ ოცდამეერთე საუკუნეში ცხოვრობს, მაგონებს შუა საუკუნეების ადამიანს.

მისი ნაწარმოებები დღევანდელია და ადრეული ეპოქის საუკეთესო სინთეზია. ის მოულოდნელად ღებულობს გადაწყვეტილებას, სურათში ეძებს საუკუნეების მიღმა საკუთარ მესთან დაუბრებულ დღევანდელ თავს. როგორც ავტორი, ხან ერთ კუთხეში ჩახატავს



საკუთარ სახეს, ხანაც მეორეში.

მისი შემოქმედება ისეთ ვაშლის ხეს მაგონებს, რომელიც მენლვევა, ხან უხვად მოისხამს და დაიხუნძლება, ხან კი გამიშვლებული მისი ტოტები ფოთლებს აშრილებს მხოლოდ.

ლაშა თავისი ბუნებით მებრძოლია. ხელოვნების გზას რომ არ შესდგომოდა, ალბათ კარგი მეომარი დადგებოდა მისგან. თუმცა ხელოვნებაც იგივე ბრძოლის ველია და ისეთსავე შემართებას მოითხოვს. აკი პიკასო ბრძანებდა: მხატვრის ხელში ფუნჯი იგივეა, რაც მებრძოლისათვის ხელში იარაღი.

ლაშა ხელოვნების კარზე არ აკაკუნებს. არც მისი შემოჯახუნება სჩვევია. იგი თვითონაა დურგალი, რომელიც საკუთარ კარებს თლის და აჩუქურთმებს. მას არ სურს ეზიაროს მოდერნისტულ მიმდინარეობებს. კარგად იცის რა უნდა, რას ითხოვს ხელოვნებიდან და თვითონ რისი მიცემა შეუძლია.

ლაშა იმ მხატვართა რიცხვს მიეკუთვნება, რომლის ბედი და ცხოვრება ზნეობრივ მორალს ეყრდნობა. იგი დგას წუთისოფლის გზაჯვარედინზე და შარლ ბოდლერივით იმეორებს: „გველებით ფეხებდაგესლილი გველებს მიგათრევ, ჩემნაირ სიზმრებს ვერ იხილავს ვერც ერთი ბრძენი-ო.“

მე კი ისლა დამრჩენია, სიზმრების კეთილად ახდენა ვუსურვო მას და მის თაობას.

თანაგრძნობით შეხედე, მნახველო, გულის-გულში გამოტარებულ, სისხლით ნანერ ქმნილებებს, რომელიც უკვე შენი კუთვნილებაა. მხატვარი ბევრჯერ მოკვდა მასში. შენ კი უნდა აცოცხლო ისინი საუკუნეების შემდეგაც.





გასული საუკუნის 30-იანი წლები. ქართველ მწერალთა ჯგუფი: მიხეილ ჯავახიშვილი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, გალაკტიონ ტაბიძე, გრიგოლ რობაქიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ტერენტი გრანელი და სხვ. რესტორან „ევროპასთან“. ფოტო მოგვანოდა რუსა ლომსაძემ.

### ყურადღება!

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება:  
სს „მაცნეს“ პუნქტებში, გამსახურდიას 42 – ტელ: 37-61-53, 37-59-62, 37-77-89;  
„ელვასერვისი“, იოსებების 49 – ტელ: 38-26-74, 38-26-73; 38-80-02; „ჯეომედია“ – ტელ: 93-64-72,  
99-01-37 და „საქპრესა“ – ტელ: 51-60-04; 51-57-43  
6 თვით 18ლ.

„ლიტერატურა და ხელოვნების“ წინა ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში.  
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

კორექტორი:  
მაია მიქაია  
დიზაინერები:  
ლექსო ოთარაშვილი  
გენრი დოლიძე  
სალომე პაიჭაძე  
ოპერატორი:  
თამარ ტყაბლაძე

რედაქციის მისამართი:  
ნუცუბიდის III მკრ. შესახვევი; მხატვრის ქ. №4  
ტელ: (+995 32) 32 73 62; 31 70 47; (+995 99) 25 60 14.

Web: [www.litandart.com.ge](http://www.litandart.com.ge)

[litandart@yahoo.com](mailto:litandart@yahoo.com)  
[vaja.otarashvili@yahoo.com](mailto:vaja.otarashvili@yahoo.com)

ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ეროვნული მწერლობის“ სტამბაში



ბიორბი კუხალაშვილი





ქართული  
ლიბრეიტეკა

ISSN 1512-3189

ფანი 3 ცხი

